PRIME Time

N37 (235) ორშაბათი, 16 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# SOS! – პატრიარქის ნათლობის ტაძარს ვლადიკავკაზში დანგრევა ემუქრება

EXCLUSIVE

## ვინ აგებს პასუხს ისტორიული ძეგლების განადგურებაზე – ცენტრის თანამშრომლები კულტურის მინისტრმა უპასუხოდ დატოვა

## საგამოძიებო კომისიაში ჩვენების მისაცემად რამდენიმე ტელევიზიის ხელმძღვანელს ელოდებიან

EXCLUSIVE

## ვის დაკითხავს თინა ხიდაშელი?

## დაკარგულების საქმე პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ხდება

საბავშვო ბაღში 17 წლის დარეჯან დვალაძეს

საბავშვო აჭარაში გაუჩინარებული გოგონას დაუყოვნებლივ მოძებნას ითხოვს, 2010 წელს დაკარგული ახალგაზრდების მშობლები კი დღემდე პრეზიდენტის პასუხს ელიან

EXCLUSIVE

**გია კორკოტაშვილი:** „თუ ხელისუფლება ჩვენი ინიციატივის იგნორს გააკეთებს, მაშინ ჩვენ ვაღიარებთ, რომ არჩევანში შევცდით“

EXCLUSIVE

## რა წერილი გაუგზავნა ლევან პირველს წულუკიანის უწყებამ ავსტრიაში

**ლევან პირველი:** „დიდ მადლობას ვუხდი თეა წულუკიანს, რომ სიტუაციაში გაერკვა“

EXCLUSIVE

## რა ფარული შეხვედრა შედგა უსუფაშვილსა და ბაქრაძეს შორის

EXCLUSIVE

SCANDAL

## აკრძალული პრეპარატები „ექსტაზის“ ეფექტით თბილისის ღამის კლუბებში უპრობლემოდ იყიდება

## პანკისში ვითარება იძაბება

## რა კავშირშია მიხეილ სააკაშვილთან დაღესტნელი შეიხის აფეთქება?

EXCLUSIVE

## ახალაიასა და მერაბიშვილის სიცოცხლე კბილაშვილის ხელშია

## მერაბ ბაღათურიას სკანდალური ჩვენება გირგვლიანის საქმეზე

**რატომ დაუმალა მერაბ ბაღათურიამ ვანო მერაბიშვილს „შარდენ ბარში“ თაკო სალაყაიას ყოფნა?**

## რას მალავდა და რა გაუმხილა „პრაიმტაიმს“ 26 მაისის საქმის მთავარმა მოწმემ?

EXCLUSIVE

**სად გაქრა ოლეგ ქვანიას საქმე და რას მალავს პროკურატურა?**

## როგორ ხდება პოლიტიკური რეიტინგების გაყალბება

EXCLUSIVE

## ვინ არის დამკვეთი და ვინ დებს ნინასწარ გამზადებულ შედეგს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება







# ვინ არის დამკვეთი და ვინ დებს წინასწარ გამზადებულ შედეგს

**„ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ სოციოლოგიური კვლევით მანიპულირება, სამწუხაროდ, შესაძლებელია“**

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**სოციოლოგიურ კვლევებს თავის დროზე ერთადერთი დატვირთვა ჰქონდა – გარკვეულიყო კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ლიდერის რეიტინგი. სოციოლოგების მოვალეობა აქ სრულდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა იმ კონკრეტული პარტიის სამუშაო რეჟიმი. ისინი სწორედ კვლევების შედეგების მიხედვით ადგენდნენ სამუშაო გეგმას. რაც მთავარია, მათთვის მიწოდებული შედეგები, როგორც წესი, საიდუმლოს წარმოადგენდა, ანუ ისინი მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის გამოიყენებოდა და არა გასავრცელებლად. დღეს ეს ყველაფერი ამოტრიალებულია. სოციოლოგიური კვლევები ტარდება არა იმისთვის, რომ პოლიტიკოსებმა საზოგადოების განწყობები გაიგონ, არამედ იმისთვის, რომ ამ კვლევებით მოხდეს საზოგადოების აზრის ფორმირება. კიდევ უფრო მარტივად რომ ავხსნათ, კვლევითი ორგანიზაციები დებენ კონკრეტულ შედეგებს, რომელიც რეალობისგან შეიძლება ძალიან შორსაც კი იყოს და ამით საზოგადოებას უკვე გამზადებულ საარჩევნო შედეგებს სთავაზობენ. როგორც გამოცდილი სპეციალისტები აცხადებენ, ეს ამომრჩეველსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს. ანუ კონკრეტული პოლიტიკური ძალები საკუთარ მიზანს სწორედ კვლევების გავრცელებით აღწევენ.**

ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. აქ სულ რამდენიმე ცნობილი სოციოლოგიური კვლევითი ორგანიზაციაა, რომლებიც პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას პარალელურ რეჟიმში ემსახურებიან. მართალია, პარტიები მაქსიმუმს აკეთებენ, რომ კონკურენტის მიერ დაქირავებული ორგანიზაციის კლიენტები არ გახდნენ, მაგრამ, მიზანი, როგორც წესი, მიუღწეველი რჩება ხოლმე. მიზეზი კვლევითი ორგანიზაციების სიმცირეა. ბაზარზე სულ რამდენიმე კვლევითი ორგანიზაცია მუშაობს... ყველაზე პარადოქსული კი აქ ერთი დეტალია. ხშირად ერთი და იგივე ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებში სხვადასხვა ლიდერები ერთდროულად პირველობენ. პოლიტიკოსები, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, რომელიც არასოდეს ასახელებს, ვის დაუკვეთა კვლევები, აცხადებს, რომ მხოლოდ მისი კვლევაა სწორი და შესაბამისად, თავადვე არის ნომერ პირველი. იგივე განცხადებას აკეთებენ ყოველთვის შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე და კიდევ ბევრი სხვა. ამის ასახსნელად ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანა საკმარისი იქნება. საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტის, არჩილ გამზარდიას განცხადებით, კონკრეტულმა ბიზნესორგანიზაციამ ასევე კონკრეტულ კვლევით ორგანიზაციასთან ხელშეკრულება მხოლოდ იმიტომ გაწყვიტა, რომ მიღებულმა შედეგებმა არ დაკმაყოფილა. ანუ კვლევებში მას პირველი ადგილი არ ეკავა. გამზარდიას თქმით, იგივე ორგანიზაცია, ოდნავ მოგვიანებით, იძულებული გახდა, სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციებისთვის გაყალბებული შედეგები გადაეგზავნა. ამით მან დამკვეთიც შეინარჩუნა და კმაყოფილიც დატოვა. ეს კლასიკური მაგალითია რეალობის ასახსნელად, სამაგიეროდ აბსოლუტურად ანგრევს კვლევების შესახებ მითს.

**დიმიტრი შაშკინი, „რეფორმატორთა კლუბის ხელმძღვანელი“:**

– სოციოლოგიური კვლევების მთავარი ამოცანა საარჩევნო კამპანიაში არ არის მხოლოდ ხალხის ინფორმირება. ის კონკრეტულ პარტიებსა და პოლიტიკურ ლიდერებს საკუთარი საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში ეხმარება. ცუდი ის არის, რომ ხშირად კვლევები საჯაროვდება. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ამომრჩეველს აუცილებლად უნდა ესმოდეს. პირველი და უმთავრესი – ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ სოციოლოგიური კვლევით მანიპულირება, სამწუხაროდ, შესაძლებელია. ანუ ამომრჩეველმა ყურადღება უნდა მიაქციოს დეტალებს, თუ ვინ ატარებს კვლევას. არსებობს მსოფლიოში ისეთი კვლევითი ორგანიზაციები, როგორიც არის „გელაპი“, „გრინბერგი“. მათი წლიური ბრუნვა მილიარდებია და ამიტომ ისინი არასოდეს გააყალბებენ შედეგებს, რადგან არ არსებობს ფულადი ჯილდო, რომელიც მათ შეიძლება უღირდეთ იმიჯის შელახვის სანაცვლოდ. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ არის ჩატარებული კვლევა. ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, რომლის ცოდნაც ასევე აუცილებელია, ის, რომ სოციოლოგს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, კითხვა დასვას ისე, რომ შედეგად სასურველი პასუხი მიიღოს. ამიტომ როდესაც ადამიანი კითხულობს სოციოლოგიურ კვლევას, ყოველთვის უნდა მიაქციოს ყურადღება, რა სახითაა ხოლმე კითხვები დასმული. თერთმეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამერიკულ ორგანიზაციაში და ჩემი ერთ-ერთი სფერო სწორედ სოციოლოგიური კვლევების კონტროლი იყო. ვაკონტროლებდი, რომ სოციოლოგს, შემთხვევით, ან შეგნებულად, შეცდომა არ დაეშვა კითხვის დასმის და მათი შედგენის დროს. მსგავსი რამ ხშირად ხდება. მესამე მნიშვნელოვანი დეტალია კონკრეტული კითხვა – მოგწონთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკოსი. ეს კითხვა არ არის საარჩევნო რეიტინგის მაჩვენებელი. ეს არის სიმპათია-ანტიპათიის განწყობა. მაგალითად, თუ გამოკითხულთა 60% იტყვის კონკრეტულ კანდიდატზე, რომ მოსწონს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის კანდიდატი აუცილებლად მიიღებს 60%-იან რეიტინგს. რიეტინგს უშუალოდ განსაზღვრავს კითხვა – ხვალ რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას? თუმცა ამ შემთხვევაში უკვე მნიშვნელოვანია ის, თუ ამ ამომრჩევლებიდან რამდენი მივა არჩევნებზე. როცა კვლევებზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ, რომ არასოდეს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ინტერნეტში, გაზეთში, ჟურნალში, მეტროში, ავტობუსში ჩატარებულ გამოკითხვებს. სოციოლოგიური კვლევების მთავარი ფუნდამენტალური პრინციპი არის ის, რომ მასში ყველა ამომრჩეველს თანაბრად ჰქონდეს მოხვედრის შანსი. სწორედ ამ შემთხვევაშია კვლევის შედეგები რელევანტური.

**– რამდენი ადამიანი უნდა გამოიკითხოს, საშუალოდ, რომ კვლევა მისაღებად ჩაითვალოს?**

– საშუალოდ, ხდება 1500 ადამიანის გამოკითხვა. საქართველოში, დაახლოებით, სამი მილიონი ამომრჩეველია. სამი მილიონიდან 1500-კაციან კვლევაში ნებისმიერი მოქალაქის მოხვედრის შანსი აბსოლუტურად თანაბარი უნდა იყოს. შესაბამისად, როდესაც გამოკითხვა ტარდება მეტროში, იქ მოხვედრის შანსი, თუ თქვენ მეტროს მგზავრი არ ხართ, არ გაქვთ.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, ვინ ატარებს კვლევას, რომელი ორგანიზაცია, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ასეთი სულ რამდენიმე ორგანიზაციაა, თუმცა საზოგადოება მათზე ინფორმაციას ნაკლებად ფლობს...**

– ნებისმიერი კვლევა, რომელიც ჩატარებულია სერიოზული ორგანიზაციის მიერ, დასაწყისშივე ათავსებს ინფორმაციას, ვინ ჩაატარა კვლევა, რამდენი ადამიანი გამოიკითხა, რა ხანგრძლივობის ინტერვიუ იყო, რა მეთოდებით მოხდა გამოკითხვა, ცდომილების რა პროცენტი შეიძლება იყოს. თუ ამ ინფორმაციას ვერ ხედავთ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ კვლევის მიმართ ბევრი კითხვა გაგიჩნდეთ.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, რა მეთოდოლოგია გამოიყენება ჩვენთან?**

– ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სპეციალურად მომზადებული ადამიანი გადის კონკრეტულად გათვლილ წერტილში, მას ზუსტად აქვს გათვლილი ყოველ მერამდენე კორპუსში უნდა შევიდეს, ვთქვათ, ყოველ მეთორმეტე კორპუსში უნდა გამოკითხოს მდედრობითი სქესის 18 წელზე ზევით მყოფი ადამიანი. თუ ასეთი სამი დახვდება მითითებულ მისამართზე, მაშინ უნდა გაიგოს მათი დაბადების თვეები და უნდა გამოკითხოს ის, ვისი დაბადების დღეც ყველაზე ახლოს არის. ამ შემთხვევაში ადამიანი, ვინც ინტერვიუებს იღებს, რობოტივით არის, მან კონკრეტული მეთოდოლოგიები უნდა შეასრულოს, რომელიც მას დაუნერეს.

**– ჩვენთან ხდება ასეთი დეტალების დაცვა გამოკითხვის ჩატარებისას?**

– ორი კომპანია, რომელიც საქართველოში მუშაობს - „გელაპი“ და „გრინბერგი“ ამ წესებს ყოველთვის იცავს. „გელაპი“ არის ორგანიზაცია, რომელიც მთელ მსოფლიოში მუშაობს და ის ყოველთვის დაიცავს წესებს, რადგან მისი იმიჯი იმდენად დიდია მსოფლიოში, რომ მას კონკრეტული ქვეყნის გამო ამ წესების დარღვევა არანაირად არ ულირს. მაგალითად, მე როგორც ვიცი, IRI თავის კვლევებში იყენებდა „გელაპს“, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელი იყო შედეგზე საქართველოში. რაც შეეხება NDI-ს, არ ვიცი, ვინ ატარებს იქ უშუალოდ გამოკითხვებს.

როდესაც საუბარია მეთოდოლოგიაზე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძირითადად შემთხვევითი შერჩევით გამოკითხვა ტარდება. მარტივად რომ ავხსნათ, ეს დაახლოებით შემდეგნაირად ხდება: კონკრეტული ადამიანები გადიან ქუჩაში, კორპუსებში, ეზოებში და კითხვარს ავსებინებენ სხვადასხვა სეგმენტის ადამიანებს. კვლევა რომ რელევანტურად ჩაითვალოს, მინიმუმ 1500 ადამიანი მაინც უნდა გამოიკითხოს. ეს ქართული ვარიანტია. რაც შეეხება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ИКУРИ РЕЙТИНГის გაყალბება

## დიმიტრი შაშკინი: „IRI თავის კვლევებში იყენებდა „გელაპს“, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელი იყო შედეგზე საქართველოში. რაც შეეხება NDI-ს, არ ვიცი, ვინ ატარებს იქ უშუალოდ გამოკითხვებს“

# EXCLUSIVE

შერჩევითი გამოკითხვით ჩატარებულ კვლევის რეალურ ვერსიას, როგორც პროფესიონალები ხსნიან, ერთ-ერთი ყველაზე რთული მეთოდია, რადგან თუნდაც ასკაციან ჯგუფში კონკრეტულად უნდა იყოს გათვლილი, რამდენი პედაგოგი, რა ასაკისა და როგორი სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელი მოხვდება. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად კითხვარის შედგენასაც. მსოფლიოში ცნობილ სოციოლოგიურ კვლევით ორგანიზაციებს კვლევის კონტროლის კონკრეტული მექანიზმები აქვთ. შაშკინის განცხადებით, ასეთ დროს კონკრეტულ თანამშრომელს, ან თანამშრომელთა ჯგუფს რომც უნდოდეთ შედეგებში ცვლილებების შეტანა, ეს მაინც გამოაშკარავდება. თუმცა მსგავსი კონტროლი საქართველოში არ ხდება. მეტიც, როგორც ამბობენ, ჩვენთან პოლიტიკური კვლევები რეალურად არც ტარდება. ისინი მიახლოებითი გამოთვლებით იდება და რამდენიმე მიზანი აქვს: პოლიტიკურმა ძალამ შეინარჩუნოს საკუთარი ნევრები, კონკურენტს დაანახოს ცარიელი ციფრები და არჩევნების შემდეგ ამაყად განაცხადოს, არჩევნები გაყალბდა, თორემ ჩემი რეიტინგის მიხედვით, უნდა გამემარჯვაო...

**არჩილ გამზარდია, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი:**

– კვლევები თანამედროვეობაში არ არის გამოყენებული ამომრჩევლის აზრის გასარკვევად, პირიქით, მსგავსი კვლევების ჩატარება და მათი გასაჯაროება გათვლილია სწორედ საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. არსებობს მიდგომა, რომ პირველობის ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყნებში ეგზიტპოლების გამოქვეყნება საარჩევნო დღეს აკრძალულია. იმიტომ რომ მან შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგებზე.

**– თქვენ ამბობთ, რომ შეიძლება შედეგები საათებში შეიცვალოს?**

– რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, შეიძლება კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ იმოქმედოს. ისე მოხდეს, რომ კანდიდატი, რომლიეც აგებს ცოტა ხმით, საბოლოოდ გამარჯვებული აღმოჩნდეს, რადგან საზოგადოების ცნობიერებაა, რომ გამარჯვებულის მხარდამჭერი გახდეს. მეორე მხრივ, იმ პარტიამ, რომელიც ეგზიტპოლებში გამარჯვებულად გამოვლინდება, არ განახორციელოს არაადეკვატური ქმედებები. ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ წარადგენ პარტიას ან კანდიდატს წინასაარჩევნოდ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის დროზე მსგავსი ნაბიჯით ძალიან ბევრჯერ მოიგო. მე მაგალითად, პარადოქსულად მეჩვენება ნინო ბურჯანაძის პირველობა.

**– მიგაჩნიათ, რომ ეს წინასწარვეა გათვლილი?**

– ცალსახად ასეა.

**– იმოქმედებს ეს ხალხზე?**

– იმოქმედებს იმდენად, რამდენადაც ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინ იმდენად დამაჯერებლად იყო წარმოდგენილი „ქართული ოცნება“, რომ ისინი დარწმუნებულები იყვნენ გამარჯვებაში, წინასწარვე იქცეოდნენ, როგორც გამარჯვებულები. ისინი რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებულიყვნენ, რისი თეორიული შანსიც არსებობდა, საზოგადოება ამას მაინც აღარ ჩაყლაპავდა. რეალურად ეს გათვლილია საზოგადოების ტემპერატურის, ან საკუთარი იმიჯის ასაწევად. როდესაც პარტიები კვლევებს ატარებენ, გონიათ თავად აინტერესებთ შედეგები? ძირითადად, ეს გათვლილია საკუთარი პარტიის წევრებზე ზემოქმედებისთვის და შემდეგ უკვე საზოგადოებაზე გავლენის მოსახდენად, რადგან ჩვენთან პოლიტიკური კულტურა ძალიან დაბალია და ნაგებული პარტიიდან გამარჯვებულ პარტიებში გადადიან. ამიტომ ლიდერები ცდილობენ, რეიტინგების ეფექტების შექმნით დაიჭირონ წევრები.

**– გამოდის, თავად კვლევითი ორგანიზაციები აწვდიან არასწორ შედეგებს?**

– ერთ-ერთმა წამყვანმა სოციოლოგმა გააკეთა სერიოზული პრეზენტაცია, ითქვა, რომ შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა ათასსხუთასი ადამიანი. გამოკითხვა იყო წარმოდგენილი საკმაოდ ეფექტური იერით. შეგნებულად არ დავასახელებ სოციოლოგის სახელსა და გვარს. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მეც მყავს დაახლოებით ათასორასი სტუნდენტი ყოველ სემესტრში. მე რომ ყველა მათგანი გამოვკითხო, როგორც სტუდენტების სეგმენტი, შემიძლია, განვაცხადო, რომ ეს არის მიკრომოდელი საქართველოს მთელი სტუდენტობის.

**– რეალურად არ იქნება ასე?**

– არა, რა თქმა უნდა. შემთხვევითი გამოკითხვის მეთოდი არის საკმაოდ რთული დასამუშავებელი. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორიული მახასიათებლები. როდესაც ირჩევა შემთხვევითი გამოკითხვის მეთოდოლოგია, ვთქვათ, ას ადამიანზე. კონკრეტულად უნდა იყოს გათვლილი ამ ას ადამიანში რამდენი პედაგოგი მოხვდება, რა ასაკის, რამდენი სტუდენტი, რამდენად სოციალურად დაუცველი ან დაცული... თუკი ასეთი კვლევა მაღალ დონეზე ტარდება, მაშინ შეიძლება აიღო ასკაციანი ჯგუფი, თუმცა კონტინგენტი უნდა იყოს მკაცრად გათვლილი.

**– ხდება ამ დეტალების დაცვა?**

– არა, საქართველოში კვლევების ჩატარებისას მსგავსი წესების დაცვა არ ხდება. ეს საკმაოდ რთული გასაკეთებელია. ჩვენთან აუდიტორიული მახასიათებლები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ლატარიის მსგავსად შეიძლება გაარტყა და შედეგები უფრო ახლოს იყოს რეალობასთან. როგორც წესი, მსგავსი გამოკითხვები ძალიან ძვირი ჯდება ხოლმე. მეტსაც გეტყვით, კითხვარის შედგენისას ერთი და იგივე შინაარსის კითხვები ისმება, ოღონდ განსხვავებული სახით. ასეთ დროს, როდესაც გამოკითხულები ცრუობენ, ერთი და იგივე შინაარსის კითხვების შუალედური ანალიზით სწორი პასუხის დადგენა შესაძლებელია.

**– კეთდება ეს შუალედური ანალიზი?**

– უნდა კეთდებოდეს, თუმცა ჩვენთან ამის გაკეთებაც ძალიან რთულია.

**– რაც შეეხება კვლევების შედეგების ანონიმურობას...**

– პოლიტიკური კვლევებისგან განსხვავებით, როდესაც ბიზნესორგანიზაციები ატარებენ სერიოზულ კვლევებს, ეს ყოველთვის ანონიმურია ხოლმე. თუმცა მე მახსოვს ფაქტი, როდესაც ერთ-ერთმა ორგანიზაციამ გაწყვიტა ხელშეკრულება ერთ-ერთ კვლევით ორგანიზაციასთან, იმ მიზეზით, რომ კვლევების შედეგები არ მოეწონა ორგანიზაციის დირექტორს, ანუ მისი ორგანიზაცია არ იყო პირველ ადგილას. ჩვენთან ორგანიზაციები თავისთავად ითხოვენ პირველობის რეჟიმს. ასევე, იყო ფაქტი, როდესაც ერთი კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც ერთდროულად ემსახურებოდა რამდენიმე საკონკურენტო კომპანიას, ყველას აბსოლუტურად ერთი და იგივე შედეგის შემცველ მონაცემებს უგზავნიდა. ანუ გაირკვა, რომ მათი კვლევების შედეგად ყველა კონკურენტულ ორგანიზაციას პირველი ადგილი ჰქონდა. ყველა გამარჯვებული იყო. ამას აკეთებდა იმიტომ, რომ კლიენტი არ დაეკარგა და ეუბნებოდა იმას, რასაც მისგან ითხოვდნენ.

**– პოლიტიკაშიც ასე ხდება?**

– პოლიტიკაში გაყალბება ბევრად უფრო მძიმე ფორმებით ხდება. პოლიტიკაში ხშირ შემთხვევაში კვლევები რეალურად არც ტარდება.

**– შეიძლება ითქვას, რომ იმ მონაცემებს, რეიტინგებს, რომლებზეც ამდენს მსჯელობენ, რეალობასთან კავშირი არ ჰქონდეს?**

– სავსებით შესაძლებელია. საერთო ჯამში, კვლევების შედეგებს ალაგებენ და რომელიც რეალობასთან უფრო ახლოსაა, იმას ირჩევენ. მაგალითად, NDI-ს კვლევები ყოველთვის პოლიტიკური აქცენტით გაკეთებული კვლევებია. ის ხომ ყველაზე ობიექტურადაა ნარმოდგენილი, სინამდვილეში NDI-ს ყოველთვის აქვს ხოლმე უკან დასახევი გზა. მის მონაცემებს ვერასდროს ვერავინ შეედავება, რადგან, როდესაც პროცენტები ლაგდება ერთი კანდიდატის, მეორე კანდიდატის სასარგებლოდ და პასუხის – „არ გასცას“ გრაფაში წერია 25%, ამის გამოქვეყნება საერთოდ არ შეიძლება, არაფერში გამოსადეგარი არ არის. NDI-ს შედეგები ზუსტი იქნებოდა, თუკი მათი ნებელობა არ იქნებოდა პოლიტიკური მხარდაჭერის კუთხიდან წარმოდგენილი. პირადი ურთიერთობები მთელ მსოფლიოში ძალიან დიდ გავლენას ახდენს.

**– ამ შემთხვევაში NDI-ს მოტივაცია რა არის?**

– NDI-ს მოტივაცია შეიძლება სულაც არ იყოს ტენდენციურობა, უბრალოდ, არ უღირდეს თავის იმიჯად, თუმცა რადგან ასეთი სერიოზული ლაფსუსები უკვე გაპარულია და უკვე მეოთხე ხელისუფლების პირობებში მუშაობენ, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ კონკრეტული ხედვა. მე არ ვაფასებ, ეს ხედვა როგორია, კარგია თუ ცუდი. თუმცა ფაქტია, რომ არსებობს მათ მიერ წინასწარი განსაზღვრული ხედვა. შიდა წყაროებიდან ვიცი, რომ პირადი ურთიერთობები იქაც ძალიან ბევრ რამეს წყვეტს. ამიტომ ასეთი რეიტინგომანიის პროცესში რეალური კვლევების ჩატარება შეიძლება არც არავის სჭირდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ნაკლები განათლებით, ნაკლები გონიერებით, მეტი იმპულსებით გამოირჩევა, შესაბამისად, ამ ყველაფრის მართვა ძალიან კარგად ხდება და სწორედ ამით აღწევენ პოლიტიკური პარტიები წარმატებას.

## არჩილ გამზარდია: „პოლიტიკაში გაყალბება ბევრად უფრო მძიმე ფორმებით ხდება. პოლიტიკაში ხშირ შემთხვევაში კვლევები რეალურად არც კი ტარდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# SOS! – ვლადიკავკაზში ქართული ისტორ

## 1888 წელს თერგდალეულების მიერ დაფუძნებული ქართული სკოლა დახურვის პირასაა, ტაძარს კი, სადაც პატრიარქი მონათლეს, დანგრევა ემუქრება

მირიან ბოქოლიშვილი

**წელს ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე ერთადერთ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებას 125 წელი უსრულდება. სკოლა, რომელიც ვლადიკავკაზში ჯერ კიდევ 1888 წელს თერგდალეულებმა დააარსეს, უდიდესი კულტურული, საგანმანათლებლო და ისტორიული მნიშვნელობისაა. ამ სკოლამ იქით მცხოვრები არაერთი ქართველი გამოზარდა, მათ შორის ცნობილი მოღვაწეები. 125 წლის იუბილეს ვლადიკავკაზის აკაკი წერეთლის სახელობის საგანმანათლებლო დაწესებულება არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობით ხვდება. მოსწავლეთა კონტინგენტის სწრაფმა კლებამ შესაძლოა, სკოლა დახურვის პირას მიიყვანოს, იქვე მდებარე ტაძარს კი, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მე-2 მოინათლა, დანგრევა ემუქრება. კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელობა დახმარებას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ. სკოლის დირექტორმა, ეთერ ფიცხელაურმა თანადგომისთვის პირადად მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს თემა გურამ ოდიშარიას დაინტერესების საგანი არ აღმოჩნდა.**

**ეთერ ფიცხელაური:**

– ჩვენი გულისტკივილი არ არის ვინმეს მიმართ საყვედური, ან რაიმე სახის მოთხოვნა. უბრალოდ, სურვილი გვაქვს, ინფორმაცია საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილი. სკოლას ნოემბერში 125 წელი უსრულდება, ეს საგანმანათლებლო დაწესებულება 1888 წელს დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. პირველი სასწავლო პროგრამა თვით ილია ჭავჭავაძის მიერ არის შედგენილი და შემდეგ შეთანხმებულია თერგის ოლქის ხელმძღვანელობასთან. იქ იყო გარკვეული რაოდენობა ქართველებისა, რომლებსაც სურდათ, შვილებს განათლება ქართულ სკოლაში მიეღოთ. სკოლა მდებარეობს ქალაქ ვლადიკავკაზში, ცენტრალურ ქუჩაზე, რომელიც დღესაც წერეთლის სახელს ატარებს. სულ რაღაც, 5 წუთის სავალია მთავრობის სახლიდან. თავიდანვე სამი შენობა აშენდა ერთი სახურავის ქვეშ – ეს იყო სკოლა, თეატრი და ეკლესია, სადაც მოგვიანებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მე-2 მოინათლა. სკოლის თავდაპირველი სახელწოდება იყო „საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლო დაწესებულება“. საქართველოდან ხდებოდა ამ სკოლის მართვა, აქედან იგზავნებოდა სახელმძღვანელოები. ზოგადად, ძალიან ლამაზი ტრადიციების სკოლაა. ეს სკოლა აქვს დამთავრებული ძალიან ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, მათ შორის ლევან გოთუას, აკაკი გენაძეს, ვარლამ შადურს, ღუდუშაურს.

**– რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტმა რა გავლენა მოახდინა ამ საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირებაზე?**

– ამ კონფლიქტმა, რომელიც ჯერ კიდევ წლების წინათ დაიწყო, ბუნებრივად იქონია გავლენა. სამწუხაროდ, საქართველოს დღეს არა აქვს რაიმე ურთიერთობა რუსეთთან, შესაბამისად, ოსეთთან. ამიტომ კავშირი ჩვენს სკოლასა და საქართველოს შორის გარკვეულწილად შეწყდა. ჩვენ ხელფასს იქ ვიღებთ, ჩვეულებრივ საჯარო სკოლად ვითვლებით და ადგილობრივი მთავრობა გვაფინანსებს. ამის მიუხედავად, არის პრობლემები. მაგალითად, ეკლესია, სადაც 1937 წლის შემდეგ ღვთისმსახურება შეწყდა, გადაეცა სკოლას. 2006 წელს თითქოს რეკონსტრუქცია უნდა ჩატარებულიყო და პირვანდელი სახით აღდგენილიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, ეს პროექტი ვერ განხორციელდა. დარჩა კედლები სახურავის გარეშე. ჩვენ, იქაურმა ქართველობამ, შევძელით, რომ ტაძრისთვის სახურავი გაგვეკეთებინა, მაგრამ შემდგომი სამუშაოებისთვის არანაირი სახსრები არ გაგვაჩნია. კიდევ ვამბობ, ეს არის უდიდესი მნიშვნელობისა და მადლის მქონე ეკლესია, რამეთუ სწორედ იქ მოინათლა მისი უწმინდესობა. 1997 წელს ვლადიკავკაზში სტუმრობისას პატრიარქმა პირადად მოინახულა ეკლესიაც და სკოლაც. დღეს ეკლესიის ფასადი არის სავალალო მდგომარეობაში, საჭიროებს აუცილებელ დახმარებას. იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ეკლესია მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ მხარეს და სკოლის შენობა მის გაგრძელებაზეა, რჩება შთაბეჭდილება, რომ იქ არანაირი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობს. ბუნებრივია, ამ პირობებში მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად არის შემცირებული და არ არის გამორიცხული, ეს უძველესი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ამავდროულად ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას ატარებს, საერთოდ დაიხუროს. მინდა სწორად გამიგოთ – ჩვენ არ ვითხოვთ რაიმე განსაკუთრებულ სტატუსს და პრივილეგიებს, მაგრამ განათლება არ არის ის მდიდარი სისტემა, რომელსაც ყველაფერი შეუძლია. ჩვენი დიდი სურვილია, რომ სკოლის 125 წლის იუბილე ღირსეულად აღნიშნულიყო, მაგრამ არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ხდება ისე, რომ ეს სკოლა რჩება საქართველოსგან მოწყვეტილი, არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ სულიერების მხრივაც.

**– რამდენად დიდია მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების ტენდენცია?**

– ეს ტენდენცია არსებობს და საკმაოდ პრობლემური საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ქართულ ენაზეა, ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩვენი ბავშვები აბარებენ რუსულენოვან აბიტურიენტებთან ერთად და შემიძლია, სიამაყით გითხრათ, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენს მოსწავლეს მინიმალური ზღვარი არ გადაელახოს. ამის მიუხედავად, შემცირების ტენდენცია გამოიწვია ერებს შორის დაძაბულმა ურთიერთობამ. დაფინანსება ხდება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით და უკვე დავდექით იმ პრობლემის წინაშე, რომ აღმზრდელობითი ნაწილი, იქნება ეს ქართული ცეკვა, სიმღერა თუ სხვა, პრაქტიკულად შეჩერებულია და ამის საშუალება აღარ გვაქვს.

**– იგივე ეკლესიის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის თუ მიმართეთ**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ულ ი ძ ე ბ ლ ი  ს ა ვ ა ლ ა ლ ო  მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი ა

**„ასეთი კერის არსებობა და გადარჩენა აუცილებელია დღეს, როდესაც საუბარია ურთიერთობების აღდგენასა და კულტურული დიალოგის მნიშვნელობაზე“**

**ადგილობრივ ხელისუფლებას, ან ქართულ მხარეს?**

– რა თქმა უნდა, მივმართეთ, თავის დროზე, 2006 წელს ვლადიკავკაზის მთავრობა მოგვეხმარა, მაგრამ შემდეგ ფინანსების უკმარისობის მიზეზით სამუშაოები შეაჩერეს. რაც შეეხება ქართულ მხარეს, ჩვენ გვქონდა შეხვედრა საპატრიარქოში, შემდეგ გაგვიშვეს კულტურის მინისტრთან. ბატონ გურამ ოდიშარიას გადავეცით დოკუმენტები და ავუხსენით სიტუაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას გაგრძელება არ მოჰყოლია. მანამდე ოფიციალური შეკითხვით მივმართეთ ვლადიკავკაზის მერიას – ხომ არ იქნებოდა მათი მხრიდან რაიმე დაბრკოლება, რომ ქართული მხარე აღდგენით სამუშაოებში ჩართულიყო, საიდანაც მივიღეთ პასუხი, რომ არანაირი პრობლემა არ შეიქმნებოდა, თუკი საქართველოს შესაბამისი მზაობა ექნებოდა.

**– ანუ იმ შემთხვევაში, თუ ეს პრობლემა არ გადაიჭრა, შეიძლება ერთადერთი ქართული საგანმანათლებლო დაწესებულება ვლადიკავკაზში საერთოდ დაიხუროს?**

– რომ არა ადგილობრივი ხელისუფლების კეთილი ნება, ეს სკოლა, ფაქტობრივად, უკვე დახურულიც იქნებოდა და რომელიმე დიდი სკოლის სტრუქტურული ერთეულიც. ჯერჯერობით სტატუსს გვინარჩუნებენ, ვხედავთ კეთილგანწყობას. ამიტომ ჯერ კიდევ შეიძლება სკოლის გადარჩენა, რაშიც დახმარება გვჭირდება. ჩვენმა ხალხმა, ვინც იქ ცხოვრობს, უნდა დაინახოს, რომ საქართველო მათ გვერდში დგას. სკოლა არ გახლავთ ავარიულ მდგომარეობაში, მისი მთავარი პრობლემა კონტინგენტის შემცირებაა. რაც შეეხება ეკლესიას, მისი შენობა ნამდვილად

სავალალო მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ საჭიროებს რეკონსტრუქციას.

**– გარდა საგანმანათლებლო და სულიერი დანიშნულებისა, გამოდის, რომ ეს ცენტრი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლიცაა...**

– რა თქმა უნდა, ასეა. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი საარქივო მასალა განადგურდა, თუმცა ვლადიკავკაზში შემორჩენილია საკმაოდ საინტერესო მასალები და ფოტოსურათები. ქალაქ ვლადიკავკაზში მანამდე სულ ერთი სკოლა იყო, რომელიც 1880 წელს გაიხსნა. მეორე სკოლა, თავისი სიძველით, სწორედ ჩვენი სკოლა იყო. დღეს უკვე 50-მდე სკოლაა და მათ შორის ყველა რუსული, გარდა ერთისა, და ეს ერთი ჩვენი სკოლაა. ჩვენი საგანმანათლებლო ცენტრი წარმოადგენდა ერთგვარ ხიდს ქართულ და ოსურ საზოგადოებებს შორის. 90-იან წლებში ძალიან ბევრი იწერებოდა ჩვენს შესახებ. გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები სათაურებით: „სიკეთის კუნძული“, „ქართული კულტურის პატარა კერა ვლადიკავკაზში“ და უამრავი სხვა წერილი. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, რათა ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ, რომ ვართ მოძმე ერები. მით უმეტეს, ასეთი კერის არსებობა და გადარჩენა აუცილებელია დღეს, როდესაც საუბარია ურთიერთობების აღდგენასა და კულტურული დიალოგის მნიშვნელობაზე. თავისუფლად შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო 22 საშინელი წელიწადი, ვლადიკავკაზის ქართულმა სკოლამ ღირსეულად გამოიარა. ჩვენ ერთი წუთითაც კი არ დაგვიკარგავს ჩვენი ფესვები და გენი. ჩვენთვის დიდი სტიმულია, რომ იმ ეკლესიაში მოინათლა მისი უწმინდესობა.

**– რა შეუძლიათ საქართველოს განათლების ან კულტურის სამინისტროებს, თქვენს დასახმარებლად გააკეთონ?**

– ძალიან არ მინდა მთხოვნელის როლში ყოფნა. ჩვენი მთავარი დახმარება იქნება ის, რომ საქართველოში ვახსოვდეთ და ვგრძნობდეთ თანადგომას. თანადგომას პირველ რიგში უნდა გრძნობდნენ ჩვენი ბავშვები. შეიძლება დღეს, როდესაც საქართველოდან მილიონზე მეტი ადამიანია გასული, ერთი პატარა სკოლის ბედი არც კი იყოს აქტუალური, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვართ ეკონომიკური მიგრანტები?! ჩვენ იქ დავიბადეთ, ჩვენი მშობლები იქ ცხოვრობდნენ, ბავშვები იქ იზრდებიან... ამ ყველაფრის მიუხედავად, ვცდილობთ, არ დავკარგოთ ჩვენს სამშობლოსთან კავშირი და ამისთვის აუცილებელია, აქედანაც ვგრძნობდეთ თანადგომას. ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ აღდგეს ეკლესია და იქ აღევლინოს წირვა-ლოცვა, ეკლესია, რომელიც ამხელა მადლის მატარებელია. როგორც გითხარით, ჩვენ ამ გაზაფხულზე შევხვდით ბატონ ოდიშარიას, დავუტოვეთ პროექტი, მაგრამ ამან გამოხმაურება არ ჰპოვა. გარდა ეკლესიისა, აქ ხომ საუბარია სკოლაზე, რომელიც ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია. თავის დროზე იაკობ გოგებაშვილს აქვს ნათქვამი, რომ ვლადიკავკაზელმა ქართველებმა ყველაზე დიდი საქმე გაიკეთეს, რომ გახსნეს ქართული სკოლა, რადგან სწორედ სკოლა არის ის დაწესებულება, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს პიროვნება. შემდეგ, ლევან გოთუა თავის ერთ-ერთ დეპეშაში წერდა: არ არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ რაიმე ისეთი კულტურის ცენტრი, როგორიც არის ვლადიკავკაზის ქართული სკოლა. ჩემი აზრი არ გახლავთ, რომ სახელმწიფოს ღირსება მდგომარეობს იმაშიც, როგორ უდგას მხარში ის მის ფარგლებს გარეთ მყოფ თანამემამულეებს. აქ მხოლოდ ხალხზე არ არის საუბარი, საუბარია ისეთ ცოცხალ ორგანიზმზე, როგორიცაა სკოლა და ეკლესია. რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი სურვილი იქნებოდა, რომ ეს სითბო საქართველოდან გვეგრძნო.

**– ზოგადად, ვლადიკავკაზში რამდენი ქართველი ცხოვრობს?**

– არ არის პატარა დიასპორა. თვითონ ქალაქში და მის მიმდებარე სოფლებში 10 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

**„შევხვდით ბატონ ოდიშარიას, დავუტოვეთ პროექტი, მაგრამ ამან გამოხმაურება არ ჰპოვა“**

ეთერ ფიცხელაური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლაფანყურის სპეცოპერაციის შემსრულებლებს დამკვეთები მოიცილებენ?!

„ვინც ეს სპეცოპ-ერაცია დაგეგმა, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ვალერი ზუმბაძე იყო და ახლა თავად იძიებს ამ საქმეს“

თამარ მარგოშვილი

## რა კავშირშია მიხეილ სააკაშვილთან დაღესტნელი შეიხის აფეთქება?

მარიამ ნადირაძე

**არათუ აგვისტოს ბოლოს, არამედ სექტემბრის მესამე კვირასაც დუმს პროკურატურა. არადა საზოგადოება ლაფანყურის საქმის გამოძიებას კბილაშვილის უწყებისგან სპეცოპერაციის წლისთავზე მაინც ელოდა.**

უკვე თვეები გავიდა მას შემდეგ, რაც მიუხედავად მძიმე ემოციური ფონისა, ოჯახები დასთანხმდნენ საკუთარი შვილების ექსჰუმაციას. ექსპერტიზის შედეგები უკვე არსებობს, მაგრამ ამის შესახებ გამოძიება დუმს. ბუნებრივია, ეს დუმილი სხვადასხვა ვერსიებს არსებობის საშუალებას აძლევს. ვერსიები კი საკმაოდ მძიმეა, თუ გავითვალისწინებთ თემის მგრძნობელობასა და დაზარალებულთა ეთნიკურ წარმომავლობას, მით უმეტეს, რომ ხშირად სწორედ ეს დეტალი ხდება სპეცსამსახურებისთვის საუკეთესო იარაღი პროცესების სასურველი გზით წარმართვისთვის. ნებისმიერმა ასეთმა ვერსიამ შესაძლოა, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. შესაბამისად, ყველა ასეთი შესაძლო პროცესის პროვოკატორი თავისი სიჩუმითა და უმოქმედობით, სწორედ კბილაშვილის უწყება იქნება.

პროცესების განვითარების მოლოდინი სხვადასხვაგვარია. „პრაიმტაიმი“ შეეცდება, ყველა მოსალოდნელი საფრთხე ცნობილ ექსპერტთან, ზაალ კასრელიშვილთან ერთად გააანალიზოს. ეს, ალბათ, ერთგვარი პრევენცია იქნება. თუმცა, სანამ მასთან საუბარს დავიწყებთ, ბუნებრივია, მკითხველის, ინფორმირებულობისთვის, მოკლედ მოვუთხრობთ არსებული საფრთხეების შესახებ...

როგორც ამბობენ, თუ ერთი წლის წინათ რეგიონში კონფლიქტის წამოწყების საფრთხეს მაშინდელი ხელისუფლება თავისი ჩარევითა და აქტიურობით ქოქავდა, ახლა საფრთხე ისევ რჩება და ამას მართალია, სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც ხელისუფლების უმოქმედობა უწყობს ხელს...

საფრთხეშია პანკისის სპეცოპერაციის საქმეში ეჭვმიტანილი ყოფილი მაღაჩინოსნების სიცოცხლეც და ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ შეიტყობთ...

მთავარი საფრთხე კი ასეთი სახით იკვეთება: თუ გამოძიება ყველა მონაწილეს არ გამოავლენს და მხოლოდ შემსრულებლებით შემოიფარგლება, თუნდაც ისინი მინისტრის რანგისანი იყვნენ, დანაშაულის მასშტაბებს კი მხოლოდ რეგიონში შემოავლებს საზღვრებს, ამ შემთხვევაში არ გამორიცხავენ, რომ დაიწყოს კონკრეტული ადამიანების მისამართით ანგარიშსწორება, ეს კი სერიოზულ და შეუქცევად კონფლიქტამდე მიიყვანს ქვეყანას.

ასეა თუ ისე, „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ჯერ თავად რომელიმე დაზარალებულ ოჯახთან გაერკვია მოლოდინები. ვინაიდან ლაფანყურის ხეობაში გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის მამა, მერაბ მარგოშვილი მძიმედ არის ავად, ჩვენ ასლანის მამიდას, ქალბატონ **თამარ მარგოშვილს** ვესაუბრეთ:

**– ქალბატონო თამარ, ოჯახს მაინც თუ აცნობა გამოძიებამ, რა სიახლეებია ლაფანყურის საქმეში?**

– გამომძიებელი ჩამოდიოდა ხოლმე, ვალერი ზუმბაძე. სანამ ჩემს ძმას შეეძლო, ხვდებოდა და სიახლეებს უყვებოდა. ამბობდა, რომ იკვეთებოდა კვალი ადგილობრივი ვაჰაბისტების კავშირის შესახებ შინაგან საქმეთა მაშინდელი სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ახლა ჩემი ძმა მძიმედ არის და მგონი, ხმასაც ვერ იღებს სალაპარაკოდ. გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მართლა მოწადინებულია, გამოიძიოს ეს საქმე. თუმცა, ბოლო დროს პრესაში ვკითხულობთ, რომ ვინც ეს სპეცოპერაცია დაგეგმა, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ვალერი ზუმბაძე იყო და ახლა თავად იძიებს ამ საქმეს. დაბნეულები ვართ და ორ ცეცხლს შუა. რას დავუჯეროთ, არ ვიცით. ორი კვირის წინ უჩა ნანუაშვილი იყო ჩამოსული. საგამოძიებო კომისიის შექმნა უნდა. ხეობის ორი უხუცესისც შეიყვანა ამ კომისიაში. როგორც ჩანს, ნანუაშვილი არ ენდობა და არ ეყრდნობა გამოძიებას.

**– თქვენ თვითონ თუ ენდობით?**

– ვნახოთ. ფაქტია, რომ ჯერჯერობით არაფერი არ ჩანს გაკეთებული. იმედი გვაქვს, საარჩევნოდ მაინც დადებენ გამოძიების შედეგს. თუ არაფერს გააკეთებენ, ჩავთვლით, რომ არ უნდათ ამ საქმის გამოძიება.

**– ამ შემთხვევაში რას გეგმავთ?**

– ჩამოვყალიბდებით, არ გავჩერდებით. შევეცდებით, რომ ეს ასე არ დავტოვოთ.

**– თუ გამოძიება დამნაშავეების გამოვლენისას მხოლოდ მერაბიშვილსა და ახალაიაზე შეჩერდება, ვარაუდობენ, რომ მათზე ანგარიშსწორება მოხდება და მერე ეს ქისტების შურისძიებას დაჰბრალდება.**

– ვერაფერს გეტყვით. ერთი კი ვიცი, ჩეჩნეებიც არ გაჩერდებიან. ჯერ ვნახოთ, რას გამოიძიებენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გამოძიების პასიურობის გამო სულ სხვა მასშტაბის საფრთხეებს ხედავენ ექსპერტები.

**ზაალ კასრელიშვილი, კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია.**

– უკვე დროა, გამოძიებამ დასკვნა დადოს. ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები უკვე გავახმაურეთ, დაზარალებულების მხრიდანაც დაიდო დასკვნა. არა მგონია, ამის მიღმა რამე განსაკუთრებული ხდებოდეს გამოძიებაში, თუ არა რაღაც სპეციფიკური დეტალები გარიგებებისა და მორიგებების შესახებ. ჩვენ უკვე ვუთხარით საქართველოს, რომ ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის მზადდებოდა დაპირისპირება. ამ განცხადებამ აგვაცილა პროვოცირებული დაპირისპირება და ეს ჩვენი ორგანიზაციის დამსახურებაა.

**– გარიგებებსა და მორიგებებში რას გულისხმობთ?**

– მოწმეები საქართველოში არ არიან. სულ ორი თუ სამი მოწმეა, რომლებიც თურქეთსა და სირიაში არიან. მათ დასაკითხად უნდა მისწვდე მათ, უნდა ჩახვიდე, რადგან ისინი აქ აღარ ჩამოვლენ. მით უმეტეს ის, ვინც თურქეთშია, ციხეში ზის.

**– პაპასკირს გულისხმობთ?**

– რა თქმა უნდა. ასე რომ, ეს მარტივი პროცესი არ არის. თუმცა, როგორც ვიცი, ერთი მოწმისგან გამოძიებას უკვე მოპოვებული აქვს ჩვენება. მე ვერ ვერკვევი გამოძიების სპეციფიკაში, ამდენად, ვერც შევაქებ მას და ვერც საყვედურს ვიტყვი. თუმცა, ვფიქრობ, რომ უკვე დროა, გამოძიებამ თქვას თავისი სათქმელი. ლაფანყური არ არის ერთადერთი საქმე. არსებობს სხვა საქმეებიც, რომლის შესახებაც პროკურატურას უკვე უნდა ეთქვა თავისი საბოლოო სიტყვა.

**– თქვენ მიერ ჩატარებული გამოძიების დასკვნა მხოლოდ კავკასიის მასშტაბს მოიცავდა. თუმცა, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ ლაფანყურში სპეცოპერაციის ასეთი სახით ჩატარებაზე დაინტერესება უფრო ფართო მასშტაბებზე გადის, ვიდრე ეს კავკასიაა... პროკურატურას კი სწორედ იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მას გამოძიების შედეგებით უნდა, ხელი სწორედ იმ გავლენიან პერსონებს დააფაროს, ვის დაკვეთებსაც ასრულებდნენ ბაჩანა ახალაია, ვანო მერაბიშვილი და დავით ლორთქიფანიძე...**

– თუ ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფომ, როგორც მუდმივმოქმედმა მექანიზმმა შეუფერხებლად იმუშაოს, ჩვენ კონკრეტული პიროვნებების ვინაობის დამალვა და დაფარვა არ უნდა დავუშვათ. შესაძლოა, ეს პერსონები საჯარო განხილვის საგნად არ იქცნენ. არის თემები, რომლებიც სპეცსამსახურების განხილვის კატეგორიაა, მაგრამ ძიების პროცესში ყველას სახელი და გვარი უნდა გამოჩნდეს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში და ვინც მომავალშიც აპირებს, თავისი პოლიტიკური ინტერესები გაატაროს რეგიონში. ვინაიდან მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს არის ქვეყანა, სადაც ყველას მოეთხოვება პასუხი დანაშაულისთვის და არა ე.წ. „პრაბადნი დვორი“.

**– თქვენ რა ტენდენციას ხედავთ ჩვენი საგამოძიებო ორგანოების მუშაობაში?**

– ვფიქრობ, ყველაფერი მაინც მოწმეების ჩვენებებზეა დამოკიდებული. თუკი ისინი დაასახელებენ პატრონებს, რა თქმა უნდა, გამოძიების შედეგები დიდ მასშტაბებს მოიცავს. როგორ უნდა ამოიღოს გამოძიებამ ამ მოწმეებისგან ეს ინფორმაცია, უკვე ჩვენი სპეცსამსახურების მოხერხებაზეა დამოკიდებული.

**– ჩანს, თქვენ არ განეკუთვნებით იმ ექსპერტთა კატეგორიას, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი მიმდინარე გამოძიების მიმართ...**

– არ განვეკუთვნები, რადგან ამ საქმეში არაფერია ისეთი, რომლის გამოძიებაც ვერ მოხერხდება. იმედი მაქვს, გამოძიების შედეგები მალე გასაჯაროვდება და თუ ეს ასე არ მოხდება, გარწმუნებთ, რომ კავკასიელების ძალიან დიდი ნაწილი ამის შესახებ ხმამაღლა ალაპარაკდება, რადგან მათ ყველაფერი უკვე დაზუსტებული აქვთ და გადაწყვეტილებაც – მიღებული. ახლა ისინი ელოდებიან ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალურ განცხადებას.

**– მათი გადაწყვეტილება რაში მდგომარეობს?**

– მათ კონკრეტული სახელები იციან, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული – ჩეჩნეებისაც, დაღესტნელებისაც. ისინი მათ ამ სისხლისღვრის ავტორებად თვლიან. თუ ოფიციალური საქართველო ლაფანყურის რეალურ ავტორებს ხელს დააფარებს, პირდაპირ გეტყვით, რომ კავკასიელებსა და ქართველებს შორის ინტერესთა კონფლიქტი მაშინვე გაჩნდება. ინტერესთა კონფლიქტს კი მერე მოსდევს ყველაფერი. კავკასიელები გვეუბნ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალაიასა და მერაბიშვილის სიცოცხლე კბილაშვილის ხელშია

## რა საფრთხე ემუქრებათ ყოფილ ძალოვნებს სპეცსამსახურების მხრიდან

# ქისტები საპროტესტოდ ემზადებიან?!

ებიან, ჩვენი ინტერესია, დავადგინოთ სიმართლე, რათა აღვკვეთო შურისძიება დაზარალებულთა მხრიდან. ჩვენ რას ვეუბნებით? რომ ჩვენი ინტერესია, ხელი დავაფაროთ იმ ადამიანებს, რომლებმაც შეკვეთა მისცეს მერაბიშვილსა და ახალაიას სისხლისღვრაზე? ბუნებრივია, მაშინვე იწყება კონფლიქტი. ჩვენი ორგანიზაცია ამ შემთხვევაში ვერავის გაუწევს შუამდგომლობას და არც ხელს დააფარებს.

**– შურისძიება ახსენეთ. გულისხმობთ შურისძიებას მერაბიშვილზე, ახალაიაზე, ლორთქიფანიძესა და ამირიძეზე?**

– რა თქმა უნდა...

**– სწორედ მათთან დაკავშირებით გაჩნდა საშიშროება, რომ, თუ გამოძიება ყველა დამკვეთს არ გამოავლენს, შესაძლოა, მოხდეს ამ პირების – მერაბიშვილის, ახალაიას, ლორთქიფანიძისა და ამირიძის ლიკვიდაცია და შემდეგ ეს დაჰბრალდეს დაზარალებულებს...**

– ეს სცენარი ნამდვილად არ არის გამორიცხული. ეს ალბათობა ჩვენს პირველივე განცხადებაში არ გამოვრიცხეთ, რომ ამ საქმის გამოუძიებლობას მოჰყვება ცუდი შედეგი და ყველაფერი მერე დაჰბრალდება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს და ამას მოჰყვება სერიოზული მასშტაბის დაპირისპირება.

**– დაჰბრალდება ქისტებს?**

– არამარტო ქისტებს. ეს დაჰბრალდება ჯგუფს, რომლებშიც შევლენ ქისტებიც, დაღესტნელებიც, ჩეჩნებიც და სხვა ჩრდილოკავკასიელებიც.

**– რეალურად ვინ იქნება ამ ანგარიშსწორების ავტორი?**

– არ არის გამორიცხული, რომ მერაბიშვილზე, ახალაიასა და დანარჩენებზე ანგარიშსწორება განახორციელონ ისევ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მათ ეს ყველაფერი დაუკვეთეს და ვისთანაც ისინი წლების განმავლობაში კონტაქტობდნენ. მათი მიზანი კი მარტო ამ კონკრეტული ადამიანების მოშორება არ იქნება. ეს მიზნები უფრო შორს მიდის, ფართომასშტაბიანი კონფლიქტისკენ.

**– გამოდის, რომ ახალაიასა და მერაბიშვილის ბედი ახლა კბილაშვილის უწყების ხელშია, ვინაიდან, თუ გამოძიება დამკვეთებს გამოავლენს, ამით, პრაქტიკულად მათ სიცოცხლეს უზრუნველყოფს...**

– რა თქმა უნდა. ლაფანყურის სპეცოპერაციის სამართლიანი გამოძიება იქნება მთავარი გარანტია ამ საქმეში ბრალდებული ქართველების ფიზიკური გადარჩენის.

ზაალ კასრელიშვილი

**– შესაბამისად, თუ გამოძიება არ დადებს რეალურ სურათს, პრაქტიკულად ამით მერაბიშვილსა და ახალაიას გაწირავს?**

– ადამიანურად არ მგონია, ეს ხელისუფლების მიზანი იყოს. რას მოიგებს ამით? ხვალ და ზეგ იგივე რამ შესაძლოა, ამ ხელისუფლებასაც აუგორონ სხვა სახელებისა და გვარების დახმარებით. მერე თვითონ გახდებიან მსხვერპლნი? თუ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები არ იცი, რეალურად ვერ უმკურნალებ მას. დღეს კავკასიური თანამშრომლობის პოლიტიკის ორგანიზმია ავად და ამას უნდა მკურნალობა და არამხოლოდ ლაფანყურის საქმის გამო.

**– როდესაც თქვენ ერთი წლის წინათ გააკეთეთ განცხადება ამ საფრთხის შესახებ, მაშინ რამე კონკრეტული ინფორმაციები გქონდათ?**

– ამ განცხადების გაკეთება დაჟინებით მოგვთხოვა ჩვენი ორგანიზაციის გამგეობამ, რათა სისხლისღვრა აგვეცილებინა თავიდან კავკასიაში. მერე ჩვენთან მოვიდნენ ძალიან ავტორიტეტული აზერბაიჯანელები. გვითხრეს, ახლა აირევა სიტუაცია, ჩვენ არ გვინდა არეული კავკასია, ამიტომ ჩვენი ძალებით, კავშირებითა და ინფორმაციებით გვერდში გიდგავართო. ყველაფერს ორიოდე სიტყვით აგიხსნით, თუ თქვენი გაზეთის ფორმატი ამის საშუალებას იძლევა: საქართველოში უკვე მოხდა ორი ეთნიკური კონფლიქტი, რის ნიადაგზეც დავკარგეთ ტერიტორიები. ეს ჩვენ, ფაქტობრივად, დავკარგეთ, თუ იურიდიულად გაფორმდა, ამაზე ახლა არ გვაქვს საუბარი. მინიმუმ ოცი წელია მესამე ეთნიკური კონფლიქტის აგორება უნდათ პანკისში, მაგრამ ჩვენი ძმები, ქისტები ამდენივე წელია ღირსეულად იქცევიან და ამის საშუალება არ მისცეს დაინტერესებულ ძალებს. ამიტომ ეს თემა დაკონსერვებული არის.

**– დაინტერესებულ ძალაში ვის გულისხმობთ?**

– ყველა დიდი ქვეყნის სპეცსამსახურს, რომელსაც უნდა საქართველოში გავლენები მოიპოვოს, გააფართოოს, ან დაიბრუნოს. ასეთი ქვეყანა კი მინიმუმ სამია, რომელიც დაჟინებით ცდილობს ქართველ მუსლიმანთა თემის ნამონევას და რელიგიური უმცირესობის შევიწროების თემის გამწვავებას.

**– დაგვისახელეთ ეს ქვეყნები, თუმცა, რა თქმა უნდა, მათი მიხვედრა არცთუ ძნელია...**

– ვერ დაგისახელებთ ახლა, ვინაიდან ჩვენ აუცილებლად ვაპირებთ ახლო მომავალში ყველაფრის გაშიფვრას. თავს ვიკავებთ არჩევნებამდე, რომ ვინმემ ეს თემა შემდეგ პროცესების უკუღმა წარმართვისთვის არ გამოიყენოს. თუმცა, როდესაც ეს კარიკატურომანია დამთავრდება საქართველოში, რასაც არჩევნები ჰქვია, ჩვენ ყველაფერს გავამხელთ.

**– საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ფიქრობთ, რომ პანკისში ეთნოკონფლიქტის გამწვავების საფრთხე ისევ არსებობს?**

– ეს ასეა. სამწუხაროდ, ჩრდილოკავკასიაში იმ ადამიანთა რიცხვი მცირდება, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჩვენ გვეხმარებოდნენ ამ საფრთხეების თავიდან აცილებაში...

**– ვინ არიან ისინი და სად ქრებიან?**

– ისინი ეთნიკურად და მენტალობით კავკასიელები არიან, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს სიძლიერე არის კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, რომ ყველა კავკასიელის სწორება უნდა იყოს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოზე, რადგან, თუ აქ სიტუაცია აირევა, ეს მდგომარეობა გადაედება მთელ კავკასიას. ამ ადამიანების ნაწილი ომში კვდება, ზოგი გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ და აღარ აბრუნებენ, ზოგს ასაკი სჭირს...

**– ისინი გავლენიან პოზიციებზე არიან?**

– თითქმის ყველა მორალური ავტორიტეტია. ერთ-ერთი მათგანი იყო შეიხი, რომელიც დაღესტანში ლაფანყურის ოპერაციამდე ერთი დღით ადრე ააფეთქეს. მისი მკვლელობა პირდაპირ არის მიბმული ლაფანყურის სპეცოპერაციაზე. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა და არამარტო დაღესტანში. სწორედ მან ატეხა პირველმა განგაში, რომ 2012 წლის აგვისტოში საქართველო-დაღესტნის საზღვარზე რაღაც საეჭვო ხდებოდა. ვერტმფრენები დაფრინავდნენ, სროლები ისმოდა. მანვე ატეხა განგაში სააკაშვილის ცნობილ განცხადებაზე, რომ თურმე საქართველოში ლეკიანობა დაიწყო და თვლიდა, რომ ეს იყო პროვოკაციული განცხადება დაღესტნელებისა და ქართველების გადასამტერებლად.

**– მას შეეძლო გავლენა მოეხდინა პროცესებზე?**

– მას ეს შეეძლო, ვინაიდან ჰქონდა საკმაოდ დიდი ავტორიტეტი.

**– შეიხი, რომლის შესახებაც თქვენ საუბრობთ, ააფეთქა ვაჰაბისტმა ქალბატონმა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეთნიკურად რუსი იყო. თუკი თქვენ კავშირს ხედავთ სააკაშვილის განცხადებას ლეკიანობასთან დაკავშირებით, ლაფანყურის სპეცოპერაციასა და ამ შეიხის აფეთქებას შორის, ბუნებრივია, იკვეთება კავშირი სააკაშვილის განცხადებასა და რუსულ სპეცსამსახურებს შორისაც და ლაფანყურში მებრძოლების ჩახოცვაც რუსული დაკვეთა იყო...**

– არამარტო რუსული... თუმცა, რაც საქართველოში ლაფანყურის სპეცოპერაციამდე 6-7 თვის განმავლობაში ხდებოდა, ამის შესახებ რუსეთის სპეცსამსახურები დეტალურად იყვნენ ინფორმირებულნი. მაგრამ ამ სპეცოპერაციის შედეგები ჩანაფიქრში უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო და გადაგორდებოდა ჩრდილოკავკასიაში, რომ არა ჩვენი და ჩვენნაირების დროული ჩარევა და ატეხილი განგაში.

**– ლაფანყურში გარდაცვლილი მებრძოლების ოჯახები ხელისუფლებისგან ელიან, რომ გამოძიება შედეგებს საპრეზიდენტო არჩევნებამდე დადებს. თქვენი მოლოდინი ემთხვევა მათ მოლოდინს?**

– გულწრფელად გეტყვით, რომ ამას აქამდეც ველოდი. არჩევნებამდეც რომ არ დაიდოს შედეგი?

**– საინტერესო კითხვაა და თქვენგანაც ველით პასუხს. დაზარალებული ოჯახები ამ შემთხვევაში აქტიურ ქმედებებზე გადასვლას გეგმავენ.**

– რა თქმა უნდა, ისინი აბსოლუტურად გულწრფელები არიან თავის გადაწყვეტილებაში. ლაფანყურში გარდაცვლილთა ოჯახის ნევრები დაიწყებენ საპროტესტო გამოსვლებს, რასაც ნელ-ნელა მოჰყვება უკმაყოფილების ზრდა და ამის ხმამაღლა დაფიქსირება მთელ კავკასიაში. როცა ჩნდება უკმაყოფილება, მერე მას დაინტერესებული ძალები, რა მასშტაბშიც უნდათ იმ მასშტაბში გადაზრდიან. რა მიმართულებასაც უნდათ, იმას მისცემენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას მალავდა და რა გაუმხილა „პრაიმტა

ოლეგ ჟვანია

EXCLUSIVE

# სად გაქრა ოლეგ ჟვანიას საქმე და რას მალავს პროკურატურა?

მარიამ ნადირაძე

**მას ყველა იცნობს და ისიც ყველამ კარგად იცის, რომ ეს ის ადამიანი იყო, ვინც 26 მაისის სპეცოპერაციის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, პოლიციის დახმარებით, აღმოაჩინა ცნობილი სისხლიანი ღამის შედეგად გარდაცვლილი ორი ადამიანი მისი მაღაზიის სახურავზე.**

ისიც ცნობილია, რომ ოლეგ ჟვანია ბოლომდე არ თანხმდებოდა მაშინდელი გამოძიების ვერსიას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ეს ადამიანები მისი მაღაზიის სახურავზე გამავალი დაზიანებული ელექტროსადენიდან დენის დარტყმის გამო გარდაიცვალნენ. ეს სიჯიუტე კი მას ძალიან ძვირად დაუჯდა. სასურველი ჩვენების მიცემაზე უარის შემდეგ ის ჯერ რამდენიმე წლის წინათ გაცემული ანგარიშფაქტურის გამო დააპატიმრეს, ციხეში ყოფნის დროს კი საწოლთან 80 ლარი დაუგდეს და აიძულებდნენ, ეღიარებინა, რომ ამ თანხის მესაკუთრე იყო.

ეს ყველაფერი ცნობილია...

თუმცა, იყო რაღაც დეტალი, რომლის შესახებაც ამ ხნის განმავლობაში ბატონი ოლეგი აცხადებდა, რომ მოვიდოდა დრო და საზოგადოებას ამ საიდუმლოსაც გაუმხელდა.

„პრაიმტაიმმა“ მოახერხა, რომ ამ საიდუმლოს ერთი ნაწილი გაეცნო თავისი მკითხველისთვის. სწორედ ამის შესახებ გვინდა გიამბოთ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ სიახლის გარდა, სიახლეა იმ საქმეების გარშემოც, რომელზეც ოლეგ ჟვანიას თავის დროზე სააკაშვილის სამართალდამცველებმა წაუყენეს ბრალი.

ერთი სიტყვით, სიახლეებით დახუნძლულები ვიწყებთ საუბარს ჩვენს მკითხველთან. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიის დასაწყისს შეგახსენებთ, რომელიც, როგორც ირკვევა, შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო ჟვანიასა და ხელისუფლების კონფრონტაციის დასაწყისი, მაგრამ მაინც...

### სახურავზე

**ოლეგ ჟვანია:**

– 26 მაისს რაც მოხდა, კარგად იცით... როცა სახურავზე ამიყვანეს და კაბელი მაჩვენეს, მაშინვე გავაპროტესტე, ამისთვის ბევრი არგუმენტი მქონდა. ბოლოს და ბოლოს, 2 დღის განმავლობაში მაღაზია დენის გაუთიშველად მუშაობდა. მაგის გარდა, კაბელი ბასრი საგნით გადაჭრილი იყო და პრიალებდა. თანაც ეს კაბელი ადრე ქვემოთ ეგდო და მათ ჰქონდათ ამოტანილი სახლის სახურავზე. ბოლოს იმ პოლიციელებმა მითხრეს, ყველაფერი ვიცით, მაგრამ მთავრობას ხომ არ ჩამოვკიდებთ ამ სირცხვილს, როგორმე უნდა ჩამოვწეროთ ეს საქმეო. შემომთავაზეს, თქვით, რომ დაზიანებული კაბელის შესახებ თელასს შეატყობინეთო. ამის გამო არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ, რადგან „თელასის“ თანამშრომლებთან უკვე შეთანხმებულები ვართ და იტყვიან, რომ გამოძახების მიუხედავად არ გამოცხადდნენო. სამაგიეროდ კი საამურ მომავალს მპირდებოდნენ. მერე უკვე ღიად მითხრეს, ასეა საჭირო, ამ ხნის კაცი ხარ, სახელმწიფო ხედვა უნდა გქონდესო.

**– საამურ ცხოვრებაში რას გულისხმობდნენ?**

– ისინი მიპატრონებდნენ, იქნებოდნენ ჩემი „კრიშა“, დამაჯილდოვებდნენ და ა.შ.

**– პირდაპირ ასე გითხრეს?**

– კონტექსტი ასეთი იყო. როცა ამ ყველაფერზე ისევ უარი განვაცხადე, დამიწყეს ჯიკაობა – ხელი მკრეს, მეც ხელი ვკარი და ა.შ... როცა იქიდან წამოვედი, „პიონერთა სასახლის“ შიგნით, ეზოში უკვე სხვები დამხვდნენ, შავი მანქანით. უფრო ხანშიშესულები, სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ. მანქანაში არ ჩავმჯდარვარ, ისინი გადმოვიდნენ. უფრო კორექტულად ვილაპარაკეთ, დაფიქრდით, ასეა საჭიროო და ისევ მიმეორებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი ხედვა უნდა მქონოდა. შევთავაზე, მოწმედ სხვა მოენახათ, მე კი ერთადერთი, რაც შემეძლო, გამეკეთებინა, ის იყო, რომ ხმა არ ამომეღო და არაფერში ჩავრეულიყავი. თუმცა, მოვითხოვდი, კაბელი რომ ჩაჭრეს, ის აღედგინათ. იქიდან წამოსულმა ჩამოვიარე „პიონერთა სასახლე“ და დამხვდა კიდევ ერთი მაღალჩინოსანი, მთაწმინდის სამმართველოს უფროსი იყო, გვარი არ მახსოვს. ერთადერთი ნორმალური კაცი იყო. ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა და საქციელი შემიქო, გარიგებაზე რომ არ წავედი ამ შემოთავაზებებზე. ისიც კი თქვა, რა ვქნათ? რა დღეში ვართო? ამ ამბიდან რამდენიმე დღეში სახლში მოვიდა სამი დაკუნთული ადამიანი, კისრები არ უჩანდათ. ისე ჩამიყვანეს და ჩამსვეს მანქანაში, მიწაზე ფეხი არ დამიკარებია. მიმიყვანეს ფინანსურში... უცხო ცხოველი რომ ჩასვა გალიაში და სანახავად რომ მოდიოდნენ, ისე დამსვეს კაბინეტში და ჩემს სანახავად შემოდიოდნენ. საუბარი კი საყვედურით დაიწყეს, რატომ მიიყვანე საქმე აქამდე, დასთანხმებოდიო...

**– ვის კაბინეტში მიგიყვანეს?**

– არ ვიცი, იქ იმდენი ხალხი ირეოდა...

### ციხეში

ოლეგ ჟვანიას გამოძიება იმაში ედავებოდა, რომ 7 წლის წინათ ერთ-ერთ ფირმაში მუშაობის დროს უსაქონლო ოპერაცია ჩაუტარებია. ვერც აქ მიაღწიეს მის აღიარებით ჩვენებას და საბოლოოდ ციხეში უკრეს თავი.

– იქაც გამესაუბრნენ და იქაც ვთქვი, არ ვიცი, რაზე ვზივარ-მეთქი. კვირაში ერთხელ გავყავდი წამების ოთახში, ჩემზე ფიზიკური ძალადობის განსახორციელებლად.

**– ვინ ახორციელებდა ამ ძალადობას?**

– სიმართლე უნდა გითხრათ: ვისაც ჩემზე ძალადობა ჰქონდა დავალებული, ჩემ მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილი და უბრალოდ, შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, რომ ვითომ მცემდნენ. სინამდვილეში კი შემიყვანდნენ საწამებელ ოთახში, ფანჯარასთან მსვამდნენ, ჰაერი ისუნთქეო, ოთახში გამომკეტავდნენ და გარეთ ისეთ სახეებს იღებდნენ, თითქოს ჩემი ცემით დაიღალნენ.

**– საწამებელი ოთახი სად იყო?**

– ასე ეძახდნენ, თორემ სინამდვილეში აბანო იყო, თავისი გასახდელით.

**– თქვენზე ძალადობის დამკვეთები რას ელოდნენ თქვენგან?**

– უნდა მეღიარებინა ეს შეთითხნილი დანაშაულიც და გამოძიების ვერსიაც 26 მაისთან დაკავშირებით.

**– თუმცა, ცნობილია, რომ ციხეში ყოფნის დროს სერიოზული დაზიანებები მიიღეთ, ციხის საავადმყოფოს უფროსმა და მისმა მოადგილეებმა გცემეს...**

– ეს მაშინ მოხდა, როდესაც მაძალებდნენ, მეღიარებინა, თითქოს ციხეში 80 ლარი მქონდა. მაშინ მართლა დამამტვრიეს. ცხვედიანის, ავსაჯანაშვილის და თოლორდავას გარდა, ამ ჩემს ცემაში მონაწილეობდა კიდევ ერთი მოადგილე, გვიჭიანი, რომელიც რაღაც რკინის ფირფიტას იქნევდა. მეგონა, გადამჭრიდა, მაგრამ მე არ მხვდებოდა. მოგვიანებით ეს კაცი ჩემთან შემოვიდა და მითხრა, თუ შეამჩნიე, რომ არ გიმეტებდი? ეს გამიხსენე მერეო. ჰოდა, აგერ, ბატონო, ვუხსენებ თქვენი გაზეთის საშუალებით. მანვე მითხრა, რომ ჩემთვის ფულის ნაცვლად ნარკოტიკების ჩადებასაც გეგმავდნენ, მაგრამ მე გადავაფიქრებინე, ასაკოვანი კაცია და ამას არავინ დაგიჯერებთო. სხვათა შორის, ნარკოტიკზე მესაუბრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებოს უფროსიც. ის ერთხელ ჩემთან შემოვიდა, რამდენიმე ჩემი მეგობრის გვარი მიხსენა. მითხრა, შენთან დამაბარეს, მაზოხისტი ხომ არ არისო? ფულის ქონა მაინც აღიარე და დღესვე გაგიშვებენ, ამის პირობას გაძლევო. იქვე მითხრა, ხომ იცი, ათასი რამის გაკეთება შეუძლიათ, თუნდაც შენთან შემოსულ ამანათში ნარკოტიკებს ჩაგიდებენ, შენც დაიღუპები და ის შენი მეგობარიც, რომელიც ამ ამანათებს გიგზავნისო. ბოლოს ამ ნაწილში დავთანხმდი აღიარებას.

ოლეგ ჟვანიას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, 7000 ლარი, როგორც თავად აცხადებს, მეგობრებმა შეუგროვეს. სახლში დაბრუნებულს სახლი დაზიანებული დახვდა, ვინაიდან. როცა ის დააკავეს, სწორედ მაშინ ხელოსნები სახლის გადახურვაზე მუშაობდნენ. „აბსოლუტურად უთეთროდ ვიყავი და მას შემდეგ ყოველი დღე ლუკმაპურის შოვნაზე ფიქრით იწყებოდა“, – აცხადებს ჩვენთან საუბარში ბატონი ოლეგი.

### სად გაქრა ოლეგ ჟვანიას საქმე?

ის, რაც უკვე გიამბეთ, მართალია, წასული ამბავია, მაგრამ, ალბათ, დაგვეთანხმებით – საინტერესო ახალი დეტალებით. ახლა კი იმის შესახებ, როგორ გაგრძელდა 26 მაისის საქმის ოქროს მოწმის ცხოვრება ხელისუფლების ცვლის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ოლეგ ჟვანია იმ საქმის მთავარი მოწმეა, რომელსაც ოპონენტები პრეზიდენტ სააკაშვილს ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად უყენებენ და მის გასამართლებას ითხოვენ. ბუნებრივია, ჟვანია დაიბარეს კიდეც კბილაშვილის პროკურატურაში და სასურველი ჩვენებაც მიიღეს. თუმცა, რაც შეეხება თავად ოლეგ ჟვანიას შთაბეჭდილებებს, ის ფიქრობს, რომ გამომძიებლები და პროკურორები, რომლებთანაც მას მოუხდა გასაუბრება, დიდად არ არიან ამ საქმის გამოძიებით დაინტერესებულები.

– ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარა 26 მაისს. ბოლოს პროკურატურაში მცირე უთანხმოებაც მოგვივიდა და ვუთხარი კიდეც მათ, თქვენ არ გინდათ 26 მაისის საქმის გამოძიება-მეთქი.

**– ვისთან მოგვიდათ ეს უთანხმოება?**

– სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს. ამ ამბიდან მალევე დამიძახეს იუსტიციის სამინისტროში, საკმაოდ მაღალ დონეზე მოხდა შეხვედრა...

**– წულუკიანს შეხვდით?**

– წულუკიანი არ იყო, მაგრამ დეპარტამენტის უფროსებს შევხვდი. მათ გამომკითხეს ყველაფერი და ვინაიდან ციხეში ყოფნის დროს ჯანმრთელობა შემერყა, გამიშვეს ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში გამოკვლევებსა და მკურნალობაზე.

**– ხარჯებს იუსტიციის სამინისტრო ანაზღაურებს?**

– რა თქმა უნდა. ამის გარდა, მკითხეს, ვაპირებდი თუ არა ადვოკატის აყვანას. მე, რა თქმა უნდა, ამის სურვილი მქონდა, მაგრამ საშუალება – არა. ამაშიც დამეხმარნენ. დაუკავშირდნენ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავეს და სთხოვეს, ჩემთვის მოეხედათ. ახლა ისინი მუშაობენ ჩემს საქმეზე.

**– ადვოკატის ხარჯებსაც იუსტიცია გაიღებს?**

– რა თქმა უნდა.

**– გამოდის, რომ თქვენ აპირებთ, თქვენი საქმის ხელახალი გადასინჯვა მოითხოვოთ...**

– აი, სწორედ ამაზე მინდა გესაუბროთ: იმისთვის, რომ ეს პროცესი წამოვიწყო, ჯერ ხომ საქმე უნდა გამოვითხოვო? მივედი სასამართლოს არქივში. მითხრეს, აქ არაფერია შენს სახელზეო. მერე მივედი ქალაქის სასამართლოში. იქ მითხრეს, აქ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ИМს“ 26 მაისის საქმის მთავარმა მოწმემ?

## იუსტიციის სამინისტროს მიერ დაქირავებული ადვოკატის თხოვნას პროკურატურა არაფრად აგდებს

მარტო სასამართლოს წარმოებაა, წინასწარი გამოძიების მასალები აქ არ არისო. მითხრეს, შეიძლება პროკურატურას ჰქონდესო. ბოლოს პროკურატურაში დავწერე განცხადება. ოფიციალურად არავის უპასუხია. დამირეკა ერთმა პროკურორმა, რა გინდა, რას იძიებო. ვუთხარი, საქმის მასალების გაცნობა მინდა-მეთქი. უარი მითხრა.

**– ეს უარი რით დაგისაბუთათ?**

– რაღაც აბსურდით. გაცნობის უფლება არ გაქვთო. გამიკვირდა, თქვენთან საქმე რატომ არის-მეთქი? ერთი სიტყვით, რაღაცას მიედო, მოედო, ხელმძღვანელობასთან უნდა შეთანხმდესო. ხან მეუბნებოდა, უფლება არ გაქვს, ეს მოითხოვოო... საბოლოოდ უარი მითხრა და მომთხოვა, ადვოკატს დამალაპარაკეო. ამის შესახებ ვუთხარი კახა კვაშილავას. გადაირია, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, კანონის დარღვევაა. მასაც გაუკვირდა, როგორ შეიძლება საქმეს არ გაძლევდნენ, როდესაც საერთოდ არ ხარ გაცნობილიო. გაცნობილიც რომ ვიყო, თურმე, ვთქვათ, დამეკარგა, ხელახლა შემიძლია მოვითხოვო.

**– ვინ არის პროკურორი, რომელიც საქმეს გიმალავთ?**

– ტყუილი არ მინდა გითხრათ. მისი გვარი კი ვიცი, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან. ერთი სიტყვით, საქმე არსებობს თუ არა, ისიც არ ვიცი. ადვოკატები იმასაც ხუმრობდნენ, გლდანის ციხეს რომ მივწეროთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იქაც არ იჯექიო. ისე, რეალურად, არც ეს არის გამორიცხული: გამასამართლეს და ფაქტია, რომ საქმე არსად არის.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევა ასე პროკურატურა? რატომ არ გაძლევენ საქმეს? ბოლოს და ბოლოს, ასეთი მნიშვნელოვანი საქმის მოწმე ხართ...**

– ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ისიც არ დაუდასტურებიათ, საქმე რეალურად მათთან არსებობს თუ არა. მაგრამ მე არაფრის დათმობას არ ვაპირებ. გარდა იმისა, რომ სრული რეაბილიტაცია უნდა მივიღო და დამნაშავეები დაისაჯონ, გადახდილი თანხა, ის 7000 ლარი უნდა დავიბრუნო. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, ამ ნაწილში ფულს ხელს არ მოვკიდებ, რომელიმე საქველმოქმედო ფონდში გადავრიცხავ.

**– რამდენს მოითხოვთ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად?**

– ამაზე ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული, ბუნებრივია, ბატონ ოლეგს იმ პროკურორის ვინაობა რომ გაემხილა, რომელიც მას საკუთარი საქმის გაცნობის საშუალებას არ აძლევს, „პრაიმტაიმი“ მკითხველს მის პოზიციას უსათუოდ შესთავაზებდა. ამიტომ, ისევ დაგვრჩენია ამ თემის სამართლებრივ ნაწილზე **ოლეგ ჟვანიას ადვოკატს, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელს, კახა კვაშილავას ვესაუბროთ:**

**– პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, ბატონ ოლეგ ჟვანიას მომსახურებას იუსტიციის სამინისტრო გინაზღაურებთ?**

– არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, ზოგჯერ ასეთ ადამიანებს, ვისაც ადვოკატის აყვანის საშუალება არ აქვს, იუსტიციის სამინისტრო გვიგზავნის ჩვენ და ჩვენს მსგავს ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობენ. ჩვენ მათ უსასყიდლოდ ვემსახურებით.

**– როგორ ფიქრობთ, სად უნდა იყოს ოლეგ ჟვანიას მიმართ წარმოებული გამოძიების საქმის მასალები?**

– საქმეზე უკვე გადაწყვეტილებაა მიღებული, პატიმრობიდან განთავისუფლებულიც არის. წესით, საქმის მასალები ან სასამართლოში უნდა იყოს, ან არქივში. როგორც თავად ბატონი ოლეგი აცხადებს, თითქოს ერთ-ერთ პროკურორთან უნდა ინახებოდეს. რატომ უნდა ინახებოდეს იქ უკვე დასრულებული საქმე, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

**– შეიძლება ასე უგზო-უკვლოდ დაიკარგოს?**

– დაუშვებელია. და თუ მაინც ასე მოხდა, პასუხს აგებს უწყება, ვინც მის შენახვაზეა პასუხისმგებელი. მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, ოფიციალურად გამოვითხოვოთ ის და შემდეგ უკვე გვექნება საშუალება, კონკრეტულად დავასკვნათ, რასთან გვაქვს საქმე.

**– ოფიციალური პასუხი არ მოგსვლიათ პროკურატურიდან?**

– ოფიციალური წერილი არსაიდან არ მოსულა.

**– ადმინისტრაციული ვადა გასულია?**

– დიახ.

**– როგორ ფიქრობთ, ასეთი მნიშვნელოვანი საქმის მოწმეს შეიძლება ასე მოექცეს სამართალდამცველი სტრუქტურა? რასთან გვაქვს საქმე.**

– სამართალდამცველებს არავისთან არ აქვთ უკანონო ურთიერთობის უფლება, თუმცა ვხედავ, რასაც გულისხმობთ ამ კითხვაში, რომ ოლეგ ჟვანია არის მართლაც მნიშვნელოვანი საქმის მოწმე და მის მიმართ ასეთი ქმედება, ჩემი აზრით, მიზანმიმართულია.

**– და ეს მიზანი რა არის?**

– ამ ეტაპზე შეფასებებისგან თავს შევიკავებ.

**რას მალავდა მთავარი მოწმე?**

ალბათ, მკითხველს ახსოვს ოლეგ ჟვანიას განცხადებები იმის შესახებ, რომ დადგებოდა დრო და საიდუმლოს გაამხელდა, რომელსაც ჯერ კიდევ მალავდა.

**„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რაში მდგომარეობდა მისი საიდუმლო:**

**– რას გულისხმობდით, როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებდით?**

– მე ნაციონალური ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში მითვალთვალებდა, მიღებდა, მისმენდა...

**– ამას, ალბათ, იმიტომ აკეთებდა, რომ თქვენ მთავარი მოწმე იყავით იმ საქმის, რომელიც ყელში ჰქონდა იმ ხელისუფლებას გაჩხერილი...**

– არა, ეს არ იყო მიზეზი. ეს ხდებოდა მანამ, სანამ 2011 წლის 26 მაისს ხალხს დაარბევდნენ. ალბათ, ჩემზე გადაღებული ფირებიც იქნება იმ ათასობით ფირში, რომლის განადგურებასაც ახლა აპირებენ. პირდაპირ გეტყვით, რომ მე არ ვეთანხმები ასეთი ჩანაწერების განადგურებას, რადგან მე არაფერი სასირცხვილო არ გამიკეთებია და ეს ჩანაწერები ისევ მათ ავტორებს უნდა მიუბრუნდეთ სისხლის სამართლის საქმეებად.

**– და მაინც, რა იყო ასეთი დევნის მიზეზი?**

– ჩემი დევნის მიზეზი იყო ჩემი კერძო საკუთრება, რომლის გადაცემასაც მთხოვდნენ. ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ისინი უკეთ მოუვლიდნენ მას.

**– თქვენს მაღაზიას გულისხმობთ?**

– არა, სხვა რამეს. ამას მაშინ ვიტყვი, როდესაც ჩემს საქმეზე გამოძიება დაიწყება.

**– ვინ გძალავდათ საკუთრებას?**

– ძალიან მაღალი თანამდებობის პირი იყო დაინტერესებული.

**– მსგავს შემთხვევებში ჩვენი რესპონდენტები უმეტესწილად დავით კეზერაშვილს ასახელებენ ხოლმე...**

– არა. ჩემი საკუთრებით უფრო მაღალი რანგის პირი იყო დაინტერესებული, ვიდრე დავით კეზერაშვილი გახლდათ.

**– გქონდათ ამ მხრივ რამე ზეწოლა?**

– ამ ხნის კაცი ვარ, მე რით უნდა შემაშინონ, ყველაზე ახლობელი ადამიანები დავკარგე და დასაკარგი აღარაფერი მაქვს. ასე რომ, ისინი ძალით ვერაფერს წამართმევდნენ. მე, პრაქტიკულად, ისედაც გამზადებული ვყავდი იმ ხელისუფლებას დასაჭერად, სწორედ ამ ისტორიის გამო. მერე კი ეს ამბავიც დაემთხვა 26 მაისთან დაკავშირებით.

**– გამოდის, რომ თქვენი დაპატიმრება და ფიზიკური შეურაცხყოფები სულ სხვა ისტორიას უკავშირდება?**

– ალბათ, ორივეს ერთად.

იმედია, ბატონი ოლეგი სხვა დეტალებსაც უახლოეს ხანში გაგვიმხელს, მანამდე კი შევეცადეთ, ჩვენი მკითხველის ცნობისმოყვარეობა შეძლებისდაგვარად დაგვეკმაყოფილებინა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მერაბ ბაღათურიას სკანდალური

## მერაბ ბაღათურია

# რატომ გახდა მერაბიშვილისდროინდელი შერიფი მისი ბრალდების მოწმე?

მარიამ ნადირაძე

**დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ივანიშვილის ხელისუფლებამ გირგვლიანებისა და ენუქიძეების ოჯახს მართლა შეუსრულა. სანდრო გირგვლიანის საქმე ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის გამოძიების მიმართაც კბილაშვილის უწყების მიმართ დაზარალებულ მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. მეტიც, რამდენიმე წლის წინათ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ საქმეზე ბრალდებით შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს გისოსებსმიღმა იხილავდა ვინმე. მიუხედავად იმისა, რომ ეს აწ უკვე გარდაცვლილი ირინა ენუქიძის სანუკვარი ოცნება იყო, რატომღაც ყველას ეგონა, რომ ის ოცნებად დარჩებოდა...**

მაგრამ „ოცნებამ“ ოცნება აუხდინა სანდრო გირგვლიანის ახლობლებს...

„პრაიმტაიმმა“ უკვე არაერთი სკანდალური ჩვენება გამოაქვეყნა ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ამჯერად გიამბობთ იმის შესახებ, რას უყვება გამოძიებას ქალაქის პოლიციის მაშინდელი შეფი მერაბ ბაღათურია, რომელიც, როგორც ირკვევა, პროცესზე ბრალდების მოწმედ დაიკითხება.

თუმცა, სანამ მის ჩვენებას შემოგთავაზებდეთ, „პრაიმტაიმი“ რამდენიმე კონკრეტულ დეტალს განუმარტავს თავის მკითხველს. ეს დეტალები კი თავად **მერაბ ბაღათურიასთან** საუბრის დროს გავარკვიეთ:

**– თქვენი ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ სამჯერ მოგიხდათ შეხვედრა მინისტრთან სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. პირველად მან ნება დაგრთოთ, გაგეგრძელებინათ მუშაობა. მეორედ, როდესაც მოახსენეთ, ვინ იყვნენ „შარდენ ბარში“ სუფრის ცნობილი წევრები, გითხრათ, რომ თავად გაერკვეოდა ყველაფერში. მესამედ კი – მოახსენეთ ირინა ენუქიძესთან შეხვედრის დეტალები. სწორედ ამ შეხვედრების შესახებ მინდა ვისაუბროთ. როდესაც მას სუფრის წევრები ჩამოუთვალეთ, მისი მეუღლეც ახსენეთ?**

– მგონი, თაკო სალაყაია არ მიხსენებია. მაგრამ თვითონ იცოდა უკვე ყველაფერი.

**– თქვენ ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ, თუ დანამდვილებით იცოდა ყველაფერი?**

– შთაბეჭდილება დამრჩა.

**– ამის მიუხედავად, გითხრათ, რომ ჯერ თავად უნდა გარკვეულიყო სიტუაციაში?**

– დიახ.

**– როდესაც ირინა ენუქიძესთან შეხვედრის შესახებ უამბეთ, რა რეაქცია ჰქონდა?**

– ასეთი რამ მოხდა: როდესაც ირინა ენუქიძეს შევხვდი, ქალბატონი ირინა მერე გარეთ გამოვიდა და ინტერვიუ მისცა ტელევიზიას. უთხრა, მერაბ ბაღათურია ერთადერთი კაცია, ვისაც ვენდობიო.

**– ამას თქვენ ჩვენებაშიც წერთ, რომ ამ განცხადებამ გაამწვავა თქვენი ურთიერთობა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან...**

– იცით, რა? ჯერ სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა. ჩემი მხრიდან ასეთ კითხვებზე პასუხი, მგონი, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს...

**– მაგრამ ჩვენებაში ბევრი დეტალია ისეთი, რომელიც დამატებით კითხვებს ბადებს...**

– მე არავითარი პრობლემა არ მაქვს, მაგრამ იქნება ეს მიზანშეწონილი?

**– მოდით, მაინც ვცადოთ, რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენებიდან ჩანს, რომ თქვენ საქმის ბოლომდე გამოძიება არ გაცალეს, არადა, თურმე თქვენი გეგმა გქონდათ, როგორ უნდა აგეყვანათ დათა ახალაია და ოლეგ მელნიკოვი. იქნებ გაგვანდოთ, რაში მდგომარეობდა ეს გეგმა?**

– ასე წერია იმ დაკითხვის ოქმში? შეიძლება წერია ასეთი რამ, რომ გარკვეული გეგმა არსებობდა დამნაშავეების აყვანის და არა კონკრეტულად ერთი და ორი ადამიანის, რადგან იქ ქვეყნის ხალხი მონაწილეობდა ამ დანაშაულში.

**– და მაინც, რაში მდგომარეობდა ეს გეგმა?**

– ეს სპეციფიკური თემაა და დეტალებს ვერ გეტყვით.

**– აცხადებთ, რომ საქმის ბოლომდე გამოძიების საშუალება არ მოგეცათ, ვინაიდან, საქმე პროკურატურაში წაიღეს. ამაში, წესით, გასაკვირი არც არაფერი უნდა იყოს, ვინაიდან დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირები. ასეთი საქმეები კი პროკურატურის ქვემდებარეა. რატომ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ საქმის წაღება თქვენს მიმართ გაჩენილმა უნდობლობაბ გამოიწვია?**

– ეს ისე უცებ მოხდა, ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს. გამომძიებელიც აცხადებს, რომ პროკურორმა დაურეკა და პირადად მიატანინა ეს საქმე. ჩემ მიმართაც უკვე აღარ ჰქონდათ ნდობა.

**– და ამიტომ წაიღეს?**

– ვერ გეტყვით.

**– რას გულისხმობთ ურთიერთობის გამწვავებაში კუდ-თან, სოდ-თან, გენერალურ ინსპექციასთან, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, პროკურატურასთან? რაში გამოიხატებოდა ეს?**

– ამ თემაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. თუ გახსოვთ მაშინდელი პერიოდი ქალაქში? ფაქტობრივად, სერიოზული ზეწოლა ხორციელდებოდა ყველა პოლიციელზე და ყველა რაიონის განყოფილებაზე.

**– რა იყო ამის მიზეზი?**

– უამრავი პოლიციელი მისცეს პასუხისგებაში ტყუილუბრალოდ. ახლა ქვეყნის განცხადებებია პროკურატურაში შესული. ძალიან ბევრი თანამშრომელი არაფრის გამო დაისაჯა.

**– რატომ არ მოსდიოდათ თვალში ქალაქის პოლიციის სამმართველო?**

– ქალაქის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების დევნის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, გავხსენით სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე. ისინი კი თვლიდნენ, რომ ჩვენგან მოხდა ამ საქმის გახმაურება და ეს არ გვაპატიეს.

**– ბუხაიძესთან დაკავშირებითაც ჩნდება რამდენიმე კითხვა. ის პასუხისგებაში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დაფარვის მუხლითაც მიეცით და ეჭვმიტანილის სახით დააკავეთ კიდეც... რა გაძლევდათ ამის საფუძველს?**

– მისი დაკავება პროკურორთან შეთანხმებით მოხდა. ეს იყო პირველი საღამო. ორი პიროვნება იყო მსხვერპლი იქ, ფაქტობრივად, ერთი გარდაიცვალა, მეორე კი არაფერს ამბობდა – რა მოხდა და როგორ... ამიტომ გამოძიება იძულებული გახდა, ის დაეკავებინა, მაგრამ მეორე დღეს გაათავისუფლეს. ამ დროისთვის, ჩვენ უკვე ყველაფერი ვიცოდით, ყველაფერი დავადგინეთ.

**– რა იყო განთავისუფლების რეალური მიზეზი?**

– ის, რომ ოპერატიული გზით ჩვენ უკვე მოვახერხეთ ამ საქმის გახსნა...

**– და დანაშაულის დაფარვაში ამის გამო აღარ იყო ეჭვმიტანილი?**

– დიახ.

**– თუ იმიტომ, რომ პრეზიდენტთან დაახლოებული პირის, ლელა კილაძის ნათესავი იყო?**

– არა, ეს არ იყო მიზეზი. მაშინ ამ ნათესაური კავშირის შესახებ არავინ იცოდა. ეს მე ახლახან გავიგე, გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით.

**– კიდევ ერთი კითხვა...**

– მოდით, ამით მოვრჩეთ, რადგან არ მინდა, სასამართლო პროცესს წინ გავუსწროთ. დანარჩენს იქ ვიტყვი...

**მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, ოპონენტის პოზიციაც ამ საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომაც „პრაიმტაიმი“ საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულის, ძებნილი ოლეგ მელნიკოვის ადვოკატს, გოგა ონიანსაც ესაუბრა:**

**– რატომ მოხდა ისე, რომ ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს ქალაქის პოლიციის უფროსად დანინაურებული მერაბ ბაღათურია ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ, ბრალდების მოწმე იქნება?**

– ის არის განაწყენებული. მისი პოლიციის უფროსობის დროს ბევრი უკანონობა ხდებოდა პოლიციაში, რის გამოც ის ორგანოებიდან გაათავისუფლეს. ახლა კი, როგორც შევარდნაძისდროინდელი სხვა ბევრი ჩინოვნიკი, აბობოქრდა, რადგან ამის საშუალება მიეცა.

**– თქვენ უკანონობაზე საუბრობთ მისი განთავისუფლების მიზეზის დასახელების დროს, თავად მერაბ ბაღათურია კი სულ სხვა რამეს აცხადებს... მისი თქმით, ის იძულებული გახდა, ქალაქის პოლიციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად თანამდებობა დაეტოვებინა.**

– იძულებული გახდა იმიტომ, რომ მას აღარ აძლევდნენ „ობშიაკის“ მიღების უფლებას...

**– ასეთი რამ პოლიციაშიც ხდებოდა?**

– ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს იწერებოდა პრემიები კონკრეტულ პირებზე, მაგრამ ეს ადამიანები ამ პრემიებს არ იღებდნენ. ჩნდებოდა ეჭვი, რომ მას სულ სხვა ვინმე ითვისებდა. ეს სხვა კი, ადვილი გასაგები იყო, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო.

**– ეს საკმაოდ ადვილი გამოსაძიებელი საქმეა. მაშინ რატომ არ დაიჭირეს?**

– ამასთან დაკავშირებით მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, მაგრამ დადასტურება რთული იყო. თუმცა, როდესაც ნახავ, რომ, ვთქვათ, რვა თვის განმავლობაში მხოლოდ გოგა ონიანზე იწერება პრემია და სხვა ოცდაათზე – არა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთნაირად მუშაობს, ყველაფერი ადვილი გასაგები გახდება, რომ ვიღაცას მერკანტილური მიზნები ჰქონდა. პრემიებს უწერდნენ მხოლოდ დაახლოებულ პირებს. ასე რომ, ის ამის გამოც გამოუშვეს და კიდევ იმის გამო, რომ დაჟინებით მოითხოვდა შევარდნაძისდროინდელი კადრების დანინაურებას, რაზეც უარს ეუბნებოდნენ.

**– მერაბ ბაღათურია კი თვლის, რომ სწორედ გირგვლიანის საქმე გახდა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გამწვავების მიზეზი...**

– ტყუილია. შეგიძლიათ, ნახოთ, რა მოხდა მისი კარიერის დასასრულს, როდესაც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი და სხვა თანამშრომლები უკანონო ქმედებების გამო დააკავეს, სულ 17 ადამიანი. ეს ის ხალხი იყო, ვისაც მერაბ ბაღათურია მფარველობდა. ისინი ნარკოტიკზე დაჭერილ ადამიანებს ჯარიმებს არ უწერდნენ. როგორც ჩანს, ჰქონდათ ამის მიზეზი და მიზნები... გასაგებია, როდესაც უკანონობას სჩადის ერთი, ან ორი პოლიციელი, მაგრამ, როდესაც მასობრივად ხდება ასეთი რამ, ეს ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ხელმძღვანელის ნებართვით ხდება.

**– თუმცა, ეს ადამიანები ამჟამად სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ და პროკურატურასაც მიმართეს. მერაბ ბაღათურია კი თვლის, რომ მათ მიმართ განხორციელდა უკანონობა და ისინი ციხეში მხოლოდ იმის გამო მოხვდნენ, რომ მინისტრი მას აღარ ენდობოდა, ვინაიდან ირინა ენუქიძემ გამოუცხადა სახალხოდ ნდობა...**

– ტყუილია ეს. თუნდაც ამის თქმაა დიდი უნამუსობა. თუ ფიქრობ, რომ შენი გულისთვის მიდიან ადამიანები ციხეში და არ იბრძვი?...

**– მისი გულისთვის?!.**

– დიახ, მის მიერ მიცემული დავალებების გამო მოხვდნენ ეს ადამიანები ციხეებში და მათ დასაცავად ბრძოლა მისი პასუხისმგებლობა იყო, მას კი ისინი საერთოდ არ მოუკითხავს, ერთხელაც არ გაუგზავნია „პერედაჩი“.

არ გვინდა, მკითხველმა იფიქროს, რომ სტატიის მთავარ თემას გადავუხვიეთ, თუმცა, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ მაშინდელ პოლიციურ ურთიერთობებში გარკვევა არცთუ უინტერესო უნდა იყოს.

ახლა კი ისევ მთავარს მივუბრუნდეთ და „პრაიმტაიმი“ დაპირებულ ჩვენებას შესთავაზებს მკითხველს.

**მაშ ასე, მერაბ ბაღათურია უკვე კბილაშვილის პროკურატურაში დაიკითხა 2012 წლის 6 დეკემბერს. ახლა კი ერთად ვნახოთ, როგორ იხსენებს ის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გარშემო განვითარებულ მოვლენებს:**

„2006 წლის 28 იანვრისთვის ვმუშაობდი ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 2006 წლის 28 იანვრის დილით, როგორც წესი, დამირეკა მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს უფროსმა, თამაზ ვასაძემ და მითხრა, რომ მათი სამმართველოს პირველ განყოფილებაში, დილით, პატრულის მიერ მიყვანილ იქნა მოქალაქე ლევან ბუხაიძე, რომელიც აცხადებდა, რომ გამთენიისას ის და მისი მეგობარი დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს

გოგა ონიანი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩვენება გირგვლიანის საქმეზე

და ოქროყანის სასაფლაოზე სცემეს. მისმა მეგობარმა გაქცევა შეძლო, ხოლო თვითონ მას ბოროტმოქმედებმა ტანსაცმელი გახადეს და სასაფლაოზე დატოვეს. თამაზ ვასაძეს მივეცი შესაბამისი მითითება ჩაეტარებინათ სრულყოფილი გამოძიება და გაერკვიათ საქმის ყველა გარემოება. შემდეგ, სადღაც შუადღისთვის, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ოქროყანის სასაფლაოზე ნანახი იქნა უცნობი მამაკაცის გვამი მრავლობითი დაზიანებით და ის უნდა უკავშირდებოდეს ლევან ბუხაიძის განაცხადს გატაცებისა და ცემის ფაქტის შესახებ. ვინაიდან, როგორც მითხრეს, გვამს წამების ნიშნები ეტყობოდა, მაშინვე გავაგზავნე ჩემი მოადგილე დავით კუპატაძე მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოში. ამავდროულად დავუკავშირდი ქალაქის რაიონის სამმართველოს უფროსებს და ყველას დავავალე, დახმარება გაეწიათ დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა გამოვლენაში. ამასთანავე, მათვე მივეცი დავალება, საქმეში ჩაერთოთ ოპერატიული თანამშრომლებიც და დაემოწმებინათ ყველა შესაძლო ვერსია. ნანახი გვამის შესახებ მოვახსენე შს მინისტრს და ვუთხარი, რომ დაახლოებით 25 წლის კაცი საშინლად იყო ნაწამები და მთელი ქალაქი გადართული ვიყავით დანაშაულის გახსნაზე, რაზედაც მიპასუხა: „კი ბატონო, იმუშავეთო“. დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ ვიგებ, რომ ლევან ბუხაიძე გარკვეულწილად თავს იკავებდა, მომხდარი გარემოების შესახებ ჩვენების მიცემაზე და როგორც მახსოვს, პირადადაც კი შეხვედი მას. რა დროსაც რატომღაც შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ლევან ბუხაიძე ან რეალურად მალავდა რაღაცას, ან უჭირდა რეალურად მომხდარი ამბის მოყოლა. 29 იანვარს მოხდა მისი ეჭვმიტანილის სახით დაკავება სანდრო გირგვლიანის განზრახ მკვლელობის დაფარვისთვის, თუმცა, თუ არ ვცდები, მეორე დღესვე გავუშვით, როცა მივხვდით, რომ ლევან ბუხაიძისგან ბევრს ვერაფერს გავიგებდით. კვლავ დავალება მივეცი ჩემს მოადგილეს, გაეძლიერებინათ ოპერატიული საქმიანობა. სწორედ ამ მუშაობის შედეგად, თუ არ ვცდები, 29 თუ 30 იანვარს, ცნობილი გახდა, რომ დანაშაულში მონაწილეობა უნდა ჰქონოდათ მიღებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებს. კერძოდ, გია ალანიას, რის შემდეგაც ამოღებულ იქნა გია ალანიას კუთვნილი სატელეფონო ნომრის დეტალური ამონაწერი და შედარდა ანძების მონაცემებს, რის შემდეგაც დარწმუნებით შეიძლებოდა თქმა, რომ გია ალანიას ოქროყანის სასაფლაოზე ყოფნის ფაქტი დადასტურდებოდა. რადგანაც მისი მობილური ტელეფონი ანძის მიხედვით დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროისთვის სწორედ ოქროყანის სასაფლაოს სიახლოვეს მუშაობდა. ამავდროულად, მომახსენეს, რომ, ასევე, მიღებული იყო ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სანდრო გირგვლიანს „შარდენ ბარში“ ყოფნის დროს რაღაც კონფლიქტი მოუხდა სუფრის ერთ-ერთ წევრთან. ამ მაგიდასთან კი ყოფილან შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, შსს-ს პრესცენტრის უფროსი გურამ დონაძე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, მისი თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი და კიდევ ერთი ქალი. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ გადავწყვიტე, ყოველივე მინისტრისთვის მომეხსენებინა და როცა ვანო მერაბიშვილს შევხვდი, თავის კაბინეტში დეტალურად ვაცნობე ჩემს ხელთ არსებული მონაცემები. კერძოდ, მე ვანო მერაბიშვილს შევხვდი გვამის აღმოჩენიდან დაახლოებით 2-3 დღეში და ვუთხარი, რომ „შრადებ ბარში“ იმ ღამეს მყოფ სანდრო გირგვლიანს დათა ახალაიასთან, გურამ დონაძესთან, ვასილ სანოძესთან, ოლეგ მელნიკოვთან მყოფი მისი მეგობარი ქალი გადაუხმია თავის სუფრასთან და დაძაბული საუბრის დროს უთქვამს მისთვის: „რა გინდა ამ პედერასტებთანო“, რასაც მოჰყოლია შეკამათება ზედამხედველ პირებსა და სანდრო გირგვლიანს შორის. აღნიშნულის შემდეგ გარეთ გამოსული სანდრო გირგვლიანი და მასთან მყოფი მეგობარი ML-ის ჯიპით გაუტაცებიათ კუდ-ის თანამშრომლებს. ჩემს ცნობაზე ვანო მერაბიშვილმა მითხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდა. სამმართველოში დაბრუნებულმა, ვიხმე ჩემი მოადგილე ემზარ ღარიბაშვილი, რომელიც საგამოძიებო სამსახურს კურირებდა, და ვუთხარი, საგამოძიებო მოქმედებებით გაემაგრებინა მიღებული ინფორმაციები. ჩემი მითითების შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა ინტენსიურად, ხდებოდა დაკითხვები და შესაბამისი დოკუმენტების მოპოვება. თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსახლეობაში საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია, ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა შეკრებას, გამოსვლებს და ვანო მერაბიშვილთან შეხვედრისას გადავწყვიტე, შევხვედროდი სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრებს. საუბრიდან 2-3 დღეში, ზუსტად არ მახსოვს, ჩემთან შეხვედრაზე მოვიდა სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე და მისი ნათესავი ქალბატონი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გავრცელებული ვერსიების შესახებ, განსაკუთრებით, თითქოს სანდრო გირგვლიანი სვანური დაჯგუფების მიერ იყო მოკლული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვერსია ჩემ მიერ არ ყოფილა გავრცელებული, მე მათ ავუხსენი, რომ „გამოძიებამ შესაძლოა, სხვადასხვა ვერსიაზე იმუშაოს, მაგრამ მე გაძლევთ პირობას, მოკლე დროში დანაშაული მთლიანად იქნება გახსნილი და დამნაშავეები დაკავებულები-მეთქი“. ამ სიტყვების შემდეგ, ირინა ენუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველაზე მეტად ჩემი იმედი ჰქონდა. აღნიშნული ინტერვიუს შემდეგ თბილისის პოლიციასა და შს სამინისტროს უწყებებს, კერძოდ კი კუდ-ს, სოდ-სა და გენერალურ ინსპექციას შორის ურთიერთობები დაიძაბა. ვატყობდი, რომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან ჩემ მიმართ უნდობლობა გაიზარდა. როდესაც ირინა ენუქიძესთან შეხვედრის დეტალები მინისტრს მოვახსენე, მე მას ვთხოვე, მოეცა საშუალება, დამნაშავეები დამეკავებინა, რაზედაც მან მიპასუხა, რომ ყველაფერს გაარკვევდა და მეტყოდა. ამის შემდეგ, მინისტრი ჩემს ზარებს არ პასუხობდა, რაც უჩვეულო შემთხვევა იყო, რადგან მანამდე, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ვანო მერაბიშვილი ჩემს ზარს ყოველთვის პასუხობდა. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ტელევიზიით გასული ალანიასა და სხვების დაკავების დღეს მინისტრის მიერ ბრიფინგის ჩატარებამდე ერთი საათით ადრე ტელეფონით დამიკავშირდა გურამ დონაძე და გადმომცა, მინისტრი ბრიფინგს ჩატარებას აპირებს და შენც უნდა დაესწრო. ვინაიდან მან ვერ მითხრა, რა თემაზე ტარდებოდა ბრიფინგი, გურამ დონაძეს ვუთხარი, გაერკვია და თუ სასწრაფო იყო, მინისტრი თვითონ დამიკავშირდებოდა. ამდენად, მე მას უარი ვუთხარი. საღამოს „კურიერში“ გასული მინისტრის ბრიფინგიდან შევიტყვე, რომ სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით თბილისის პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად და კუდ-ის დახმარებით დაკავებულნი იყვნენ კუდ-ის თანამშრომლები. აღნიშნული ბრიფინგისა და განხორციელებული დაკავებების გამო გაკვირვებული დავრჩი, რადგან ვანო მერაბიშვილის განცხადების მიუხედავად, დაკავებაში ქ. თბილისის პოლიციის არც ერთ თანამშრომელს არ მიუღია მონაწილეობა და მეტიც, აღმოჩნდა, რომ დაკავებამდე ერთი დღით ადრე სისხლის სამართლის საქმე გათხოვილ იქნა ქ. თბილისის პროკურატურის მიერ. აღნიშნულის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობა აღარ მენდობოდა. შემდგომში დაიწყო პირადად ჩემი და ქ. სამმართველოს თანამშრომლების შევიწროება, დაკავებები და სამსახურიდან გაშვებები. შემდგომში ეს სიტუაციები იმდენად დაიძაბა, რომ მე და ქალაქ თბილისის პოლიციის ხელმძღვანელობის უმეტესობას სამსახურის დატოვება მოგვიწია.

დასმულ კითხვაზე გიჩვენებთ, რომ, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების ადგილზე, გარდა კუდ-ის დაკავებული თანამშრომლებისა, უნდა ყოფილიყვნენ ოლეგ მელნიკოვი და დათა ახალაია. მე გარკვეული გეგმაც მქონდა მოფიქრებული, როგორ უნდა განმეხორციელებინა მათი დაკავება და პასუხისგებაში მიმეცა ყველა ზემოჩამოთვლილი პირი, თუ ამის საშუალება მომეცემოდა, მაგრამ საქმის პროკურატურაში ნაღების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩამოვცილდი აღნიშნულ საქმეს. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი კარგად ხვდებოდა, ვისზეც შეიძლებოდა გასვლა საქმის მასალებით, ამიტომაც მოხდა საქმის პროკურატურაში სასწრაფოდ წაღება. კონკრეტულად დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი და სხვები მე ვანო მერაბიშვილისთვის დამნაშავეებად არ დამისახელებია ჩვენი შეხვედრის დროს, მაგრამ, როცა ვეუბნებოდი, რომ, თუ საშუალება მომეცემოდა, ბოლომდე გავხსნიდი ამ საქმეს და პასუხისგებაში მივცემდი ყველას, ვფიქრობ, ის კარგად ხვდებოდა, რასაც ვგულისხმობდი. დაზუსტებულ ინფორმაციებს მოგანვდიან უშუალოდ ის პირები, რომლებიც ჩემი დავალებით მოიპოვებდნენ ოპერატიულ მასალებს და ახდენდნენ მათ დამუშავებას. სხვა რაიმე დასამატებელი ჩემს ჩვენებაზე ამჟამად არ გამაჩნია“.

ერთი სიტყვით, ჩვენება სახეზეა, წინკი ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პროცესი გველის, რომელზეც მერაბ ბაღათურია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრალდების მხარის მონმედ წარდგება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაკარგულების საქმე პოლიტიკუ



| 2011 წელი | სულ ეცნობა უგზოდ დაკარგულები | დადგენილია | შეწყვეტილია მიზეზით | დადგენილია ვინაობა | დარჩა დასადგენი |
|---|---|---|---|---|---|
| მამაკაცი | 134 | 12 | 59 | 14 | 49 |
| ქალი | 64 | 21 | 31 | 4 | 8 |

| 2012 წელი | სულ ეცნობა უგზოდ დაკარგულები | დადგენილია | შეწყვეტილია მიზეზით | დადგენილია ვინაობა | დარჩა დასადგენი |
|---|---|---|---|---|---|
| მამაკაცი | 104 | 6 | 51 | 16 | 31 |
| ქალი | 52 | 5 | 31 | 7 | 9 |

| 2013 აგვისტომდე | სულ ეცნობა უგზოდ დაკარგულები | დადგენილია | შეწყვეტილია მიზეზით | დადგენილია ვინაობა | დარჩა დასადგენი |
|---|---|---|---|---|---|
| მამაკაცი | 61 | 1 | 29 | 4 | 27 |
| ქალი | 22 | 0 | 14 | 2 | 6 |

**დაკარგულის დედა: „პრეზიდენტს მუხლებზე დაჩოქილმა ვთხოვე დახმარება, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია“**

# მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღის წინ აჭარაში გაუჩინარებული გოგონას დაუყოვნებლივ მოძიებას ითხოვს, 2010 წელს დაკარგული ახალგაზრდების მშობლები კი დღემდე პრეზიდენტის პასუხს ელიან

**მირიან ბოქოლიშვილი**

**7 აგვისტოს აჭარაში 17 წლის დარეჯან დიასამიძე გაუჩინარდა. გოგონას კვალს ჯერჯერობით ვერავინ მიაკვლია. ცოტა ხნის წინ დიასამიძეების ოჯახს პრეზიდენტი ეწვია და თანადგომაც გამოუცხადა. ტელეკამერების წინ მიხეილ სააკაშვილმა სამართალდამცველებს კატეგორიული ტონით მოუწოდა სამძებრო სამუშაოების გააქტიურებისკენ.**

„საქართველოში შექმნილია ისეთი სისტემა – იმდენი ტექნიკური საშუალებაა და პროფესიონალი გამომძიებელი და სამართალდამცველი მუშაობს, რომ შეუძლებელია, ბავშვი ასე უკვალოდ დაიკარგოს“, – განაცხადა დიასამიძეების ოჯახში სტუმრობისას მიხეილ სააკაშვილმა.

ცხადია, მისასალმებელია, როცა მსგავსი თემებით უშუალოდ ქვეყნის პირველი პირები ინტერესდებიან და სააკაშვილის გულწრფელობაშიც ეჭვს არავინ შეიტანდა, რომ არა ერთი დეტალი... „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა არაერთი პირი, მათ შორის არასრულწლოვნები, თუმცა არც ერთი მსგავსი შემთხვევა მაშინ პრეზიდენტის დაინტერესების საგანი არ გამხდარა.

წიკლაურების ოჯახი ერთ-ერთია, რომელიც გაუჩინარებულ შვილს დღემდე უშედეგოდ ეძებს. 14 წლის ვასილ წიკლაური 2010 წლის 26 სექტემბერს დაიკარგა. წიკლაურები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ახილოსკალოში ცხოვრობენ. იმ დღეს ვასილ წიკლაური მეგობართან ერთად გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. მას შემდეგ ოჯახმა არაერთ უწყებას მიმართა დახმარებისთვის, მათ შორის პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელსაც დედოფლისწყაროში სტუმრობისას დაკარგულის მამამ პირადად გადასცა წერილი და საკუთარი ოჯახის ტრაგედია შეატყობინა. სამწუხაროდ, პრეზიდენტი მაშინ გაუჩინარებული არასრულწლოვნის ბედით არ დაინტერესებულა. ყოველ შემთხვევაში არც წიკლაურების ოჯახში უნახავს ვინმეს სტუმრად და არც მისი კატეგორიული ტონი გაჟღერებულა სამართალდამცველების მიმართ. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას დაკარგული არასრულწლოვნის მამა, თამაზ წიკლაური იმ დღეს იხსენებს, როდესაც პრეზიდენტი დედოფლისწყაროს სტუმრობდა.

„ახლა, 7 ნოემბერს 18 წლის გახდებოდა ჩემი შვილი. როცა დაიკარგა, 14-ის იყო. პოლიციის განყოფილება ახალი გახსნილი იყო, დავწერეთ განცხადება იმავე დღეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ახლა მეუბნებიან, ცხელ კვალზე უნდა გახსნილიყო საქმეო და პრინციპში, მართალიც არის. ვიღას არ მივმართე, მაგრამ ყურს არავინ გვიგდებს. სააკაშვილი აქ იყო ჩამოსული. პირადად გადავეცი წერილი. ხალხთან ჰქონდა შეხვედრა, ძლივს ვაი-ვაგლახით მივაღწიე პრეზიდენტამდე და წერილი ხელში გადავეცი, მაგრამ არავინ გამოგვხმაურებია“, – გვიყვება თამაზ წიკლაური, რომელიც ეჭვობს, რომ მისი ვაჟი ქვეყნიდან გაიყვანეს და რეალურად ტრეფიკინგის მსხვერპლია.

ტრეფიკინგზე აქვს ეჭვი 19 წლის ნათია გიორგიძის ოჯახსაც. გოგონა, რომლის გაუჩინარების ამბავი დღესაც ბურუსითაა მოცული, ქუთაისიდან 2010 წლის 11 ოქტომბერს დაიკარგა. ოჯახმა იმთავითვე განაცხადა პოლიციაში... გამოძიება დაიწყო, თუმცა უშედეგოდ... ნათიას კვალს დღემდე ვერავინ მიაგნო. დაკარგული გოგონას დედამაც პირადად ჩააყენა საქმის კურსში მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იმ დროს ქუთაისს სტუმრობდა, თუმცა, ვასილ წიკლაურის მსგავსად, ეს საქმეც პრეზიდენტის დაინტერესების მიღმა აღმოჩნდა.

**რუსუდან გიორგიძე, დაკარგულის დედა:**

– ვისთან აღარ მქონდა შეხვედრა, შეიძლება ითქვას, ცა და მიწა შევარყიე... პრეზიდენტს ორჯერ შევხვდი და წერილიც გადავეცი, მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია. თავის დროზე გამოძიება არასწორი მიმართულებით წავიდა, ერთადერთ ვერსიად განიხილავდნენ, რომ თითქოს მდინარე რიონში დაიხრჩო, რაც აბსურდია. ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. პრეზიდენტს ვთხოვე დახმარება, ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე იყო ჩამოსული რაღაც კონცერტზე, ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც ჩემი შვილი გაუჩინარდა, წერილიც გადავეცი და სიტყვიერადაც ავუხსენი... შედეგი არის ის, რომ არავინ არ ინტერესდება ამ საქმით. ქაჯვივით არ მივსულვარ, ადამიანურად მივედი და მუხლებზე დაჩოქილმა ვთხოვე დახმარება, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია.

**– გავიგეთ, რომ არსებობს ვერსია, თითქოს თქვენი ქალიშვილი სხვა ქვეყანაშია გადაყვანილი...**

– რა თქმა უნდა, ეს ასეა. მისი მოკვლაც არავის არაფერში აწყობდა. მისგან რაღაც გამორჩენას ელოდნენ და უნდა გაეყვანათ ქვეყნიდან. 19 წლის გოგო ვინმეს რომ მოეკლა, ამის მიზეზიც არ ჩანს. თუ არც თვითმკვლელობის მიზეზი არსებობდა, ერთადერთი რჩება ეჭვი ტრეფიკინგზე. თავი რომ დაეხრჩო, იმ ქუჩაზე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რამდენი ადამიანი გაუჩინარდა საქართველოში? – სტატისტიკა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ EXCLUSIVE

## დაკარგულის მამა: „მივაღწიე პრეზიდენტამდე და წერილი ხელში გადავეცი, მაგრამ არავინ გამოგვხმაურებია“

ხალხი ცხოვრობს და დღის სამ საათზე ვინმე მაინც ან ხმას გაიგებდა და ან თვალს მოჰკრავდა. ამიტომ წარმოუდგენელია, თუ ეს ასე იყო, ვინმეს მის საშველად რამე არ გაეკეთებინა.

**– მდინარესთან მოსახლეობა ახლოს ცხოვრობს?**

– კი, ორივე ნაპირზეა მოსახლეობა. იმ ადგილას, სადაც ჩემი შვილი დაიკარგა, უამრავი ადამიანი მოძრაობს. ნათია იქ აშკარად შეხვედრაზე წავიდა. ახლა ვცდილობ, როგორღაც სიმართლე გავიგო. შვილი მკვდარიც დაკარგო და ცოცხალიც, ასე ხომ არ შეიძლება?

**– გამოდის, რომ ეჭვი მაინც ტრეფიკინგზე გაქვთ?**

– დიახ.

**– ამ ეჭვის საფუძველს რა გაძლევთ?**

– ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ცხოვრობს მინდელის ოჯახი. ამ კაცის მეუღლე საბერძნეთში მიდიოდა არალეგალურად. ეს ამბავი მოხდა შარშან ივნისში. თავის ქმარს დაურეკა ღამის სამ საათზე თურქეთის ერთ-ერთი სასტუმროდან, – აქ ქუთაისელი გოგო მოიყვანეს და იქნებ დავეხმაროთ ამ გოგოსო. სახელიც უთხრა და გვარიც. 20-21 წლის იქნებაო.

**– თქვენი შვილის სახელი და გვარი უხსენა?**

– დიახ. ისე ხომ ვერ დაეხმარებოდა, თუ სახელსა და გვარს არ ეტყოდა? ქუთაისში მილიონი კაცი ცხოვრობს. ამ საუბრის დროს, ამ კაცის მონათხრობით, მის მეუღლეს წაართვეს ტელეფონი და მას შემდეგ მე მას აღარ დავლაპარაკებივარო. მაღლევე ეს ქალი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, ამ ქალს ჩემი შვილი დაკარგვიდან 2 წლის შემდეგ თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში ნანახი ჰყავს. გიორგიძეები ბევრნი ცხოვრობენ დიმში და ეტყობა, ვინმე თავისიანი ეგონა და იმიტომ უთხრა, დავეხმაროთო.

**– შემდეგ ამ კაცმა მოგძებნათ თქვენ?**

– ეს ამბავი მე თვითონ შემთხვევით გავიგე. ტრანსპორტით ვმგზავრობდი, ბაღდათში მივდიოდი და მგზავრები საუბრობდნენ, მინდელის ცოლს თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში ქუთაისელი გოგო უნახავსო. დავინტერესდი. ვკითხე, სად ცხოვრობდა ეს მინდელი. მივედი მასთან სახლში. ეს კაცი არ უარყოფს ამბავს. შეაშინეს და უბრალოდ, ჩემი შვილის სახელსა და გვარს არ ამბობს, თორემ დანარჩენს ყველაფერს ყვება, არაფერს მალავს.

სამწუხაროდ, ზემოხსენებული ფაქტები არ გახლავთ გამონაკლისი. სხვადასხვა დროს ბურუსით მოცული გაუჩინარების ისტორიები პრესაშიც ხშირად იწერება. მედიას არ გამოჰპარვია არც 2010 წლის 17 სექტემბერს გურჯაანის რაიონიდან დაკარგული 17 წლის გიგა ელიზბარაშვილის საქმე და არც მარნეულიდან გაუჩინარებული 56 წლის ქალბატონის, სადრადინ ფალაგოვის ისტორია. არც ერთ ამ შემთხვევას მაშინ ხელისუფლების პირველი პირების დაინტერესება არ გამოუწვევია. „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ – ამ

პრინციპით თუ მივუდგებით, მხოლოდ მისასალმებელია, როდესაც პრეზიდენტი აჭარაში დაკარგული 17 წლის სალომე დიასამიძის ბედით დაინტერესდა, თუმცა, მისი ოპონენტები პოლიტიკურ სპეკულაციაზე მიანიშნებენ და ამბობენ, რომ სააკაშვილი დაკარგულების საქმით მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაინტერესდა.

„პრაიმტაიმმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ოფიციალური სტატისტიკა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების შესახებ. შსს-დან მიღებული ინფორმაციით, წინა წლებთან შედარებით დაკარგვის შემთხვევები შემცირდა, რასაც ღარიბაშვილის უწყება ოფიციალური ციფრებით ამყარებს. 2011 წელს საქართველოში სულ 198 ადამიანი დაიკარგა, მათგან 134 მამაკაცი და 64 ქალი. სამართალდამცველებმა 33 პირის მოძებნა მოახერხეს, 18 პირი გარდაცვლილი აღმოჩნდა, დანარჩენის ადგილსამყოფელი კი დღემდე უცნობია. 2012 წელს 104 მამაკაცი და 52 ქალი გაუჩინარდა, მათგან 11-ის მოძიება მოხერხდა, 23 შემთხვევაში კი გარდაცვალება დადგინდა. 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით საქართველოში 61 მამაკაცი და 22 ქალი დაიკარგა, ერთი პირის ადგილსამყოფელი დადგინდა, 6 შემთხვევაში ცხედარი აღმოაჩინეს, 33 პირი კი კვლავ დაკარგულად ითვლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძე პრესას ბოიკოტს უცხადებს

my View
მირიან ბოქოლიშვილი

**წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შედის და ცხადია, საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ პრესის ყურადღება გაათკეცებულია. სხვადასხვა დონით პრესაში თითქმის ყველა კანდიდატის პროგრამა და ხედვაა წარმოდგენილი. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, გამონაკლისია ნინო ბურჯანაძე, რომელიც ქართულ პრესასთან დაახლოებით ბოლო ორი თვეა არ კონტაქტობს. როგორც ჩანს, ბურჯანაძეს ახალი პიარსტრატეგია აქვს, რომელიც მხოლოდ მოსახლეობასთან შეხვედრებზეა აგებული. რას უქადის პრესის ბოიკოტი პრეზიდენტობის კანდიდატს, რომლის რეიტინგიც, ბოლო კვლევებით არცთუ ისე პერსპექტიულად გამოიყურება? ამ კითხვაზე პასუხი მკითხველისთვის მიგვინდია. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ბურჯანაძის მთავარ „პიარშიკთან“ შევეცადეთ იმის გარკვევას, რატომ დუმს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე? ყოფილი კუტიურიე ბაკურ ბაკურაძე, რომელიც ამჟამად პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პიარითაა დაკავებული, ამბობს, რომ ქალბატონ ნინოს პრესასთან სასაუბროდ დრო არ რჩება.**

**– ბაკურ, გვაინტერესებს, რა მიზეზით იბლოკება ნინო ბურჯანაძის ინტერვიუ?**

– არანაირად არ იბლოკება. მითხარით ერთი გაზეთი, სადაც ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში ნახავთ ნინო ბურჯანაძის ინტერვიუს. ასეთი რამ არ ყოფილა.

**– რატომ, ახალი მედიასტრატეგია გაქვთ?**

– ჯერჯერობით არ არის გასული არც ერთ გაზეთში ქალბატონი ნინოს ინტერვიუ.

**– ჰოდა, სწორედ ამის მიზეზი გვაინტერესებს... რატომ არ გასულა?**

– არ არის და იმიტომ. ჯერჯერობით ასეა საჭირო.

**– მიზეზი რა არის?**

– ამის მიზეზი არის დროის უქონლობა. დღის განმავლობაში 7-დან 11 შეხვედრამდე გვაქვს რეგიონებში. ვხვდებით მოსახლეობას და შესაბამისად, ინტერვიუსთვის დრო არ რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბა-

კურ ბაკურაძეს შევთავაზეთ, წინასწარ ეცნობებინა ნინო ბურჯანაძის რეგიონებში შეხვედრის განრიგი და სწორედ რეგიონში ყოფნისას შეეთანხმებინა ინტერვიუ, ამ დრომდე ეს ვერ მოხერხდა. არადა, შეიძლება ითქვას, რომ ბაკურ ბაკურაძეს პრესასთან ურთიერთობისა და პიარის კუთხით, გარკვეული გამოცდილება ნამდვილად აქვს. რამდენად წარმატებული, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მაინც... თავის დროზე ის ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ პიარით იყო დაკავებული, მოგვიანებით კი, როგორც თავად ყვება, უშუალოდ ედუარდ შევარდნაძის იმიჯზე ზრუნავდა. ახლა ქალბატონმა ბურჯანაძემ მხოლოდ იმედი შეიძლება იქონიოს, რომ მისი იმიჯი ისეთივე „წარმატებული“ არ იქნება, როგორც ედუარდ შევარდნაძის. ალბათ, ისიც ბედის ირონიაა, რომ ბაკურ ბაკურაძე 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შევარდნაძის ბლოკის მთავარი შოუმენი გახლდათ. თუმცა ბაკურაძის პიარმა კორუმპირებული მმართველი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა... მაშინ მოვლენები „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა და ბაკურაძის ფავორიტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა, შესაბამისად, ბაკურ ბაკურაძეს, ედუარდ შევარდნაძესთან დაახლოებულ კიდევ რამდენიმე ცნობილ სახესთან ერთად, ქუჩაში გამოსვლა მოუწია.

„ძალიან სასაცილოა ახლა, მაგრამ 2003 წლის 24 ნოემბერს მე და კიდევ 6 ადამიანი, პირველები ვიყავით, ვინც პარლამენტთან მათ წინააღმდეგ გამოვედით“, – ყვება ერთ-ერთ ინტერვიუში ბაკურ ბაკურაძე.

მას შემდეგ მან სამოქალაქო სექტორში მოსინჯა ბედი და „თავისუფალი აზრის სახლის“ ხელმძღვანელი გახდა, თუმცა დიდი წარმატებები არც ამ ორგანიზაციას ჰქონია და არც მის ხელმძღვანელს. საბოლოოდ, ყოფილმა დიზაინერმა, ახალი საყრდენი მოძებნა და ეს გახლდათ ნინო ბურჯანაძე. უცნაურია, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი იმიჯმეიკერი ახლა სწორედ იმ ადამიანის იმიჯის შექმნითაა დაკავებული, რომელმაც აქტიური როლი შეასრულა შევარდნაძის გადადგომაში. დაბოლოს: თვით რუსეთშიც კი, რომლის მიმართაც ესოდენ დიდი სიმპათიები აქვს ქალბატონ ბურჯანაძეს, პოლიტიკური ლიდერები პრესასთან ურთიერთობას არ გაურბიან. ასე რომ, კარგი იქნება „დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი და მისი „პიარშიკი“ „დიდი მეგობრის“ გამოცდილებას მაინც თუ გაიზიარებენ.

# ყოფილი კუტიურიეს ახალი მედიასტრატეგია

# ვის დაკ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

**პარლამენტის საგამოძიებო კომისია, რომელიც კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის საქმიანობის შესწავლითაა დაკავებული, მალე სკანდალურ დოკუმენტებს გამოაქვეყნებს. ამის შესახებ განცხადება კომისიის თავმჯდომარემ, თინა ხიდაშელმა გააკეთა. სკანდალური დოკუმენტების გარდა, თინა ხიდაშელი კომუნიკაციების კომისიის ხელმძღვანელობისა და რამდენიმე ტელეკომპანიის მესვეურების დაკითხვას გეგმავს. კონკრეტულად ვის გაუგზავნის ხიდაშელის კომისია უწყებას, ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი გეტყვით იმას, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც დაკითხვაზე უკვე დაიბარეს, ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაა. ხიდაშელის ვარაუდით, იკვეთება „რუსთავი 2“-ის არაპირდაპირი ფორმით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სქემა.**

„რუსთავი 2“-ის მესაკუთრეები 2005-2009 წლის შემდეგ იცვლებიან, თუმცა ერთი და იგივე არიან, ანუ იცვლებიან ბატონი ბეჟუაშვილისგან და ხდებიან ძმები ყარამანაშვილები, თუმცა სამივე ტელევიზიაში, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, ეს ადამიანები ისევ გვხვდებიან. ტელეკომპანია „საქართველოს“ 26 მილიონი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული, აბსოლუტურად უკანონოდ, რასაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. პრეზიდენტის აქტი, რომლითაც ასეთი ნებართვა გაიცა ტელევიზიის დაფინანსებისთვის, პირდაპირ საუბრობს სპონსორობაზე. „მაუწყებლის შესახებ“ კანონი კრძალავს სატელევიზიო ეთერში გადაცემების სპონსორობას, თუმცა ტელეკომპანია „საქართველო“ სწორედ ამას აკეთებდა ბიუჯეტის ხარჯზე – გადიოდა ეთერში მთლიანი გადაცემები და არა რეკლამები, რომელიც დამზადებული იყო ბიუჯეტის თანხებით. ამ საკითხით, იმის მიუხედავად, რომ ინფორმაცია საჯაროდ იყო ცნობილი, მარეგულირებული კომისია არც ერთხელ არ დაინტერესებულა. „საქართველოს“ დაფინანსებასთან დაკავშირებით ეს ერთადერთი თემა არ არის, რომელსაც ვიკვლევდით. „საქართველო“ „რუსთავი 2“-ის შენობიდან მაუწყებლობდა. ყველაფერი, რაც ამ წლების განმავლობაში ტელეკომპანია „საქართველომ“ შეიძინა და, ჩვენ გვაქვს ძალიან ვრცელი ჩამონათვალი, რადგან 29 მილიონის ხარჯვაზე ვსაუბრობთ, 2012 წლის ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ „რუსთავი 2“-ის საკუთრება ხდება. ამ ტელევიზიამ ძალიან საინტერესო, თუმცა ერთნაბიჯიანი სქემა განახორციელა – 2012 წლის ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ მან იყიდა 51% წილი „რუსთავი 2“-ში და ფულის ნაცვლად შევიდა ქონებით, რომელიც მანამდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ჰქონდა შეძენილი. გაცილებით საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: 2012 წლის ზაფხულში დასრულდა „რუსთავი 2“-სა და „საქართველოს“ შორის მოლაპარაკებები და „რუსთავი 2“-ისგან ტელეკომპანია „საქართველომ“ იყიდა 2 ათასი კვ.მ მიწა და 4 ათასი კვადრატული ფართის შენობა-ნაგებობები. დაახლოებით 6 მილიონამდე ლარი გადაიხადა ამაში, თუმცა არჩევნების შემდეგ, როცა 51%-იანი წილის შესყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა, ეს მიწა უკან დაუბრუნა „რუსთავი 2“-ს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულით „რუსთავი 2“-ისგან რაღაც ქონება იყიდა, რის გამოც „რუსთავი 2“-მა გარკვეული ფულადი სიკეთე მიიღო და შემდეგ მიწა და შენობა-ნაგებობები მას ისევ უკან დაუბრუნდა.

ყველა ფინანსური ნაბიჯი, რომელსაც ტელეკომპანია „საქართველო“ ახორციელებდა, მოტივირებულია არაპირდაპირი სიკეთის მიღებით „რუსთავი 2“-ისთვის, ანუ სახეზე გვაქვს „რუსთავი 2“-ის არაპირდაპირი ფორმით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომ არაფერი ვთქვათ, პირდაპირ დაფინანსებაზე“, – განაცხადა ხიდაშელმა.

სწორედ ამ თემების ირგვლივ იბარებს თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს კომისიის სხდომაზე. თავის მხრივ კი, ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ის მზად არის, ინფორმაცია მიაწოდოს უშუალოდ საპარლამენტო კომისიას და არა პირადად თინა ხიდაშელს.

„სამწუხაროდ, ქალბატონ ხიდაშელის განცხადებაში არის ძალიან ბევრი ფაქტობრივი უზუსტობა, მე ვიტყოდი შეგნებული უზუსტობა, რასაც ადამიანურ ენაზე სიცრუე ჰქვია. პირველ წერილში ქალბატონმა ხიდაშელმა გვთხოვა, მიგვეწოდებინა ინფორმაცია, როგორ განთავსდა გასართობი გადაცემები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სამაუწყებლო ბადეში. მეორე წერილში გვთხოვა, როგორ ხდებოდა რეკლამის განთავსება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში და რომელი კომპანია უწევდა მომსახურებას. მესამე წერილში გვთხოვა კონკრეტული გადაცემებისა და შესყიდვების შემთხვევები გაგვეშუქებინა. თუ ახლა ვინმე მეტყვის, რა კავშირშია ეს „რუსთავი 2“-ის წილებთან, ძალიან მადლობელი ვიქნები. იმედია, ქალბატონი ხიდაშელი ამას განმარტავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ჩვენი კომერციული საიდუმლოება, გავცემდით პასუხს იმ ვითარებაში, თუ კანონით უფლებამოსილი ორგანო მოგვმართავდა ამის თაობაზე. კანონით უფლებამოსილი არის მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, საგამოძიებო ორგანოები და ერთადერთი გამონაკლისია საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისია“, – განაცხადა ნიკა გვარამიამ, რომლის თქმითაც, ხიდაშელი მრავალი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ებრძვის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, თუმცა დღეს ის ამას უკვე ახორციელებს, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი.

ნიკა გვარამია არ გახლავთ ერთადერთი, ვისაც საგამოძიებო კომისია პარლამენტში იბარებს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კომისიის მდივანი, დეპუტატი ანი მიროტაძე ამბობს, რომ დაკითხვაზე მოსვლა სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებსაც მოუწევთ.

**ანი მიროტაძე, დეპუტატი:**

– ჩვენ ვიწყებთ ღია სხდომებს, სადაც გამოძახებული იქნება ყველა ის ადამიანი, რომელიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო მარეგულირებელი კომისიის საქმიანობასთან. საწყის ეტაპზე, ჩვენ მოვუსმენთ იმ პირებს, რომლებმაც საჩივარი შემოიტანეს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ. მაგალითად, „აიეტის“ ხელმძღვანელს, ასევე, „ახალი ქსელების“ წარმომადგენლებს. ამის შემდეგ მოვუსმენთ ტელეკომპანიების წარმომადგენლებს, მათ შორის „რუსთავი 2“-ის, „საქართველოს“, „პიკის“ და სხვ. ბოლოს ჩვენთან იქნება დაბარებული კომისიის ყველა წევრი, მათ შორის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, რომელისგანაც, დღეის მდგომარეობით, თანამშრომლობაზე თანხმობა მიღებული გვაქვს. ვერ გეტყვით, კონკრეტულად როგორ მოხდება კომუნიკაცია. ის ამ დროისთვის საქართველოში არ იმყოფება და ამბობს, რომ შესაძლებელია, კითხვებს სკაიპის მეშვეობით უპასუხოს. ყოველ შემთხვევაში, გვითხრა, რომ თავს არ იკავებს და არ გაურბის ჩვენს კითხვებს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ითხავს ხიდაშელი?

**ირაკლი ჩიქოვანმა ქვეყანა დატოვა, თუმცა მზადაა, დეპუტატების კითხვებს სკაიპით უპასუხოს**

# საგამოძიებო კომისიაში ჩვენებების მისაცემად რამდენიმე ტელევიზიის ხელმძღვანელს ელოდებიან

**– რა კითხვები გექნებათ ტელეკომპანიების მესვეურებთან?**

– ძალიან რთულია ამ ეტაპზე იმის თქმა, რა სახის კითხვები გვექნება, მაგრამ თქვენ იცით, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა გარკვეული ტელეკომპანიების სასათბრურე პირობებში ყოფნა და დანარჩენების – პირიქით. არსებობს გარკვეული დოკუმენტები, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას. ეს არის დოკუმენტები, რომელიც ჯერჯერობით გასაჯარაებული არ არის. მთელი სამი თვის განმავლობაში დაკავებული ვიყავით ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიებით.

**– ანუ საქმე გვაქვს სკანდალურ დოკუმენტებთან?**

– კი, და საზოგადოება ამას თავად ნახავს, როგორც კი გასაჯაროვდება. საუბარია, როგორ ხდებოდა საკუთარი ბიზნესების ლობირება, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება... მაგალითად, ძალიან საინტერესოა, ერთ დღეში, როგორ ჩამოართვეს კონკრეტულ პიროვნებას ლიცენზია და შემდეგ როგორ მოუგვარეს სხვა პრობლემები. მაშინ, როდესაც „მაესტრომ“ მოითხოვა საერთო მაუწყებლობის ლიცენზია, კომუნიკაციის მარეგულირებელმა კომისიამ საერთოდ შეწყვიტა ლიცენზიების გაცემა. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზიები რომელიმე კერძო ტელეკომპანიასთან, ჩვენ ვიკვლევთ მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას.

**– თუმცა თქვენი ოპონენტები გამოთქვამენ ეჭვს, რომ შესაძლოა, ეს კომისია გამოყენებულ იქნას, როგორც მედიაზე ზეწოლის ინსტრუმენტი?**

– როგორ უნდა მოხდეს ეს, ჩემთვის ცოტა გაუგებარია. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ვიკვლევთ მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას. ზეწოლის მექანიზმად ამ კომისიის გამოყენება თეორიულადაც შესაძლებელია. ეს იქნება ღია სხდომები, სწორედ იმიტომ, რომ ასეთი ეჭვები არ გაჩნდეს.

**ნუგზარ ნიკლაური, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი:**

– ცალსახაა, რომ ეს არის მორიგი პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით შექმნილი კომისია. თუ ხელისუფლებას სურს რაიმე კანონდარღვევის გამოკვლევა, ამისთვის ჰყავს შესაბამისი ორგანოები. როდესაც ამ კომისიაში პირველივე ჯერზე ხდება ერთ-ერთი მსხვილი ნაციონალური მაუწყებლის ხელმძღვანელის გამოძახება, რა თქმა უნდა, ეს აჩენს გარკვეულ ეჭვებს. შესაძლოა, ვიღაცას ამ სახით სურს „რუსთავი 2“-ის მაუწყებლობის შეჩერება ან მისი კორექტირება. თვითონ ის ფაქტი, რომელიც ნიკა გვარამიამ გაახმაურა, რომ თითქოს ერთ-ერთ ჟურნალისტს პირადად თინა ხიდაშელმა აუკრძალა „რუსთავი 2“-ზე გადაცემის გაკეთება, ვფიქრობ, უკვე საგანგაშოა.

მოკლედ, უახლოეს ხანში თინა ხიდაშელის საგამოძიებო კომისია ოფიციალურად დაიწყებს დაკითხვებს, დეპუტატებს კითხვები აქვთ, როგორც მარეგულირებელი კომისიის მოქმედ თავმჯდომარესთან, კარლო კვიტაიშვილთან, ასევე მის წინამორბედ, ირაკლი ჩიქოვანთან. საუბარია შესაძლო უფლებამოსილების გადამეტებასა და ინტერესთა კონფლიქტზე, რითაც შესაძლოა საგამოძიებო კომისიის შემდეგ უკვე პროკურატურა დაინტერესდეს. ირაკლი ჩიქოვანი საქართველოში არ იმყოფება. უკავშირდება თუ არა მისი ქვეყნიდან გასვლა საგამოძიებო კომისიის მუშაობას, უცნობია. თუმცა, როგორც დეპუტატი ანი მიროტაძე ამბობს, ჩიქოვანი მინიმუმ სკაიპის მეშვეობით მზადაა, დეპუტატების კითხვებს უპასუხოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია კორკოტაშვილი: „თუ ხელისუფლება ჩვენი ინიციატივის იგნო

## „ეს იქნება ზეწოლის კულტურული ფორმა. ევროპაში საკმაოდ მიღებული ფორმაა საზოგადოების მხრიდან მუდმივი პრესინგი მთავრობაზე“

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნანა კაკაბაძე თავისი პოლიტპატიმრებით წარსულს ჩაბარდა. აღარც მისი გეგმები აინტერესებს ვინმეს და მით უფრო, არც მისი კატეგორიული მოთხოვნები. პრინციპში, მათი ხმა აღარც ისმის. ხელისუფლება ახალი რეალობის წინაშე დადგა და ამ რეალობას „სამოქალაქო სოლიდარობა მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებებისთვის“ ჰქვია. მამუკა არეშიძე, გია კორკოტაშვილი, ბესო ხარძიანი და კიდევ ბევრი სხვა, ვინც თვლის, რომ სამართლიანობა არ აღმდგარა, წართმეული ქონება არ დაბრუნებულა, დასასჯელი არ დასჯილა, შელახული ღირსება არ აღმდგარა და კიდევ ბევრი გასაკეთებელი ჯერ არ გაკეთებულა სწორედ ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ და ხელისუფლებას პირველ ეტაპზე დიალოგს სთავაზობენ, დიალოგის პარალელურად კი – პრესინგს. არეშიძის განცხადებით, მთავრობის პრესინგით კონტროლი ევროპული მეთოდია და საკმაოდ გამართლებულიც, რაც მთავარია, შედეგიანი. სწორედ ამიტომ კონკრეტულ ჩინოვნიკებს ისინი, პირველ რიგში, დიალოგს შესთავაზებენ და მხოლოდ მისი იგნორის შემთხვევაში გადავლენ მეორე, მესამე, მეოთხე და ყველაზე დამაინტრიგებელ მეხუთე მეთოდზე.**

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი, მოძრაობის დამფუძნებელი:**

**– თქვენ ხალხის წინაშე იღებთ პასუხისმგებლობას, რომ პრობლემებს მოუგვარებთ, თავად ვისგან იღებთ გარანტიას, რომ ამას მართლაც შეძლებთ? მაგალითად, გუბაზ სანიკიძე პარლამენტის წინ მოშიმშილე ადამიანებს თავს არიდებს და კონკრეტულ პრობლემებზე არ ესაუბრება...**

– მოდით, ასე ვთქვათ, გუბაზ სანიკიძე თავს არიდებს პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს, მაგრამ ის ხომ ვერ გაბედავს, რომ ჩვენ არ შეგვხვდეს?

**– დარწმუნებული ხართ, რომ თავს არ აგარიდებენ?**

– დარწმუნებული ვარ. მეტსაც გეტყვით, ამ მთავრობის ყველა წევრს გადასარევად ვიცნობ და ვიცი, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი. იმათაც იციან, რომ მე ეს ყველაფერი ვიცი. აქედან გამომდინარე, მათ გაუჭირდებათ თავის არიდება. შეიძლება ოთახში შემეპაროს, მაგრამ საბოლოოდ თავს ვერ ამარიდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წევრი არ ვარ, ხშირად ყოფილა ისე, რომ ჩვეულებრივი ადამიანის ბედი და პრობლემა გადამიწყვეტია, რადგან მაქვს საზოგადოებრივი მდგომარეობა.

**– რამდენად წამოვლენ სერიოზულ პრობლემებზე სასაუბროდ?..**

– მაგალითად, ავიღოთ იპოთეკარების საკითხი. რა თქმა უნდა, არსებობს ზოგიერთი საკითხი, რომელიც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება გაიჭიმოს, ან არ გადაწყდეს. თუ აგვიხსნიან კანონიერად, რატომ არ გამოდის, ან რატომ იწელება მისი მოგვარება, რასაკვირველია, გავიგებთ. ჩვენ გიჟები კი არ ვართ.

**– მასე უკვე ახსნილი აქვთ, რომ არ გამოდის გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, რადგან ეს ბიუჯეტს მთლიანად დაანგრევს...**

– არ არის ასე. იპოთეკარების შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლების უზენაეს პირებს უკავიათ ბანკის მხარე. აქ საკითხი უნდა გადაწყვიტო იმის მიხედვით, როგორ უფრო უკეთესია ეს ქვეყნისთვის. სახელმწიფოსთვის რომელი გადაწყვეტილება სჯობია – თუნდაც 50 ადამიანი დარჩეს ქუჩაში თუ ბანკები შევიწროვდნენ ოდნავ? გადაწყვეტილების მიღება სწორედ ამ მეთოდით უნდა მოხდეს. შევეხოთ მეორე პრობლემას – ნარკომანიას. თუ ჩვენ გვექნება კონკრეტული ფაქტი, რომელსაც ხელისუფლებას მივაწვდით და ვეტყვით, მაგალითად, გორში კონკრეტული პიროვნება ავრცელებს ნარკოტიკებს და ასეთ შემთხვევაში შესაბამისი უწყებები არ იმოქმედებენ საჭიროებისამებრ, მაშინ ის მოექცევა საზოგადოებრივი მონიტორინგის ძლიერი პრესინგის ქვეშ. თუ კიდევ არ იქნება მოქმედება მათი მხრიდან, ამის შემდეგ მე უკვე ვიტყვი, რომ ესა და ეს კონკრეტული უწყება ნაბიჯს არ დგამს პრობლემის აღმოსაფხვრელად.

**– ანუ ვადებსაც დაუწესებთ ხელისუფლებას?**

– რა თქმა უნდა. ეს იქნება ცივილიზებული დიალოგი, ეს იქნება ზეწოლის კულტურული ფორმა. ევროპაში საკმაოდ მიღებული ფორმაა საზოგადოების მხრიდან მუდმივი პრესინგი მთავრობაზე. რის მიღწევასაც ახლა, ვთქვათ, დამოუკიდებლად ცდილობენ იპოთეკარები, ეს კონტრპროდუქტიულია, რადგან მათ ან აიგნორებენ, ან აშინებენ, ან შლიან. ჩვენი დახლეჩა ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება. მე არ ვამბობ, რომ ყველა პრობლემას მოვაგვარებ, მაგრამ პრობლემების კომპლექსურად მოგვარების დაწყება უფრო შედეგის მომტანია. რაც მთავარია, როცა ხელისუფლება გრძნობს საზოგადოების პრესინგს, ბევრად უფრო კონცენტრირებული ხდება. დღეს ხელისუფლებაში პასუხისმგებლობა არავის არ აქვს, ეს პასუხისმგებლობა თუ არ არსებობს, მაშინ მიზანმიმართულად უნდა აჰკიდო.

**– არ ფიქრობთ, რომ ამის გამო პრობლემები არ შეგექმნებათ?**

– რა თქმა უნდა, შეგვექმნება. ჩვენ შეგნებულად მივდივართ ამ გზაზე. მე რომ არ ვიცოდე, რომ ქვეყანა თავზე გვექცევა, ჩემს საქმეს მივხედავდი. მე, როგორც უსაფრთ- ხოების სპეციალისტი, ვხედავ, რომ ბევრი საკითხი გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს.

**– თქვენ ქმნით დაახლოებით ისეთ ორგანიზაციას, როგორსაც თავად პრემიერი აპირებს, სათავეში ჩაუდგეს...**

– პრემიერი ამბობს, რომ სათავეში ჩაუდგება საზოგადოებას და გააკონტროლებს მთავრობას. კი ბატონო, გააკონტროლოს. ჩვენი ამოცანა, მთავრობის გაკონტროლების გარდა, არის კიდევ პრესინგი მათზე, რომ ვაიძულოთ და დაპირებები შევასრულებინოთ.

**– პრესინგი რაში გამოიხატება?**

– პრესინგი გამოიხატება, პირველ რიგში, პირადი ურთიერთობის თვალსაზრისით პრობლემის შეხსენებაში. ჩვენ, მაგალითად, დეპუტატებს შევახსენებთ საკუთარ მოვალეობებს. თუ ისინი მაინც აარიდებენ თავს, შემდეგ უკვე დავიწყებთ მათ დისკრედიტაციას. დისკრედიტაციის ფორმა არის ძალიან მარტივი. მაგალითისთვის ზვიად ძიძიგურს მოვიყვან. მან თავისი პარტია შეავსო იმ ბანდიტებით, რომლებმაც არჩევნები გააყალბეს გარდაბანში, აწამებდნენ ხალხს წლების განმავლობაში. მე ამას აქამდე პირადად ვეუბნებოდი, ახლა კი ღიად ვსაუბრობ ამაზე. სწორედ ეს არის გამოაშკარავების ფორმა და ასეთ მეთოდებს მივმართავთ შემდგომშიც. უფრო მეტს ვიტყვი, კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს, ზვიად ძიძიგურმა საოლქოში თავისი პარტიის წარმომადგენლად დანიშნა გიორგი სინჯიკაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მთავარი ზონდერი იყო „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

**– ანუ ერთ-ერთი ფორმა, ძიძიგურის მსგავსად, პოლიტიკოსის დისკრედიტაციაა, ეს გასაგებია. სხვა რა მეთოდებს მიმართავთ?**

– მეორე ფორმა იქნება სამართლებრივი, მესამე – კანონით განსაზღვრული მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ უფლებები. ყველაზე საინტერესო მეხუთე მეთოდია რომელსაც ამჯერად არ ვიტყვი. მეხუთე ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ჩვენი ნოუჰაუ იქნება. არსებობს კულუარული ტიპის მოქმედებები, რომლითაც ადამიანის გონზე მოყვანა თავისუფლად შეიძლება, არავითარი ფიზიკური ზემოქმედება. ეს განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ისეთ ადამიანებზე, როგორებიც არიან შენ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი მანდატიანი დეპუტატები თუ მთავრობის წევრები.

ორგანიზატორებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის წევრები შეგროვდებიან „სამოქალაქო სოლიდარობაში“. მთავარი მათი სამოქმედო გეგმაა, რომელიც უკვე შემუშავებულია. პრინციპში, ხელისუფლებას ასარჩევად აქვს: დიალოგზე თუ უარს იტყვიან, მათი დისკრედიტაცია დაიწყება. თუ არც ამაზე ექნებათ რეაგირება, შემდეგი ნაბიჯი მიტინგები იქნება, თუ ამასაც დააიგნორებენ, ყველაზე საინტერესო სწორედ მაშინ გახდება. გეგმასთან ერთად არეშიძე-კორკოტაშვილი მთავრობას კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტულ მეთოდებს შესთავაზებს. მათთან ერთად არის კუს ტბის ყოფილი მეპატრონე, ბესო ხარძიანი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა საპყრობილიდან. ის წართმეული ქონების პრობლემურ ჯგუფში გაერთიანდება და სწორედ ამ მიმართულებას დააკვირდება, როგორც ერთ-ერთი დაზარალებული.

**ბესო ხარძიანი, კუს ტბის ყოფილი მეპატრონე:**

– მე ციხეში ვიჯექი და ჩემს ოჯახს 10 მილიონის ქონება 100 ათასად გადააფორმებინეს. ბუნებრივია, საქმე აღვძარი და ყველაფერი კარგად მიდიოდა წულუკიანის უწყებაში, თუმცა როდესაც ლაშა ნაცვლიშვილმა აიღო თავის თავზე, ჩემი საქმე თაროზე შემოდეს, როგორც დანარჩენი 20 ათასი საქმე.

მამუკა არეშიძე

**მამუკა არეშიძე: „პრესინგი გამოიხატება, პირველ რიგში, პირადი ურთიერთობის თვალსაზრისით პრობლემის შეხსენებაში. ჩვენ, მაგალითად, დეპუტატებს შევახსენებთ საკუთარ მოვალეობებს, თუ ისინი მაინც აარიდებენ თავს, შემდეგ უკვე დავიწყებთ მათ დისკრედიტაციას“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ...რს გააკეთებს, მაშინ ჩვენ ვაღიარებთ, რომ არჩევანში შევცდით“

# „თუ იგნორი გაკეთდება, ამის შემდეგ ჩვენი სიმართლის დასაცავად ყველაფერს ვიღონებთ... დარნმუნებული ვარ, უეჭველად გავიმარჯვებთ...“

EXCLUSIVE

ხარძიანის განცხადებით, წართმეულ ქონებაზე საუბრისას ხელისუფლებას აუცილებლად შესთავაზებენ კრიზისების მართვის ჯგუფის მოწვევას. სწორედ ამ უწყებასთან ერთად სურთ გეგმის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც წართმეული ქონების დაბრუნებას ეხება. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ პირველ რიგში სწორედ ქვეყნის ბიუჯეტს გაითვალისწინებენ და მისი დანგრევის ხარჯზე არავის სასარგებლოდ არ იმოქმედებენ.

ბესო ხარძიანი

**გია კორკოტაშვილი, მოძრაობის დამფუძნებელი:**

– ჩვენ, როგორც ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანები, დავიწყებთ ხელისუფლებასთან დიალოგით, დიალოგით მათთან, ვინც არ ასრულებს თავის დანაპირებს. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მანდატით მოსულ ხალს ისევ ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ. არ აქვს მნიშვნელობა, რა ინსტანციით დავიწყებთ, საბოლოოდ მაინც მივაღწევთ მაღალ ინსტანციას. თუ იგნორი გაკეთდება, ამის შემდეგ ჩვენი სიმართლის დასაცავად ყველაფერს ვიღონებთ. ჩვენ არ მივატოვებთ არც ერთ ადამიანს, რომელიც სამოქალაქო სოლიდარობაში გაერთიანდება. პირველივე შემთხვევიდან ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ ნებისმიერი ადამიანის გულისტკივილი ჩვენი გულისტკივილიცაა და ბოლომდე გავყვებით. რასაც სიტუაცია მოითხოვს, ყველაფერს გავაკეთებთ.

– დიალოგი – ეს ნაცადი ხერხია, მაგრამ, როგორც წესი, უშედეგოდ სრულდება ხოლმე, რა განსხვავებული გეგმები გაქვთ თქვენ?

– ჩვენ არ ვართ ზღაპრის გმირები, ჩვენ ვართ კონკრეტული ადამიანები, კონკრეტული წარსულითა და კონკრეტული ცხოვრების წესით. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ის ადამიანები, ვისთან შეგვიძლია მივიდეთ ხელისუფლებაში.

**– ვისთან მიხვალთ?**

– ახლა არ არის საჭირო კონკრეტული გვარების დასახელება. პრობლემებიდან გამომდინარე, მივალთ ხელისუფლების კონკრეტულ წევრთან და მოვთხოვთ პრობლემის გადაჭრას. ისინი ხელისუფლების აღმშენებლობაში ზუსტად იმ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, რომელიც საჭირო იქნება.

**– ამის საჭიროება აქამდე არ იყო თერთმეტი თვის განმავლობაში?..**

– იმ იერარქიაში, როცა ზევით ზიხარ, ისეთი აჯაფსანდალია, რომ შეიძლება რეალურად საჭირო თემამდე ვერც მიხვიდე. თერთმეტი თვე სწორედ ამის გარკვევას დასჭირდა. ჩვენ გავაკეთებთ დამაჩქარებლებს იმისთვის, რომ ეს პროცესი დაიძრას და ყველაფერი პრიორიტეტების მიხედვით გადაეწყოს.

**– ეს დამაჩქარებლები რა იქნება?**

– ჩვენ გვექნება ურთიერთობები ხელისუფლებაში იმ ადამიანებთან, რომლებიც სასწრაფო წესით გადაწყვეტენ საკითხებს, პრიორიტეტების მიხედვით. ჩვენ დღეს სწორედ ამიტომ ვერთიანდებით, სწორედ ამიტომ ვიწყებთ საზოგადოების ჯგუფებად გაერთიანებას, რომ მოხდეს პრობლემების ჯგუფებად გადანაწილება. ამაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი ქმედებები. ეს გზა უფრო ადვილია, საზოგადოება დაჯგუფდება პრობლემების ირგვლივ. ჩვენ არ გვინდა და არ გვინდოდა ლიდერობა, თერთმეტი თვე ველოდებოდით შედეგს, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ, ამიტომ ახლა ვიწყებთ და ღვთის წყალობით სიმართლით ვივლით. ვიცი, რომ უეჭველად გავიმარჯვებთ, რადგან დღევანდელობაში ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც არ აქვს სამართლიანობის განცდა.

**– ვის დააკისრებთ პასუხისმგებლობას ხელისუფლებაში, მით უფრო მას შემდეგ, როცა პრემიერი პოსტიდან გადადგება?**

– თუ ის ადამიანები, ვინც სათავეში არიან და მიიჩნევენ, რომ ათასობით ქონებაჩამორთმეულ ადამიანს საკუთრება არ უნდა დაუბრუნდეს, მეტიც, ამისთვის ათას ხრიკს იგონებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩვენიანები არ არიან. ჩვენი მანდატით ხელისუფლებაში მოსულმა ადამიანმა ჩვენს საწინააღმდეგო ქმედებაში ხელი მოითბოს – ჩვენთვის მიუღებელი იქნება. ჩვენ ხელისუფლებაში გვინდა ის ადამიანები, ვინც სამართალს აღადგენენ. ოღონდ ეს მოთხოვნა იქნება მას შემდეგ, როცა დიალოგის ყველა მცდელობა ამოიწურება. თუ ხელისუფლება ჩვენი ინიციატივის იგნორს გააკეთებს, მაშინ ჩვენ ვაღიარებთ, რომ არჩევანში შევცდით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან პირველი: „დიდ მადლობას ვუხდი

# „იუსტიციის სამინისტრომ „მრეწველთა პარტიის“ წევრებს ჩემთან პასპორტი გამოატანა, რომელსაც ახლავს წერილი“

თამარ გორთამაშვილი

**ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ლევან პირველი საქართველოში ბრუნდება. პოლიტიკურ საქმიანობას ის „მრეწველთა პარტიაში“ გააგრძელებს, საკუთარი გეგმების შესახებ პირველ განცხადებას ლევან პირველი დაბრუნებისთანავე „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთებს, მანამდე კი „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს მადლობას უხდის მისი საქმის გარკვევისთვის.**

**ლევან პირველი:**

– მე პრობლემა საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით არ შემქმნია, გარდა იმისა, რომ ქართული პასპორტი არ მქონდა. ეს პრობლემაც გადაიჭრა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იუსტიციის მინისტრს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამომიგზავნა პასპორტი.

**– რატომ შეიქმნა ეს პრობლემა?**

– მე პრობლემა არ მქონდა, პრობლემა ჰქონდა იუსტიციის მინისტრს, რაც მდგომარეობს შემდეგში – ჯერ უნდა გაერკვე სიტუაციაში და მერე უნდა გააკეთო განცხადება. როცა ასე იქცევა ადამიანი, მაშინ პრობლემაც არ აქვს. როგორც ჩანს, თეა წულუკიანი გაერკვა სიტუაციაში. იუსტიციის სამინისტრომ „მრეწველთა პარტიის“ წევრებს ჩემთან პასპორტი გამოატანა, რომელსაც ახლავს წერილი. დიდ მადლობას ვუხდი თეა წულუკიანს, რომ სიტუაციაში გაერკვა.

**– რაც შეეხება თქვენს გეგმებს, რას აპირებთ საქართველოში დაბრუნების შემდეგ?**

– ჩემს სამომავლო გეგმებს, საქართველოში დაბრუნებისთანავე, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში, მედიასთან შეხვედრის დროს გავაჟღერებ. მანამდე კი გეტყვით, რომ, რა თქმა უნდა, ვაპირებ სერიოზულ პოლიტიკურ საქმიანობას.

**– რომელ პოლიტიკურ გუნდში?**

– მე „მრეწველთა პარტიის“ წევრი ვარ, ჩემი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ აქ, ევროპაში, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ დაბრუნებისთანავე ჩავერთვები პოლიტიკურ საქმიანობაში.

**– თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოსალოდნელია თქვენი გააქტიურება?**

– განსხვავება პოლიტიკურ მოღვაწესა და პოლიტიკოსს შორის იცით, რა არის? პოლიტიკური მოღვაწე ფიქრობს ქვეყნის ბედზე, პოლიტიკოსი კი ფიქრობს უახლოეს არჩევნებზე. ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო ღრმა მიზანი გვაქვს, არჩევნები არ არის თვითმიზანი. საუბედუროდ, საქართველოში მთელი პოლიტიკა ამ ჭრილში მიდის, მხოლოდ არჩევნების პერიოდში ხდება გააქტიურება, თითქოს არჩევნებია თვითმიზანი. არადა ასე არ უნდა იყოს. არჩევნები არ არის თვითმიზანი, ჩვენი მიზანია იმ პოლიტიკურ სივრცეში ყოფნა, რომელიც ქვეყანას გამოადგება, ამიტომ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები და მიმართულებები გვაქვს, ვიდრე სხვა პოლიტიკურ ძალებს.

**– როგორც თავად აანონსებდით, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მესამე ძალა გამოჩნდება? თქვენ იქნებით ეს მესამე ძალა?**

– რთულია მაგის თქმა, სურვილი, რა თქმა უნდა, არის, ჩემი იდეოლოგია არის ჩემი პარტიის პოლიტიკური იდეოლოგია. შეიძლება ვიღაცისთვის ძალიან რადიკალურები არ იყვნენ მრეწველები და ამას მინუსადაც უთვლიდნენ, მაგრამ მე კითხვას დავსვამ, ვინც რადიკალური იყო, იმან რა გააკეთა?

**– ბურჯანაძეს გულისხმობთ?**

– დიახ. რა გააკეთა ბურჯანაძემ? – რეალურად ქვეყანაში ვითარება შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა, არავითარმა რადიკალიზმმა და ხმამაღლა ყვირილმა შედეგი არ მოიტანა. მრეწველები რეალურად რადიკალური პარტიაა, ამდენი წლის განმავლობაში მრეწველების პოზიცია ურყევი და ერთიანია. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველო არ უნდა იყოს ნატოს წევრი. ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთი პარტია არ იდგა ასეთ მკვეთრ კონკრეტულ განსხვავებულ პოზიციაზე. ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში გადაბარგდებოდნენ და გამობარგდებოდნენ იდეოლოგიურად, ეს იყო მათი გაკეთებული საქმე...

**– მოსალოდნელია, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მრეწველები გამოეყონ?**

– არა მგონია. თეორიული შანსიც კი ძალიან მინიმალურია, რომ მრეველები კოალიციას გამოეყონ. უფრო სხვები შეიძლება გამოაკლდნენ და არა მრეწველები.

**– ვის გულისხმობთ სხვებში?**

– არ მინდა ზუსტად სახელებისა და გვარების დასახელება, მაგრამ ეს არის ის, ვინც იდეოლოგიურად იგივე პლატფორმაზე დგას, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“. ხაზს ვუსვამ, ისინი, ვინც ძალიან ლიბერალური პარტიები არიან, ძალიან ლიბერალურ ფასეულობებზე დგანან და უფრო ახლოს არიან საკაშვილის ძალიან ლიბერალურ ეროვნულ მოძრაობასთან.

**– მათ შორის რესპუბლიკელებსაც გულისხმობთ?**

– არ მინდა კონკრეტულად დავასახელო. სხვა პარტიებშიც დგას ზოგიერთი ამ ლიბერალურ პოზიციებზე. ვფიქრობ, ჩამოყალიბდება მკვეთრად ლიბერალური ჯგუფი, კონსერვატიული, პატრიოტული, ასევე სხვაც და აღარ იქნება კონიუნქტურით დაპყრობილი პარტიები.

**– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემას როგორ უყურებთ?**

– კიდევ ერთხელ ვიტყვი, იმისთვის მოვდივარ, რომ გავერკვე რეალურ პოლიტიკაში, რა ხდება რეალურად საქართველოში, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რატომ შეიძლება იყოს ეს კარგი. „ნაციონალური მოძრაობა“ უმცირესობაშია, მაგრამ მიმაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო უმცირესობაში. ასე თუ ისე, ოქტომბრის არჩევნებზე მათ მაინც გამოიყენეს ადმინისტრაციული რესურსი, ამიტომ დღევანდელი პარლამენტი რეალურად არ ასახავს იმ პროპორციას, რა პროპორციაც არის ქვეყანაში, საზოგადოებაში. სააკაშვილისტები უფრო ნაკლები არიან, ვიდრე ისინი პარლამენტში არიან წარმოდგენილნი. პლუს ამას, გარკვეული ძალები პარლამენტის გარეთ არიან დარჩენილნი, ამიტომ მიმაჩნია, ისეთი ცვლილებების შემდეგ, რაც ქვეყანაში მოხდა, ვადამდელი არჩევნები უფრო სამართლიანად გაანაწილებს პოლიტიკურ სივრცეს, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნები სამართლიანი იქნება.

**– რას გვეტყვით ევრაზიულ კავშირში საქართველოს შესაძლო გაწევრიანებაზე?**

– როცა ქვეყნის გეოპოლიტიკურ რუკაზე რაღაცებს ანგარიშობ, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, ეს არის წესი და აქსიომა. არ ვარგა არც ერთი ქვეყნის მეთაური,

> **თეორიული შანსიც კი ძალიან მინიმალურია, რომ მრეწველები კოალიციას გამოეყონ. უფრო სხვები შეიძლება გამოაკლდნენ და არა მრეწველები**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თეა წულუკიანს, რომ სიტუაციაში გაერკვა“

„რა თქმა უნდა, ვაპირებ სერიოზულ პოლიტიკურ საქმიანობას“

„გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ყველამ უნდა ვთქვათ, მე არავის დამცირება არ მინდა, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ გავაკეთეთ ის, რაც ამ კაცმა სააკაშვილის ხელისუფლებას „შეუსრულა“

## ლევან პირველი საქართველოში ბრუნდება

# EXCLUSIVE

რომელიც ალტერნატივის გარეშე რაღაცას გამორიცხავს. ყველაფერი დასათვლელია. ამისთვის არსებობს როგორც გეოპოლიტიკური რისკები, ასევე სამხედრო და რელიგიური რისკები. ეს ყველაფერი ექვემდებარება გათვლას. ამიტომ ყველა ვარიანტი უნდა გაითვალოს. სწორედ ასე უნდა უდგებოდეს ყველა თავის სახელმწიფოს. ამ დათვლის შემდეგ უნდა იყოს გამოტანილი საჯაროდ ის მიმართულება, რა მიმართულებითაც ქვეყანა უნდა წავიდეს. გეოპოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მტერი და მუდმივი მეგობარი, ამიტომ ასეთი ეტიკეტების მიკვრა ნაციისთვის არის ან აბსოლუტური არაპროფესიონალიზმი პოლიტიკაში, ან უცხო ქვეყნების გავლენა, ვგულისხმობ აგენტურის თემას. ვინც ფიქრობს თავის ქვეყანაზე, ამ ყველაფერს წინასწარ, კარგად ითვლის. როცა პრიორიტეტია შენი ქვეყანა, გინდა რუსეთი, გინდა ამერიკა, თურქეთიც დღეს გაგვიხდა უფროსი ძმა, არა მათი ინტერესები, არამედ არითმეტიკულად გათვლილი შენი ინტერესები უნდა იდგეს ყველაზე მაღლა.

**– როგორ აფასებთ პრემიერის განცხადებას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ?**

– ამ შემთხვევაში, ორმაგი გრძნობა მაქვს. ერთ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, როცა პოლიტიკური სიტუაცია დაღვინებული არ არის, ვფიქრობ, უნდა მოეცადა. მაგრამ არის მეორე საკითხიც, რომელიც, ალბათ, უფრო პირადულია. ეს ისეთი მაგალითია, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეიძლება გამოადგეს. გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ყველამ უნდა ვთქვათ, მე არავის დამცირება არ მინდა, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ გავაკეთეთ ის, რაც ამ კაცმა სააკაშვილის ხელისუფლებას „შეუსრულა“. ისტორიულად ეს მისია უკვე იმხელაა, რომ უფლება აქვს, თქვას: მე ჩემი წვლილი შევიტანე ამ ქვეყნისთვის და მივდივარო. ზოგი 10 წელი ყოფილა პოლიტიკაში და მსგავსი ვერაფერი გააკეთა, ზოგი დღე და ღამე ბარიკადებზე იდგა და დროშებს იქნევდა, მაინც ვერაფერს გახდა. ზოგიერთმა უამრავი სისულელე ჩაიდინა, ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში დარბოდა მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი და მაინც ვერ დადგა შედეგი. ამიტომ ვამბობ – ორი ვარიანტია, ალბათ, აქვს ამის უფლება, მაგრამ დაღვინებული როცა არ არის პოლიტიკური სიტუაცია, ნაადრევია.

**– ამან შეიძლება შეუშალოს ხელი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვებაში?**

– საქართველო ისეთი საინტერესო ქვეყანაა, რომ ვერ გაიგებ, შეუშლის თუ დაეხმარება. რაც შეეხება მარგველაშვილს, სააკაშვილის რეჟიმს სწორედ მისმა გუნდმა „შეუსრულა“ ყველაფერი, ამიტომ გამარჯვების ღირსია ის კანდიდატი, რომელსაც ეს გუნდი დააყენებს. დღეს ქართველმა ერმა ხმა იმას კი არ უნდა მისცეს, ვინც ბევრს ლაპარაკობს, არამედ იმას, ვინც ეს შეუსრულებელი მისია შეასრულა. იმედი მაქვს, რომ მარგველაშვილს ხალხი დაუფასებს ამას. ახლა ამბობენ, დაპირებები არ შესრულდაო, სააკაშვილს უთმენდნენ 10 წელი და ამათ ჯერ წელიწადი არ შესრულებიათ.

**– სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აქციები ანონსდება, თქვენ როგორ ფიქრობთ, აღდგა სამართლიანობა?**

– სამართლიანობის აღდგენას ხელს უშლის დასავლეთი, ეს ვიცით ყველამ. დასავლეთი ყოველთვის სამართლიანობის წინააღმდეგია, როცა საქმე ეხება ჩვენნაირ ქვეყნებს. თავის ქვეყანაში უყვართ სამართლიანობა და ჩვენთან – არა. სამართლიანობა დასავლეთს არ აინტერესებს ჩვენთან და ჩვენნაირ ქვეყნებში. უპირობოა, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს, გამორიცხულია, რომ ასე არ მოხდეს. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მუდმივად უსამართლო ქვეყანას მივიღებთ. სამართლიანობას აღადგენს ის, ვინც ნაკლებად გაიხედავს უკან, დასავლეთის კომისრებთან, რომლებიც ჩამოდიან და ხელს უშლიან სამართლიანობის აღდგენას. სამართლიანობას აღადგენს ის, ვისაც ეყოფა თავისი პიროვნული პოლიტიკური ნებისყოფა, არ უნდა იცეკვოს სხვის დაკრულზე.

**– თქვენი გააქტიურება ძირითადად საგარეო მიმართულებით იქნება?**

– არა, მე პირდაპირ გეტყვით. საგარეოც იქნება და შიდაც. ძირითადად საკუთარ თავზე ავიღებ „მრეწველთა პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის ჩამოყალიბებას, რაც აშკარად გვაკლია. რა თქმა უნდა, ეს არ არის გათვლილი არჩევნებისთვის და კონკრეტული თარიღებისთვის, ჩვენ უნდა შევქმნათ კლასიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური სუბორდინირებული პარტია.

**– ანუ მრეწველები გამოცოცხლდებიან...**

– ასეთი სტაბილური პოლიტიკური ხედვა და ასეთი სტაბილური ხალხი, რომელიც ამ პარტიაშია თავმოყრილი, სხვაგან არ მინახავს, იმიტომ არ ვამბობ, რომ მე ვარ ამ პარტიაში. ამ ათმა წელიწადმა დაგვანახა, რომ მათ არ შეუცვლიათ არც გუნდი, არც იდეოლოგია, ამაში აბსოლუტურად ერთნაირები ვართ. ვიღაცა რომ ამბობს, მრეწველები რადიკალურები არ იყვნენო, ვინც იყო, იმან რა გააკეთა? პარტია ასეთი უნდა იყოს და არა ისეთი, როგორებსაც ვუყურებთ, ვინ ვის გამოეყოფა და სად გადაბარგდება, არავინ იცის. ეს არ არის პოლიტიკა. პოლიტიკა არის – იდეოლოგია, სტაბილურობა, გამოცდილი ერთიანი პლატფორმა. ერთადერთი საჭიროება, რაც მრეწველებს აქვთ, ეს არის პარტიის გაახალგაზრდავება და ქვეყნის მომავალ ბედზე გათვლილი ახალგაზრდული შტოს ჩამოყალიბება.

## „ჩემს სამომავლო გეგმებს, საქართველოში დაბრუნებისთანავე, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში, მედიასთან შეხვედრის დროს გავაჟღერებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ მეტს ხარჯავს „ღრეობაში“

# ვის ეკუთვნის პრემიერის საყვედური

## მურმან დუმბაძე: „ვფიქრობ, ის თანხა, რაც დაიხარჯა, საკმარისი არ იყო, უფრო მეტიც უნდა გამოიყოს ხოლმე „ბათუმობისთვის“

## „პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს... არაფერი ზედმეტი არ დახარჯულა“

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**პრემიერი საკუთარი გუნდით უკმაყოფილია. ოღონდ ამჯერად საკითხი არც შეუსრულებელ დაპირებებს ეხება და არც მთავრობის შენელებული ტემპით მუშაობას. ამჯერად პრობლემა ფინანსური მხარე გახდა. ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში გამოქვეყნდა ინფორმაცია და ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ქართველი მინისტრები მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით ისედაც ყველაზე მაღალანაზღაურებადები არიან. როგორც ირკვევა, ეს არ არის საქართველოს ბიუჯეტის ყველაზე დიდი გასავალი. პრემიერი სხვადასხვა სამინისტროებში ღონისძიებებზე სიარულის დროს, გარდა მინისტრების მუშაობისა, სხვა დეტალებსაც აქცევდა ყურადღებას და აღმოაჩინა, რომ სამინისტროს სუფრებზე საკმაოდ კოლოსალური თანხები იხარჯებოდა. ივანიშვილმა თავადვე აღიარა, რომ ამ საკითხზე საუბარი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ სურდა, თუმცა თავს იკავებდა...**

**ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

– სხვადასხვა სამინისტროში ბევრ პრეზენტაციას დავესწარი და ვნახე, რომ სუფრებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ამაზე ხმამაღლა უკმაყოფილება აქამდე არ გამომითქვამს. ეს დღევანდელი რეალობისთვის შესატყვისი არ არის. ყველა სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, რა დღესასწაულია, ამხელა თანხები არ უნდა დახარჯოს. არ შეიძლება დღესასწაული აუცილებლად ღრეობად გადაიქცეს. სუფრების საკითხი ამოსაწევია და აქ გვინდა ჩვენ ჩვენი კულტურა დავხვეწოთ.

ეს საუბარი კი „ბათუმობის“ თემამ წამოსწია. პრემიერმა თავისი აზრი სწორედ ბათუმში დახარჯულ 260 ათას ლარს მოაყოლა. აჭარაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან სწორედ 260 ათასი ლარი გამოიყო დღესასწაულის აღსანიშნავად. მართალია, ზღვისპირა ქალაქში 51 ღონისძიება იყო დაგეგმილი, თუმცა მათი უმრავლესობა წვიმის გამო საბოლოოდ მაინც ვერ შედგა. საკმაოდ კოლოსალური თანხის ნაწილი უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების მომსახურებაზეც გაიწერა, თუმცა აღმოჩნდა, რომ აქედან მხოლოდ 30 ათასი ლარი რამდენიმე ვახშამზე დაიხარჯა, ხოლო მოპატიჟებული სტუმრების სასტუმროებში განთავსებისთვის – 50 ათას ლარამდე...

ბიძინა ივანიშვილი აღნიშნული დეტალებითაც დაინტერესდა და განაცხადა, რომ პასუხი ბევრ კითხვას უნდა გაეცეს.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– თუ აღნიშნული ფესტივალის საორგანიზაციო სამუშაოებისას თანხების ხარჯვის პროცესში რაიმე სახის გადაცდომა მოხდა, ამის გამო ჩრდილი არც მთლიანად საქართველოს მთავრობას და არც აჭარის ავტონომიური მთავრობის ხელმძღვანელობას არ უნდა მიადგეს, რადგან შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში რომელიმე რიგითი თანამშრომლის მიერ ჩადენილ გადაცდომას ჰქონდა ადგილი.

აჭარის უმაღლესი საბჭო კითხვებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მერიასთან ამისამართებს. ისინი აცხადებენ, რომ საკუთარ ხარჯებს დეტალურად უთანხმებენ ფინანსთა სამინისტროს და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედებენ. რაც შეეხება „ბათუმობასა“ და მერიას, ისინი უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს. ბათუმის მაჟორიტარი მურმან დუმბაძე მიიჩნევს, რომ ქალაქობისთვის გაწეული ხარჯი არათუ ბევრი, არამედ საკმარისიც კი არ იყო და მისი მოსაზრებითვე მომავალი წლისთვის ის კიდევ უნდა გაიზარდოს.

**მურმან დუმბაძე:**

– მე ჩართული ვიყავი ამ საკითხში და ყველა დეტალს კარგად ვიცნობ. აჭარის ბიუჯეტი 200 მილიონია და აქედან 260 ათასი ნამდვილად უნდა დახარჯულიყო „ბათუმობისთვის“. ეს კარგი და მნიშვნელოვანი ტრადიციაა, რომელიც არ უნდა გაუქმდეს. ქალაქმა ამ დღეს ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღო. რაც გაკეთდა, ის აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო, ჩვენ ამ დღეს უამრავი უცხოელი სტუმარი მივიღეთ. პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს, ეს ხარჯები მუნიციპალიტეტმა გაიღო და არა მთავრობამ, ყველაფერი კანონით იყო გაწერილი და არაფერი ზედმეტი არ დახარჯულა. რაც შეეხება ვახშამს, ქართველების ტრადიცია არის სადღეგრძელო, პურმარილი და სტუმართმოყვარეობა. ღმერთმა ნუ ქნას, ეს შეგვეშალოს. მე მხოლოდ ათი წუთით დავესწარი სუფრას და შემიძლია გითხრათ, რომ იქ ბევრი მნიშვნელოვანი სტუმარი იმყოფებოდა.

**– ფიქრობთ, რომ პრემიერის შენიშვნა სწორი არ იყო?**

– პრემიერს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს 260 ათასი მხოლოდ ვახშამი დაჯდა. ეს არ არის სწორი. მთლიანად ყველა ღონისძიება დაჯდა 260 ათასი და სწორედ ამ თანხაში შედიოდა ვახშამიც. ვფიქრობ, ის თანხა, რაც დაიხარჯა, საკმარისი არ იყო, უფრო მეტიც უნდა გამოიყოს ხოლმე, რადგან „ბათუმობა“ ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვანო მერაბიშვილი სამკურნალოდ ქვეყნიდან გაჰყავთ?

# ოთხთვიანი პატიმრობის პერიოდში ექსპრემიერმა 22 კილოგრამი დაიკლო

„სექტემბრის ბოლოს ევროპარლამენტში ვილდაშვილი ბადრაგირებას ჩვეულებრივ ექვემდებარება. რომ დაუშვიან, ვანო მერაბიშვილს“

**EXCLUSIVE**

მირიან ბოქოლიშვილი

**პატიმრობაში მყოფ უკრაინის ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში სამკურნალოდ გერმანიაში გადაიყვანენ. ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო პერიოდში იმდენად დამძიმდა, რომ უკრაინის რადაში იმ კანონის შეცვლაც კი დადგა დღის წესრიგში, რომელიც პატიმრობაში მყოფი პირის საზღვარგარეთ გაყვანას კრძალავს. გავრცელებული ინფორმაციით, ამავე მიზეზით მალე უცხოეთში გაამგზავრებენ საქართველოს ყოფილ პრემიერსაც. როგორც ცნობილია, ბოლო ხანს ვანო მერაბიშვილის მდგომარეობაც საკმაოდ გართულდა. ოჯახის ექიმის თქმით, მან ოთხთვიანი პატიმრობის პერიოდში 22 კილოგრამი დაიკლო. რას უკავშირდება წონაში სწრაფი კლება? მედიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ექსპრემიერის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება საკმაოდ მძიმე დაავადებას უკავშირდებოდეს, მათ შორის განიხილება ავთვისებიანი სიმსივნე და ტუბერკულოზი. იმ შემთხვევაში, თუ ეს დიაგნოზი დადასტურდა, ვანო მერაბიშვილი შესაძლოა, სამკურნალოდ უცხოეთში გაიყვანონ.**

**გრიგოლ ხურციძე, მერაბიშვილის პირადი ექიმი:**

– დაახლოებით ერთი კვირის წინ დახმარებისთვის მომმართა ბატონი ვანოს ოჯახმა და მთხოვა, კონსულტაცია გამეწია. ჩემთან ერთად იმყოფებოდა კიდევ ორი ექიმი, მათ შორის დეპარტამენტის წარმომადგენელი. ჩვენ გავსინჯეთ პაციენტი ციხეში, შედგა კონსილიუმი და გამოიკვეთა რამდენიმე პათოლოგია. ერთ-ერთი მათგანი იყო იშვიათი ტიპის არითმია, მეორე – ხერხემლის პრობლემა და მესამე – წონაში საგრძნობი კლება. ლაბორატორიული გამოკვლევების დიდი ნაწილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ჩვენს მისვლამდე გაკეთდა და შეესაბამებოდა ნორმის ფარგლებს. ამ ეტაპზე პრობლემა რჩება ის გარემოება, რომ პაციენტმა დაახლოებით 22 კილოგრამი დაკარგა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის შემდეგ. თავიდანვე აღენიშნებოდა ხერხემლის ტკივილები, რომელიც გაუუარესდა. იმისთვის, რომ წონის მძიმე დაკარგვა ახსნილიყო, აუცილებელი გახლდათ დამატებითი გამოკვლევების ჩატარება. ამის უყურადღებოდ დატოვება და მხოლოდ იმის თქმა, რომ ეს, უბრალოდ, სქოლიოზითაა გამოწვეული, არ შეიძლება, რადგან გამორიცხული არ არის, სახეზე გვქონდეს სხვა სახის პათოლოგია.

**– კერძოდ, რა გამოკვლევები სჭირდება?**

– გასაკეთებელია მაგნიტორეზონანსული გამოკვლევა ხერხემლის, კისრის მალების. ამან უნდა გვაჩვენოს, რამდენად იშვიათ დაავადებასთან გვაქვს საქმე. თუკი ეს დადგინდა, არ არის გამორიცხული, საკმაოდ საშიშ დაავადებას ჰქონდეს ადგილი. 21-ე საუკუნეში ამის გამოკვლევა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. სულ 45-წუთიანი პროცედურაა. რაც შეეხება წონის ვარდნას, ამ კუთხით გასაკეთებელი იქნება კომპიუტერული ტომოგრაფია, ასევე, უნდა მოხდეს გამოკვლევა გულ-მკერდისა და მუცლის ღრუსი. თუ ტკივილები გამძაფრდა, ეს გამოკვლევები სასწრაფოდ უნდა ჩაუტარდეს.

**– და რა დაავადებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე? რა შეიძლება აჩვენოს გამოკვლევებმა?**

– ბატონ ვანოს ვკითხე, რამდენად შეიძლება გასაჯაროვდეს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ავიღე ნებართვა. მოგეხსენებათ, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. მისგან მივიღე თანხმობა, ამიტომ შემიძლია, გითხრათ, რომ დიფერენციალური დიაგნოზი საკმაოდ ფართოა, თუმცა, როდესაც გამოხატულია ასეთი მასშტაბური წონის კლება და ამას ერთვის ხერხემლის ტკივილები, პირველი, რაც მედიკოსებმა შეიძლება განვიხილოთ, ეს არის ქრონიკული ინფექცია, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ტუბერკულოზს. მოგეხსენებათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ეს დაავადება საკმაოდ მოდებულია. მეორე ვარიანტი არის სიმსივნური დაავადებები. ნუ, ასევე, გამოსარიცხია კუჭ-ნაწლავის პათოლოგიები. თუ სიმსივნურ პროცესთან გვაქვს საქმე, ამის დადგენა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და ეს ტომოგრაფიით გამოჩნდება, ამიტომ ეს გამოკვლევა აუცილებლადაა ჩასატარებელი.

როდის ჩაუტარდება ვანო მერაბიშვილს კომპიუტერული ტომოგრაფია და გახდება თუ არა საჭირო საზღვარგარეთ მისი ჰოსპიტალიზაცია? ექიმი გრიგოლ ხურციძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ იმ სახის სიმსივნური დაავადება დადასტურდა, რომლის ოპერაციაც საქართველოში არ ტარდება.

„გამორიცხული არაფერია. თუ იმ პათოლოგიის სიმსივნე დადგინდა, რომლის ოპერაცია საქართველოში არ ტარდება, ცხადია, ოჯახმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. ჯერ უნდა ჩატარდეს ტომოგრაფია და ზუსტად დადგინდეს, რას უკავშირდება წონაში სწრაფი კლება და ტკივილები“, – ამბობს გრიგოლ ხურციძე.

ვანო მერაბიშვილის საზღვარგარეთ შესაძლო გაყვანის შესახებ ინფორმაციას ფლობს ევროპაში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთში „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

**გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი:**

„ეს ვერსია მუშავდება საკაშვილის ლობისტებში. დაახლოებით იგივე სცენარია, რა სცენარითაც ვითარდება მოვლენები უკრაინაში ტიმოშენკოსთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ტიმოშენკოს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და მას მალე გაიყვანენ უცხოეთში. არსებობს კიდევ სხვა ვერსიები, მათ შორის აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ ევროკავშირის მხრიდან მოხდეს ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი. სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს ევროპარლამენტში პირდაპირ დადგება მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს ვანო მერაბიშვილი. „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან კარგად მუშაობს ამ მიმართულებით და შეიძლება ითქვას, რომ პიარკამპანიის კუთხით მათ 5-იანი ეკუთვნით, განსხვავებით „ქართული ოცნებისა“, რომელიც რეალური ინფორმაციის მიტანასაც კი ვერ ახერხებს პარტნიორებთან. მოგეხსენებათ, უკრაინის მთავრობამაც ვერ გაუძლო ევროპის ზეწოლას და რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს შეუძლია, სამკურნალოდ გერმანიაში წავიდეს. როგორც კი ევროპაში დგება საკითხი ტიმოშენკოს შესახებ, „სახალხო პარტია“ იმ წუთშივე აყენებს საკითხს, რომ უკრაინის ექსპრემიერთან ერთად განიხილონ ვანო მერაბიშვილის საკითხი და ერთიანი სტანდარტი გავრცელდეს ორივეზე. მოგეხსენებათ, „სახალხო პარტია“ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პარტიაა, მით უმეტეს, მათ ამ მოთხოვნაში მხარს უჭერს ლიბერალების გარკვეული ჯგუფი, მათ შორის ესტონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი კრისტინა ოულანდი. ის საკმაოდ გავლენიანი და პატივსაცემი პოლიტიკოსია ევროპაში და მისი ბევრს სჯერა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ამ წნეხმა შედეგი მართლაც გამოიღოს“.

ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს უსაფუძვლოს უწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტრო, სადაც განმარტავენ, რომ ყოფილი პრემიერი პრაქტიკულად ჯანმრთელია და ის არათუ საზღვარგარეთ გამგზავრებას საჭიროებს, არამედ ბადრაგირებასაც ჩვეულებრივ ექვემდებარება. სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, ირაკლი კორძაიას განცხადებით, მერაბიშვილს, რომელიც სასჯელაღსრულების #9 დაწესებულებაშია მოთავსებული, სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა.

„ამ გამოკვლევას ესწრებოდა მისი ნდობით აღჭურვილი ექიმი და ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, 4 დღის განმავლობაში მის ჯანმრთელობაში კარდინალური ცვლილებები უარესობისკენ არ მომხდარა. იმ ინფორმაციითა და დიაგნოზით, რაც მას სულ ცოტა ხნის წინ დაუდგინეს, ვანო მერაბიშვილი, ბადრაგირებას ექვემდებარება“, – განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

**ექიმი: „ბატონ ვანოსგან მივიღე თანხმობა ინფორმაციის გასაჯაროებაზე, ამიტომ შემიძლია, გითხრათ, რომ არ გამოვრიცხავთ როგორც ტუბერკულოზს, ასევე სიმსივნურ დაავადებას“**

გრიგოლ ხურციძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „წინა ხელისუფლება ქვეყანაში მძიმე დანაშ

**„არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული კვლევის რეალური სურათი მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანებს, ვინც დღეს კრიმინალის ზრდაზე საუბრობენ, სურთ, შეგნებულად დაძაბონ სიტუაცია“**






ნანა შონია

**ქვეყანაში დანაშაულის შესახებ რეალურ ინფორმაციას წინა ხელისუფლება ასაიდუ-ლოებდა. ამის შესახებ უფლებადამცველთა გაერთიანების მიერ წარმოდგენილ ანგარიშია საუბარი. ანგარიშში შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი 2009, 2010, 2011, 2012 და 2013 წლების ბოლო შვიდი თვის ოფიციალური მონაცემები და მედიამონიტორინგის შედეგებია შესული.**

**2009 წელი**

1. 726 ყაჩაღობა, გაშუქდა 111 ფაქტი; 2. 121 მკვლელობა, გაშუქდა 76 ფაქტი; 3. 58 გაუპატიურება, გაშუქდა 7 ფაქტი;

2009 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 21%-ს.

**2010 წელი**

1. ყაჩაღობა 375, გაშუქდა 49 ფაქტი; 2. მკვლელობა 180, გაშუქდა 66 ფაქტი; გაუპატიურება 65, გაშუქდა ერთი ფაქტი;

2010 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 18%-ს.

**2011 წელი**

1. ყაჩაღობა 259, გაშუქდა 35 ფაქტი; 2. მკვლელობა 108, გაშუქდა 74 ფაქტი; 3. გაუპატიურება 64. გაშუქდა 5 ფაქტი;

2011 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 26,4%-ს.

**2012 წელი**

1. ყაჩაღობა 331, გაშუქდა 39 ფაქტი; 2. მკვლელობა 115, გაშუქდა 54 ფაქტი; 3. გაუპატიურება 82, გაშუქდა 3 ფაქტი;

2012 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 18%-ს.

**2009-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულისა და ვებგვერდზე ამავე პერიოდში ნიუსის სახით განთავსებული ინფორმაციის თანაფარდობა :**

1. ყაჩაღობა 1711, გაშუქდა 77 ფაქტი;

2. მკვლელობა 524, გაშუქდა 121 ფაქტი;

3. გაუპატიურება 269, გაშუქდა 1 ფაქტი;

2009-2012 წლებში ვებგვერდ police.ge-ზე ნიუსის სახით განთავსდა შემთხვევათა მხოლოდ 7%.

**2013 წლის 7 თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისა და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობა:**

1. ყაჩაღობა 212, გაშუქდა 39 ფაქტი,

2. მკვლელობა 52, გაშუქდა 50 ფაქტი,

3. გაუპატიურება 38, გაშუქდა 7 ფაქტი.

2013 წელს 7 თვის განმავლობაში მედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 31,7%-ს შეადგენს, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2013 წლის 7 თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულიდან ვებგვერდ police.ge-ზე ნიუსის სახით განთავსდა შემთხვევათა 16,5%, შედარებისთვის 4 წლის განმავლობაში 2009-2012 წლებში ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 7%-ს, რაც შსს-ს მეტ გამჭვირვალობაზე მიუთითებს 2013 წლისთვის.

წინა წლებთან შედარებით ნაკლები დანაშაულის არსებობა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მიუთითებს იმაზე, რომ შსს-ს მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა, თანამშრომლების გადახალისებამ, ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ შედეგი გამოიღო. თან ამას ყველაფერს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ საქართველოს საპატიმროები ათასობით პატიმარმა დატოვა და თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო გამოცდილებას, როდესაც ამდენი პატიმარი ტოვებს საპატიმროს, რისკი იმისა, რომ დანაშაულები მოიმატებს, ძალზე მაღალია. მაგრამ შსს-ს მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად დანაშაულმა კი არ მოიმატა, არამედ იკლო.

სწორედ ესაა შედეგი იმისა, რომ საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, რასაც შსს-ს მიერ ვიზიტორთა შესახებ გამოქვეყნებული ციფრებიც ადასტურებს: იანვარ-აგვისტოს პერიოდში 3 568 518 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდთან - ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, წინა ხელისუფლების მიერ გაშუქებული ყაჩაღობის ძირითადი შემთხვევები წარმოადგენს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, გალის რაიონში ჩადენილ დანაშაულებს.

**ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი:**

– ჩვენ გამოვითხოვეთ ოფიციალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2009-2013 წელს შესულ მძიმე დანაშაულთა შესახებ – მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურების საქმეები. გარდა ამისა, მედიამონიტორინგის მეშვეობით შევაჯამეთ, როგორ შუქდებოდა ამ პერიოდში ესა თუ ის დანაშაული. ამ მონაცემების შეფასებისას კი ნათელი გახდა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში საზოგადოებას სრული ინფორმაცია არ ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. დღეს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანაში წინა ხელისუფლების პირობებში ბევრად უფრო ნორმალური კრიმინოგენური სიტუაცია იყო, ვიდრე დღეს არის. რეალობა კი აბსოლუტურად სხვაგვარია და ამ ინფორმაციის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ად-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ეულებს შესახებ ინფორმაციას მალავდა...“



















**„დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქებრად შეიძლება ითქვას, რომ მათი ძალისხმევით კრიმინალი მაღლა არ წასულა. ბოლო 7 თვის მაჩვენებლები სწორედ ამაზე მიუთითებს“**

რე უფრო მეტ დანაშაულს გქონდა ადგილი, ვიდრე დღეს, თუმცა ამ ინფორმაციის გაშუქება და გასაჯაროება არ ხდებოდა, რაც მედიის ბრალეულობას ნამდვილად არ წარმოადგენს. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ინფორმაცია დანაშაულის შესახებ არ ხმაურდებოდა. ინფორმაცია ვრცელდებოდა გარკვეულ საქმეებთან დაკავშირებით, ხოლო მძიმე დანაშაულებზე ინფორმაცია დახურული იყო. 2013 წლის ბოლო შვიდი თვის მონაცემებით კი ყაჩაღობის, გაუპატიურების, მკვლელობის ფაქტები გასაჯაროებულია. რეალურად ეს მონაცემები პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ვიზიტორებთან. თუ ქვეყანაში საგანგაშო კრიმინოგენური მდგომარეობაა, იქ ვიზიტორების რაოდენობა ნაკლებია. ჩვენ ამ ინფორმაციაში გამოვიყენეთ ის კვლევებიც, რომელიც ვიზიტორებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროვა. ამ მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა შესამჩნევია და მათი რიცხვი, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია. 2013 წლის აგვისტო 770 608 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 28,2%-ით მეტია.

**თქვენს კვლევაში საუბარია იმაზე, რომ ძირითადად გასაჯაროებული იყო ფაქტები, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონებში ხდებოდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი გალის რაიონში ყაჩაღობის ფაქტები მართლაც ხდებოდა, რაც რეალურად შუქდებოდა. მაგრამ იმაზე, რაც ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდებოდა, შესაბამისი ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. კონკრეტული ინფორმაცია და სტატისტიკა, თუ რომელ რეგიონში იყო უფრო მეტი ფაქტი ყაჩაღობის, მკვლელობისა თუ გაუპატიურების, ეს მონაცემები არ აგვიღია. ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ამ წლების დანაშაულების მთლიანი სტატისტიკით და სწორედ მისი გასაჯაროება მოვახდინეთ. თქვენ წარმოიდგინეთ 2009-2012 წლებში 269 გაუპატიურების ფაქტიდან სამინისტროს საიტზე მხოლოდ 1 ფაქტია გაშუქებული. იცით, რა არის? როდესაც პრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები გამოდიან და დანაშაულის ფაქტების ზრდაზე საუბრობენ, ეს ყველაფერი შუქდება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მსგავსი ცრუ ინფორმაციების გავრცელებით მათ სურთ ნეგატიური ფონი შექმნან ქვეყანაში. თუნდაც ერთერთ ბოლო ფაქტთან დაკავშირებით რომ ვისაუბროთ (ბათუმში გოგოს მკვლელობას ვგულისხმობ)... დანაშაულის სტატისტიკა რომ ვნახეთ, ნათელი გახდა, რომ იქ მსგავსი ფაქტები ადრეც ხდებოდა. დღეს, როდესაც დანაშაულის ფაქტებზე ხმამაღლა მიდის საუბარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან კრიმინალი გაზრდილია. ჩვენი ორგანიზაცია, „უფლებადამცველთა გაერთიანება“, ცალკე ანგარიშს ვაკეთებთ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებზე, რაც ამ ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. ნახავთ, როგორ მალავდა წინა ხელისუფლება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებზე ინფორმაციას. როგორც იცით, ეს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები ხშირ შემთხვევაში ის პირები იყვნენ, ვისი ლიკვიდაციაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მოხდა და მათზე ინფორმაცია შეგნებულად არ ვრცელდებოდა.

**– ბატონო ნიკოლოზ, საინტერესოა, აისახა თუ არა ამ მაჩვენებლებზე ციხიდან იმ ადამიანების გამოშვება, რომლებმაც ცოტა ხნის წინ დატოვეს სასჯელაღსრულების სისტემა?**

– მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა, როდესაც ათასობით ადამიანი ტოვებს ციხეს, არავის სჯერა იმ გარემოების, რომ ყველა გამოსწორების გზას დაადგება. ამიტომაც ყოველთვის არის გარკვეული პროცენტი ისეთი ადამიანებისა, რომლებიც ძველ გზას უბრუნდებიან. დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქებრად შეიძლება ითქვას, რომ მათი ძალისხმევით კრიმინალი მაღლა არ წასულა. ბოლო 7 თვის მაჩვენებლები სწორედ ამაზე მიუთითებს. ამ მიმართულებით ჯერჯერობით სტაბილური მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ორგანიზაციის, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული კვლევის რეალური სურათი მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანებს, ვინც დღეს კრიმინალის ზრდაზე საუბრობენ, სურთ შეგნებულად დაძაბონ სიტუაცია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკონსტიტუციო კომისია, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ შეიქმნება

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**პარლამენტს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა შეექმნა. კონკრეტული რიცხვი არა, მაგრამ თვე დასახელებული გახლდათ – ივლისი. თავის მხრივ, ივლისიც უკვე ბევრჯერ გადადებული თარიღი იყო. პარლამენტის თავმჯდომარე ირწმუნებოდა, ეს საბოლოო გადაწყვეტილებააო, თუმცა ფაქტია, რომ კომისია დღემდე არ არის შექმნილი და რაც მთავარია, კონკრეტული პასუხი უმრავლესობას არც ამჯერად აქვს. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ საკონსტიტუციო განხილვების კომისია საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება მათ ხელშია, ზუსტ პასუხს მაინც ვერ იძლევიან. თუმცა იმას ადასტურებენ, რომ საკონსტიტუციო მოდელი, რომელიც არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, არ მოსწონთ. მათი განცხადებით, ის ძალიან ბევრ ხარვეზს შეიცავს. შესაბამისად, სიტყვიერად ადასტურებენ, რომ კომისიის შექმნა მათს ინტერესებში შედის. მაგრამ მოსაზრებას მორიგი შეხედულებით აბათილებენ: აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო განხილვები არ უნდა იყოს მიბმული არჩევნებზე. რაც იმას ნიშნავს, რომ კომისია სწორედ მარგველაშვილის არჩევის შემდეგ შეიქმნება და არა მანამდე.**

## ვახტანგ ხმალაძე: „იმდენი გადაუდებელი რაღაცის გაკეთება გახდა საჭირო, რომ ფიზიკურად ვერ შევძელით, ამ საკითხებზე სასაუბროდ დავმსხდარიყავით“

**ვახტანგ ხმალაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

– მოკლედ, შემიძლია გიპასუხოთ, რომ ხელი აღარ მიგვიწვდა ამაზე, იმდენი გადაუდებელი რაღაცის გაკეთება გახდა საჭირო, რომ ფიზიკურად ვერ შევძელით, ამ საკითხებზე სასაუბროდ დავმსხდარიყავით. ეს იყო ერთადერთი პრობლემა.

**– მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ როდისთვის შეიძლება შეიქმნას კომისია?**

– გვინდა, რომ ამ თვეში მაინც შევქმნათ. ძალიან ბევრი კანონპროექტი გვაქვს გასატარებელი იმის გამო, რომ ცვლილებები შედის ძალაში. დაახლოებით 160 კანონშია შესატანი ცვლილებები, ამ წუთასაც ვსხედვართ და ამ საკითხებზე ვმუშაობთ. სწორედ ამითი ვართ ახლა დაკავებულები.

**– შესაბამისად, გაურკვეველია, ვინ იქნება თავმჯდომარე?**

– ამაზე მსჯელობა ნამდვილად იყო. ჩვენ ნულიდან არ ვიწყებთ მუშაობას, გარკვეულ საკითხებზე საუბრები იყო, გარკვეულ საკითხებზე უკვე არსებობს შეთანხმებები. თუმცა არის საკითხები, რომლებზეც ბოლომდე არ ვართ ჩამოყალიბებულები.

**– ოპონენტები ითხოვდნენ, კომისია არჩევნებამდე შექმნილიყო...**

– დიახ, ასეა და დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნებამდე მოვახერხებთ კომისიის შექმნას. თუ ვერ მოესწრება, ხელი შეეშლება ახალი რედაქციის მომზადების მოსწრებას, სხვას არაფერს. ჩვენ გვინდა, რომ ეს პროცესი დროულად დასრულდეს. თუ ვერ შევძელით დროულად ამის გაკეთება, უბრალოდ, დრო გაიწელება.

ოპონენტები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საკონსტიტუციო კომისიის შექმნა არამომგებიანი იქნება. მეტიც, ახლა კომისიის ფარგლებში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა აზრს კარგავს, რადგან ამისთვის არც დრო ექნება ვინმეს და არც ინტერესი.

გიორგი კობახიძე ერთადერთია, რომელმაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე დატოვა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა. კობახიძე მაშინვე აპროტესტებდა კომისიის შექმნის დაგვიანებას.

**გიორგი კობახიძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:**

– ახალ ხელისუფლებას თავისი საქმიანობა სწორედ საკონსტიტუციო კომისიის შექმნით უნდა დაეწყო, რადგან მოქმედი კონსტიტუციაც და ის მოდელიც, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა, ერთ კაცზეა მორგებული და გაჯერებულია არადემოკრატიული დებულებებით. საკონსტიტუციო კომისიის შექმნის აუცილებლობას აღიარებს ყველა ის პარტია, რომელიც კოალიციაშია. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, რატომ არ ქმნიან მას. ასევე, უნდა შექმნილიყო ინტერფრაქციული კომისია საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესატანად, თუმცა არც ამ მხრივ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი. უმრავლესობის შემადგენლობაში დღეს მყოფი პარტიები, თავის დროზე, როცა ოპოზიციაში იყვნენ, ითხოვდნენ კოდექსის დახვეწას, დღეს კი რატომღაც დაავიწყდათ საკუთარი მოთხოვნები.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ არ იქმნება არც ერთი კომისია?**

– ხელისუფლებაში მყოფი კოალიცია და მასში შემავალი სუბიექტები ცდილობენ, მაქსიმალურად გაიმყარონ პოზიციები, ამაში მათ ხელს უწყობს „ნაციონალური მოძრაობა“. ორივე მხარე შეთანხმებულად მოქმედებს. ორივე მხარეს აწყობს, ოთხი წლით შეინარჩუნონ ის პოზიციები, რომელიც დღეს აქვთ და პარალელურად მოასუფთაონ პოლიტიკური არეალი სხვა ძალებისგან. თუმცა მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ილუზიაა. როცა პოლიტიკაში აკრძალულ ილეთებს იყენებ, აუცილებლად მოექცევი ჩიხში, რადგან ხალხთან ბრძოლა ჯერ არავის მოუგია.

**– აცხადებენ, რომ მიმდინარე თვეში შეიძლება შეიქმნას კომისია, თვლით რომ ამჯერად მაინც შეასრულებენ დაპირებას?**

– საკონსტიტუციო კომისიის შექმნას ახლა აზრიც აღარ აქვს. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში გაცხოველებული წინასაარჩევნო კამპანიაა, მის შექმნას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენც კი აღარ ვაყენებთ ამ მოთხოვნას, რადგან ეს საკუთარი თავის მოტყუება იქნება. კოალიციამ კიდევ ერთხელ მოგვატყუა და ჩვენთან ერთად მთელი საზოგადოებაც.

## გიორგი კობახიძე: „საკონსტიტუციო კომისიის შექმნას ახლა აზრიც აღარ აქვს“

კომისიაში, რომელიც ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ უნდა შექმნილიყო, საპარლამენტო ძალებთან ერთად, არასაპარლამენტო ოპოზიციაც უნდა შესულიყო. კომისია თანამშრომლობას ქართველ ექსპერტებთან და კონსტიტუციონალისტებთან ერთად უცხოელ ექსპერტებსაც სთავაზობდა. თუმცა ჯერ უცნობია, რომელი საერთაშორისო ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს ორმოცდაშვიდჯერ შეცვლილი კონსტიტუციის ხელახლა ჩამოყალიბებაში. თუმცა უკვე ცნობილია, რომ კონსტიტუციაზე მსჯელობისას მთავარი თემა პრეზიდენტის უფლებების გაზრდა იქნება. ეს ნინო ბურჯანაძისა და მისი გუნდის მოთხოვნაა, რადგან თვლიან, რომ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებები, პრემიერის უფლებებთან შეფარდებით, საჭიროზე მეტადაა შემცირებული...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ლაცაბიძე: „არ გამოვრიცხავ, მიმინოშვილის პასუხისმგებლობის დაყენებას, თუ ის ბოდიშს არ მოიხდის და საკუთარ შეცდომას არ აღიარებს“

ხათუნა მგალობლიშვილი

## „ეს იყო ძალიან ცუდად ჩატარებული გამოცდები, იყო დიდი შეურაცხყოფა და დამცირება“

**„ხელისუფლებას მასწავლებლები ახსენდება მაშინ, როდესაც არჩევნები ახლოვდება. სად იყვნენ ეს პროფკავშირები, როდესაც ათიათასობით მასწავლებელს სკოლებიდან ათავისუფლებდნენ, არავის რეაქცია და მხარდაჭერა არ მახსოვს... არ მახსოვს მათი მხარდაჭერა არც ლომაიას დროს, როდესაც ეგრეთწოდებული ლოტოტრონით ხდებოდა შერჩევები“**

**EXCLUSIVE**

**„მიმაჩნია, რომ ტესტები მიზანმიმართულად იყო რთულად შედგენილი. ვერ გეტყვით, მიზანი რა იყო. ამაზე პასუხი, სიმართლე გითხრათ, მეც მაინტერესებს. ფაქტია, რომ ჩვენ დღეს მასწავლებლების დეფიციტი გვაქვს და ახალგაზრდობაში ისედაც აღარ არის მასწავლებლობა პრესტიჟული“**

**მაია მიმინოშვილი ახალ სკანდალში ეხვევა. არ არის გამორიცხული, მასწავლებლების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ ეროვნული საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს და მისი პოსტიდან გადაყენებაც მოითხოვოს. ამ ეტაპზე მიმინოშვილის ბედი მის საქციელზეა დამოკიდებული. თუ ეროვნული ცენტრი უსამართლოდ ჩატარებულ გამოცდებს აღიარებს და ამის გამო ბოდიშს მოიხდის, შესაძლოა, ახლად დაარსებულ პროფკავშირში გაერთიანებულმა სამასამდე მასწავლებელმა აზრი შეიცვალოს. თუმცა დამოკიდებულება ეროვნული ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ სრულიად საქართველოს მასშტაბით საკმაოდ კრიტიკულია.**

პროფკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის, გიორგი ლაცაბიძის განცხადებით, ზოგადად, განათლების სისტემაში გატარებული ნებისმიერი ახალი რეფორმა დამანგრეველი შეიძლება გახდეს, თუ ის სწრაფი ტემპით გატარდება. შესაბამისად, როდესაც მასწავლებლების სერტიფიცირება გადაწყდა, საჭირო იყო, მათთვის მოსამზადებელი დრო მიეცათ. სწორედ ამ დროის მიცემა არის ახალი პროფკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. თუმცა მთლიანი გეგმა, რომელიც, ლაცაბიძის განცხადებით, მის ორგანიზაციას უკვე შემუშავებული აქვს, ცხრა პუნქტისგან შედგება და ხელფასების გაზრდის პარალელურად ის მასწავლებლების შელახული იმიჯის აღდგენასაც ითვალისწინებს.

როგორც ირკვევა, გამოცდების ეროვნული ცენტრი არასერტიფიცირებული მასწავლებლის გასაკონტროლებლად ახალ მექანიზმებს ამუშავებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი გაკვეთილზე დასწრება და დაკვირვება იქნება. ლაცაბიძის განცხადებით, ეს ყველაზე არასწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ისედაც დაკნინებულ მასწავლებლებს კიდევ უფრო დაამცირებს უკვე მოსწავლეების თვალში...

**გიორგი ლაცაბიძე, პროფკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

– 18 წელი პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი სხვადასხვა სკოლებში, მათ შორის სოფლებშიც. ბოლო შვიდი წელია, მასწავლებლების ტრენერი ვარ, გამოცემული მაქვს სახელმძღვანელოები. რაც შეეხება პროფკავშირების შექმნის ინიციატივას, ამის მიზეზი ძირითადად მასწავლებლებისთვის ჩატარებული გამოცდების მეთოდი გახდა. ეს იყო ძალიან ცუდად ჩატარებული გამოცდები, იყო დიდი შეურაცხყოფა და დამცირება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ მიმინოშვილისგან მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას. როდესაც მან მრავლობითში თქვა მასწავლებლებზე, რომ არიან უცოდინრები, ეს ყველას შეურაცხყოფაა.

**– მიგაჩნიათ, რომ ეს გამოცდები არ უნდა ჩატარებულიყო?**

– არა, ეს არ მიგულისხმია. თავად გამოცდის ფორმა, ტესტის ფორმატი იყო მიუღებელი, გარდა ამისა, ხდებოდა მასწავლებლების ჩხრეკა, უხეშად შემოწმება. გამოცდებზე მოხდა მასწავლებლების დამცირება. ვფიქრობ, ტესტებიც ასევე შეგნებულად იყო შედგენილი დარღვევებით, ის არ შეესაბამებოდა მასწავლებლების მოთხოვნებს. ეჭვქვეშ დგას ამოცანების სირთულეც. მიგვაჩნია, რომ მასწავლებლები მარტო გამოცდებით არ უნდა ფასდებოდნენ და ვითხოვთ, რომ მინიმუმ ორი წლით მაინც უნდა გადაწიონ კანონის ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს გამოცდების 2015 წლამდე საავალდებულო ჩაბარებას. ჩვენ არ ვართ მასწავლებლების სერტიფიცირების წინააღმდეგნი. ჩვენთვის მიუღებელი იყო თვითონ გამოცდის ფორმა. მე მთელი საქართველოს მასშტაბით შევხვდი მასწავლებლებს და ისინი აღშფოთებულები არიან, რადგან არ უნდა მომხდარიყო შედეგების გასაჯაროება. ესენი არიან ადამიანები, რომლებზეც დგას დღევანდელი განათლების სისტემა.

**– მაგრამ თუ მათი დონე რეალურად არ შეესაბამებოდა საჭირო ნიშნულს?**

– ამაზე სწორედ განათლების უწყებამ უნდა იზრუნოს, რას აკეთებდნენ ამ დროს ისინი დონის ასამაღლებლად? რით უწყობდნენ ხელს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს გამოცდები ფასიანი იყო. მეორე გასვლისას მასწავლებლებს უწევდათ 50 ლარის გადახდა, გასაჩივრებაზე, ასევე, 50 ლარს იხდიდნენ. გამოცდებისთვის მოსამზადებლად მასწავლებლებს სერიოზული ფინანსები სჭირდებოდათ და ეს ყველაფერი მაშინ, როცა მათი ხელფასები ძალიან დაბალია. როდესაც რეფორმას ატარებ, ის უნდა დააფინანსო,

**– თქვენ ამბობთ, რომ მასწავლებლების ჯერ გადამზადება უნდა მომხდარიყო და მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარებულიყო მათი სერტიფიცირება?**

– რა თქმა უნდა. ისინი უნდა მომზადებულიყვნენ ბევრი ფორმით. როგორც ამბობენ, თავად არიან ჯერ სწავლების ფორმატში და მაშინ ვურჩევდი, ჯერ თავად ისწავლონ და შემდეგ გადადგან ნაბიჯები და გაატარონ რეფორმები.

**– შეიძლება დადგეს მიმინოშვილის პასუხისმგებლობის საკითხი?**

– შესაძლებელია, რადგან მასწავლებლები ძალიან აღშფოთებულები არიან და თუ ეს მდგომარეობა ასე გაგრძელდა, არ გამოვრიცხავ მიმინოშვილის პასუხისმგებლობის დაყენებას, თუ ის ბოდიშს არ მოიხდის. აღიაროს, რომ შეეშალა, შეცდომა ყველა ადამიანს მოსდის. თუმცა როცა შეცდომას უშვებ, ისიც უნდა შეგეძლოს, რომ ის აღიარო. თქვენ არ იცით მასწავლებლების დამოკიდებულება მიმინოშვილის მისამართით. ისინი გამწარებულები არიან.

**– თქვენი პროფკავშირის მიზანი აგვიხსენით, რას გააკეთებს ის?**

– მსგავსი პროფკავშირები არსებობს, მაგრამ მე მათგან მასწავლებლების მხარდამჭერი განცხადებები არ მომისმენია, განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ გამოცდებთან დაკავშირებით. თუ ჩვენ არ გვიცავენ, მაშინ თავად უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები. ამ ორგანიზაციაში მასწავლებლები არიან გაერთიანებულები მთელი საქართველოდან. ამ ეტაპზე დაახლოებით 300 ადამიანი ვართ, მაგრამ მალე ძალიან გავფართოვდებით. ხელისუფლებას მასწავლებლები ახსენდება მაშინ, როდესაც არჩევნები ახლოვდება. სად იყვნენ ეს პროფკავშირები, როდესაც ათიათასობით მასწავლებელს ათავისუფლებდნენ სკოლებიდან, არავის რეაქცია და მხარდაჭერა არ მახსოვს... არ მახსოვს მათი მხარდაჭერა არც ლომაიას დროს, როდესაც ე. წ. ლოტოტრონით ხდებოდა შერჩევები. გარდა ამისა, სერიოზული პრობლემაა გამოცდებზე ჩაჭრილი მასწავლებლების გასაჯაროება. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც სასწავლო პროცესი დაიწყება, როგორი იქნება მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამოკიდებულება ასეთი მასწავლებლების მიმართ. ეს ყველაფერი ძალიან ცუდ შედეგებს მოგვცემს და ამაზე არავინ არ ფიქრობს.

**– როდესაც გასაჯაროებაზეა საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის ცნობილია, რომელი მასწავლებელი ჩაიჭრა და რომელი – არა?**

– არა, ეს ცნობილი არ არის, უბრალოდ, ცნობილი გახდა რომელ საგანში რამდენი მასწავლებელი ჩაიჭრა. ეს ინფორმაცია სკოლის დირექტორისთვის ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ძალიან მარტივი მისახვედრია, რომ მშობლები დაინტერესდებიან და შეეცდებიან, გაიგონ, მათი შვილების მასწავლებლები რომელ კატეგორიაში არიან, სერტიფიცირებულ თუ არასერტიფიცირებულებს შორის. მშობლების მხრიდან აუცილებლად იქნება მოთხოვნა, რომ მათ უნდათ სერტიფიცირებული მასწავლებელი.

**– ამ შემთხვევაში დირექტორი როგორ იღებს გადაწყვეტილებას?**

– ის აბსოლუტურად დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებაში, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ პრობლემა შეიქმნას მშობლებსა და დირექტორ-მასწავლებლებს შორის. თუ მშობლისთვის საზომი გახდება სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი, საქმე გვექნება დისკრედიტაციასთან. მოხდება მასწავლებლების გახლეჩა.

**– თქვენ, როგორც მივხვდი, არ ეთანხმებით გამოცდების შედეგებს და მიგაჩნიათ, რომ ასეთი რთული ტესტები მიზანმიმართულად იყო შედგენილი?**

– არ ვეთანხმები, რადგან ნებისმიერი ყველაზე მარტივი ამოცანაც კი შეიძლება ისე შეადგინო, რომ ის პროფესორმაც კი ვერ ამოხსნას. გარდა ამისა, გამოცდის წინა პერიოდი იმდენად დამთრგუნველი იყო, ჩხრეკის ჩათვლით, რომ ეს კიდევ უფრო თრგუნავდა მასწავლებლებს. მიმაჩნია, რომ ტესტები მიზანმიმართულად იყო რთულად შედგენილი. ვერ გეტყვით, რა მიზანი ამოძრავებდათ, ამაზე პასუხი, სიმართლე გითხრათ, მეც მაინტერესებს. ფაქტია, რომ ჩვენ დღეს მასწავლებლების დეფიციტი გვაქვს და ახალგაზრდობაში ისედაც აღარ არის მასწავლებლობა პრესტიჟული. თუ დამოკიდებულება არ შეიცვლება, ძალიან მალე სერიოზული პრობლემის წინაშე დავდგებით. აღმოჩნდება, რომ მასწავლებლების გარეშე დავრჩებით. ჩვენ სახელმწიფოს ვთავაზობთ, შეასრულოს საკუთარი მოვალეობები და დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთ. ჩვენი კავშირი ხელს შეუწყობს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ავამაღლოთ მასწავლებლების კვალიფიციურობა.

**– როგორ შეაფასებთ განათლების ახალ მინისტრს?**

– მიმაჩნია, რომ ნაადრევია მისი შეფასება, თუმცა ვთვლი, რომ მისი ინიციატივები მისასალმებელია, ჯერჯერობით მისი პოლიტიკა ჩვენთვის მისაღებია.

**– მიმინოშვილს, როგორც წესი, მინისტრთან ყოველთვის აქვს ხოლმე პრობლემა. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს გამოწვეული?**

– პრობლემები რომ აქვთ, ფაქტია, თუმცა უმჯობესია, მიზეზებზე თავად ილაპარაკონ. რაც შეეხება ჩვენს სამოქმედო გეგმას, ჩვენ უკვე ვიწყებთ აქტიურად მუშაობას, შემუშავებული გვაქვს მასწავლებლების განვითარებისა და მათი ხელშეწყობის ცხრაპუნქტიანი პაკეტი. ჩვენ ვითანამშრომლებთ მთავრობასთან, პარლამენტთან, არასამთავრობებთან და ყველას შევთავაზებთ ჩვენს გეგმებს.

**– რისგან შედგება ეს ცხრაპუნქტიანი მოთხოვნები?**

– პირველ რიგში, აუცილებელია ხელფასების გაზრდა , ასევე უნდა მოხდეს მათი დაზღვევის უზრუნველყოფა და რაც მთავარია, ვაპირებთ, მოვაწყოთ ტრენინგები მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. რაც მთავარია, ჩვენ არ ვიზრუნებთ მხოლოდ მასწავლებლებზე, ჩვენ ასევე ყველაფერს ვიღონებთ, რომ გავაუმჯობესოთ ბაღების მასწავლებლების სამუშაო პირობები. იქ კიდევ უფრო ბევრი პრობლემაა. აღმზრდელები სტატუსის გარეშე ძალიან დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობენ. ამ მხრივ, სიტუაცია თბილისში შედარებით უკეთესია, ბევრად მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში. ყველაფერი დასალაგებელია. ასევე, ვიზრუნებთ, რომ მათ მიენიჭოთ მასწავლებლის მსგავსი უფლება, ანუ მოხდეს მათთან გათანაბრება.

**– თუ ხელისუფლება არ წამოვა თქვენთან თანამშრომლობაზე, არ მიიღებს თქვენ მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, ამის შემდეგ როგორ იმოქმედებთ?**

– ვისარგებლებთ ყველა უფლებით, რომელიც კანონით გვაქვს მონიჭებული, როგორც პროფკავშირებს. ვიმოქმედებთ ჩვენი უფლებების შესაბამისად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Airzena

## 35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

## სიახლე ავიაკომპანია აირზენასგან!

# 1 აგვისტოდან

## ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

# რა პრეპარატებს ყიდიან ღამის კლუბებში „ექსტაზის“ ეფექტით

**ზუსტად სამ თვეში აფთიაქებში თითქმის ყველა იმ პრეპარატის გაყიდვა აიკრძალება, რომლებსაც თინეიჯერები ნარკოტიკული ნივთიერების შემცვლელად მოიხმარენ. უფრო სწორად ამისთვის ექიმის დანიშნულების წარდგენა გახდება სავალდებულო. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, „ანდანტე“, რომლის ყველაზე ხშირი მომხმარებელი ბოლო პერიოდში სწორედ ახალგაზრდები არიან, პრეპარატს თავისუფლად ვეღარ შეიძენენ. გამკაცრებული წესების ინიციატორი ჯანდაცვის მინისტრია და ცვლილება კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ 2014 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. ინიცირების განხორციელება სამინისტრომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე გადაწყვიტა. უფრო დეტალურად კი პირველი იანვრიდან II ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტების გასაყიდად სავალდებულო გახდება ექიმის მიერ გამოწერილი „ფორმა #3“ რეცეპტის წარდგენა და რაც მთავარია I და II ჯგუფისთვის განკუთვნილი პრეპარატები აფთიაქიდან არ გაიცემა არასრულწლოვნებზე.**

„ანდანტე“ ერთ-ერთი ის პრეპარატია, რომელიც ხელმისაწვდომ ფასად ნებისმიერ თინეიჯერს შეუძლია ნებისმიერ აფთიაქში შეიძინოს. მისი გაყიდვა აკრძალული არ არის, შესაბამისად, ვერც ერთ აფთიაქს ამის გამო ვერავინ შეედავება. ფარმაცევტების განცხადებით, ის ჩვეულებრივი საძილე მედიკამენტია, თუმცა მას სრულიად სხვა მიზნებისთვის იღებენ ახალგაზრდები.

„პრაიმტაიმს“ სპეციალისტებმა განუმარტეს, რომ ერთ-ერთი მედიკამენტი, რომელსაც საკმაოდ მძიმე შედეგების გამოწვევა შეუძლია, უნგრული წარმოების „ზალეპლონი“, იგივე „ანდანტეა“. აღნიშნული მედიკამენტი ფარმაცევტულ ბაზარზე ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. მედიკამენტის ანოტაციაში მითითებულია, რომ ის არის ჰიპნოზური ტიპის საშუალება, რომელიც ავლენს მაღალ სელექტიურობას. როგორც ირკვევა, „ანდანტეს“ ძირითადად 13-14 წლის ასაკის თინეიჯერები მოიხმარენ და მას, კიდევ უფრო მეტი ეფექტის მისაღებად, ალკოჰოლს აყოლებენ.

ელენე რობიტაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივის“ წარმომადგენელი:

– ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ პრეპარატს ხშირად მოიხმარენ მოზარდები. ეს არის კაფსულები, რომლის შიგნითაც მოთავსებულია ლურჯი ფერის ფხვნილი. სწორედ ამ ფხვნილს იყნოსავენ ახალგაზრდები ე.წ. კაიფის მიზნით. მეტი ეიფორიის გამოსაწვევად აყოლებენ ლუდს, ან სხვა სახის ალკოჰოლს. აღნიშნული ფხვნილის შეყნოსვა იწვევს დეპრესიას და რიგ შემთხვევებში, გადაჭარბებული დოზით შეყნოსვამ, ან ბევრი ალკოჰოლური სასმელის დამატებამ შესაძლოა, ფატალური შედეგიც გამოიწვიოს. შემიძლია, გითხრათ, რომ ამ პრეპარატს შეუძლია მოზარდი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. გარდა ამისა, პრეპარატი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას. მოზარდებში ამ პრეპარატის ხშირი მოხმარება შეიძლება შეფასდეს, როგორც სანყისი ეტაპი, რის შემდეგაც ისინი პოტენციურად უფრო ძლიერ ნარკოტიკზე გადავლენ, ამიტომ შესაბამისმა უწყებებმა მაქსიმალურად უნდა გააკონტროლონ ამ პრეპარატის რეალიზაცია მოზარდებზე.

„ანდანტეს“ მსგავს ეფექტს იწვევს სხვა ბევრი პრეპარატი, მაგალითად, „გაბაგამა“ და „ბაკლოსანი“, რომლებიც ჯერჯერობით, ასევე, თავისუფლად იყიდება სააფთიაქო ქსელებში. „პრაიმტაიმმა“ არაერთხელ ჩაატარა ექსპერიმენტი და ყოველ ჯერზე ჩვენმა ჟურნალისტმა ყოველგვარი ზედმეტი კითხვის გარეშე შეძლო ჩამოთვლილი პრეპარატების შეძენა. მათი ფასი დაახლოებით 20 ლარის ფარგლებში მერყეობს. კითხვაზე, რატომ იყიდება აფთიაქებში მსგავსი შემადგენლობის მედიკამენტები? ფარმაცევტები გვპასუხობდნენ, რომ ნებართვა გაცემულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. თუმცა ყველა ფარმაცევტი საქმის კურსშია, რისთვის ყიდულობენ მას ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი თინეიჯერები. მიუხედავად ამისა, მათ არ აქვთ უფლება, არ გასცენ „ანდანტე“, ან „გაბაგამა“, ან კიდევ სხვა იგივე ტიპის პრეპარატი.

სხვათა შორის, პრობლემას არა მარტო თავისუფალ გაყიდვაში არსებული პრეპარატები ქმნის, არამედ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტებიც. თავის დროზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ფარმაცევტული დაწესებულებების მასიური შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ აფთიაქებში შეზღუდული გაყიდვისთვის განკუთვნილი წამლებიც კი თავისუფლად იყიდება. მათ შორის საკმაოდ ძლიერი ფსიქოტროპული მედიკამენტები, პრეკურსორები და ნარკოტიკების შემცველი საშუალებებიც კი. შემოწმება პირველ ეტაპზე ათდღიანი იყო. სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ ამ პერიოდში დაახლოებით 15 აფთიაქის შემოწმება მოასწრო, აქედან თერთმეტში რეალიზაციის წესების დარღვევის საკმაოდ ბევრი ფაქტი გამოვლინდა. დანაშაულის გამოვლენაში შესაბამის სამსახურებს უბრალო მოქალაქეები ეხმარებიან. „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარის, გია ბურჯანაძის განცხადებით, მათ სამსახურში ხშირად არის ზარები თვითმხილველების მხრიდან, რომლებიც ყვებიან კონკრეტულ ფაქტებს, ასახელებენ კონკრეტულ აფთიაქებს, სადაც ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობის პრეპარატები გაიცემა ახალგაზრდებზე და თანაც ყოველგვარი დანიშნულების გარეშე.

**გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე:**

– უმეტესწილად, გვიკავშირდებიან მოქალაქეები. მაგალითად, დაგვიკავშირდა ქალბატონი, რომელიც აფთიაქში იყო შესული და გამყიდველმა მის თვალწინ გაყიდა მოზარდზე ფსიქოტროპული ნამალი. ამ ქალბატონმა გვითხრა, რომ საკმაოდ უსიამოვნო საუბარი ჰქონდა გამყიდველთან. გვთხოვა, ამ ფაქტით დავინტერესებულიყავით.

**– რამდენად ხშირია შემთხვევა, როდესაც ასეთ მედიკამენტებს არასრულწლოვანი გოგონები ყიდულობენ?**

– სხვათა შორის, ამას წინათ იაშვილის კლინიკიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ შეყვანილია ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც თავი მოიწამლა ფსიქოტროპული წამლით. აღმოჩნდა, რომ გოგონას შეყვარებულმა უღალატა, ნავიდა აფთიაქში, სადაც სრულიად უპრობლემოდ შეიძინა რამდენიმე ფირფიტა ფსიქოტროპული მედიკამენტი და სუიციდის მიზნით დალია. ვსვამ კითხვას: ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში? ვინ აგებდა პასუხს, ეს გოგონა ექიმებს რომ ვერ გადაერჩინათ? არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სკოლაში ასეთი წამლებით გაბრუებული მოსწავლე გამოცხადდა.

**– პირადად თქვენ თუ ჩაგიტარებიათ რაიმე სახის რეიდი ამ მიმართულებით?..**

– დიახ, ჩვენი თანამშრომლები სტუმრობდნენ რამდენიმე აფთიაქს და აღმოჩნდა, რომ ნახევარზე მეტ ადგილას ფსიქოტროპულ წამლებს მაინც დანიშნულების გარეშე გასცემენ. ეს არის საგანგაშო. ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია მოითხოვს, გამკაცრდეს სანქციები აფთიაქების მიმართ და მხოლოდ დაჯარიმება კი არა, საერთოდ, მუშაობა აეკრძალოთ მათ.

როგორც ირკვევა, თინეიჯერებს აღარ სჭირდებათ წამლების მოსაპოვებლად აფთიაქებში სიარული. მათი ყიდვა თითქმის ყველა ღამის კლუბში შესაძლებელია. მეტიც, ბარმენები და კლუბების მომსახურე პერსონაჟი გასართობად მისულ ახალგაზრდებს საკუთარ „ექსტაზს“ თავადვე სთავაზობენ. ასეთ დროს მოზარდებს მხოლოდ ერთი არჩევანის გაკეთება უწევთ – რა ხანგრძლივობით სურთ პრეპარატის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა... არის ორმოცწუთიანი, ერთსაათიანი და, მაქსიმუმ, სამსაათიანი. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ყველაზე ძლიერმოქმედია. ინფორმაცია ამ სიახლის შესახებ დიდი ხანია კულუარებში განიხილება და ასეთივე წარმატებით ის ინტერნეტსივრცეშიც ვრცელდება.

ერთ-ერთ ასეთ პოსტს „პრაიმტაიმმა“ სოციალურ ქსელში მიაგნო, რაც კიდევ უფრო ამყარებს გავრცელებულ ინფორმაციას.

„როდესაც პირველად მითხრეს, რომ ღამის კლუბებში ახალგაზრდებს „ექსტაზის“ მაგივრად სხვა აბებს სთავაზობდნენ, ჩავთვალე, რომ ეს ერთი ჭკუანაკლული ბარმენის ოინები იყო. თუმცა დღეს კიდევ მიამბეს ორ ანალოგიურ შემთხვევაზე, რაც იმის ნიშანია, რომ ასეთი რამ ღამის კლუბებში მასიურად ხდება. მაშ ასე, კლუბებსა და ბარებში ახალგაზრდებს „ექსტაზის“ ნაცვლად მოტყუებით სთავაზობენ ნეიროლეპტიკს (პრეპარატის სახელს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელიც მედიცინაში გამოიყენება მწვავე და ქრონიკული შიზოფრენიის, მანიაკალური მდგომარეობისა და დეპრესიულ-მანიაკალური ფსიქოზის სამკურნალოდ, გააჩნია სედატიური და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აქვს ბევრი გვერდითი მოვლენა, მათ შორის ინვევს ეპილეპტიკურ გულყრებს, დუჟს პირზე და ა.შ. ალკოჰოლთან მისი მიღება რეკომენდებული არ არის, შეიძლება ცუდად დამთავრდეს, ამიტომ გაფრთხილდით!!! საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ბევრი მოზარდის აზრით, „ექსტაზი“ ნარკოტიკი არ არის, რადგან ის ბარებსა და დისკოთეკებზე უპრობლემოდ იყიდება(?!), „ექსტაზი“ საკმაოდ მძიმე ნარკოტიკია და ის შესულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა სიებში, მისი მოხმარება და გასაღება ისჯება მოქმედი კანონმდებლობით. „ექსტაზის“ მიღებისას მოერიდეთ სპირტიან სასმელებს, მიიღეთ, რაც შეიძლება ბევრი წყალი და ხშირად დაისვენეთ ცეკვის დროს. თუ დაინახავთ, რომ ვინმე მისი მიღების შემდეგ ცუდად გახდა, დააწვინეთ გვერდზე (არ მისცეთ არანაირი ნამალი და არ დაალევინოთ წყალი, შეიძლება დაიხრჩოს), და გამოიძახეთ სასწრაფო...“

მსგავსი „ექსტაზის“ შესახებ ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც ერთხელ მაინც თუ არის ნამყოფი ღამის კლუბში, სრულ ინფორმაციას მოგაწვდით. მათი განცხადებით, აღნიშნული მედიკამენტის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია საათობით ცეკვა და ფეხზე დგომა. ახალგაზრდას, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ეგრეთწოდებული 40-წუთიანი მოქმედების პრეპარატი ჰქონდა მიღებული. დღეს ის დეტალებს ბუნდოვნად იხსენებს და ამბობს, რომ მსგავსი წამლის მიღებას აღარასდროს დასთანხმდება.

**დ. ბ. (თინეიჯერი):**

– მომაწოდეს და მითხრეს, „გაგისწორდებაო“. წესიერად არც ვიცოდი, რას ვსვამდი. მანამდე კლუბში არსებული ხმაური მაწუხებდა და ვიფიქრე, ცოტას დავლევ-მეთქი. წამლის მიღების შემდეგ საკმაო დრო იყო გასული, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი. ვიფიქრე, ეტყობა, ჩემზე არ მოქმედებს-მეთქი, რადგან ჩემი მეგობრები გაუჩერებლად ცეკვავდნენ. ამიტომ სასმელი დავამატე და დაახლოებით ნახევარ საათში მივხვდი, რომ წონასწორობას ვეღარ ვიცავდი, დამჯდარიც კი. ნელ-ნელა ლაპარაკის უნარიც დავკარგე. გვერდით მაგიდაზე მყოფმა გოგოებმა მითხრეს, სჯობია, ადგე და იცეკვო, თორემ ცუდად გახდებიო... ცეკვა დავინყე და მერე აღარაფერი მახსოვს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გერმანული „ერგოლაინური“ სიახლე

**მსოფლიოში აღიარებული ნომერ პირველი გერმანული კომპანია „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფსთაილ სტუდიო“ მომხმარებელს სოლარიუმის უმაღლეს, უსაფრთხო და კომფორტულ მომსახურებას სთავაზობს. ნამზეური კანი რომ ლამაზი, მოდური, სექსუალური და მიმზიდველია ამაზე აღარავინ დაობს, ამიტომაც აბაშიძის 22-ში, „ერგოლაინის“ ახალ მისამართზე, სადაც მეტ სივრცეში და თავისუფალ გარემოში კომფორტულ სერვისს გთავაზობენ, უამრავ ადამიანს ნახავთ.**

## „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიო“

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ ექვსი სხვადასხვა კლასის აპარატია. ერთი დასადგომი „ტურბო“, ხოლო ხუთი ჰორიზონტალური დასაწოლი აპარატი. განსაკუთრებულად ხაზგასმის ღირსი კი დასაწოლი ჰორიზონტალური აპარატებია, რომელსაც აქვს სახის ლამპები. სახის ლამპები ცალკე მახასიათებლებით გამოირჩევა და იცავს სახის კანს, რომელიც განსაკუთრებული და ნაზია. მხოლოდ ჰორიზონტალურ აპარატებს აქვთ სრული კომფორტი და სარელაქსაციო ეფექტი. ამას უზრუნველყოფს: AQUA FRESH- ზღვის შხეფის ეფექტი, გარუჯვის სეანსის დროს სასიამოვნოდ გაგრილებთ ნოტიო ჰაერი, რომელიც თქვენს კანს ტენიანობას უნარჩუნებს.

AROMA THERAPY- თქვენს სეანსს სასიამოვნოდ სურნელოვანს ხდის.

CLIMATCONTROL- აპარატში დააყენებთ თქვენთვის სასურველ ტემპერატურას.

VOICE GUIDE- ხმოვანი გიდი, მოლაპარაკე აპარატი, აგიხსნით თავის ფუნქციებს.

3D SOUNDI - მუსიკის 3D ჟღერადობა.

აქ შეგხვდებათ აპარატი სახელწოდებით „Ergoline 990 პრესტიჟი IQ“ , რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ არის, მეტიც, ის ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც დიდი ფუფუნებაა. ეს არის ჭკვიანი, ახალი ტექნოლოგიის აპარატები, რომლებსაც აქვთ IQ სენსორი. სენსორი, არის ფოტოელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც იდებთ კანზე და მონაცემების შესაბამისად, შეგირჩევთ თქვენი კანისთვის იდეალურ პროგრამას. ეს კი უზრუნველყოფს ლამპების სიმძლავრის ცვლილებას 120 ვატიდან 200 ვატამდე, მთელი სეანსის განმავლობაში. იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნა აქვს თქვენს კანს. ეს არის უახლესი ტექნოლოგიის აპარატი, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველია და გერმანულმა ფირმა Ergoline-მა შეიმუშავა. ტექნოლოგია დამუშავებულია ისე, რომ ხდება სხივების გაფილტვრა. პრინციპი აგებულია, მზის სხივის შემადგენლობაზე, სოლარიუმში გამოიყენება A და B სხივი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპარატების დეზინფექციას.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ სპეციალური ხსნარის „სოლარფიქსის“ მეშვეობით ხდება აპარატების განმენდა. ეს არის სადეზინფექციო საშუალება, რომელიც არ შეიცავს ქლორს და ალკოჰოლს.

კომპანიის მთავარი დევიზია ევროპული სტანდარტების შენარჩუნება, ეს სოლარიუმის მომსახურეობის ხარისხშიც აისახება. ამისთვის აუცილებელია დროულად იყოს გამოცვლილი ლამპები, ფილტრები და სტარტერები, რომლებიც უზრუნველყოფენ აპარატების გამართულ მუშაობას. სოლარიუმი უსაფრთხო და სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ყველა ზემოაღნიშნული ნორმა დროულად და ხარისხიანად არის დაცული. „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა კი ამას იოლად ახერხებს, რადგან ის პირდაპირ დაკავშირებულია გერმანიის Ergoline-ის მწარმოებელ ქარხანასთან.

### „კოლაგენარიუმი“

კოლაგენარიუმი - აპარატი, რომელიც აღადგენს კანის უჯრედებს. ეს არის არა გასარუჯი, არამედ კანის მოვლის აპარატი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში კანის გამაახალგაზრდავებელი ნივთიერებების კოლაგენისა და ელასტინის გამოყოფას. ეს ხერხდება სპეციალური წითელი და ღრმა სხივით. ევროპაში ეს ტექნოლოგია ცნობილია, წითელი ნათების თერაპიის სახელით - red life terapi. ეს არის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რომელიც სულ რამდენიმე წელია დაინერგა ევროპაში. კოლაგენარიუმი, აძლიერებს ელასტინის გამომუშავებას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, უნარჩუნებს კანს ელასტიკურობას, აააქტიურებს ახალგაზრდა უჯრედების წარმოქმნას და ამით აფერხებს კანის დაბერების პროცესს. ამ აპარატით სარგებლობა „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოშია“ შესაძლებელი, რათა თქვენი კანი, ნამზეურებთან ერთად, ლამაზად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს. გარდა ამისა, აქ დგას ყველა სახის აპარატი, მათ შორის ე.წ. დეკოლტე, რომლის მეშვეობითაც ხდება გარუჯვა მხოლოდ სახეზე და მკლავებზე.

A

# „ვენდიმ“ ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარება საქართველოში „ვისოლ ჯგუფთან“ ერთად დაიწყო

**მულტინაციონალურმა კომპანია „ვენდიმ“ ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარება საქართველოში „ვისოლ ჯგუფთან“ ერთად დაიწყო. რუსთაველის გამზირზე 1000 კვადრატულამდე ფართობზე განთავსებული საქართველოში „ვენდის“ პირველი რესტორანი ყველაზე დიდია „ვენდის“ ქსელში მსოფლიო მასშტაბით. ობიექტი რესტორანს, ბავშვთა გასართობ და სადღესასწაულო ცენტრს, სათამაშო ზონასა და კაფეს მოიცავს.**

„ვენდის“ უგემრიელესი საფირმო კერძების – საქონლისა და ქათმის ხორცის ბურგერების, „ჩილის“, ბოსტნეულის სალათების, გამომცხვარი კარტოფილისა და მრავალი სხვა კერძის გარდა, რომლებიც შეკვეთისას მზადდება, ვენდის ამერიკული რესტორანი ყველაზე მომთხოვნ მომხმარებელსაც კი მოხიბლავს პრემიუმ კლასის თხუთმეტი სახეობის იტალიური „ტრუჩილოს“ ყავითა და დესერტებით. „ვენდის“ რესტორნის თანამედროვე ინტერიერი კი ცნობილმა ამერიკულმა დიზაინერულმა კომპანიამ ქართულ Designbureau.ge-სთან ერთად შეიმუშავა და სტუმრებს სიამოვნებისთვის სრულყოფილ გარემოს უქმნის.

ამერიკული რესტორნის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ „ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი დარელ ვან ლიგტენი და ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. სიმბოლური ლენტი საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ გაჭრა.

**დარელ ვან ლიგტენი, „ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი:** „მოხარული ვართ რომ ჩვენი რესტორნების ქსელის განვითარებას საქართველოში ისეთ მსხვილ ბიზნესპარტნიორთან ერთად ვახდენთ, როგორიც „ვისოლ ჯგუფია“. ქართულ ბაზარზე შემოსვლა, აღმოსავლეთ ევროპაში განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ გვჯერა საქართველოს უკეთესი მომავლის“.

**სოსო ფხაკაძე, „ვისოლ ჯგუფის პრეზიდენტი“:** გვეამაყება, რომ ამერიკული რესტორნების ქსელის „ვენდის“ განვითარება ექსკლუზიურად „ვისოლ ჯგუფს“ ერგო ნილად როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში. „ვენდისთვის“, ისევე როგორც „ვისოლ ჯგუფისთვის“ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, კორპორაციული, სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის წარმოების ქვაკუთხედია. „ვენდის“ დამაარსებლის დევიდ ტომასისთვის საზოგადოებაზე ზრუნვა ძირითადი ღირებულება იყო. „ვისოლ ჯგუფმა“ კი ეს ტრადიცია დიდი ხანია დანერგა. „ვისოლ ჯგუფმა“ შეთანხმებას მიაღწია საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაცია OPIC-თან და მათი საქართველოში ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სტრატეგიის ფარგლებში ჩვენ „ვენდის“ ფართო ქსელის შექმნას შევძლებთ“.

**რიჩარდ ნორლანდი, ამერიკის ელჩი საქართველოში:** „ეს არის ერთ-ერთი ნიშანსვეტი შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის და იმედი მაქვს, რომ ამას მოჰყვება მრავალი სხვა. „ვენდის“ რესტორნების ქსელი ძალიან პოპულარულია ამერიკაში. დღევანდელი დღე არის დასაწყისი იმ გეგმისა, რომელიც მოიცავს საქართველოში თხუთმეტი ასეთი რესტორნის გახსნას და ასობით ახალ სამუშაო ადგილს, რაც მოსახლეობას შეეწევა“.

A



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ეჭვეში გაჩნდა სატელეფონო ტერორიზმის სამი შემთხვევის შემდეგ?

# ემუქრება EXCLUSIVE თუ არა

## „რუსთავი 2“-ს, „იმედსა“ და აეროპორტს ტერაქტის საფრთხე?

მარიამ ნადირაძე

**ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებებით არცთუ შორეულ წარსულში ვიყავით „განებივრებულნი“... ჰოდა, დროის მანქანამ თვალსაჩინოებისთვის ისევ იმ ეფექტებზე „აგვიხილა თვალი“. ჯერ იყო და ამ ცოტა ხნის წინ პარლამენტში ბომბის შესაძლო არსებობის შესახებ გვამცნეს, 12 სექტემბერს კი ქვეყნის სამ სტრატეგიულ ობიექტზე განგაში გამოცხადდა. მათგან ორი წამყვანი ტელეკომპანია იყო, მესამე კი – აეროპორტი.**

**ქრონოლოგია ასეთია:**

დილის 11 საათზე „რუსთავი 2“-ის შენობიდან თანამშრომლების ევაკუაცია დაიწყო. მალევე მაუწყებლობა შეწყვიტა ტელეკომპანია „იმედმა“ და ეს სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც საინფორმაციო გამოშვება მაუწყებლობდა. იგივე ტელეკომპანიაში ბომბის არსებობის შესახებ ზარი განმეორდა 5-6 საათის გამოტოვებით. საღამოს კი კინოლოგები და გამნაღმველები, ანალოგიური მიზეზით საერთაშორისო აეროპორტს მიადგნენ.

ერთი სიტყვით, დღის ბოლოსთვის საზოგადოება უკვე დახუნძლული იყო შთაბეჭდილებებით იმის შესახებ, რა მნიშვნელოვანი და მაღალი რეიტინგის ტელევიზიები მაუწყებლობენ საქართველოში და ამასთანავე, როგორი ოპერატიული და კარგად აღჭურვილი ძალოვნები გვყავს. მით უფრო, რომ ცხელ კვალზე დააკავეს ყველა სატელეფონო ზარის ავტორი – 39 წლის მარტიაშვილი და 16 და 11 წლის მოზარდები. ეს უკანასკნელი მშობლის თანდასწრებით დაიკითხა და სახლშიც გაუშვეს.

რაც შეეხება ყველაზე უფროსს, სულ მალე ელექტრონულ მედიაში გამოჩნდა ვეტერანთა კავშირის ყოფილი ხელმძღვანელის, ამჟამად კი ემიგრაციაში მყოფი დავით მარტიაშვილის წერილი, რომელიც ხელისუფლებას ძმის წინააღმდეგ დადგმულ სპექტაკლში ამხელს.

მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ ზემოჩამოთვლილი დეტალების სიღრმეებში გაანალიზებისთვის, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ჩვენი მკითხველის ინტერესის სფერო სულ სხვაა. მაგალითად, რაზე მიგვანიშნებს ასეთი ზარების ინტენსივობა? რას უნდა ველოდეთ მას შემდეგ? რა ხდება, როდესაც დაცარიელებულ სტრატეგიულ ობიექტებში სპეცსამსახურები შედიან? და ა.შ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მომხდარის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, რომ გამკაცრდეს კანონი და ასეთი შეტყობინების ავტორები უმკაცრესად დაისაჯონ. თუმცა, სანამ ამ იდეის ინიციატორები მოსალოდნელი პროექტის დეტალებს გაასაჯაროებენ, ვიცით მხოლოდ ის, რომ, თუ ამ დანაშაულს არასრულწლოვანი ჩაიდენს, მისი მშობლის მიმართ დაწესებული ჯარიმა საგრძნობლად გაიზრდება.

ჯერჯერობით კი შესაბამისი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებების მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში საკაკვილის ხელისუფლების პირობებში 2005 წლის 25 მარტს შევიდა სხვა სიახლეებთან ერთად, თუნდაც ისეთთან, როგორიც იყო მუხლი ქურდული სამყაროს წევრობის შესახებ.

შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში ასეთი რამ კოდექსში არ არსებობდა. ალბათ, გაგიკვირდებათ, როგორ იქცეოდნენ მაშინ სამართალდამცველები, მით უმეტეს, რომ ასეთი ცრუ ზარები საკმაოდ სისტემატურ ხასიათს ატარებდა?

რაკი ეს კითხვა მაინც დაისვა და საქმე ტელეკომპანიაში ბომბის არსებობას შეეხება, მკითხველს ერთ საინტერესო ისტორიას გავახსენებთ:

ეს მოხდა 2003 წლის დეკემბერში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ძალიან მალე, როდესაც გამარჯვებული ხალხის ტელევიზიიდან „სახეებმა“ ინყეს გადინება. სწორედ ამ მოცემულობაში ყაზბეგის ქუჩიდან დაუდგენელმა პირმა ყუმბარმტყორცნიდან გაისროლა და შენობის მე-17 სართულზე განლაგებულ ტელეკომპანიის ოფისის კედელს ნაღმი სტყორცნა. ეს კვალი კედელს დღესაც კი ეტყობა. მაშინ საგამოძიებო ორგანოები, რომლებშიც ძველი კადრები ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილნი, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, რომ ამის ავტორი თავად ეროსი კინწარიშვილი იყო, ახალი ხელისუფლებისთვის კი ეს ერთ-ერთი ხელსაყრელი საბაბი გახდა დიდი წმენდის განსახორციელებლად. მაშინ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება საბოტაჟის მუხლით დაიწყო. ეს დანაშაული კი ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, საბოტაჟის განმარტებას თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ დაწესებულებების ჩამონათვალში არის სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და მასობრივი მაუწყებლობის საშუალებებიც, რომლის ფუნქციონირების ხელის შეშლასაც საბოტაჟის სახელს არქმევს მოქმედი კანონის ავტორი.

12 სექტემბერს კი ფუნქციონირებაში ხელი ნამდვილად შეეშალა ჩამოთვლილთაგან ორს...

**ახლა კი წარსულში ხეტიალით დიდხანს რომ არ შეგაწყინოთ თავი, გთავაზობთ ინტერვიუს ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელთან, ბადრი ნაჭყებიასთან:**

– სატელეფონო ტერორიზმის ბუმი ახალი არ არის. საქართველოში ასეთი რამ ხშირად ხდებოდა 1994-96 წლებში, განსაკუთრებით ხშირად აფრთხილებდნენ პოლიტიკური პარტიების ოფისებსა და ტელევიზიებს. რამდენიმეჯერ განგაში იყო მეტროპოლიტენში ბომბის არსებობის შესახებ. ასე რომ, ასეთი რამ სიახლე სულაც არ არის. მაგრამ, როდესაც ასეთი რამ ხდება მაშინ, როდესაც არჩევნებამდე ერთი თვეა დარჩენილი, გამორიცხული არ არის, რომ ეს გამოყენებული იყოს გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ იმისთვის, რათა აჩვენონ, თითქოსდა ქვეყანაში არასტაბილური ვითარებაა. გარკვეული ნევროზული ელემენტები შეიტანონ საზოგადოებაში და ეს გარკვეული ტიპის მოთამაშეებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

**– ვის გულისხმობთ ამ მოთამაშეებში?**

– დაკონკრეტება რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, როდესაც არსებობს ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა, მათ შორის დაპირისპირების გამწვავება შეიძლება აწყობდეს მესამეს, თუმცა მას არ დავაკონკრეტებ...

**– როდესაც პოლიტიკურ ინტერესებზე ვსაუბრობთ, აქვე ვიცით, რომ პოლიციამ უკვე დააკავა ამ შეტყობინებების ავტორები...**

– შემსრულებელი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ბრმა იარაღი და აბსოლუტურად ვერ ხვდებოდეს, რა გააკეთა. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევით დამთხვევას... არსებობის უფლება ამ ვერსიასაც აქვს.

**– სოციალურ ქსელებში გამოითქმება ეჭვები, რომ ხშირად ასეთ დროს დაცარიელებულ ობიექტზე სპეცსამსახურები ტექნიკურ საშუალებებს ამონტაჟებენ, ვთქვათ, მოსასმენ აპარატურას...**

– ასეთ რამეს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ამჯერად თუ ასე მოხდა, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საგანია. თუმცა არ მგონია, დღევანდელი ხელისუფლება ამ რისკზე წავიდეს, მით უმეტეს არჩევნების წინ.

**– როდესაც ასეთი შეტყობინებები ინტენსიურ ხასიათს ატარებს, ამას რა მოვლენები მოჰყვება ხოლმე?**

– როდესაც ეს თემა ხდება ანგაჟირებული, ასეთი შეტყობინებები წყდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ ასეთ დანაშაულზე სასჯელის გამკაცრებას გეგმავს, ამას მივესალმები, როგორც ექსპერტი. სატელეფონო ტერორიზმი მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ არის.

**– საერთაშორისო გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ზოგჯერ სატელეფონო ტერორიზმს რეალური ტერაქტებიც მოჰყვება ხოლმე...**

– მე შემიძლია ორი სერიოზული ორგანიზაცია დავასახელო, რომლის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს წინ სატელეფონო ზარები უძღოდა. ამით ცდილობდნენ, მოსალოდნელი მსხვერპლი აეცილებინათ თავიდან. ეს იყო ირლანდიის რესპუბლიკური არმია და ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ირონლცა“. მათ ჰქონდათ ასეთი ხელწერა.

**– ამის გათვალისწინებით შეიძლება მოსალოდნელი ტერორისტული საფრთხეების შესახებ ვისაუბროთ ამ სამი ობიექტის მისამართით?**

– ახლა, არა მგონია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## კობა დავითაშვილი: „ივანიშვილი სწორად იქცევა, რადგან პირველი პრეცედენტია, როცა ხელისუფლების სათავეში მოსული ადამიანი მიდის“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**კობა დავითაშვილი არჩეულ გეზს ინარჩუნებს. ის სკანდალური პოლიტიკოსის სტატუსის დათმობას, როგორც ჩანს, არც აპირებს. უმრავლესობის ყოფილი წევრი „ოცნების“ მხილებას უკვე გვერდიდან განაგრძობს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთია, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებას მიესალმება. მეორე საკითხია, რამდენად ესმის საზოგადოებრივი სექტორის არსი, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ამ შემთხვევაში მისი დემოკრატიული არჩევანია. პოლიტიკაში მესია არ უნდა იყოს. დავითაშვილისთვის ივანიშვილი სწორედ ასეთია. ამის დასტურად კობა დავითაშვილს საპარლამენტო სესიები მოჰყავს. როგორც ირკვევა, ხმები, რომ უმრავლესობა კანონპროექტებს სწორედ ივანიშვილის მითითებით იღებდა თუ აგდებდა, სწორი იყო. „ნეტგაზეტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ივანიშვილის გარდა, „ხალხის პარტიის“ ლიდერი საკუთარი გუნდის ყოფილ წევრებსაც ამხელს და აცხადებს, რომ პარლამენტის წევრები ხშირად აძლევდნენ თავს უფლებას, საზოგადოების მიერ დასახელებული პრობლემებისთვის იგნორირება გაეკეთებინათ. პრინციპში, ეს უკვე ნათლად გამოჩნდა გუბაზ სანიკიძესა და ზვიად ძიძიგურის შემთხვევაში. საკუთარ ამომრჩევლებთან ორივე მათგანს, ქუთაისშიც და რუსთავშიც, პრობლემები აქვთ. ერთს კაბინეტის კარი აუჭედეს, ხოლო მეორის მიმართ უკიდურეს ფორმას მიმართეს. რუსთაველებმა საპროტესტო აქცია ძიძიგურის გამო პირადად ივანიშვილს მოუწყვეს.**

**კობა დავითაშვილი, საპრეზიდენტო კანდიდატი:**

– ჩვენთან ორიენტაცია ყოველთვის იყო და არის ერთ კაცზე: ხან ზვიად გამსახურდიაზე, ხან შევარდნაძეზე, ხან სააკაშვილზე, ახლა ივანიშვილზე. ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ ბიძინას და მართლა დიდი საქმე გააკეთა, რომ იმ ორმოდან ამოგვიყვანა, რომელშიც ვიყავით, მაგრამ ამის გამო შეიძლება პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონები აჩეროს ერთმა კაცმა?! ორჯერ იყო ამის შემთხვევა, აზარტული თამაშების კანონპროექტზე და იპოთეკარებზე.

სწორედ იმიტომ რომ ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ ან კონკრეტულმა ლიდერმა მეტი პასუხისმგებლობა იგრძნობს ამომრჩევლის წინაშე, დავითაშვილი საზოგადოებას პოლიტიკური თამაშის ახალ წესებს სთავაზობს. მას მიაჩნია, რომ ძალამ, რომელიც ხალხის დიდი ნდობით მოვა ხელისუფლებაში, საკუთარი დაპირებები პირნათლად უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გამარჯვება მომდევნო არჩევნებში აღარც უნდა განიხილებოდეს. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა დავითაშვილი აღიარებს ამომრჩევლის უყურადღებობას. ამიტომაც ის ქართველ ხალხს პოლიტიკური დღიურის შემოღებას ურჩევს.

**კობა დავითაშვილი:**

– მე, პრაქტიკულად, ერთადერთი პოლიტიკოსი ვარ, ვინც მას ამ საქციელს უწონებს. მის თანაგუნდელებს გლოვა აქვთ გამოცხადებული და იძახიან, ვის ხელში გვტოვებსო, ნაციონალები ამბობენ, კრახი განიცადა და გარბისო, ხოლო მე ვამბობ, რომ სწორად იქცევა, იმიტომ, რომ ჩვენთან სწორედ ერთი კაცის მმართველობის პრობლემაა. ივანიშვილი სწორად იქცევა, რადგან პირველი პრეცედენტია, როცა ხელისუფლების სათავეში მოსული ადამიანი მიდის. ეს დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, თუმცა, არასაკმარისი, რადგან ჩვენთან ხალხის მმართველობა, ანუ დემოკრატია, უნდა დამკვიდრდეს. თამაშის წესები უნდა დამკვიდრდეს ასეთი, რომ, მაგალითად, პოლიტიკური პარტია, ან პოლიტიკური ლიდერი მოვიდა კონკრეტული საარჩევნო პროგრამით და არ შეასრულა ეს პროგრამა, შემდეგ არჩევნებში მან ვერც ერთი ხმა ველარ უნდა მიიღოს. თუ ასეთი გულმავიწყია ეს ჩვენი საზოგადოება, იქნებ ამომრჩევლის დღიური შემოვიღოთ მოსწავლის დღიურივით და იქ ჩაწეროს ადამიანმა, რა დაპირებები შეუსრულეს და რა – არა.

**„თუ პარტია, ან პოლიტიკური ლიდერი მოვიდა კონკრეტული საარჩევნო პროგრამით და არ შეასრულა ეს პროგრამა, შემდეგ არჩევნებში მან ვერც ერთი ხმა ველარ უნდა მიიღოს“**

# როდის და რაზე გარი

# ვისი პროექტია 2012 წლის პირველი ოქტომბერი?

EXCL

მარიამ ნადირაძე

**უკვე ნაკლებად, თუ ვინმეს ახსოვს ის საზეიმო განცდა, რაც მას ერთი წლის წინათ ჰქონდა, როდესაც სააკაშვილმა საჯაროდ აღიარა დამარცხება...**

ხშირად გაიგონებთ კითხვას და კამათს იმის შესახებ, რა შეიცვალა და შეიცვალა თუ არა საერთოდ რამე...

თუმცა, უახლოეს პოლიტიკურ ისტორიაში ხალხის კმაყოფილებას ხელისუფლების მისამართით ყოველთვის ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და ამ ფრაგმენტს ყოველთვის მოჰყვებოდა დაბეჯითებით გამოთქმული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ახალი ხელისუფალი წინამორბედის მემკვიდრეა. ასე იყო მაშინ, როდესაც სააკაშვილს შევარდნაძის პირმშოს ვეძახდით და ახლაც, როდესაც კოჰაბიტირებულ ლიდერებს შორის ძველ და ურყევ მეგობრობას ვიხსენებთ, რომელიც რეალურად ჯერაც არ შერყეულა...

ხელისუფლებაში მოსული, ან დარჩენილი ძალებისთვის ეს ვერსიები განაწყენებული და დამარცხებული ადამიანების მოყოლილი ზღაპრებია.

მაგრამ მოცემულობა ერთია: წინ საპრეზიდენტო არჩევნებია, ეს კი სულაც არ იგრძნობა პოლიტიკურ სცენაზე. ერთადერთი, რაც ტემპერატურას მაღლა წევს, მოსალოდნელი ახალი საპროტესტო მოძრაობაა, რომელიც ისევ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით იწყება, ისე როგორც ეს ერთი წლის წინათ ხდებოდა.

**რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?**

**ვინ ვისი მემკვიდრე და მეგობარია?**

**და რას უნდა ველოდეთ კოჰაბიტირებული ლიდერებისგან?**

**ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ „სახალხო პარტიის“ ლიდერი, მამუკა გიორგაძე ესაუბრება:**

– ორი სუბიექტი, რომლის შესახებაც უნდა ვისაუბროთ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს და, ფაქტობრივად, ერთ საქმეს ემსახურება...

**– „ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობთ?**

– რა თქმა უნდა. მათ არ სჭირდებათ რაიმე ხელშეკრულება ერთმანეთთან, ისედაც კარგად იციან, რომ ერთ მიზანს ემსახურებიან. ეს ყველაფერი კი სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ხდება. „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ აწყობს ის ვითარება, რაშიც ქვეყანა იმყოფება. აწყობთ, რომ მათ შორის მიმდინარეობდეს ხელოვნური დაპირისპირება, არ გადავიდეს საკითხი ორივესთვის მიუღებელ პლანში, როგორიც არის იდეოლოგიური დაპირისპირება. აწყობთ, ისაუბრონ ძირითადად მიმდინარე საკითხებზე, ვთქვათ, მაშინ უფრო ირღვეოდა ადამიანის უფლებები, თუ ახლა უფრო ირღვევა, მაშინ უფრო გარანტირებული იყო ეს უფლება. ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ოცნება“ დღეს ერთმანეთს აცოცხლებენ. ქმნიან პოლიტიკური ბრძოლის იმიტაციის სურათს. სინამდვილეში, ერთმანეთის გარეშე ისინი საზოგადოების თვალში გაშიფრულნი იქნებოდნენ. დღეს მათ დაყვეს საზოგადოება მომხრე-მოწინააღმდეგეებად. მაგრამ რაში ეწინააღმდეგებიან ისინი ერთმანეთს, ადამიანისთვის გაუგებარია. თუ, ვთქვათ, ორივე ემხრობა იმას, რომ უნდა არსებობდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნი, რაში ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს? თუკი თანხმდებიან იმაში, რომ დახურული პოლიტიკური სივრცე იყო ადრეც და ახლაც, რა კამათი აქვთ ერთმანეთთან? არც მაშინ იყო ღია საჯარო განხილვები ამა თუ იმ თემის და არც ახლაა. პარლამენტი მაშინაც დახურული ორგანო იყო და დღესაც ასეა. მაშინაც დაჯდებოდნენ „ნაცმოძრაობისა“ და ოპოზიციაში მყოფი იმ სუბიექტების წარმომადგენლები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, მოისვამდნენ ერთ-ორ არასამთავრობო ორგანიზაციას და ამ დახურულ შეხვედრას გააფორმებდნენ, როგორც საერთო ეროვნულ კონსენსუსს, ან საერთო ეროვნულ დაპირისპირებას. დღესაც იგივეა – იგივე ხალხი, იგივე არასამთავრობოები... რაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, იგივეა დღესაც. ფულს ისევ მათ აძლევენ, ვისაც ადრე აძლევდნენ. იქაც ერთი პიროვნება იყო პოლიტიკის განმსაზღვრელი და ახლაც ასეა. ეს პიროვნებები მაშინაც და დღესაც აცხადებენ, რომ ამ თუ იმ საკითხს გუნდს შეუთანხმებენ. არადა, გუნდს რომ არაფერს უთანხმებენ, ხომ ყველამ კარგად ვიცით? პრაქტიკულად სისტემა დარჩა იგივე. შეიცვალა მხოლოდ სისტემის გარეგნული გამოხატულება. სახლში ისევ მომდის გადასახადების ქვითარი შუქზე, გაზზე და წყალზე და ისევ გამითიშავენ შუქს, თუ არ გადავიხდი ნაგვის გადასახადს. სისტემა დარჩა იგივე, სისტემის შიგნით კი მცირედად შემცირდა ტარიფი. ეს არის კოსმეტიკური ცვლილება, შესაძლებელია, ზოგისთვის ეს შესამჩნევი ცვლილებაც იყოს, მაგრამ ეს არ არის არსობრივი ცვლილება. ცვლილებები მხოლოდ გარეგნულად ხდება. ჩვენ ისევ მონოპოლიურ გარემოში ვცხოვრობთ. მაშინაც და დღესაც პრაქტიკულად იგივე სისტემაა, რომელიც არ იძლევა თავისუფალი მეწარმეობის განვითარების საშუალებას. თუ ძველი ბიზნესმენი აღარ ჩანს და ვილაც ახალი გამოჩნდა, ეს მხოლოდ სისტემის შიგნით ცვლილებებია. დღეს ჩვენ ვკამათობთ იმაზე, როდის უფრო მეტად არღვევდა პოლიციელი კანონს – მაშინ თუ დღეს? თუკი არღვევს ამ კანონს მაშინაც და ახლაც, გამოდის, რომ სისტემა არ იცვლება და მხოლოდ მის შიგნით მიმდინარეობს რესურსების გადალაგების პროცესი და ესეც მარტო იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ხომ უნდა ნახოს, რომ რაღაც შეიცვალა? ასე რომ, „ნაცმოძრაობა“ და „ოცნება“ ჩვენ დღეს შეგვიძლია ერთ გუნდად განვიხილოთ, როგორც კოჰაბიტური ხელისუფლება. ეს მინუსია „ოცნებისთვის“, პლუსი კი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რადგან კოჰაბიტირებულმა ხელისუფლებამ

**„ივანიშვილმა, როცა ღიად შემოვიდა ამ სივრცეში, თავადვე შესთავაზა სააკაშვილს, რომ მოედანზე ორნი დარჩენილიყვნენ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲘ�გᲣᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ?

**„ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲩᲘ – ᲨᲔᲜᲡᲐᲡ, – ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲪᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ“**

**„ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲕᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲐᲜ. ᲕᲔᲠ ᲬᲐᲕᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ. ᲘᲡ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲘᲡᲔᲕ ᲘᲛ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 2011 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ“**

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲙᲘ – ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲡ.

**– თავის დროზე სააკაშვილის პოლიტიკურ მოძრაობას შევარდნაძის ხელისუფლებასთან გარიგებაშიც ადანაშაულებდნენ და ერთს მეორეს მემკვიდრედ ასახელებდნენ. ასეთი ეჭვები ჩვევად ხომ არ გვექცა?**

– არც ის იყო უსაფუძვლო ეჭვები. მაშინაც სისტემა იგივე რჩებოდა, მაგრამ მნიშვნელოვნად იცვლებოდა მხოლოდ გარეგნული ეფექტები. აქ იცით, რა არის მთავარი? თავის დროზე იყო ასეთი ანეკდოტი: ბრეჟნევი ამბობდა, კომუნიზმისკენ მიმავალ გზაზე ხალხს საჭმელს არ შევპირებივართ, ამას კომუნიზმში შევპირდითო. ზუსტად ასეთი სიტუაციაა დღესაც. ყოველი მომდევნო ხელისუფლება საუბრობს, რომ წინას სჯობს. ჩვენ კი გვაინტერესებს არა ის, წინას სჯობიხარ თუ არა, არამედ, კარგი ხარ თუ არა შენ თავად, აკმაყოფილებ თუ არა იმ მოთხოვნებს, რაც ხალხმა ნამოგიყენა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ერთ მინისტრს რომ მეორე შეცვლის სავარძელში?

**– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის შეთანხმება გაცილებით ადრე დაიწყო პოლიტიკურ თანაცხოვრებაზე, ვიდრე ეს საზოგადოებას განუცხადეს...**

– ნამდვილად ვერ დავადასტურებ ერთმანეთთან ასეთი ხელშეკრულება გააფორმეს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ მათ საერთო ინტერესები გაუჩნდათ. თავის დროზე ლენინს ჰქონდა წერილი დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, რაც მარქსიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი იყო. ეს ხალხი დაპირისპირებულია ერთმანეთთან მხოლოდ კონკრეტული ადგილებისთვის, ფულისთვის, მაგრამ ერთიანნი არიან იმაში, რომ არც ერთს არ აწყობს შეიცვალოს არსებული ვითარება. „ოცნებას“ არ აწყობს „ნაცმოძრაობას“ სხვა ძალა ჩაენაცვლოს, ვინაიდან ის ვეღარ შეძლებს იმის თქმას, რომ მასზე უკეთესია. ვეღარ შეძლებს წამოძახებას, რომ, თუ დღეს ციხეში მოკვდა სამი ადამიანი, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კვდებოდა ათი. მე კი ვითხოვ, მიპასუხონ, რატომ კვდება ციხეში ადამიანი საერთოდ? იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ დახმარებაზე, რომელიც დღესაც სტიმულირებულია სიღატაკისკენ და ისევ არ არის ჩვენი ეკონომიკა მიმართული იმისკენ, რომ ხალხი გამდიდრდეს. როგორც მაშინ, დღესაც ისევ ისე ვდაობთ, როგორ უნდა დავითვალოთ ქულები, რაც სოციალურად დაუცველის სტატუსს განსაზღვრავს. ამაზე ვდაობთ და არ ვცვლით სისტემას იმისთვის, რომ საქართველოში შეძლებული ადამიანები ცხოვრობდნენ. გვაყვედრიან იმას, რომ „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მაცივარი უკვე აღარ ითვლება ქონებად და ამით გაიოლდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მოპოვება. მაგრამ საერთოდ რატომ უნდა არსებობდეს ეს სტატუსი? რატომ უნდა ფიქრობდეს ადამიანი, სახლში მაცივარი და ტელევიზორი დამალოს? ისევ ისე სხვისი ხელის შემყურეა დაუსაქმებელი ადამიანი. მოდი, შევცვალოთ სისტემა, შემუშავდეს დაუსაქმებელთა აღრიცხვის მექანიზმი და ხუთწლიანი დასაქმების პროგრამა...

**– ასეთი პროგრამები მრავლად გვახსოვს წინა ხელისუფლების პირობებში...**

– სწორედ ესაა საქმე, რომ მათაც ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე ჰქონდათ და რეალურად მივექანებოდით საერთო სიღატაკისკენ. ასე რომ, ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებელი დავა იმის შესახებ, ვინ ვის სჯობია, თორემ თუ სიმართლეს ვიტყვით, ნაციონალების პოზიცია სჯობს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას, თუნდაც აფხაზეთის საკითხში... ასე რომ, ეს ორსუბიექტობა ხელოვნურად არის შექმნილი. პრაქტიკულად ჩვენ დღეს გვყავს ერთიანი კოჰაბიტაციური ხელისუფლება. ის ლოზუნგი, რომელსაც წინასაარჩევნოდ იყენებს „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი, რომ 27 ოქტომბერს დასრულდება კოჰაბიტაცია, რას ნიშნავს? ვინმემ ძალით მოახვია ეს თავს? თუ არ უნდოდა რატომ შედიოდა ასეთ გარიგებაში?

**– თქვენი აზრით, მართლა დამთავრდება ეს ყველაფერი 27 ოქტომბერს?**

– რა თქმა უნდა, არა. იმაზე, რაც ხდება გასული წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე, ორივე სუბიექტი ერთად არის პასუხისმგებელი. თანაც, 27 ოქტომბრის შემდეგ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი, თორემ პარლამენტში ხალხი ხომ რჩება? ამ ხალხს აქვს კანონიერად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება მინიჭებული. ეს სტატუსი მათ „ოცნებამ“ მიანიჭა. შესაბამისად, სანამ ეს პარლამენტი იარსებებს, ეს კოჰაბიტაციაც გაგრძელდება. ამ პარლამენტის დაშლა კი არ აწყობს არც ერთ და არც მეორე სუბიექტს, მით უმეტეს იქ მყოფ დეპუტატებს, ვინაიდან ამ პარლამენტის 80 პროცენტი იქ რომ ვეღარ მოხვდება, კარგად იციან. ასე რომ, კოჰაბიტაცია „ოცნების“ არჩევანია და გაგრძელდება მანამ, სანამ ახალი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება საქართველოში.

**– როგორ ფიქრობთ, ეს შეთანხმება ამ ორ სუბიექტს შორის რა ეტაპზე შედგა – მანამ სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა პოლიტიკაში, თუ მას შემდეგ, რაც ის გახდა ხელისუფალი?**

– ივანიშვილი უკვე კოჰაბიტურ სივრცეში შემოვიდა პოლიტიკაში. ამას მისი პირველი განცხადებაც მოწმობდა, როცა თქვა, რომ შუა ძალა უნდა გაიკრიფოს და ერთიერთზე უნდა დარჩენილიყო „ნაცმოძრაობასთან“. რატომ უნდა დარჩენილიყო სააკაშვილთან ერთიერთზე? 2012 წლის არჩევნების მთავარი მამოძრავებელი ძალაც ეს იყო, რომ ორნი დარჩენილიყვნენ მოედანზე.

**– სააკაშვილი ინფორმირებული იყო ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო გამოჩენის შესახებ?**

– რა თქმა უნდა. სააკაშვილმა კი არა, პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულმა ყველა ადამიანმა იცოდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა გამოჩენილიყო. მით უმეტეს, რომ ის პოლიტიკას მანამდეც მართავდა. როგორ ფიქრობთ, ადამიანი, რომელიც მინისტრის მოხსნა-დანიშვნაში ერეოდა, აფინანსებდა მთავრობას, მონაწილეობას იღებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებში და ამ ყველაფერს თავად აღიარებს, არ მონაწილეობდა პოლიტიკაში? აბა, პოლიტიკა რა არის? თუ ის დეპუტატები აკეთებენ პოლიტიკას, რომელიც დღეს ნებისმიერ შეკვეთაზე წევენ ხელს პარლამენტში? ვანიშვილი როცა ღიად შემოვიდა ამ სივრცეში, თავადვე შესთავაზა სააკაშვილს, რომ ორნი დარჩენილიყვნენ მოედანზე.

**– ეს რა თამაშია და ვისი სცენარით?**

– სცენარის ავტორებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები არსებობს და ამიტომ ახლა ეს არ არის მთავარი...

**– 2003 წლის პროექტის ავტორები დრომ გამოაჩინა. ახლა რა ხდება?**

– დანამდვილებით გეტყვით, რომ დღესდღეობით მხოლოდ რუსეთს აქვს საქართველოს შიგნით პროცესების წარმართვის ბერკეტები. დასავლეთს მხოლოდ სახელმწიფოზე ზემოქმედება შეუძლია და არა შიდა პროცესების მიმდინარეობაზე. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, ჩვენ როგორ აღვიქვამთ მიმდინარე პოლიტიკას. ის, ვინც ხელოვნურად ქმნის პოლიტიკურ მოედანს, ის ქვეყნის განვითარებისკენ არ მიილტვის. ეს არის აქსიომა. ყველა ქვეყანას გადავხედოთ, როგორ განვითარდა. განვითარდა კონკურენციით, მრავალპარტიულობით, მრავალსუბიექტიანობით. ჩემი ბელადი სჯობია შენს ბელადს და ჩემი ყოჩი – შენსას, – ამას ვერ გასცდა ქართული პოლიტიკა. ეს არის უბედურება. შედეგად კი ვიღებთ პოლიტიკაში მონოპოლიას, რომელიც ქვეყნის განვითარებას ნამდვილად არ წაადგება და ამის ნათელი მაგალითი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებია.

**– რომლის შემდეგაც პოლიტიკას ჩამოშორდებიან ეს „ყოჩები“...**

– ვერც ერთი წავა პოლიტიკიდან და ვერც მეორე, უბრალოდ, სხვა ფაზაში გადადიან. ვერ წავა ივანიშვილი პოლიტიკიდან. ის, უბრალოდ, ისევ იმ პოზიციაში გადაინაცვლებს, როგორც 2011 წლამდე იყო. პოლიტიკა თავისი სპეციფიკაციით ხასიათდება. ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა, ჩამოყალიბებულიყო ჯანსაღი პოლიტიკური ელიტა, ამიტომაც არის, რომ 6-7 თვეში ერთხელ ხდება ეს პერტრუბაციები. ახლაც არავისთვის არის საინტერესო ე.წ. მთავარი პოლიტიკური მოვლენა, საპრეზიდენტო არჩევნები, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ ძალიან მალე ახალი კონფიგურაციით უნდა გამოიკვეთოს ხელისუფლება. შესაბამისად, ახლა მოძრაობები მხოლოდ ამისკენ არის მიმართული. მთავარი მოვლენები არჩევნების შემდეგ განვითარდება. ერთადერთი, ვისაც საპრეზიდენტო არჩევნები აინტერესებს, ნინო ბურჯანაძეა, რომ როგორმე შემადგენლობაში მოხვდეს. სხვას ყველას გარკვეული აქვს თავისი მდგომარეობა. ახლა რეალურად ყველასთვის არა არჩევნებისთვის, არამედ მისი შემდგომი ყოფისთვის მოსამზადებელი პერიოდია.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

## სასწავლო წელი დაიწყო

დღეიდან 2013-2014 სასწავლო წელი დაიწყო. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, საქართველოში სულ 2332 სკოლაა. მათ შორის კერძო – 247, საჯარო კი – 2085.

დღევანდელი მდგომარეობით, 16 სექტემბერს სასკოლო მერხებს 610 430 მოსწავლე მიუჯდება. მათ შორის 559 189 მოსწავლე საჯარო სკოლაში მივა, ხოლო 512 41 მოსწავლე – კერძო სკოლაში.

პირველ კლასში 44 758 მოსწავლე წავა. მათ შორის 40 468 პირველკლასელი საჯარო სკოლაში მივა, ხოლო 4290 პირველკლასელი – კერძო სკოლაში.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სკოლებს შორის მობილობის პროცესი გრძელდება და მოსწავლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი კერძო და საჯარო სკოლებს შორის შეიცვლება.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, საქართველოში 64 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელია. წელს პირველ კურსზე 28 ათასზე მეტი აბიტურიენტი ჩაირიცხა. რაც შეეხება საერთო მაჩვენებელს, ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში 120 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

## ნუგზარ წიკლაური „ქართულ ოცნებას“ განცხადებას უწოდებს

**უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა პროტესტი, რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთთან საზღვრების შესახებ, მისასალმებელია.**

**როგორც წიკლაურმა განაცხადა, „უმცირესობა ხელისუფლებასთან ჩასაფრებულ მდგომარეობაში არ არის“.**

„ნაბიჯი, რაც დღეს ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მიმართ იქნა გადადგმული, მინისტრების განაცხადებები და მათი გადაწყვეტილების ოფიციალური დაგმობა, ვფიქრობ, მისასალმებელია. ეს იყო სწორი ნაბიჯი, ჩვენ არ ვართ ჩასაფრებულ მდგომარეობაში, რადგანაც ყველაფერს უნდა შევხედოთ ფაქტებით. რუსეთი დღითი დღე ცდილობს, საბჭოთა ინტეგრაციის პროცესის დაწყებას. ამას მოწმობს კლინტონისა და შტეფან ფულეს განცხადებებიც. საქართველოში კი უმეტესობას არჩევანი გაკეთებული აქვს და ეს არის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის გახსნილი დისკუსია ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით დამაზიანებელია“, – აცხადებს წიკლაური.

## არჩილ ხაბაძე სკანდალში გაეხვია

## რატომ მოუწია განმარტებების გაკეთება აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს?

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, არჩილ ხაბაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას სამთავრობო გუნდში სკანდალი მოჰყვა. 13 სექტემბერს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცა ხაბაძის ვრცელი ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა, რომ ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „რამდენიმე კვირის წინ რუსეთში იმყოფებოდა“. ხაბაძის ამ განცხადებას კვირიკაშვილის უწყება ვრცელი წერილით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აჭარის მთავრობის პირველი პირის ნათქვამი რეალობას არ შეესაბამება. „მოსკოვში ქართველი მინისტრების საიდუმლო შეხვედრების“ შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უმალვე გამოეხმაურა სოფლის მეურნეობის სამინისტროც, სადაც ხსენებული ინფორმაცია ასევე უარყვეს. ამის შემდეგ, აჭარის მთავრობას განმარტებების გაკეთება მოუხდა და ხაბაძის განცხადება ლინგვისტურ შეცდომას დაუკავშირა. როგორც მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწემ ლევან ჯაშმა აღნიშნა, არჩილ ხაბაძის განცხადების დროს გამოყენებული ფრაზები ტექნიკური და ლინგვისტური შეცდომა იყო.

„გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო, რომ არანაირი მინისტრის ვიზიტი არ მომხდარა მოსკოვში, არც იგეგმება მინისტრთა კაბინეტის არც ერთი წევრის ვიზიტი. უბრალოდ, იყო ტექნიკური, ლინგვისტური შეცდომა. საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებული ყველა უწყება მუშაობს იმისთვის, რომ ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია გავიდეს ბაზარზე და სტაბილურად დაიმკვიდროს ადგილი. არა მარტო რუსეთის უწყებებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, არამედ უკრაინასთან, ბელორუსთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან. ამ ფარგლებში გააქტიურებულია რუსეთთან მუშაობა, რათა მეურნეებმა ადვილად შეძლონ პროდუქციის გატანა, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე. მთავრობის თავმჯდომარის კომენტირებისას ნაგულისხმევი იყო მხოლოდ და მხოლოდ ეს“, – აღნიშნა ლევან ჯაშმა.

## თურქეთში მცხოვრებ ქალბატონს სააკაშვილმა მოქალაქეობა მეორედ მიანიჭა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას, თურქეთის 936 მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით, არასასურველს უწოდებს.

როგორც წულუკიანმა განაცხადა, ამ სიაში მოხვდნენ ადამიანები, ვინც, საერთოდ, თვალსაწიერზეც არ გამოჩენილა.

„არის ერთი ქალბატონი, მეჰიდა ივლიტი, რომელსაც უკვე მივანიჭეთ მოქალაქეობა და სააკაშვილმა მას მოქალაქეობა მეორედ მიანიჭა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ პრეზიდენტი ჩვეულ სტილში აგრძელებს მუშაობას. ის უგულებელყოფს სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებს და, საკუთარი ადმინისტრაციის გარდა, არავისთან კონსულტაციებს არ გადის ისეთ სასიცოცხლო და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მოქალაქეობა. სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სამინისტროსა და შს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების გვერდის ავლით მოქალაქეობის საკითხის გადაჭრა არასასურველია და მე პირადად პრეზიდენტს ამას ვერ მოვუწონებ“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილმა 10 სექტემბერს თურქეთის 936 მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფარული შეხვედრა
## "რესპუბლიკური პარტიის" ოფისში

# რაზე ისაუბრეს დავით ბაქრაძემ და დავით უსუფაშვილმა?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**რა რყევები ელის ქვეყანასა და მმართველ კოალიციას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ? ვინ გახდება საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი? რატომ ემუქრება ქვეყანას საგარეო კურსის ცვლილება და რა გარიგება შედგა დავით ბაქრაძესა და დავით უსუფაშვილს შორის? „პრაიმტაიმს" ამ თემებზე მოძრაობა „ეროვნულების" ლიდერი, სანდრო ბრეგაძე ესაუბრა.**

**სანდრო ბრეგაძე, მოძრაობა „ეროვნულები":**

– მე პირადად, არ მივესალმები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას. ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში არ მეგულება არც ერთი პიროვნება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიერ აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს. ეს გადაწყვეტილება შეიცავს საკმაოდ დიდ საფრთხეს, რომელსაც რატომღაც ჩვენი ე.წ. ექსპერტები ყურადღებას არ უთმობენ. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი ღიად შეიცვლება. დასავლეთთან დაახლოების ნაცვლად, ჩვენ გავხდებით მთლიანად რუსეთზე ორიენტირებული ქვეყანა. ცუდია თუ კარგი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ეს ვექტორი რომ შეიცვლება, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**– ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლით პრაქტიკულად ასპარეზს უთავისუფლებს აშკარად პრორუსულ ძალებს, მათ შორის ნინო ბურჯანაძეს, რომელიც, რიგი ექსპერტების შეფასებით, ძალებს იკრებს...**

– მოდით, პირდაპირ გეტყვით: დღეს რუსეთის ხელისუფლებიდან საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ დასმულია კითხვა – გარკვეული დროის შემდეგ მზად იქნებიან თუ არა ისინი, დასთანხმდნენ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. იმისდა მიხედვით, რომელი კანდიდატიც რა პირობას მისცემს ოფიციალურ მოსკოვს, იქნება შესაბამისი მხარდაჭერაც. მერწმუნეთ, კრემლის მხარდაჭერა არ იქნება უმნიშვნელო. ეს ხდება იმიტომ, რომ ამერიკის პოლიტიკამ საქართველოში სრული მარცხი განიცადა, რაშიც მთავარი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდება პიროვნება, რომელიც მზად იქნება, მომავალში ჩვენი ქვეყანა ევრაზიულ კავშირში გააწევრიანოს.

**– ივანიშვილის წასვლის შემდეგ რა რყევებს ვარაუდობთ ქვეყანაში და თვითონ მმართველ კოალიციაში?**

– სასაცილოა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმაც კი არ იცის, ვინ იქნება ქვეყნის მომავალი პრემიერი. მე გეტყვით ინფორმაციას, რომელიც უკვე აქტიურად მუსირებს ივანიშვილის გარემოცვაში. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილის მემკვიდრე გახდება ეკონომიკური გუნდის წარმომადგენელი, რომელიც ძირითადად მენეჯერი იქნება და არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ექნება. დაახლოებით ისეთ ფიგურაზეა საუბარი, როგორიც იყო ლადო გურგენიძე ნაციონალების დროს. ერთი მხრივ, ჩვენ გვეყოლება პოლიტიკურად სუსტი პრემიერი და მეორე მხრივ, ასევე, სუსტი პრეზიდენტი, მარგველაშვილის სახით. ამ ტანდემის შემთხვევაში სიტუაციის დაჭერა ძალიან რთული იქნება. ვადასტურებ პატივისცემას გიორგი მარგველაშვილის მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ ის არ არის დამოუკიდებელი, ძლიერი პოლიტიკური ფიგურა და სავარაუდოდ, ასეთივე წონის გვეყოლება პრემიერ-მინისტრიც. ეს ხელს აძლევს იმ ძალებს, რომელთაც რევანში სწყურიათ, თუმცა ვფიქრობ, ამ შემთხვევაში რევანშისტებს მაინც არ უწერიათ გამარჯვება. აქ ძირითადად იხეირებს ის ძალა, რომელიც გაცილებით მჭიდროდ იქნება დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლებასთან. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ვვარაუდობ, რომ ის მთავრობა, რომელსაც ივანიშვილი დატოვებს, აუცილებლად შეიცვლება. შეიცვლება თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ კოალიცია დაიშლება.

**– გინდათ თქვათ, რომ ეს პროცესი ყველაზე მეტად ბურჯანაძის წისქვილზე ასხამს წყალს?**

– რა განცხადებებიც არ უნდა მოვისმინოთ, ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართულ ოცნებაში" შემავალი გარკვეული პოლიტიკური ძალები ერთნაირად დაინტერესებულნი არიან ნინო ბურჯანაძის მაქსიმალური დისკრედიტაციით. ისინი ამას არც მალავენ. ეს გახლავთ მათ შორის კულუარული მოლაპარაკების თემა. ივანიშვილის გუნდში არჩევნების შემდეგ მოხდება სერიოზული დაყოფა. რესპუბლიკელები დასაყრდენს იპოვიან „ნაციონალურ მოძრაობაში" და მით შეძლებენ, პარლამენტის თავმჯდომარის სკამი შეუნარჩუნონ დავით უსუფაშვილს. ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. გეტყვით, რომ „რესპუბლიკური პარტიის" ოფისში გასულ კვირას გაიმართა დავით უსუფაშვილსა და დავით ბაქრაძეს შორის ფარული შეხვედრა. ეს არის დაზუსტებული ინფორმაცია, რომელსაც თავად შეხვედრის მონაწილეებიც არ უარყოფენ. ამ საუბარს ორივე მხრიდან რამდენიმე პირი ესწრებოდა.

**– და რას უკავშირდებოდა ეს შეხვედრა?**

– საუბარი იყო იმაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს მარგველაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდეს ბაქრაძე, ხოლო ბურჯანაძე მხოლოდ მესამე ადგილს უნდა დასჯერდეს. ანუ ნინო ბურჯანაძე ამ ძალებისთვის არის პრობლემა და ყველანაირად ეცდებიან, ის მეორე ადგილზეც კი არ დაფიქსირდეს. რესპუბლიკელების თეზა იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის" გადარჩენა ქართული დემოკრატიის ინტერესებშია, შემთხვევითი არ არის. ეს ორი პარტია გახლავთ ერთიან იდეოლოგიაზე დაყრდნობილი ძალა. ამ გარიგებით, ერთი მხრივ, ნაციონალები დაფიქსირდებიან მთავარ ოპოზიციურ ძალად, მეორე მხრივ კი, დავით უსუფაშვილი შეინარჩუნებს პოსტს. თავის დროზე გია ხუხაშვილმა, „რესპუბლიკურმა პარტიამ" და რამდენიმე შავბნელმა ფიგურამ ყველაფერი იღონეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" გადარჩენილიყო. რესპუბლიკელებს ამ შემთხვევაში აქვთ პოლიტიკური მოტივი, ხუხაშვილს კი – წმინდა მერკანტილური.

> **„ამ შეხვედრაზე საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე ვერ უნდა გავიდეს"**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

## დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

**გახსოვდეთ, რომ:**

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

**გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვალერი ხაბურძანია: „ჩვენმა გეგმამ ცოტა გადაიწია“

EXCLUSIVE

„ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა აუცილებლად გამოიწვევს ეროვნული ვექტორის ჩამოყალიბებას და ე.წ. რუსული, ახლა უკვე ევრაზიული ვექტორის შექმნას“

„ვფიქრობ, განცხადება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, საკმაოდ ბევრ ხმას დააკარგვინებს გიორგი მარგველაშვილს და ეს ხმები გადავა ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ. ვფიქრობ, ეს უფრო ბურჯანაძის სასიკეთოდ იმუშავებს, ვიდრე ნაციონალების“

**„ივანიშვილი დღეს პოლიტიკაში ქმნის დისბალანსს, ყველა პოლიტიკური ძალა შეიწოვა მან და სხვებისთვის ადგილი აღარ დარჩა. არ დარჩა ადგილი არც პოლიტიკური ვექტორების გადანაწილებისთვის და თუ ის წავა პოლიტიკიდან, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება“**

my View
თამარ გორთამაშვილი

**უშიშროების ექსმინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ პოლიტიკური გეგმები მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის გადადო. ამბობს, რომ ამ ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში პარტნიორების პოვნა გაუჭირდა. ნინო ბურჯანაძემ მისი შეთავაზება არ მიიღო, ისევე როგორც კახა კუკავამ. ღიად საკუთარი ორიენტაციის შესახებ დღეს მხოლოდ ვალერი ხაბურძანია საუბრობს და ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკური ვექტორების გადანაწილების მხრივ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. რა პროგნოზი აქვს პუტინის კარზე დაახლოებულ ქართველ ექსმინისტრს, პრემიერის პოსტიდან ივანიშვილის წავლის შემდგომ მოსალოდნელ პროცესებზე? ვალერი ხაბურძანია „პრაიმტაიმის“ კითხვებს მოსკოვიდან პასუხობს.**

**ვალერი ხაბურძანია:** ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს, არცთუ ისე იოლი და არცთუ ძალიან რთული. წინა არჩევნებთან შედარებით ამ ეტაპისთვის დუღილის ტემპერატურა დაბალია. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებს – ყველაზე დიდი შანსი გამარჯვების გიორგი მარგველაშვილს აქვს, შემდგომ ბურჯანაძე-ბაქრაძეს. პროცენტებზე ახლა ვერ ვისაუბრებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მარგველაშვილი უფრო მეტს დააგროვებს, ვიდრე ბურჯანაძე და ბაქრაძე სათითაოდ.

**– თქვენ ვის კანდიდატურას დაუჭერთ მხარს?**

– ამის შესახებ არ ვსაუბრობ, თუმცა გეტყვით, რომ ჩემი სიმპათიები „ნაციონალური მოძრაობისკენ“ ნამდვილად არ იხრება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მე არც მეორე ტურს გამოვრიცხავ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მაინც მარგველაშვილს აქვს.

**– როგორ აფასებთ პრემიერის განცხადებას პოსტიდან წასვლის შესახებ?**

– მე დადებითად ვაფასებ მის ამ განცხადებას. ივანიშვილი დღეს პოლიტიკაში ქმნის დისბალანსს, ყველა პოლიტიკური ძალა შეიწოვა მან და სხვებისთვის ადგილი აღარ დარჩა. არ დარჩა ადგილი არც პოლიტიკური ვექტორების გადანაწილებისთვის და თუ ის წავა პოლიტიკიდან, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. თუმცა საარჩევნო ტაქტიკის გათვალისწინებით, არჩევნების წინ ასეთი განცხადების გაკეთება, მისივე გუნდისთვის არ არის კარგი და ალბათ, ამას ემსახურებოდა ის განმარტებები, რომელიც მან შემდეგ გააკეთა.

– ტაქტიკურად ეს განცხადება იყო შეცდომა. ტაქტიკურად, არჩევნების წინ ასეთი განცხადება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაკეთდეს, როგორი სწორი და რეალური შედეგიც არ უნდა მოჰყვებოდეს მას.

**– რა ახსნა გაქვთ თქვენ, რატომ გაკეთდა არჩევნებამდე ეს განცხადება?**

– არ ვიცი, თუმცა მანვე ახსნა, რომ თუ ხალხი არ მიჭერს მხარს მე და ჩემს პოლიტიკას და არ მისცემს ხმას მარგველაშვილს, მაშინ მე უფრო ადრე წავალ, ვიდრე წასვლას ვაპირებდიო. ვფიქრობ, რომ დატესტა ხალხის რეაქცია. მას რაღაც თავისებური ტაქტიკა აქვს, რომელიც, ვფიქრობ, არ ჯდება ქართული პოლიტიკის, მით უმეტეს საარჩევნო პოლიტიკის წარმოებაში. რაღაც ლოგიკა არის მის აზროვნებაში, მაგრამ ასევე არის პოლიტიკური წესები და კანონები, რომლებიც პირდაპირ, უხეშ და ხისტ ლოგიკას ხშირად არ ექვემდებარება. ეს იყო ტაქტიკური შეცდომა. მას თავისუფლად შეეძლო, ეს განცხადება არჩევნების შემდეგ გაეკეთებინა. არავითარი დატესტვა ამ თვალსაზრისით ქართულ საზოგადოებას არ სჭირდებოდა. ვფიქრობ, განცხადება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, საკმაოდ ბევრ ხმას დააკარგვინებს გიორგი მარგველაშვილს და ეს ხმები გადავა ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ. ვფიქრობ, ეს უფრო ბურჯანაძის სასიკეთოდ იმუშავებს, ვიდრე ნაციონალების.

**– ვექტორების გადანაწილება ახსენეთ, ვინ რა ვექტორზე იქნება ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ?**

– ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა აუცილებლად გამოიწვევს ეროვნული ვექტორის ჩამოყალიბებას და ე.წ. რუსული, ახლა უკვე ევრაზიული ვექტორის შექმნას. იქნება სამი ვექტორი – დასავლური, ანუ ამერიკული, ევროპული, ანუ ცენტრისტული და ევრაზიული, ანუ რუსული ვექტორი. ასეთ გადანაწილებას ველოდები მე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ.

ევრაზიულ ვექტორში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მარტო მე მოვიაზრები და დანარჩენები უარს აცხადებენ. თუმცა მესმის, რომ ეს მათი წინასაარჩევნო ტაქტიკაა, მაგრამ ერთი რამ უნდა გაიგონ, მათი ელექტორატი მათ ხმას აძლევს მათი იდეური მისწრაფებების გამო და თუ უარს ამბობ ევრაზიულ მიმართულებაზე, მაშინ, შესაბამისად, ელექტორატიც არ გეყოლება ამ მისწრაფების. არ ვიცი, რატომ ამბობენ ამ ელექტორატზე უარს, უფრო სწორად, რაღაც ქართულად ეთამაშებიან ამომრჩეველს, უნდათ რომ ეროვნულობა შეინარჩუნონ, რუსულზე უარი თქვან, მაგრამ ასეთი პოლიტიკური თამაშები ადრე თუ იძლეოდა შედეგს, ახლა აღარ მოგვცემს. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ყველაფერი. დღეს ამომრჩეველი ხმას აძლევს იდეოლოგიას, საგარეო პოლიტიკურ ვექტორს.

**– პრორუსულ ძალად მოიაზრება ბურჯანაძე, თუ არის მოლაპარაკებები თქვენს შორის?**

– პირდაპირ გეტყვით, რომ მქონდა რამდენიმე მცდელობა, ბურჯანაძეს შევხვედროდი, თუმცა რაღაც მიზეზების გამო ეს შეხვედრა არ შედგა. ვფიქრობ, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მთავარი ამოცანაა, შექმნას მოქმედი პოლიტიკური სისტემა. ეს გულისხმობს სამი ვექტორის ჩამოყალიბებას, ეს არის პროდასავლური, ეროვნული და ევრაზიული, ანუ პრორუსული. მე ვფიქრობდი, რომ ყველა საკუთარი ვექტორის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს, ცალკე ბურჯანაძის ყოფნას, ცალკე კუკავას ყოფნას აზრი არ აქვს, ყველა ერთობლივი ძალით უნდა წარდგეს და შექმნას ეს ვექტორი. სწორედ ამ თვალსაზრისით მინდოდა მათთან შეხვედრა, მაგრამ ნინო ბურჯანაძემ ცალსახად უარი თქვა და განაცხადა, რომ ის არ არის პრორუსული ვექტორის... შეხვედრა ბურჯანაძის მიზეზით ვერ შედგა, მიზეზად მოუცლელობა დაასახელა. კახა კუკავასთან მქონდა შეხვედრა, მან მითხრა, რომ მისთვის ძნელი იქნება იმის აღიარება, რომ ის პრორუსული ორიენტაციისაა, რადგან პარტიის წევრები ეუბნებიან, რომ ეს მათთვის მიუღებელია. ამიტომ ჩვენი შემდგომი ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა, მომავალში ვნახოთ, რა იქნება.

**– კახა კუკავასაც გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ გარკვეული პარტიები ეროვნულს თამაშობენ, რეალურად რუსულ ვექტორზე არიან და ამას ნიღბავენ?**

– მოდით, ამას თამაშს ნუ დავარქმევთ, როდესაც შენ ჩადიხარ მოსკოვში და ცდილობ, ქართული პროდუქტის ჩატანას რუსეთში, გინდა მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ამ ქვეყანასთან, ეს უკვე ნიშნავს რუსულ ორიენტაციას, ევრაზიულ ვექტორს. თუ შენ ფიქრობ, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური, თვითონ შეძლებს თავისი თავის რეალიზებას და არ არის საჭირო საგარეო აქცენტებზე ყურადღების გადატანა, მაშინ შენ ხარ ეროვნული. თუ შენ ფიქრობ, რომ დასავლეთზე უნდა მოხდეს ორიენტაცია და ევროკავშირი და ნატოა ჩვენი მთავარი მოკავშირე, მაშინ შენ ხარ პროდასავლური, ანუ ამერიკული. ეს ძალიან ადვილი გასამიჯნია და ახლა ყველამ მოიაზროს საკუთარი თავი, თუ რომელ სეგმენტშია.

**– ანუ თქვენ ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დასაყრდენი ვერ ნახეთ?**

– დასაყრდენს ნუ ვუწოდებთ, მე პოლიტიკურ პარტნიორებს ვეძებდი ამ პარტიებთან, ვიდრე დასაყრდენს, რადგან დასაყრდენი ჩემთვის არის ევრაზიული ვექტორი, ანუ პრორუსული ორიენტაცია. თუმცა კიდევ საკითხავია, ვინ უფრო დასაყრდენი იქნება შემდგომში ამ ძალებს შორის.

**– რაც შეეხება რუსულ პოლიტიკურ ელიტას, იქ რომელ ძალას ეყრდნობით?**

– რუსულ პოლიტიკურ ელიტაში მე ძალიან ბევრს ვიცნობ, მათ შორის ქვეყნის პირველ პირს, უშიშროების საბჭოს მდივანსა და დუმის რამდენიმე დეპუტატს. მაქვს კონტაქტები სხვა პოლიტიკურ სპექტრთან, შედარებით ოპოზიციურთან და ყველასთან ვსაუბრობ ამ საკითხზე. ჯერჯერობით ვისთანაც საუბარი მქონია, ყველას დადებითი განწყობა აქვს ჩვენი განზრახვის მიმართ.

**– პუტინს თუ შეხვედრიხართ ამ თემაზე სასაუბროდ?**

– ჩემი დღევანდელი სტატუსი არ არის ისეთი, რომ ქვეყნის პირველ პირთან მქონდეს შეხვედრა. მე მაქვს მეგობრული შეხვედრები უფრო ქვედა რგოლებში, მქონია მათთან საუბარი და ვფიქრობ, რომ ქვეყნის პირველ პირსაც აქვს ინფორმაცია ჩვენი მოძრაობის შესახებ.

**– ევრაზიულ კავშირზე ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა განცხადება, რომ შესაძლოა, ეს საკითხი განხილვის თემაც გახდეს. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?**

– მე მივესალმები ამას. თავისთავად განცხადება იმისა, რომ უნდა ვნახოთ, დავაკვირდეთ და რატომაც არა – აბსოლუტურად მისასალმებელია. ჩვენც, თავის მხრივ, ვფიქრობთ, რომ ასევე დავაკვირდეთ, შევისწავლოთ და რატომაც არა... თუ ხელისუფლება ამ ხაზს აირჩევს, ჩვენ მას მივესალმებით და ამ შემთხვევაში ხელისუფლების პარტნიორი გავხდებით. მაგრამ მე მგონია, რომ ეს განცხადება გაკეთდა გარკვეული პოზიტივის შესაქმნელად, ვიდრე ეს არის რეალური განწყობა დღევანდელი ხელისუფლების. საქართველოს ხელისუფლებას დღეს აქვს სწორება ევროკავშირსა და ნატოზე, ამიტომ არ მგონია, რომ ევრაზიული კავშირისკენ რაიმე ნაბიჯები გადაიდგას.

**– თქვენ რამდენიმე თვის წინ აცხადებდით, რომ შემოდგომისთვის აპირებთ გააქტიურებას, თუმცა ეს რეალურად არ შეინიშნება, შეიცვალა თქვენი გეგმები?**

– ჩემი გეგმები რეალური სიტუაციიდან გამომდინარეობს. ორიენტაციას ვიღებდით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, მაგრამ ეს არჩევნები შედეგის მიხედვით ისეთი ეფექტური ვერ იქნება, ამიტომ ჩვენმა გეგმამ ცოტა გადაიწია და ვფიქრობთ, რომ ჩვენი უახლოესი ამოცანა იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადება. მე არ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე პასიურად ვარ, პრესაშიც აქტიურად ვჩანვარ, უბრალოდ, პარტიის საორგანიზაციო საკითხებმა გადაიწია მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ვოლსკი: „ის, რომ ვიზიტი შედგეს ვიზიტისთვის და ეს ფორმა პოლიტიკური დივიდენდებისთვის იყოს გამოყენებული, სწორი არ იქნება... თუმცა, ბუნებრივია, კარგი იქნებოდა, ეს ვიზიტი შემდგარიყო“

## „თუ გამოვლინდა, რომ დანაშაულში მონაწილეობა აქვს მიღებული და ბრალი ედება, მაშინ სააკაშვილი გამონაკლისი არ გახდება“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**უმრავლესობა აღიარებს, რომ პრემიერი ამერიკაში ოფიციალური ვიზიტის გარეშე გეგმავს პოსტის დატოვებას. შტატებში მხოლოდ ახალი პრემიერი, ან სულაც მარგველაშვილი გაემგზავრება, ოღონდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, უფრო სწორად ინაუგურაციის შემდეგ. როგორც ირკვევა, მანამდე შეხვედრა უშედეგო იქნება. როგორც უმრავლესობაში აცხადებენ, ახალ ხელისუფლებას გათვლა აქვს ეფექტურ შედეგებზე და არა ცარიელ ქმედებებზე. თუმცა ფაქტია, კითხვები შტატებში არშემდგარ ვიზიტთან დაკავშირებით არსებობს და მით უფრო მაშინ, როცა თავად უმრავლესობის ლიდერი ევრაზიულ კავშირზე საუბრობს. თუნდაც ეს დასავლეთთან ვაჭრობის გამო ხდებოდეს. ეჭვებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრის, გია ვოლსკის განცხადებაც ამყარებს. მისი თქმით, ევრაზიულ კავშირზე კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ კოალიცია საკითხს განიხილავს და იქ (როგორც ამ კავშირს შეარქვეს) „საბჭოთა კავშირის პაროდიის“ მომხრეებიც არიან... თუმცა უმრავლესობის წევრის განცხადებით, ევრაზიული კავშირი ამ ეტაპისთვის აქტუალური თემა არ არის....**

**გია ვოლსკი, უმრავლესობის წევრი:**

– თუ ევრაზიული კავშირი წინაალმდეგობაში არ იქნება საქართველოს ინტეგრაციასთან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მაშინ შესაძლოა, ეს თემა განვიხილოთ. არ შეიძლება კატეგორიული ლაპარაკი და პოლიტიკით სპეკულირება, როცა რაიმე გლობალური პროცესის დახასიათება გვსურს. არ შეიძლება კატეგორიული იყო მაშინ, როდესაც შესაძლოა, ხვალ თუ არა ზეგ, ზეგ თუ არა მაზეგ სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის დასჭირდეს რაღაც გარკვეული საკითხის განხილვა. ევრაზიული კავშირი არ შეიძლება დაუკავშირდეს პუტინის პიროვნებას და ამ თემით ხდებოდეს სპეკულირება, მაშინ როცა საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**– თქვენ არ თვლით, რომ ევრაზიული კავშირი ავტომატურად გამორიცხავს ევროკავშირსა და ნატოს?**

– სწორედ ამიტომ ეს საკითხი აქტუალური არ არის კოალიციაში...

**– კოალიციის ერთობა მაშინვე ეჭვქვეშ დგება, როგორც კი პრემიერის წასვლაზე იწყება საუბარი...**

– კოალიციის ერთობა, მგონი, პირიქით, უფრო გაძლიერდება და გაზრდის კავშირებს, რომელიც აქამდე არსებობდა. ვფიქრობ, მედიაში ბევრი არასწორი ინფორმაცია გამოდის. ხშირ შემთხვევაში გარკვეულ პოლიტიკურ ლიდერებს, ექსპერტებს აქვთ მიდრეკილება სენსაციური და სკანდალური ინფორმაციები გაავრცელონ, თითქოს კოალიციას ურთიერთობაში პრობლემები აქვს. ხშირ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ძალიან გადაჭარბებულია. კამათი ჯერ კიდევ მრჩეველთა საბჭოს პერიოდში იყო ხოლმე და ეს ძალიან ნორმალური პროცესია. აზრთა სხვადასხვაობა იყო და ახლაც არის, ამაში განსაკუთრებული არაფერია.

**– ერთ-ერთი ასეთი აზრთა სხვადასხვაობა კოჰაბიტაციის ირგვლივაა. როგორც ცნობილია, ამის გამო უმრავლესობის ბევრი წევრი გუნდის დატოვებითაც იმუქრება...**

– საერთოდ, კოჰაბიტაცია ძალიან გაბერილი თემაა. კოჰაბიტაცია არ გულისხმობს სიამტკბილობას. ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებსაც კი აქვთ ურთიერთობა შტატებში და არამარტო იქ ხდება მსგავსი რამ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ან ერთი ჯგუფი უნდა მოისპოს, ან მეორე. მთავარი აქ სულ სხვა დეტალია – რა ხარისხის იქნება კოჰაბიტაცია, დამოკიდებულია იმაზე, როგორი შეხედულება აქვს ამ საკითხისადმი საზოგადოებას. ეს კი ყველაზე უკეთ არჩევნებზე გამოჩნდება. რაც არ უნდა განსხვავებული აზრი გვქონდეს ოპონენტებთან პარლამენტში, ჩვენი ერთად ყოფნა მოცემულობაა და სწორედ ამ რეალობით უნდა ვიცხოვროთ. კოჰაბიტაციას იმ გაგებით, რაზეც საზოგადოების გარკვეული ნაწილი სპეკულირებას ახდენს, მე ვერ ვხედავ, არ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ რაიმე ტიპის შეთანხმებები და ფარდის მიღმა დამალული პროცესები არსებობს ოპონენტებთან. კოჰაბიტაციის ერთ-ერთი კომპონენტია დაპატიმრებები, თუმცა ეს არ ხდება პოლიტიკური ნიშნით.

**– ანუ ამ შემთხვევაში ნაციონალების დაკავებების გაგრძელება დამოკიდებულია იმაზე, რომელ ადგილზე გავლენ საპრეზიდენტო არჩევნებში?**

– საზოგადოებისგან მოდის შეკვეთა, რომელ პარტიებს უნდა ჰქონდეთ თანაარსებობა, ანუ კოჰაბიტაცია. თანამშრომლობა კიდევ სხვა რამეა. მაგალითად, ჩვენი და ნაციონალების ხედვები საგარეო კურსთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა. „ნაციონალური მოძრაობაც“ და ჩვენც მხარს ვუჭერთ ევროატლანტიკურ კურსს, თუმცა ის ხედვა და გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს, სულაც არ მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ნაციონალები ევროპული და ევროატლანტიკური ფასეულობების მატარებელი პარტია იყო, მთელი რიგი კომპონენტების გამო. ჩემი ამდაგვარი განცხადება სულაც არ არის განპირობებული იმით, რომ მე „ქართული ოცნების“ წევრი ვარ.

**– მაშინ რით არის ეს ეჭვი განპირობებული?**

– იცით, რიტორიკა და განცხადებები უფრო მეტი იყო, ვიდრე ქმედება, იმიტომ რომ არც ერთ ქვეყანაში, რომელიც ევროატლანტიკური ფასეულობების მატარებელია, კრიმინალთან ბრძოლის ასეთ მეთოდებს არ იყენებენ. ნაციონალების მეთოდები უფრო პარტიული ნიშნის მატარებელი იყო და როდესაც კრიმინალს უსწორდები ასეთი გზით, ის აუცილებლად ბუმერანგივით დაგიბრუნდება უკან.

**– და მხოლოდ ეს არის მიზეზი?**

– ეს ერთ-ერთი მაგალითია. ასევე, ვიცით უამრავი მაგალითი, როდესაც პარტიული ნიშნით იყო ადამიანი დაკავებული, გაგდებული... ეს ყველაფერი არ ახასიათებს დასავლეთს. ამისთვის ციხის კადრების გახსენებაც საკმარისი იქნება...

**– თუმცა სოზარ სუბარმა უკვე აღიარა, რომ ციხეში მკაცრი მიდგომები ძალიან მნიშვნელოვანია...**

– ციხეში მკაცრი მიდგომები მართლაც აუცილებელია, რადგან ეს არ არის კურორტი... თუმცა წამების ის დონე და გაუპატიურება არ უნდა შედიოდეს მკაცრ მეთოდებში. ციხის კადრებიდან ძალიან მცირე ნაწილი გახდა ცნობილი, დანარჩენი ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ იმიტომ არ გამოიყენა პროპაგანდად, რომ მას საზოგადოებაში შეიძლება დაპირისპირების ისეთი ხარისხი განევითარებინა, რომელიც ვეღარ დარეგულირდებოდა.

**– ელოდებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უკვე ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე?**

– კოალიციაში ამაზე მსჯელობა არ მიდის. ჩვენთან საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ დამნაშავეს პასუხი უნდა მოეთხოვოს. კონკრეტულ გვარებზე საუბარი არ არის, თუმცა, თუ გამოვლინდა, რომ დანაშაულში მონაწილეობა აქვს მიღებული და ბრალი ედება, მაშინ სააკაშვილი გამონაკლისი არ გახდება. ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის პრეზიდენტს, იტალიის პრემიერსა და ბოსნიის პრეზიდენტს მოჰკითხეს. ასე რომ, სააკაშვილი იქნება თუ ვოლსკი, დანაშაულზე პასუხი უნდა მოეთხოვოს.

**– პრემიერმა განაცხადა, რომ დასავლეთში უჭირდა დამტკიცება, რატომ ხდებოდა ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრება. სანამ ხელისუფლებაში მოხვიდოდით, გამუდმებით საუბრობდით ნაციონალების დანაშაულებზე და ამბობდით, ყველა საქმე გახსნილია, უბრალოდ, ყველაფერს თავისი სახელის დარქმევა უნდაო... თუ მტკიცებულებები მართლაც არსებობდა, რატომ გაძნელდა დასავლეთში ამის ახსნა?**

– იმიტომ რომ საწყისში საზღვარგარეთ პროპაგანდისტურ-ლობისტურმა მუშაობამ ძლიერად მოიკოჭლა. სიტუაციისა და შეხედულებების გადაწყობას და ვითარების სხვანაირად აღქმას დრო დასჭირდა, დღეს ბევრი პოლიტიკური ხელმძღვანელი, მათ შორის დასავლეთშიც, ხედავს, რომ ვითარება რეალურად სულ სხვაგვარადაა. რეალობა რაც არის, ის უნდა შეფასდეს. ნებისმიერმა ხელისუფალმა სწორედ კრიტიკაზე უნდა მოახდინოს სწორება.

**– ამბობთ, რომ დაკავებებთან დაკავშირებით კითხვები აღარ იქნება?**

– კითხვები დღეს გაცილებით ნაკლებია. კითხვები უნდა იყოს, თუმცა ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხები უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას და ეს პასუხები იქნება.

**– ანუ გამორიცხული არ არის სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება ან მისი დაპატიმრება?**

– ასეთი კონკრეტული საუბარი არ ყოფილა დასავლეთთან და არც არის მიღებული ამაზე საუბარი, ან ნებართვის მიღება თუ მწვანე შუქის ანთება. არავითარი მწვანე შუქი არ არის ანთებული სააკაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. არსებობს მოთხოვნა, გამოძიება ჩატარდეს ობიექტურად და არ იყოს პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება დაზარალდება. დასავლეთში არავის არ აწყობს ურთიერთობა ქვეყანასთან, რომელიც კანონიდან გადაცდომას უშვებს.

**– ძალიან ბევრი კითხვა არსებობს პრემიერის წასვლასთან დაკავშირებით, ხომ არ იგეგმება პრემიერის ვიზიტი შტატებში პოსტის დატოვებამდე?**

– სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია არ მაქვს.

**– როგორ ფიქრობთ, თუ ივანიშვილი პოსტს ამერიკაში ვიზიტის გარეშე დატოვებს, ეს ბევრ კითხვას არ გააჩენს?**

– ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერ დონეზე, დაწყებული ელჩიდან, დამთავრებული სენატორებით, საქართველოს ხელისუფლებას ინტენსიური ურთიერთობა აქვს. ეს ვიზიტი შეიძლება არც შედგეს, მაგრამ ამით ურთიერთობის არანაირი ნორმა არ ირღვევა.

**– თუმცა უცნაური გადაწყვეტილებაა...**

– „უცნაური“ ის უფროა, რომ პრემიერი ტოვებს პოსტს. პრემიერი რომ არ მიდიოდეს, ადრე თუ გვიან, ეს ვიზიტი აუცილებლად შედგებოდა. სახელმწიფოს მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ის, რომ ვიზიტი შედგეს ვიზიტისთვის და ეს ფორმა პოლიტიკური დივიდენდებისთვის იყოს გამოყენებული, სწორი არ იქნება... თუმცა, ბუნებრივია, კარგი იქნებოდა, ეს ვიზიტი შემდგარიყო. ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის იმ დონითაა, რომ ეს ვიზიტი მას ახალ კომპონენტს ვერ შეესძენდა. გარდა ამისა, მსოფლიოში ისეთი პროცესები მიდის, რომ შეიძლება ვიზიტისთვის ხარისხი დაეგდო.

**– ხარისხი რა გაგებით უნდა დაეგდო?**

– მაშინ სწრაფი ტემპებით უნდა შემდგარიყო ეს ვიზიტი, ანუ ხელის ჩამორთმევის დონეზე. აქ მთელი რიგი საკითხებია, რომელზეც ინტენსიური ურთიერთობა მიმდინარეობს და არ არსებობს კითხვები ამ ორი სახელმწიფოს პარტნიორობის ირგვლივ. მსგავს ვიზიტებს სერიოზული მომზადება სჭირდება. მომავალში ვინც იქნება ხელმძღვანელი პირი, პრემიერი იქნება ეს თუ პრეზიდენტი, აუცილებლად ექნება მას შეხვედრა და ვიზიტი ამერიკაში.

**– სახელმწიფოს მართვის ინტერესები ახსენეთ და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შტატებში ვიზიტი რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გამო არ შედგა? ან იმ იმედით, რომ მსგავსი ვიზიტი პუტინს გააღიზიანებდა...**

– არ არის ასე. თუ ეს ვიზიტი საქართველოსთვის არასწორ და არასასურველ შედეგს გამოიწვევს, ბუნებრივია, თავი უნდა შეიკავო კონკრეტული ნაბიჯებისგან, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ომამდეც და განსაკუთრებით ომის შემდეგ ძალიან მტკიცე რჩევას გვაძლევდა, რომ რუსეთთან ურთიერთობა დაგველაგებინა. დღეს რომ რუსეთთან ეკონომიკაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს, ნუ განვიხილავთ ამას მხოლოდ როგორც ეკონომიკას, ეს პოლიტიკის ნაწილია. მადლობა ღმერთს, მაგიდასთან ერთად ვსხედვართ და მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სწორი მიმართულებით მიდის, ამ მხრივ. მართალია, დიალოგის თემები, სამწუხაროდ, შემოფარგლულია, მაგრამ მოვა დრო, როდესაც პოლიტიკაზეც დავიწყებთ საუბარს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური პროექტი „ქართული ოცნება“ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე დასრულდება“



EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**ეკონომიკური მაჩვენებლები – კატასტროფული, ეკონომიკური ზრდა – ნულოვანი, დასაქმებულთა რაოდენობა – 9%-ით შემცირებული. საკმაოდ მძიმე ეკონომიკური სიტუაციის ფონზე სტაბილურობის მთავარი გარანტი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან მიდის. პოლიტიკოსები, ექსპერტები და ეკონომისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ივანიშვილის წასვლა, პირველ რიგში, სწორედ ქართულ ეკონომიკას დააზარალებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა თავის პირველივე წერილში განაცხადა, აქტიურ პოლიტიკას მინიმუმ ორ წელიწადში, მაქსიმუმ კი სამ წელიწადში დავტოვებო, მოლოდინი მაინც სხვა იყო. მისი გუნდის წევრებიც კი ირწმუნებოდნენ, რომ ლიდერი „ოცნებას“ ვადაზე ადრე არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა. რესპუბლიკელებმა ისიც კი თქვეს, ვისაც ეოცნებება, იოცნებოს, ივანიშვილი არსად წასვლას არ აპირებსო. ეს თავად პრემიერის განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე გაკეთებული შეფასებაა.

რა პრობლემებს შექმნის ივანიშვილის წასვლა, შემუშავდება თუ არა ეკონომიკური გეგმა და ამოქმედდება თუ არა ის პრემიერის წასვლის შემდეგ – პრეზიდენტობის კანდიდატი, ზურაბ ხარატიშვილი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი, უბრალოდ, იაფფასიანი სპექტაკლია და მეტი არაფერი.

**ზურაბ ხარატიშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი:**

– ძალიან ცუდად იმოქმედებს პრემიერის წასვლა ეკონომიკაზე. პოლიტიკურ გარემოს კიდევ უფრო გაუგებარსა და არაგანჭვრეტადს გახდის. დღეს ბიზნესი არის გაურკვევლობაში, არავინ იცის, რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს. ამიტომ ყველა ცდილობს, მინიმალური დანახარჯი განახორციელოს. ეკონომიკას უყვარს სიცხადე, ასეთ სიტუაციაში რაიმე ტიპის ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი ზედმეტიც კია. ათი თვეა უკვე, ხელისუფლებას არანაირი ეკონომიკური გეგმა არ შეუმუშავებია. არავინ იცის და ვერავინ ახსნის, რა უნდა მოიმოქმედოს ეკონომიკურმა გუნდმა, ამ ნაბიჯებს თვითონ პრემიერიც კი ვერ ახსნის, სავარაუდოდ. არ არსებობს ეკონომიკური მიმართულებით არანაირი პოლიტიკა, ყველაფერი თვითინერციით მიდის. ამას კი დაემატება პრემიერის წასვლა. ბიზნესი ასეთ ნაბიჯებზე ძალიან მგრძნობიარეა ხოლმე, როგორც წესი. მით უმეტეს, ორი არჩევნები გვაქვს წინ – ოქტომბრის გარდა, მაისში ადგილობრივი არჩევნები გველოდება. თუ პრემიერი პოსტს დატოვებს, დიდი ალბათობით, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მივიღებთ. პერმანენტული გაურკვევლობა და პერმანენტული არჩევნები ქვეყნის ეკონომიკას ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნის. გარდა ამისა, არავინ, არც ერთი ძალა არ ჩანს, რომელიც ქვეყანას ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე ძალიან სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში ვიმყოფებით...

**– მდგომარეობის გამოსწორების პასუხისმგებლობა ხელისუფლებას აქვს აღებული...**

– რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური პროექტი „ქართული ოცნება“ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე დასრულდება. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი პოლიტიკიდან მიდის, ის პასუხისმგებელი ვეღარ იქნება, წასულ ადამიანს პასუხს ვეღარ მოსთხოვ.

**– ფიქრობთ, რომ პასუხისმგებლობა გუნდზე არ გადავა?**

– წესით, პასუხისმგებლობა ივანიშვილის გუნდზე უნდა გადავიდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ გუნდი ძალიან ეკლექტურია და კონკრეტულად ვინ აიღებს ამ პასუხისმგებლობას, გაურკვეველია. შემდგომი არჩევნები გამოაჩენს, რა განაჩენს გამოუტანს ამომრჩეველი იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ივანიშვილის გარეშე დარჩებიან.

**– ეკონომიკაზე მსჯელობისას ხელისუფლება ამბობს, რომ მთელი პასუხისმგებლობა სწორედ წინა ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია. ეს გადაბრალების მცდელობაა, თუ რეალურად სწორედ ამან შექმნა პრობლემები?**

– წინა ხელისუფლებაზე გადაბრალება ვფიქრობ, უფრო პოლიტიკური საკენკია იმ ამომრჩევლებისთვის, ვისაც არ უნდა დაიჯეროს, რომ დღევანდელი ხელისუფლება უუნაროა ყველა მიმართულებით და განსაკუთრებით ეკონომიკაში. დღევანდელი ხელისუფლება პასიური მოლოდინის რეჟიმშია, ანუ არანაირი ინიციატივა არ გააჩნია და მხოლოდ პრობლემებზე რეაგირებს, და ისიც უნიათოდ. ასე რომ, „ნაციონალურ მოძრაობას“ შეიძლება გადააბრალოს წარუმატებლობის ერთი ან ორი თვე, თუმცა გეგმის უქონლობა და, ასევე, წარმოდგენის უქონლობა იმაზე, რა ნაბიჯებს დგამს დღევანდელი ხელისუფლება, სხვისი ბრალი ვერ იქნება. ხელისუფლებიდან „ნაციონალური მოძრაობა“ წასულია, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური ბერკეტები მთლიანად „ქართული ოცნების“ ხელშია. ეკონომიკურ მიმართულებას კონკრეტული პარამეტრები აქვს და ის შეიძლება რიცხვებში გამოისახოს. აქედან გამომდინარე, ერთადერთი, რასაც ხელისუფლება ებრძვის, სტატისტიკაა. უმუშევრობის დინამიკა, რომელიც აპრილ-მაისში დაფიქსირდა, გამქრალია.

**– გაზრდილი იყო უმუშევრობა?**

– დასაქმებულთა რაოდენობა 9%-ით გახლდათ შემცირებული. 525 ათასიდან შემცირებული იყო 480 ათასამდე. ოქტომბრიდან აპრილამდე სწორედ ამდენი ადამიანი დარჩა უმუშევარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა მეთერთმეტემ დაკარგა სამსახური. სტატისტიკის დეპარტამენტის საიტიდან გაქრა ეს ინფორმაცია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ საზოგადოებაში ამაზე არ მიდის საუბარი და არც არავინ ცდილობს, ეს გააცნობიეროს, რადგან ასეთი სიტუაციიდან გამოსვლას ძალიან დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. ხელისუფლებაში ვერ ვხედავ ისეთ ძალას, ვისაც ამ სიტუაციიდან გამოსვლაზე ჩამოყალიბებული მოსაზრება შეიძლება ჰქონდეს. ისინი მხოლოდ პრობლემების სხვაზე გადაბრალებით არიან დაკავებულები, რაც ამ სიტუაციას თავისთავად ამძიმებს.

**– როდესაც პრემიერი აცხადებს, რომ პოსტს დატოვებს, მაგრამ პასუხისმგებლობას არ მოიხსნის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ინვესტიციებს ჩადებს ქართულ ეკონომიკაში?**

– ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. თუ ივანიშვილი ჩადებს კაპიტალს ქართულ ეკონომიკაში, ეს ძალიან ცუდი იქნება, რადგან ეს დიდი თანხები იქნება და ამით შესაძლებელი გახდება, სერიოზული მონოპოლიები დაამყაროს ნებისმიერი მიმართულებით. თუ საკუთარ ფინანსებს არ ჩადებს, ესეც ძალიან ცუდი მაგალითი იქნება უცხოელი ინვესტორებისთვის. ყველა იფიქრებს, ივანიშვილი თავისი 7 მილიარდიდან არაფერს დებს ქართულ ეკონომიკაში და მე რატომ უნდა ჩავდოო... სიტუაცია არის ასეთი: ჩადებს საკუთარ ფინანსებს – ცუდი იქნება, არ ჩადებს და ასევე ცუდი იქნება. ეს ყველაფერი ჭრელო პეპელას დაემსგავსება. უკეთესი იქნება, თუ ის საერთოდ გვერდზე გადება ქართული ეკონომიკური ცხოვრებიდან. სამოქალაქო სექტორში მისი გადასვლა, მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, რას ნიშნავს. არის საუბარი, რომ ფონდით იმოქმედებს, ანუ დაახლოებით სოროსის როლში იქნება... ვფიქრობ, მსგავსი ფონდის შექმნაც სახიფათოა, რადგან ასეთ ფონდებს სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია პოლიტიკაზე. შესაბამისად, არის საშიშროება, რომ პოლიტიკის მართვა და კონტროლი გვერდიდან მოხდეს. დიდი თანხები ისევე მოქმედებს ქართულ პოლიტიკაზე, როგორც მაგნიტი მეტალზე. მისი მიახლოება ყველანაირ ქაოსს იწვევს ხოლმე. ამ თვალსაზრისით ვფიქრობ, უმჯობესი იქნება პრემიერმა პოსტის დატოვებიდან გარკვეული პერიოდი, დროებით მაინც გაიწიოს გვერდზე. ისევე როგორც მომდევნო პრემიერის არჩევის საკითხს უნდა ჩამოშორდეს. ახალი პრემიერი პარლამენტმა და პოლიტიკურმა ძალებმა კონსულტაციების გზით უნდა აირჩიონ. ეს უნდა იყოს ბუნებრივი პროცესი და არა ივანიშვილის გადასაწყვეტი, ისევე როგორც ჩემი გადასაწყვეტი არ იყო, ვინ გახდებოდა ცესკოს ახალი თავმჯდომარე. ძალიან არასწორია სახლში მთავრობის სხდომების გამართვის პრაქტიკა. წარმოუდგენლად ნეგატიური თემაა. ბიზნესის ნებისმიერი წარმომადგენელი მსგავს თემას იმდენად ნეგატიურად განიხილავს, რომ ნებისმიერი ბიზნესმენის ადგილას რომ ვიყო და დიდი კაპიტალი მქონდეს, ერთ თეთრსაც არ ჩავდებდი. დეპოზიტზე დავდებდი თანხებს და არა ბიზნესში, მთავრობის ასე მართვა ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ქვეყანა არის პრივატიზებული. აქედან გამომდინარე, ის, რომ ეკონომიკაში ვარდნაა და ინვესტიციები არ მოდის, ძალიან ლოგიკური პროცესია. ქვეყანა დაემსგავსა დიდ საწარმოს, რომელიც დიდი თანხით იყიდეს და ახლა სურთ, კიდევ უფრო ძვირად გაყიდონ.

**– ასეთ ფონზე ეკონომიკური გუნდიდან არც ერთი მინისტრის შეცვლა არ იგეგმება. პრემიერი აცხადებს, რომ ყველა მინისტრი ძალიან წარმატებულია... ეს ნიშნავს იმას, რომ ის რეალურად არ ფლობს ინფორმაციას?**

– ვერ ვიტყოდი ასე. არ ვფიქრობ, რომ ივანიშვილმა არ იცის, რა ხდება. შეიძლება მას არ აქვს კონკრეტული სტრატეგიული გეგმა, როგორ უნდა განვითაროს ქვეყანა, მაგრამ კარგ და ცუდ ეკონომიკურ სიტუაციას ივანიშვილი კარგად გაარკვევს, როგორც ბიზნესმენი. მას ამ მიმართულებით საჭირო ინსტინქტები ძალიან კარგად აქვს განვითარებული. გუნდზე საუბრისას იგულისხმება, რომ მას უკეთესი გუნდი, უბრალოდ, არ ჰყავს და სწორედ ამიტომ ვერ ჩაანაცვლებს ვერავის. რაც ჰყავს, შედეგი სახეზეა და თუ ის იგივე გუნდს დატოვებს, მაშინ შედეგი კიდევ უარესი იქნება. ივანიშვილის გარეშე გუნდი ბევრად შეუკავშირებელი და ნაკლებად ორგანიზებული იქნება.

**– საუბარია, რომ მომავალი პრემიერი სწორედ ეკონომიკური გუნდიდან იქნება...**

– არ მინდა კონკრეტული შეფასებები გავაკეთო, გავიმეორებ და ვიტყვი, რომ მემკვიდრის დანიშვნა არასწორია. პარლამენტში უნდა გაიმართოს კონსულტაციები, ახალმა პრეზიდენტმა უნდა დაავალოს უმრავლესობას შერჩევა და სწორედ კონსტიტუციის ფორმატში უნდა მოხდეს შერჩევა.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეიქმნა აქამდე ეკონომიკური გეგმა და ახლა რომც დაიდოს კონკრეტული გაწერილი ნაბიჯები, შედეგი რამდენ ხანში იქნება?**

– ვფიქრობ, ეს გეგმა არის, უბრალოდ, გეგმისთვის, ზუსტად ისევე, როგორც წინასაარჩევნოდ დადებული გეგმა. ის არ იქნება რეალური სამოქმედო გეგმა. არ იყო საჭირო ათი თვის გასვლა, რომ მიმხვდარიყვნენ გეგმის შემუშავების საჭიროებას. გარდა ამისა, ვინც ეკონომიკურ გეგმას აწერინებს და ვისი მოსაზრებითაც იქმნება ახალი გეგმა, თავად ეს ადამიანი პოლიტიკიდან მიდის. ვფიქრობ, ეს არის საკმაოდ იაფფასიანი სპექტაკლი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქორწინო მაყარი ქართ

**ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე მინდოდა ძმისთვისაც გამეზიარებინა. არ შემეძლო, დღეს აქ არ მოვსულიყავი...**

თორნიკე ყაჯრიშვილი

**8 სექტემბერს, მეგობრებთან ერთად, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ვიყავი. უკვე გამობრუნებას ვაპირებდით, რომ გმირთა სავანეს საქორწინო მაყარი მოადგა. გაკვირვებული შევყურებდით მოულოდნელ და ერთი შეხედვით უცნაურ სანახაობას. არც მესაფლავეს ენახა აქამდე მუხათგვერდში საქორწინო მაყარი. პატარძალი აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული სერგეი გოროზიას და აღმოჩნდა.**

**ელენე გოროზია:** „2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ყველა დღესასწაულზე მე და დედა სერგეის საფლავზე ავდივართ. ეს ერთგვარ ტრადიციად გვექცა. ერთ ახალ წელს ღამის 12 საათზე მუხათგვერდში შევხვდით... არ შემეძლო, ამ დღეს მის საფლავზე არ ავსულიყავი... აქამდე ყველა დღესასწაულზე მთელი ოჯახი ერთად ვიყავით და არ მინდოდა, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე ჩემი ძმისთვის არ გამეზიარებინა... როდესაც ჩემს მეუღლეს გავანდე ჩემი სურვილი, რომ ჯვრისწერის შემდეგ, მუხათგვერდში ავსულიყავით, მოეწონა ჩემი იდეა. ძალიან ემოციური იყო ჩემთვის ჯვრისწერის შემდეგ მუხათგვერდში ასვლა. ყველას უნდა, რომ მისთვის ყველაზე ბედნიერ დღეს ოჯახის ყველა წევრი მის გვერდით იყოს. ჩემი ძმაც ჩემთან ერთად იყო იმ დღეს... მინდა, რომ ეს ყველაფერი ტრადიციად დამკვიდრდეს და ახალდაქორწინებულმა ნყვილებმა პატივი მიაგონ როგორც მუხათგვერდში დაკრძალულ ქართველ გმირებს, ასევე გმირთა მოედანსა და ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავს. იმ დღეს, სპეციალურად ჩემი ქორწილისთვის, აფხაზეთიდან ჩემი და სერგეის კლასელები ჩამოვიდნენ სტუმრად“.

ელენესა და ლევანის რომანი სამი წლის წინათ, სერგეის უახლოესი მეგობრის ქორწილში დაიწყო. ერთწლიანი მეგობრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და სამწლიანი ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდა.

**ელენე გოროზია:** „სერგეის გარდაცვალებიდან ორი წელი იყო გასული, როდესაც, მომავალი მეუღლე, ჩემი ძმის ჯარის უახლოესი მეგობრის, ბესო გოროზიას ქორწილში გავიცანი. მინდა ბესოზეც ვთქვა ორიოდე სიტყვით. მასა და ჩემს სერგეის ძმობა ჰქონდათ შეფიცული და საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ბესო დღემდე შეიარაღებულ ძალებში მსახურობს და საქართველოს სადარაჯოზე დგას... გაცნობიდან დაახლოებით ერთი წელი ვმეგობრობდით. შარშანწინ ფილარმონიაში „კომედიშოუს“ კონცერტზე დამპატიჟა. ფილარმონიიდან რომ გამოვედით, მაშინ გამიმხილა თავისი გრძნობები. კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ ლევანი ის ადამიანი იყო, რომლის გვერდითაც თავს მშვიდად ვიგრძნობდი. უკვე ორი წელია, რაც შეყვარებულები ვართ. ეს იყო ჩვეულებრივი სიყვარულის ისტორია, ლამაზი დღეებითა და სიურპრიზებით. ცოტა ხნის წინ ლევანმა ასეთი სიურპრიზი გამიკეთა: იცის, რომ ძალიან მიყვარს ნაჭრის სათამაშოები. ერთ საღამოს კარზე ზარი იყო, გავიხედე, არავინ იდგა, კარი გავაღე და ძალიან ლამაზი, დიდი, ფუმფულა დათუნია დამხვდა. გამიხარდა და ავტეხე ყვირილი, სათამაშო სახლში შევიტანე და კარი მივკეტე, ის აღარ მიფიქრია, რომ ლევანიც გარეთ იყო და კარი მივუხურე :) ყველაფერს ოფიციალური სახე მივეცით და ერთმანეთი ოჯახებით გავიცანით. მობა დღეს დავინიშნეთ. ქორწილი ორჯერ გადაგვედო. პირველად ნიშნობიდან ერთ თვეში ვაპირებდით ქორწილის გადახდას, მაგრამ მაშინ მისი და, რომელიც ავსტრიაში ცხოვრობს, პატარას ელოდებოდა, ვერ ჩამოვიდა. მეორედ ივნისში დავგეგმეთ, მაგრამ ჩემი სამსახურის გამო ისევ მოგვიწია ქორწილის თარიღის შეცვლა. შინაგანად ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩემი მომავალი სამხედრო პირისთვის უნდა დამეკავშირებინა. ლევანი 26 წლის ხდება, ისიც სოხუმელია. ამჟამად სატანკო ქარხანაში სარემონტო უბნის უფროსის პოზიცია უკავია. სერგეის სამხედრო ცხოვრება რომ არ აერჩია, მე და ლევანი ერთმანეთს ვერ გავიცნობდით და არც ეს ქორწილი შედგებოდა. დღემდე ჩემი ცხოვრება პირდაპირ კავშირშია ჩემს ძმასთან. სერგეი აღარ არის ცოცხალი, თუმცა მისი წყალობით, ძალიან ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე ამ სტრუქტურაში. ძალიან მხიარული და იუმორით სავსე ბიჭი იყო. ყოველთვის გვამხნევებდა მეც და დედასაც“.

**მზია კვირკველია:** „ელენეს თაყვანისმცემლები არასდროს აკლდა, მაგრამ ჩემი მომავალი სასიძო რომ ურეკავდა, სულ ვეჩხუბებოდი, ვინ არის, ასე ხშირად რატომ გირეკავს-მეთქი. ალბათ, შინაგანად ვგრძნობდი, რომ ეს ადამიანი ელენესთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. თან დედური წინათგრძნობა მკარნახობდა და ეგოისტური გრძნობა გამიჩნდა. შემდეგ ჩემმა ახლობელმა მითხრა, მგონი, ელენესთან რაღაც სერიოზული ხდება, ვიღაც ლევანია და აბა, შენ იცი, გაარკვიე, რა ხდებაო. ამის შემდეგ სულ უფრო მკაცრად ვაკონტროლებდი ელენეს ტელეფონზე შემოსულ ზარებს. გავარკვიე, ვინ იყო ლევანი, მაგრამ ელენე მიმტკიცებდა, მეგობარიაო. ბოლოს მითხრა, შეყვარებული ვარ და ლევანს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ველი გმირის საფლავზე



**სერგეი გოროზია**

სერგეი გოროზია სოხუმში დაიბადა. გალში გაზრდილი ბიჭი ქართულ ჯარში შევიდა და ცხინვალთან დაეცა გმირულად. ჯარში შესვლამდე ცოტა ხნით ადრე დედას სოხუმში გაეპარა, ფიცი დადო სომხების მიერ მოკლულ მამის საფლავთან, რომ ქართულ ჯარში შევიდოდა და სოხუმს დაიბრუნებდა. სოხუმი ვერ დაიბრუნა, მაგრამ გმირის სახელით წავიდა ამ ქვეყნიდან. ის სულ 20 წლის იყო... სერგეის პატარაობიდანვე ჰქონდა მიდრეკილება სამხედრო ნივთებისკენ – თვალი სულ სამხედრო ქუდებისკენ, ავტომატებისკენ გაურბოდა და სულ მათ ყიდვას ითხოვდა...

მზია კვირკველია, სერგეი გოროზიას დედა: „ერთ დღეს მოვიდა და მითხრა: დედიკო, როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასე? დამიჭერენ და ჯარში წამიყვანენ... ხდებოდა კიდეც ასე, ბიჭებს იჭერდნენ, თუ ოჯახი იმწამსვე არ გადაიხდიდა გამოსასყიდს, მიჰყავდათ ჯარში. ან აღრიცხვაზე უნდა დაგეყენებინა და 200 დოლარი გეხადა ყოველ გამოძახებაზე. დავაყენე აღრიცხვაზე, ორჯერ მომიწია კიდეც გადახდა. საშინლად ღიზიანდებოდა. თურმე ნიადაგს იმზადებდა, რომ თბილისში წამოსულიყო ჯარში... ერთ დღეს მეუბნება. დედა, რაღაცის თქმა მინდა და ვერ გიმხელ, უკვე რამდენიმე თვეა, ვნვალობო. მე უკვე ვგრძნობდი, რასაც მეტყოდა... მითხრა კიდეც, – დედა, მე მივდივარ საქართველოს შეიარაღებულ ძალებშიო. გადავირიე... მამიდაშვილი ჰყავს დაღუპული, 21 წლის ბიჭი, სოხუმის დაბომბვის დროს კისერში დაიჭრა და დაიღუპა. ის არ გვეყოფა-მეთქი? გაუთავებლად ვდაობდით. თუ გინდა, რომ კაცად დავდგე, სჯობია, გამიშვაო. საამაყო ჯარი გვყავს. ხომ იცი, ჯარი ჩემი ოცნებაა, ყველაფერს მივაღწევ, ოფიცერი გავხდებიო... თუნდაც ვერ დაიბრუნოს საქართველომ აფხაზეთი, მაშინ აქაურობა უნდა მივატოვო და თქვენც საქართველოში უნდა წაგიყვანოთო. დავთანხმდი... მე თვითონ ვეხმარებოდი საბუთების შეგროვებაში და უხაროდა... ურთულეს პირობებში გაიარა კარანტინი, 50 კაციდან 2 დარჩა. ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში ჩაირიცხა. 43-ე ბატალიონში. გახარებული იყო, ყველანაირი უბედურება უკან მოვიტოვე, ყველაფერი გადავლახე, ყველა ნორმატივი ჩავაბარეო. 19 ნლის იყო, ჯარში რომ შევიდა. 20-ის იქ გახდა. ძალიან უხაროდა, პატარ-პატარა წარმატებები ჰქონდა. გახარებული მეუბნებოდა, უფროსები მეუბნებიან, ნამდვილი ჯარისკაცი ხარო. ყველას გავაგებინე, რომ აფხაზეთიდან ვარ და რომ ჩემი მთავარი მიზანი აფხაზეთის დაბრუნებაა“.

სერგეი დედას ბოლოს 7 აგვისტოს, საღამოს ელპარაკა. სანთელი დანთე ჩემს სახელზეო... თურმე უკვე ცხინვალის მისადგომებთან ყოფილა. მას შემდეგ დედას სერგეის ხმა აღარ გაუგია. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა. ხალხს უყვიროდა, გაიქეცით, თავს უშველეთო, და თვითონ იბრძოდა, ბიჭებს ეუბნებოდა, 2 კაცის სიცოცხლე რომ გადავარჩინო, ეგეც საქმეაო. პოზიცია მაშინაც არ მიუტოვებია, როცა ავიაციამ დაბომბვა დაიწყო. საბრძოლო მოკვლევაში წერია, რომ სერგეი გოროზია თავის პოზიციაზე ბოლომდე იდგა, რათა დაჭრილები და დაღუპულები გაეყვანათ... შვილი ცხინვალში იბრძოდა და დაიღუპა. დედა გალში იყო და არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. მაინც ჰქონდა იმედი, რომ შვილი ცოცხალი ჰყავდა. იმედს „დეენემის“ პასუხმა მოუღო ბოლო.

უნდა, რომ გაგიცნოსო. კონცერტზე დაპატიჟა და ძალიან გავბრაზდი. ვუთხარი, ვერსადაც ვერ ნახვალ-მეთქი. არადა მანამდე საერთოდ არანაირი პრობლემა არ მქონია ელენეს სადმე გაშვების, იმდენად გულახდილები ვართ ერთმანეთთან, რომ მისი სადმე გაშვება არასდროს ყოფილა ჩემთვის პრობლემა...“

**ელენე გოროზია:** „მაინც ჩემი გავიტანე და ნავედი. უკან დაბრუნებულს მეორე კონცერტი სახლში დამხვდა. სნორედ მაშინ ვუთხარი, მე ამ ადამიანს გავყვები ცოლად და მოემზადე ქორწილისთვის-მეთქი. ერთმანეთი რომ გაიცნეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ“.

**მზია კვირკველია:** „წელს, 8 აგვისტოს, ლევანი მშობლებთან ერთად ამოვიდა მუხათგვერდის სასაფლაოზე, ძალიან მესიამოვნა, დიდი პატივი იყო ჩემთვის“.

სერგეი რომ დაიღუპა, ელენე 18-ის იყო, ახლა 23 ნლისაა. აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრები, მაშინდელმა მთავრობამ თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე დაასაქმა. 18 ნლის ელენეც, ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ძმის გმირულად გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი ნლის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროში დაიწყო მუშაობა. მალევე მიიღო გადაწყვეტილება, კონტრაქტი გაეფორმებინა და შეიარაღებულ ძალებში ემსახურა. შემდეგ იყო პირველი ბრიგადა და ერთვნული გვარდია, სადაც კადრების სერჟანტის თანამდებობა ეკავა. როგორც თავად ამბობს, სამხედრო ტანსაცმელი მისი განუყოფელი ნაწილი გახდა. უკვე ერთი თვეა, გმირთა მემორიალთან მდგარი საპატიო ყარაულის ასეულში ირიცხება და საქმის მწარმოებელია.

მზია კვირკველია

**ელენე გოროზია, სერგეის და:** „ფორმას რომ ვხედავდი, სულ მინდოდა, ჩემს თავზე გამომეცადა, რას გრძნობდა სერგეი, როდესაც სამხედრო ფორმა ეცვა. ამაზე საუბარი დღესაც მიჭირს... მართლა ძალიან რთულია ქალისთვის ჯარში ყოფნა, მაგრამ ეს სიტყვებით აუხსნელი სიამაყეა. გაცვია სამხედრო ფორმა და ემსახურები სამშობლოს. მე ეს შევძელი და ძალიან მეამაყება... სანამ სერგეი დაიღუპებოდა, სულ იმ აზრზე ვიყავი, რომ გმირთა მოედანზე აღმართულ გმირთა მემორიალზე ყოველთვის უნდა მისულიყო ახალდაქორწინებული წყვილი და პატივი მიეგო მათი სულებისთვის. ჩვენ სწორედ გმირულად დაღუპული ადამიანების დამსახურებით ვართ ცოცხლები. ვფიქრობ, ყველა წყვილმა უნდა გამოხატოს მათ მიმართ მცირედი ყურადღება მაინც“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოთო ნემსაძე ოთარ რა

# ოთო ნემსაძის ალბომი „ფიქრების ზღვა“ ოქტომბრიდან გაიყიდება

my View
დეა თავგერიძე

**ოთარ რამიშვილის კოლორიტული სიმღერების ახალი ვერსიები და ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომი. ეს „ჯეოსტარის“ საჩუქარია, რომელიც ხმისჩამწერ სტუდია „ბრავო რეკორდსში“ განხორციელდა. უცნაურ დამთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ოთარ რამიშვილის ბოლო ჩანაწერი ოთო ნემსაძესთან დუეტია... ამ სიმღერების ახალი ვერსიით შესრულება კი რამიშვილის გარდაცვალების შემდეგ გადაწყდა... „ჯეოსტარის“ გამარჯვებულმა ცნობილი კომპოზიტორის შემოქმედებიდან 10 სიმღერა შეარჩია. ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერების არანჟირების თანამედროვე ვერსიები უნიჭიერესმა მუსიკოსმა ზვიად ბოლქვაძემ შექმნა. სიმღერები, რომლებსაც ავტორი მხოლოდ გიტარის აკომპანიმენტით აჟღერებდა, ამჯერად ცოცხალი ბენდის თანხლებით ჩაიწერა. ალბომს ერთ-ერთი სიმღერის სახელი – „ფიქრების ზღვა“ ჰქვია.**

**ოთო ნემსაძე:** „ალბომზე მუშაობა დიდი ხანია დასრულებულია, უბრალოდ, სრულყოფილებაში მოდის. ბედნიერი ვარ, რადგან ვთვლი, რომ მაქვს კარგი ხარისხის ქართული მუსიკა. ისეთი ადამიანების ნამუშევარია, ცუდი ვერანაირად ვერ გამოვიდოდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ზვიად ბოლქვაძეს, ეს არის ადამიანი საოცარი მუსიკით. დიდი მადლობა ასევე ზვიად ბოლქვაძის გუნდს ამ გასაოცარი არანჟირებისთვის, ჩემთვის მათთან მუშაობა ძალიან დიდი ბედნიერება და დიდი მუსიკალური ზრდაა. თუკი რამ გამიკეთებია ცხოვრებაში, პიკი მაქვს ახლა იმ ყველაფრის, რომ ვმუშაობ ასეთ გარემოცვაში, ასეთი ადამიანების თანხლებით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ მარინა ბერიძეს და მის გუნდს იდეისთვის. ეს ალბომი არის ჩემი „ჯეოსტარის“ საჩუქარი. მადლობა „ჯეოსელს“, რომ ეს საჩუქარი გამიკეთა და ასევე, დიდი მადლობა „ბრავო რეკორდსს“ ხარისხიანი მუსიკის ჩაწერისა და თითოეული პროფესიონალი თანამშრომლისთვის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებსაც ვუყვარვარ. ბევრი ვერ იტყვის, არ მიყვარსო. ეს ბედნიერება მართლა მაქვს... მიხარია... მეც ძალიან მიყვარხართ და რომ არა თქვენ, მართლა არ იარსებებდა ჩემში ამხელა დოზით მუსიკა“.

### მე და ოთარ რამიშვილი

„მე და ოთარ რამიშვილი ახლოს ვიყავით და რაღაც ეტაპზე ვმეგობრობდით. ის დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, ქალაქელთან ქალაქელი და ა.შ. იყო კოლორიტი ჩემთვის და ალბათ, ყოველთვის დარჩება თბილისის სიმბოლოდ. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მერგო ბედნიერება, ბატონ ოთართან ბოლო სიმღერა შემესრულებინა, მისი ბოლო ჩანაწერი არის ჩემთან დუეტი. აქედან წამოვიდა მერე იდეა. რომ გარდაიცვალა, მერე გადავწყვიტეთ. ერთად შევასრულეთ გალაკტიონის „თოვლზე“ სიმღერა, რომლის არანჟირებაც ჩემს მეგობარსა და მის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფეს გიორგი ძამუკაშვილს ეკუთვნის. იდეაც მათია... მახსოვს, გმირთა მოედანზე მოვდიოდი, ერთი ბიჭი შემხვდა, დიდ პატივს გცემო, ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთსო. ბოლოს მითხრა, ყველანი ოთარ რამიშვილთან ავდივართ სახლში და შენც წამოდიო. გვიანი იყო, 12-ის ნახევარი იქნებოდა. ავედით, ჩვეული იუმორით შეგვხვდა, არადა უკვე ცუდად იყო. მერე თავისი ალბომები გადმოალაგა, – რომელი სიმღერაც გინდა, აირჩიე და გაჩუქებო. იქვე დაიბადა იდეა, რომ დუეტი უნდა გაკეთებულიყო. დიდხანს იყო უარზე, რაღა დროს ჩემი სიმღერაააო. მისი ბოლო ნამღერი ეს იყო და მე მერგო ბედნიერებად ეს მძიმე ტვირთი. ეს დუეტი ჩაიწერა და დღესაც ძალიან პოპულარობით სარგებლობს ეს სიმღერა. ბევრს მოსწონს. მე კი ოთარ რამიშვილის სიმღერებიდან ყველა სხვადასხვანაირად მიყვარს, ზოგი უფრო მეტ ემოციას იწვევს და უფრო გტკივა.

**– იმ დღეს თუ შეასრულეთ რამე?**

– კი, კედელზე ეკიდა თავისი უსაყვარლესი გიტარა, რაღაცები ვიმღერეთ, ბევრი ვისაუბრეთ, ბევრ რამეზეც ვიხუმრეთ. ოთარი იყო აბსოლუტურად სხვა მიმდინარეობის, სხვა კუთხის, სხვანაირად ფიქრობდა ყველაფერზე, ამიტომ იყო ჩემთვის გამორჩეული. კიდევ ერთხელ მადლობას ვეტყვი ყველა მუსიკოსს, ვინც ამაზე იმუშავა, განსაკუთრებით ზურა მოსიავას, ჩემს თანაგუნდელსა და თანაჯეოსტარელს. ყველამ თავისი ხვლიანი შეიტანა და საბოლოოდ კარგი გამოვიდა. იმედია, მსმენელი ზედმეტად კრიტიკული არ იქნება. ზოგადად, მიყვარს ჯანსაღი კრიტიკა და მივიღებ.

**– ზვიადმა მითხრა, იგივე სულის მატარებელია ოთო, როგორიც რამიშვილი იყოო. შენ თუ დაგიჭერია რამე მსგავსება თქვენს შორის?**

– თავისი ქვეყნის სიყვარულზე აქვს ყველა სიმღერა დაწერილი. მეც ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ქვეყნის გარდა, ვერსად ვიცხოვრებ. მეორე ის არის, რომ რეპეტიციებზეც არ შემიძლია, ნახევრად ვიმუშაო და დავზოგო თავი, ისიც მაქსიმუმს აკეთებდა ხოლმე. რეპეტიციებზეც ისევ ისე ვიხარჯები, როგორც კონცერტზე. ამის გამო ყელზე სულ პრობლემები მაქვს. ცოტა სხვანაირი ხმის ტემბრი მაქვს, რომელიც იოგებს ცოტა აზიანებს, ეს იმის ბრალია, რომ პროფესიონალი არ ვარ. რომ ვიცოდე, როგორ უნდა გამოვუშვა ბგერები, ახლა ასე არ ვიქნებოდი... მაგრამ მაინც არაფერი მოუვა ჩემს ხმას. დავბერდები და ვიქნები ტომ ვეითსივით...

**– მუსიკალური განათლება საერთოდ არ მიგიღია?**

– არა, პროფესიით ეკონომისტი ვარ. სიმღერაში დედა მავარჯიშებდა. მაიას, ანუ დედაჩემის სკოლა გავი-

# EXCLUSIVE

## „მით უმეტეს, ის მსიამოვნებს, რომ თუ რამე შემიძლია, ჩემი ქვეყნისთვის გავაკეთო, შემიძლია მხოლოდ სიმღერით“

## „მისი ბოლო ნამღერი ეს იყო და მე მერგო ბედნიერებად ეს მძიმე ტვირთი“...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მიშვილის სიმღერებით

„თუკი რამ გამიკეთებია ცხოვრებაში, პიკი მაქვს ახლა იმ ყველაფრის, რომ ვმუშაობ ასეთ გარემოცვაში, ასეთი ადამიანების თანხლებით, ბედნიერი ვარ“...

## „თუ რამე შემიძლია, ჩემი ქვეყნისთვის გავაკეთო, დღეს ეს მუსიკით შემიძლია. შევეცდები, ძალიან ბევრი გავაკეთო“...

არე. ის ძალიან კარგად მღერის. ამ ბოლო დროს იშვიათად ვხედავ და მსაყვედურობს. მე თბილისში ვარ, დედა – გორში. მე, დედა და ჩემი ძმა ვმღერით ხოლმე ერთად. ისე, იბრალებენ, ოთო ნემსაძე ჩემი მოსწავლე იყოო. ალბათ, ოდნავ ნარმატებული რომ ვარ, ამის გამო, სურთ, მოსწავლეების რიცხვი გაეზარდოთ. მაგრამ ვიტყვი, რომ ბავშვობიდან, დედა-ჩემის გარდა, არავინ მომხმარებია. ბოლოს ორად ორი ადამიანი იყო „ჯეოსტარის“ წინ, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი პიანისტი, ლადო ონოფრიშვილი, რომელიც ქართულ სიმღერებში მეხმარებოდა და მეორე – სოფო კაკულია, რომელიც უცხოურ სიმღერებში მამეცადინებდა. შემდეგ უკვე მანანა მორჩილაძე და მერე უკრაინული „ახალი ხმის“ პედაგოგები... მაგრამ სულ იმას ამბობენ, გაანებეთ თავი, რაც უნდა, მაინც იმას გააკეთებსო. ალბათ, მართლებიც არიან, არასდროს არ ვიმღერებ ისე, როგორც გუშინ ვიმღერე ან ერთი საათის წინ, უბრალოდ, ვერ ვიმღერებ, ვერ გავიმეორებ... ჩემთვის სიმღერა სულ ყველაფერს არა, ალბათ, მაგრამ მინიმუმ ყველაფერს მაინც ნიშნავს. არავინ თქვას, არ მომწონს პოპულარობა, მანუხებსო, ტყუილია... მეც მსიამოვნებს, მით უმეტეს მსიამოვნებს, როცა გაფასებენ, როცა შენი ქვეყნის სახელს სადმე წაიღებ... თუ რამე შემიძლია, ჩემი ქვეყნისთვის გავაკეთო, მიმაჩნია, რომ დღეს ეს მუსიკით შემიძლია. შევეცდები, რომ ძალიან ბევრი გავაკეთო...“

**ზვიად ბოლქვაძე:** „ყველასთვის საყვარელი ადამიანის მუსიკაა ოთარ რამიშვილის მუსიკა. გავიზარდეთ მის სიმღერებზე და შეიძლება ითქვას, რომ შევეცადეთ, ახლებურად გაჟღერებულიყო, რამდენად გამოგვივიდა, ამას საზოგადოება შეაფასებს. ვცდილობდით, შეგვენარჩუნებინა მისი პირველი სახე. საინტერესოა იმით, რომ სულიერად ახლობელი ადამიანი – ოთო ნემსაძე ასრულებს მის სიმღერებს, კარგად მოერგო, გაითავისა, უნიჭიერესი მომღერალია და მთავარია, რომ ოთარისეულ პეწს არ უკარგავს.

**– რამდენად მოუხდა სიახლე რამიშვილის სიმღერებს? ძველი თაობის მსმენელი ხომ არ გაგაკრიტიკებთ ამის გამო?**

– ამ პროექტში რამდენიმე სიმღერა მაინც რომ აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები იქნება, ვფიქრობ, პროექტი შედგა. შეუძლებელია ყველა სიმღერა ერთნაირად მიიღოს საზოგადოებამ, ჩვენთვისაც ასეა, რამდენიმე სიმღერა გამორჩეულად გვიყვარს. განსხვავებულია იმით, რომ ჩემთან ერთად ასრულებს ჯგუფი „ნიუტონი“ და, აგრეთვე, ზურა მოსიავა (მაჩვი), უნიჭიერესი ინსტრუმენტალისტი, მომღერალი. ამათ განსხვავებული მიდგომა, განსხვავებული მანერა აქვთ დაკვრის და ყველა შემთხვევაში მაინც სხვანაირი იქნებოდა. ჩვენ როგორც მორიგ ქავერს, ისე არ ვუყურებთ. გვიყვარდა, მაგრამ ეს ვარიანტიც ძალიან შევიყვარეთ. მთავარია, რომ ოთოს ძალიან მოსწონს და დიდ სიამოვნებას განიცდის, ჩვენთან ერთად“.

ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ტარდება და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით 5 ოქტომბერს, 20:00 საათზე, მეიდანზე გაიმართება. კონცერტზე ოთო ცოცხალი ბენდის თანხლებით შეასრულებს როგორც ალბომში შესულ ყველა მუსიკალურ ნაწარმოებს, ასევე დუეტებს სხვადასხვა ცნობილ მომღერლებთან. პროექტის სპონსორები არიან: კომპანია „ჯეოსელი“ და „IDS ბორჯომი საქართველო“ .

**„IDS ბორჯომი საქართველო“:** ქართული სიმღერა – ეს ჩვენი ქვეყნის კულტურაა, ჩვენი სიმდიდრე, „ბორჯომი“ კი ქვეყნის საგანძურია. ქართული კულტურა და „ბორჯომი“ ერთნაირად საამაყოა ჩვენთვის. სწორედ ამიტომ კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ მხარს უჭერს ჩვენს მომავალ თაობას, ახალგაზრდა და ნიჭიერ მომღერალს ოთო ნემსაძეს, რომელმაც ყველასთვის საყვარელი ქართველი მომღერლის, ბატონი ოთარ რამიშვილის სიმღერები ახლებური ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა და სადებიუტო ალბომად გამოსცა...

**კომპანია „ჯეოსელი“:** „ჯეოსელის აღმოჩენა“ – ასე ვუწოდეთ ოთოს და ძალიან გვეამაყება, რომ ამ უნიჭიერესი შემსრულებლის მუსიკალურ სამყაროში გამოჩენა „ჯეოსელის“ სახელს უკავშირდება. ოთო „ჯეოსტარის“ ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა მუსიკალურ სივრცეში. ვულოცავთ ოთოს პირველი ალბომის გამოსვლას, რომელიც მისი მომავალი წარმატების ნათელი დასტურია“.



**ზაზა შენგელია:** „ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თავად ოთო ნემსაძე ქართულ მუსიკალურ სივრცეში ზედმიწევნით გამორჩეული მომღერალია, რომელსაც საკუთარი სტილი აქვს. ის გამოირჩევა შესრულების დროს ექსპრესიულობითა და ძლიერი ენერგეტიკით. ეს მისი პირველი ალბომია. ამგვარი კონკურსების სხვა გამარჯვებულებისგან განსხვავებით, ოთო არ დაიკარგა, ამისთვის კი ძალიან ბევრი იბრძოლა. მაგალითად მინდა მოვიყვანო მისი გამარჯვება უკრაინულ ტელეპროექტ voiS-ში, სადაც შემიძლია ვთქვა, რომ რეალურად მან მოიგო ეს კონკურსი, ფარ-ხმალი არ დაყარა, გაგრძელა და მომავალში კიდევ მეტი პერსპექტივა აქვს მას მუსიკალური კარიერის განვითარებისთვის უკრაინაში. პარალელურად კი, ამ გზაზე, „ჯეოსტარში“ გამარჯვებიდან თითქმის სამი წლის თავზე გამოდის ეს ალბომი, რომელიც, „რუსთავი 2“-ის მაშინდელი მუსიკალური რედაქციის გადაწყვეტილებით, ოთარ რამიშვილის სიმღერების ქავერებს მიეძღვნა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი ალბომი არის მიძღვნა ისეთი დიდი მუსიკოსის შემოქმედებისადმი, როგორიც ოთარ რამიშვილია. იმ წელს, როცა ოთომ „ჯეოსტარში“ გაიმარჯვა, ერთ-ერთი ტური ოთარ რამიშვილს მიეძღვნა. მაშინ მომღერალმა რამდენიმე სიმღერა კონკურსანტებთან ერთად შეასრულა. ერთ-ერთი სიმღერა – „თოვლი“ აღმოჩნდა ბოლო ნამღერი, რომელიც მან ოთოსთან ერთად იმღერა დუეტში. ეს სიმღერა შესულია ამ ალბომში, როგორც ბონუსტრეკი. ასეთი დიდი შემოქმედის სიმღერა, რომელიც ასეთი კოლორიტული იყო თბილისის სინამდვილეში, იმსახურებს იმას, რომ მიძღვნა გაუკეთოს შედარებით ახალგაზრდა თაობის მომღერალმა. ეს ხელს შეუწყობს ოთარ რამიშვილის შემოქმედების კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას ახალგაზრდებში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიტერატურული ფესტივალი შუახევში

my View
დეა თავგერიძე

**მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ კი შუახევში, 20, 21 და 22 სექტემბერს ახალგაზრდა პოეტებსა და მწერლებს ელიან. მათ ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ უმასპინძლებს. შემოქმედებით საღამოებთან ერთად დაგეგმილია ექსპედიციები. ასე რომ, სტუმრებს საკმაოდ საინტერესო დღეები ელით. ისტორიული ესსეების, ლექციების, მოთხრობების, ნოველებისა და ჩანახატების შექმნის მიზნით ისინი შუახევში არსებულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს დაათვალიერებენ, მათი ნამუშევრები კი საბოლოოდ სპეციალურ კრებულში მოიყრის თავს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მარშრუტებს შორის არის ნიგაზეული – სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის ციხე, მარეთის ხეობა, ოქროპილაურის ციხე, ჭვანის ხეობა, ფურტიოს საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც არქეოლოგებმა გათხრებისას 2012 წლის აგვისტოში ეკლესიის საძირკვლის ნაწილი სამარხები და მრავალი სხვა ნივთი აღმოაჩინეს... ფესტივალის მიზანია, შუახევში ლიტერატურული ფესტივალის დამკვიდრება და ახალგაზრდებში წიგნის პოპულარიზაცია.**



ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ იდეის ავტორი და ორგანიზატორი რეჟისორი ვახტანგ ბერიძეა. ახალგაზრდა რეჟისორს შუახეველები ასე ახასიათებენ: კაცი, რომელსაც თავისი მიწა უყვარს და აჭარისთვის ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს.

**ვახტანგ ბერიძე:** „ზე-კართან“ ზეცის კარიბჭეს ნიშნავს, იგულისხმება ადგილი, ანუ ეს არის შემაერთებელი ადგილი მიწასა და ცას შორის, სიცოცხლესა და ღმერთს შორის, სწორედ ასეთია ჩემი შუახევი და ამიტომაც ჰქვია ამ პროექტს ეს სახელწოდება. ეს პროექტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მეც შუახეველი ვარ და ღონისძიებების ფარგლებში ჩემი მუნიციპალიტეტის, კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების ფართო პოპულარიზაცია მოხდება. თითოეული მწერალი და პოეტი, რომელიც შუახევზე ერთ ფრაზას მაინც დაწერს, მთიელი ხალხის მეხსიერებას საუკუნეების განმავლობაში შემორჩება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც თავისუფალი პროექტების კონკურსის გამარჯვებულთა შორის ჩემი პროექტიც დაასახელა და შუახევისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტის ხორცშესხმის საშუალება მომცა. ეს პროექტი შუახევის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ფესტივალის ორგანიზატორის თქმით, ღირსშესანიშნაობებით მდიდარ მაღალმთიან აჭარაში გატარებული ყოველი დღე სტუმრებისთვის დაუვიწყარი იქნება. ხელოვანები კი იმედოვნებენ, რომ „ზე-კართან“ შუახევში ლიტერატურული ფესტივალების დამკვიდრების საფუძველი გახდება.

**პროექტის მედიაპარტნიორები არიან: აჭარის ტელევიზია, რადიო „აჭარა“, გაზეთები „აჭარა“, „ბათუმელები“, „პრაიმტაიმი“.**



# თელავი მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

**თელავში ტრადიციად დამკვიდრებული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გრძელდება. კახეთს წელსაც ბევრი ცნობილი შემსრულებელი ეწვევა. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძეა. ამ პიანისტის ხელოვნებას, ვირტუოზულ ტექნიკასა და არტისტიზმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მსმენელი ბევრჯერ გაუოცებია. ამიტომაც წამყვანი მუსიკოსებისთვის ელისო ვირსალაძის მიერ დაფუძნებულ ფესტივალზე მიწვევა დიდი პატივია.**

ელისო ვირსალაძე ხელოვანების ოჯახში დაიბადა. სულ პატარას მუსიკა ბებიამ, პროფესორმა ანასტასია ვირსალაძემ შეაყვარა. ის იყო მუსიკოსის პირველი მასწავლებელი. შემდეგ კი იყო უამრავი წარმატება არა მარტო ევროპაში, ასევე ამერიკასა და იაპონიაში. ის წარმატებით გამოდის ლონდონის, მილანის, რომის, პარიზის, ლისაბონის, ბერლინის საკონცერტო სცენებზე. თანამშრომლობს მსოფლიოში წამყვან ორკესტრებთან და დირიჟორებთან. საშემსრულებლო მოღვაწეობის პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. არის მოსკოვის კონსერვატორიისა და მიუნხენის უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი...

ფესტივალი, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს, 12 ოქტომბერს, 19:00 საათზე, თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნება. პიანისტმა ფესტივალი 80-იან წლებში დააარსა, შემდეგ კი იყო თითქმის ოცწლიანი პაუზა. 2010 წლის ოქტომბერში კი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში კვლავ განახლდა.

„ვშიშობდი, რომ განახლებას ვერ შევძლებდი. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად აეწყო. პრეზიდენტმა დიდი ნაბიჯი გადადგა და ორი შესანიშნავი ინსტრუმენტი გვაჩუქა. ეს რომ არ ყოფილიყო, ძალიან გაგვიჭირდებოდა“. – უთხრა მაშინ „პრაიმტაიმს“ ელისო ვირსალაძემ. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ „Steinway & Sons“-ის საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი შეიძინა. როგორც ვხედავთ, შიში უსაფუძვლო გამოდგა. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ ორგანიზებით ფესტივალი დღესაც გრძელდება.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნანი ბრეგვაძის პირველი ქართული სოლო ალბომი

## ალბომი „ბრავო რეკორდსის“ სტუდიაში ჩაიწერა

EXCLUSIVE

ქართული სცენის ლეგენდა, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების პირველი და უბადლო შემსრულებელი – ნანი ბრეგვაძე დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, პირველად წერს სოლო ალბომს საქართველოში. ალბომში შედის ნანი ბრეგვაძის ყველა დროის საუკეთესო ქართული მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ახალი, თანამედროვე და სრულიად განსხვავებული საორკესტრო ჟღერადობა უნიჭიერესმა მუსიკოსმა და დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა მიუსადაგა. სწორედ ამ ალბომზე მუშაობის პატივი ხვდა წილად მუსიკალურ ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსს“. სტუდიურ ჩაწერებზე მუშაობა დასრულებულია, მიმდინარეობს **CD** ალბომის ბეჭდვა და საპრეზენტაციო სამზადისი. ალბომში, რომლის სახელწოდებაც არის „ვიხსენებ მე“, **12** ქართული მუსიკალური ნაწარმოები შედის. რომელთა ავტორებიც არიან ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორები: რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, გია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, გიორგი ცაბაძე, დავით თორაძე, გურამ ბზვანელი და ნუგზარ ვაწაძე. ალბომის მუსიკალური კონცეფცია ნანი ბრეგვაძის ბიოგრაფიაზეა აგებული, ანუ იმ ცხოვრებისეულ გზებზე, რაც მან დღევანდელ დღემდე განვლო.

CD ალბომის პრეზენტაცია 4 ოქტომბერს ახალ რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართება, მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მოისმინონ ახალ ალბომში შესული რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები ნანი ბრეგვაძის ცოცხალი შესრულებითა და „ბრავო ბენდის“ თანხლებით.

**პროექტის მხარდამჭერები არიან: თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. სპონსორები: კომპანია „პეეს-პე“ და „თი-ბი-სი ბანკი“.**

# მუსიკის გაკვეთილები ციხეში

## ნინო ყამბეგაშვილი ახალი გეგმებით

EXCLUSIVE

**მალე არასრულწლოვნთა ავჭალის კოლონიაში მუსიკის პირველი გაკვეთილები ჩატარდება. იქ მყოფი პატიმრებისთვის მუსიკალური სკოლის გახსნა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა ქველმოქმედმა ნინო ყამბეგაშვილმა ითავა. მუსიკოსი საქართველოში მყოფ ნიჭიერ ბავშვებსა და მოზარდებზე თავადვე ზრუნავს. რამდენიმე თვის წინ „პრაიმტაიმი“ წერდა იმის შესახებ, როგორ მიიღეს ავჭალაში მყოფმა პატიმრებმა ის ინსტრუმენტები, რომლებზეც ისინი ოცნებობდნენ. ინსტრუმენტები არა მარტო პატიმრებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მუსიკალურ სკოლებსაც დაურიგდათ. ამჯერად კი ინსტრუმენტები და სანოტო წიგნები თბილისის დევნილთა 2 ხელოვნების სკოლას გადაეცემა. მუსიკოსი, ასევე, აპირებს მოზარდების არჩევასა და გერმანიაში საერთაშორისო კონკურსზე წაყვანას. მუსიკოსი თბილისში ჩამოსვლასა და ჩანაფიქრის განხორციელებას სექტემბრის ბოლოს გეგმავს. 1-დან 10 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს შემდეგი რეგიონებიდან – მცხეთა, გორი, ქუთაისი, ფოთი და საჩხერე გერმანიაში გასამგზავრებლად პიანისტი 6 ბავშვს შეარჩევს. ბავშვები გერმანულ ენასა და ლიტერატურას შეისწავლიან, აგრეთვე, ჩაუტარდებათ მუსიკის გაკვეთილები და ბოლოს გერმანელ ბავშვებთან ერთად ექნებათ დასკვნითი კონცერტი. „პრაიმტაიმი“ პიანისტს გერმანიაში დაუკავშირდა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.**

**ნინო ყამბეგაშვილი:** „ჩემი მიზანია, დავეხმარო საქართველოში მცხოვრებ ნიჭიერ ბავშვებს. სწორედ ამ მიზნით უკვე წლებია, ისინი ჩემ მიერ დაარსებულ ფესტივალ „ოქროს კლავიშში“ მონაწილეობენ. საუკეთესოებს ენიშნებათ სტიპენდია. მასწავლებლები კი გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. ჩემი დიდი სურვილია, ასევე, დავეხმარო ქართულ ეკონომიკას წინსვლასა და განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით ჩემი თაოსნობით ტარდება გერმანულ-ქართულ-აზერბაიჯანული ეკონომიკური ფორუმი ფრანკფურტის კომერცბანკში, სადაც მოწვეული იქნება გერმანელი და აზერბაიჯანელი 100-მდე უმსხვილესი ინვესტორი. ჩემი სურვილია, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით ისინი ქართულ მხარესთან დავაახლოო. ამჯერად ორგანიზების პროცესში ვართ. ვფიქრობ, ამ ფორუმის შემდეგ გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მეწარმეებს საშუალება მიეცეთ, საქართველოში განავითარონ თავიანთი ბიზნესი, შექმნან ბევრი სამუშაო ადგილი და დაეხმარონ ქართულ ეკონომიკას. მანამდე აზერბაიჯანელი ბავშვებისა და მოზარდების მხარდასაჭერად მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმს, საჩუქრად გადაეცემა მუსიკალური ინსტრუმენტები. აქ ფუნქციონირებს ნაციონალური და კლასიკური მუსიკის შემსწავლელი წრეები, ინსტრუმენტები და ნოტები დაურიგდებათ მარნეულისა და რუსთავის აზერბაიჯანულ სკოლებსაც“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ წვავენ ბათუმში წიგნებს?!

## „საქართველოში „ქალიშვილებს“ ახალი აკრძალვა აქვთ“

**რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებულმა ინფორმაციამ ბევრი შეაშფოთა. ბათუმის მაღაზიაში წიგნების დაწვას, შეშფოთებასთან ერთად, მკითხველთა განაწყენება და გაბრაზება მოჰყვა. ბევრის გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მღვდლის კურთხევით დანიშნულ კონსულტანტთა ქმედება ღმერთის სახელით მოხდა... „ბიბლიის გვერდით რომ ეროტიკული ლიტერატურა დადო უხერხულია“, - აცხადებს მაღაზიის მფლობელი დავით ბარამიძეც... ირკვევა რომ ამ მაღაზიაში მარხვის დროს ზოგიერთი უცხოელი მწერლის ქართული თარგმანი არ იყიდება.**

ქალიშვილობის ინსტიტუტის მიმდევარმა „გოგონებმა“ სექსის აკრძალვის შემდეგ ეროტიკული წიგნების კითხვაც აიკრძალესო, - ხუმრობენ სოციალურ ქსელში... უფრო მეტიც, ზნეობის მქადაგებელთა ძალისხმევით არც სხვა მკითხველი „ზიანდება“... ბათუმში, წიგნის მაღაზიის კონსულტანტები ავტორს „ზედმეტი გულახდილობისთვის“ იმით სჯიან, რომ მათ წიგნებს წვავენ. ამგვარი ბედი ეწია ზაზა ბურჭულაძის „ხსნად კაფკასაც“. კონსულტანტების ახსნა ამგვარია – „წიგნში ბევრი ეროტიკული სცენა უხამსობაა. რელიგიური თემატიკის წიგნებთან კი ასეთი ლიტერატურის დადება სირცხვილია“. ჰოდა, გამოსავალიც იპოვეს. თაროს რომ წიგნი ჩამოაცილონ, საკუთარი ხელფასით ყიდულობენ და მერე ცეცხლს უკეთებენ... თანამედროვე ინკვიზიციის სამსჯავრო საქართველოში ამგვარია. ამიტომაც ბათუმის რამდენიმე მაღაზიაში ზაზა ბურჭულაძის „ხსნადი კაფკა“, პაულო კოელიოს „11 წუთი“ და მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ ტაბუდადებული წიგნებია... ამ ფაქტს მწერლების აღშფოთების გარეშე არ ჩაუვლია...

**ლელა კოდალაშვილი, მწერალი:** „ეს ისეთი ფაქტია, რომელზეც ყურადღების გამახვილება და სერიოზულად კომენტირება უხერხულია. როცა წიგნს გადახედავს ვინმე კონსულტანტი და გადაწყვეტს, რომ ზედმეტი ეროტიკული სცენების გამო უნდა დაწვას და გაანადგუროს, არ ვიცი, რომელ „ანეკდოტურ“ სიტუაციას მივაწერო, რადგან, მეორე მხრივ, საშინელებაა და მარაზმია, როდესაც ეს ხდება ქვეყანაში. წიგნების დაწვა თავისთავად ვანდალური აქციაა. ეროტიკის ნიშნით ამის კეთება კი უწიგნურობა. 30-იანი წლების შემდეგ ამგვარი რამ არ მომხდარა. მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიის გამო წვავდნენ წიგნებს. კონტრრევოლუციურ ქვეყანაში ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური მოვლენა გახლდათ. წიგნის მაღაზია უნდა იყოს აბსოლუტურად ღია სივრცე, აბსოლუტურად თავისუფალი, ყველანაირი ჟანრის გათვალისწინებით. თუ აკეთებ ეკლესიური მიმართულების მაღაზიას და მოძღვრის კურთხევით ყიდი წიგნებს, მაშინ მაღაზიაც ეკლესიური პროფილის უნდა იყოს. სავალალოა, როცა ამგვარ ტენდენციას წიგნის მაღაზიის მესვეურები იჩენენ, სავალალოა, როცა პროტესტის ასეთ აგრესიულ ზომებს მიმართავენ. პრობლემა მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობაა და ესაა მტკივნეული“.

**თეონა დოლენჯაშვილი, მწერალი:** „მე პირადად, როცა ამ ინფორმაციას ვკითხულობდი, სწორედ ის შეგრძნება გამიჩნდა, რასაც რეი ბრედბერი წერდა წიგნში „451 გრადუსი ფარენჰაიტით“ – როდესაც სამყაროს დასასრული იყო და წიგნებს წვავდნენ. ძალიან უცნაურია, რომ საქართველოში ხდება ეს და მით უმეტეს, ღმერთის სიყვარულის სახელით. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს წიგნთან საერთოდ არაფერი ესაქმებათ. ყველაზე დიდი წიგნი ბიბლიაა და ჩემი აზრით ამით სწორედ ამას აკეთებენ, სიტყვას წვავენ, იმ მთავარს, რომელიც იყო პირველად და იმ შემოქმედებას, ეს გემოვნების ამბავია, ამიტომ ვისაც არ მოსწონს, არ წაიკითხოს. ეს ყოველივე გაუგებარი და გონებამიუღწეველია ჩემთვის. გულისტკივილიც არის, აღშფოთებაც და ყველაფერი ერთად. ვერაფრით ვხვდები, რატომ ან რისი სახელით შეიძლება გააკეთოს ეს იმ ადამიანმა, რომელსაც წიგნთან აქვს შეხება. ვფიქრობ, რომ არასწორად ესმით. მაინც მინდა, რბილად შევხედო და ძალიან რადიკალური არ ვიყო ამ ადამიანების შეფასებაში. ალბათ, რაღაც ძალიან არასწორად და ძალიან ცუდად გაიგეს. მართლა რომ კითხულობდნენ ამ წიგნებს, ეს დამოკიდებულება არ ექნებოდათ“.

**ნანა ტრაპაიძე, ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:** „რა თქმა უნდა, მაღაზიის მესაკუთრეს შეუძლია, თავის მაღაზიაში ის ლიტერატურა შეიტანოს, რაც მას სურს, თავად განსაზღვროს საკუთარი პროდუქციის კომერციული და მხატვრული ფასი. ამაში მას ვერ შევედავებით. თუმცა აქ ერთი ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური საკითხი დგება: ცხადია, კონსულტანტები საკუთარი გემოვნებითა და, ასე ვთქვათ, სულიერი მოთხოვნილებებით ხელმძღვანელობდნენ წიგნების გადარჩევისას და ნაკლებად იციან (უფრო არ იციან) კომპეტენტური აზრი ამ ლიტერატურის შესახებ. არ იციან, რა შეიძლება ასხვავებდეს კოელიოს უელბეკისგან, ისევე როგორც მათთვის გაუგებარია ბურჭულაძის კომერციული სტრატეგია და მხატვრული შრეები. ალბათ, არც ვალდებულები არიან, იცოდნენ; სხვა გარემოებაა აქ მთავარი: ეს ლიტერატურა საკმაოდ ახალია (ყოველ შემთხვევაში ჩვენში) საიმისოდ, რომ მათ ჰქონდეთ ის შეფასებითი და ღირებულებითი სტაბილურობა, რომელსაც კრიტიკა და დრო ანიჭებს ხოლმე ლიტერატურას. ასეთ შემთხვევაში შეფასებისა და მოქმედების (გავყიდო, თუ არ გავყიდო) საფუძველი რჩება კერძო ინტელექტუალური გამოცდილება, გემოვნება, ან, სულაც, კარგი მენეჯმენტი სხვა საბაზრო დიაპაზონით. ამას ვერ მოვთხოვთ კონსულტანტს; მაგრამ საინტერესოა, დაწვავს თუ არა ის ბოკაჩოს, ან კონსტანტინე გამსახურდიას, ან ,,ცისფერყანწელთა“, გრიგოლ რობაქიძის, მურმან ლებანიძისა და სხვათა (უკვე შეფასებულ-დაფასებულთა) ეროტიკული შინაარსის ქმნილებებს, ხალხური სიტყვიერების შედევრებს? ვფიქრობ, რომ – არა. არგუმენტი კი იქნება ასეთი: რას ამბობთ, ეს ხომ ბოკაჩოა, ეს ხომ გამსახურდიაა, ეს ხომ რობაქიძეა. და „ეს ხომ“ იქნება არა ამ ტექსტების მხატვრული ღირებულების ამომთქმელი შეძახილი, არამედ ავტორიტეტული აზრის მექანიკური ექო, რომელსაც საზოგადოება გამოსცემს ხოლმე იმ მოვლენებზე, რომელთა ღირებულება უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილია, მისი მონაწილეობის გარეშე.

მაგრამ წიგნების დაწვა, ერთდროულად, უცნაური ფაქტიცაა და ვანდალურიც. ვანდალურია, რადგან წიგნის დაწვა ადამიანის დაწვის „ჰუმანური“ ჩანაცვლებაა. უცნაური კი იმიტომ, რომ დაწვა ყველაზე რადიკალური ანტირეკლამაა და ანტირეკლამა ხომ საუკეთესო რეკლამაა. ეს უნდა ესმოდეს წიგნის მაღაზიის მესაკუთრეს. ვინ გამოდის ამით მოგებული? ცხადია, ავტორი! ნუთუ, მორალისტური აგრესიის ეს „პარადოქსი“ თუ კონსულტანტებს არა, მეპატრონეს მაინც არ ესმის? ალბათ, ბევრი არ ისურვებს, იყოს გულუბრყვილო და ეს დაიჯეროს... მით უმეტეს, ბათუმის წიგნის მაღაზიებში წიგნის ბედის შესახებ პუბლიკაციამ სოციალურ ქსელში ფრიად საინტერესო ტალღა აიყოლა თავისი გაცოცხლების, შეხსენების, მიწოდების ერთგვარი ექსჰიბიციონისტური ვნებათაღელვის – აგრესიის მსხვერპლად ყოფნის ფარული ვნების სახით... : )“

### თეონა დოლენჯაშვილი:

## „მართლა რომ კითხულობდნენ ამ წიგნებს, ეს დამოკიდებულება არ ექნებოდათ“

# გივი ალხაზიშვილის ახალი წიგნი




მალე მკითხველი პოეტ გივი ალხაზიშვილის ახალ წიგნს გაეცნობა. კრებულს, რომელშიც 20 სხვადასხვა წიგნიდან ამოკრებილი, ძველი და ახალი ლექსები შედის, პოეტმა „შენ ცოცხლობ ჩემში“ დაარქვა. წიგნის პრეზენტაცია 17 სექტემბერს „მწერალთა სახლში“ გაიმართება. გივი ალხაზიშვილს სხვადასხვა დროს გამოცემული აქვს შემდეგი პოეტური კრებულები: „მოგონებათა ქალაქი“, „უცხო ფრინველი“, „ლექსები, პოემა“, „დიალოგი ფიქრში“, „წარსულის სარკმელი“, „სიტყვების მოლოდინი“, „ქორონიკონი“, „გაღწევის სურვილი“, „ჩაბრუნებული მზერა“ და სხვა. არის რამდენიმე რომანის, ესსეს ავტორი და პოეტური კრებულის მთარგმნელი, ასევე – სახელმწიფო პრემიისა და „საბას“ ლაურეატი.

**გივი ალხაზიშვილი:** „650-გვერდიან გამოცემაში ყველა პოეტური წიგნიდან, რაც დღემდე გამომიცია, შევადგინე შემაჯამებელი კრებული, სადაც მკაფიოდ ჩანს რჩეულის კონტური. წიგნი იწყება ახალი, გამოუქვეყნებელი ლექსებით, გრძელდება შარშან გამოცემულ „ეპისტოლეთა წიგნით“ და მთავრდება 1972 წელს დაბეჭდილი პირველი კრებულით. აწმყოდან წარსულისკენ გახედვა უკეთ აჩვენებს განვლილ გზას, სტილისტურ, მსოფლმხედველობრივ თუ ფორმალისტურ გრადაციასა და შემოქმედების დინამიკას. რჩეულის საბოლოო ვერსიის გამოცემა სამომავლოდ გადავდე, იმ დროისთვის, ღვთის შეწევნით, როცა სხვა წიგნებსაც გამოვცემ და არჩევანის მეტი საშუალება მექნება“.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი კონკურსს აცხადებს

**ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი პროფესიონალ რეჟისორებსა და დრამატურგებს თავისთან იწვევს. საუკეთესოს ასარჩევად კი კონკურსს აცხადებს. საბავშვო და საყმაწვილო დრამატურგიული ნაწარმოებების გამოსავლენად საკონკურსო პიესების წარმოდგენის ვადა 25 ოქტომბერია. გამარჯვებული პიესა წლევანდელ სეზონში თეატრის დიდ სცენაზე დაიდგმება. დრამატურგი კი საავტორო ჰონორარს 2000 ლარს მიიღებს. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს. კონკურსის პირობების მიხედვით, წარმოდგენილი პიესა არ უნდა იყოს ადრე გამოქვეყნებული ან დადგმული.**

რაც შეეხება დადგმას, რომელიც რევაზ თავართქილაძის სახელობის ექსპერიმენტული სცენისთვის უნდა გაკეთდეს. ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება ყველა პროფესიონალ რეჟისორს აქვს. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და თეატრალური პროექტი, საკონკურსო კომისიის მიერ მაქსიმუმ 4 პროექტი შეირჩევა. ორგანიზატორების თქმით, კონკურსანტებმა უნდა გაითვალისწინონ სცენის პარამეტრები და პიესების შერჩევისას იფიქრონ მცირეპერსონაჟიან და მცირებიუჯეტიან პროექტებზე. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადა 10 ოქტომბერია.

# ქართველების წარმატება ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე

## თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი „ნიუ თაუნში“...

**ჯოის მაკმილანი:**
**„გეწაძე და მისი მსახიობები ქმნიან 80-წუთიან სუფთა და აღვირახსნილ კომედიას, სავსეს პოლიტიკური ქვაკუთხედებითა და ობერტონებით, რომლებიც არასდროს უშლის მოქმედებას და არ დომინირებს მასზე. მათ ესმით აბსურდიზმის ყველა ხერხი“...**

**...არადა გასტროლები პრობლემებით დაიწყო, ჯერ ადმინისტრაციული გაუგებრობა იყო, მერე კი სპექტაკლისთვის დანიშნული დილის ათი საათი. ამას საბაჟოსთან გაურკვევლობა და დეკორაციების დაგვიანება მოჰყვა... მიუხედავად ამისა, „ნიუ თაუნ“ თეატრში, ჯორჯ სთრითზე, საბოლოოდ ყველაფერი საქართველოდან ჩასული მსახიობების დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ქართულმა სპექტაკლებმა კრიტიკოსების ქება დაიმსახურეს. ზურა გეწაძის სპექტაკლი „მელოტი მომღერალი ქალი“ მსოფლიო დონის კრიტიკოსმა ჯოის მაკმილანმა ედინბურგის ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარა. როგორც თეატრალურ წრეებში ამბობენ, ეს არა მხოლოდ ქართველი რეჟისორის, არამედ ქართული თეატრის დიდი გამარჯვებაცაა.**

**ჯოის მაკმილანი**: „ქართველმა მსახიობებმა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ანსამბლური სპექტაკლი წარმოადგინეს, რაც კი ფრინჯზე წელს მინახავს. ეს არის შესანიშნავი ქართული ვერსია იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალისა“, რომლის პრემიერაც პირველად პარიზში 1950 წელს გაიმართა. რეჟისორ ზურაბ გეწაძის ბრწყინვალე და ჭკვიანური მიგნებაა, რომ მოქმედება საქართველოში გადმოაქვს – ასეთი დამახასიათებელი საშიში იერარქიული გარემოთი და კორუფციული კეთილდღეობით, პოლიტიკური ზეწოლითა და უსამართლობით, რაც ცოტა ხნის წინ სუფევდა მათ ქვეყანაში და ყოველივე ამის მიუხედავად, რეჟისორი ყველანაირი საშუალებით გაურბის ყველაზე დიდ შეცდომას, რაც იონესკოს დადგმის დროს ემართებათ, თითქოს იონესკო უნდა გათამაშდეს კლოუნადისა და თეთრად შეეთხნილი სახეების გამოყენებით. რეჟისორი ფილტრავს დიალოგს. მსახიობების თამაშის მანერას გადაჰკრავს სატელევიზიო სიტკომების სტილისტიკა, რის დროსაც ეს ბრწყინვალე, სატირული პოეზიით გაჟღენთილი ტექსტი კიდევ უფრო გამოკვეთილია. გეწაძე და მისი მსახიობები ქმნიან 80-წუთიან სუფთა და აღვირახსნილ კომედიას, სავსეს პოლიტიკური ქვაკუთხედებითა და ობერტონებით, რომლებიც არასდროს უშლის მოქმედებას და არ დომინირებს მასზე. მათ ესმით აბსურდიზმის ყველა ხერხი და ამიტომაა, რომ ამ გადარეულ და შერყეულ სამყაროში ესაა ერთადერთი ფორმა, რომელიც ამართლებს“.

**ზურა გეწაძე:** „ასეთ შეფასებას ნამდვილად არ ველოდი. შოტლანდიაში მაღალი დონის კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები არიან, ამიტომ ძალიან ვნერვიულობდი. როდესაც ეს შეფასება წავიკითხე, მივხვდი, რომ ძალიან სიღრმისეულად არის აღქმული სპექტაკლიც და ის ხერხიც, რომლითაც ეს სპექტაკლი დავდგი. ჯოის მაკმილანი ამას ხაზგასმით აღნიშნავს, ყველაზე მეტად სწორედ ეს მომეწონა. ამაყი და ბედნიერი ვიყავი. მეგობრები მეუბნებოდნენ, – ფრთხილად იყავი, თავში არ აგივარდესო. რა თქმა უნდა, ძალიან მოქმედებს, როცა ამ დონის ფესტივალზე, ასეთი მაღალი დონის კრიტიკოსი, ყველაზე რეიტინგულ გაზეთში, ასე დადებითად გაფასებს. ალბათ, დიდხანს გამყვება ეს შეგრძნება. სამწუხაროდ, პირადად მე ამ კრიტიკოსს არ ვიცნობ. ვერც შევხვდი...

ამჯერად ეს იყო ფესტივალ „საჩუქრის“ ქართული სეზონი ედინბურგში, რომელსაც ქეთი დოლიძე ხელმძღვანელობს. „მელოტი მომღერალი ქალიც“ ქეთიმ აარჩია. სპექტაკლით რის თქმა მინდოდა?! – ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: მოდით, ნახეთ სპექტაკლი და თქვენ თვითონ მიხვდებით. ორი სიტყვით ძნელია ამის ახსნა“.

**ზურა გეწაძე: „სპექტაკლით რის თქმა მინდოდა?! – ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: მოდით, ნახეთ სპექტაკლი და თქვენ თვითონ მიხვდებით“...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხატია ბუნიათიშვილის გულახდი

my View
დეა თავგერიძე

**თუკი მის კონცერტზე ერთხელ მაინც ყოფილხართ, იტყვით, – ღირდა ამ წუთებად ცხოვრება... მასთან საუბარიც არანაკლებ საინტერესოა, ის რესპონდენტიც ისეთივე გულწრფელია, როგორც პიანისტი სცენაზე... მსოფლიოში აღიარებული ახალგაზრდა პიანისტი უკვე წლებია, სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ დარბაზებში მართავს კონცერტებს. მისი გასტროლები 2015 წლის ჩათვლით გაწერილია, თუმცა მოახერხა და თბილისს „ნიჭიერის“ პროექტისთვის ორი დღით ეწვია. ამჯერად, ის ამ პროექტში ჟიურის წევრის ფუნქციას ითავსებს.**

## „მუსიკასთან ერთად მყვარებია და მომავალშიც მუსიკასთან ერთად ვიქნები შეყვარებული, ცალკე არ იქნება...“




## „ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი მაინც ის არის, როდესაც იმის უნარი აქვს, რომ თავიდან დაიწყოს რაღაცის აშენება. სწორედ ამ შენებისკენ მოვუწოდებ ჩემს თავსაც და ყველას ირგვლივ... არ ღირს ჰესიმიზმი, ჰესიმიზმს არაფერი მოაქვს კარგი“...

**ხატია ბუნიათიშვილი:**

– მართალი გითხრათ, სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს წინადადება, თან დიდი ინტერესით შევხვდი. მიყვარს არასტერეოტიპულ სიტუაციებში მოხვედრა და დათანხმებაც. ასეთი სიტუაციები უფრო მეტად მაგრძნობინებს, რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ცხოვრება. ისე, ცოტა აბსურდულად მეჩვენება, რომ ვინმე რაღაც ნომერს შეასრულებს და პასუხს ჩემგან ელის. რეალურად ადამიანი იმ შედეგს ელის, რაც სურს. უბრალოდ, ეს ამ შემთხვევაში კონკრეტულ 4 ადამიანზეა დამოკიდებული. ამიტომ მე არ აღვიქვამ თავს ჟიურის წევრად, აღვიქვამ ადამიანად, რომელიც რაღაც-რაღაცებთან დაკავშირებით მხოლოდ თავის მოსაზრებას ამბობს. სხვებთან შედარებით, მგონი, მკაცრი არ ვარ. მონაწილეები კი ძალიან განსხვავებული არიან. ალბათ, ამით გამოირჩევა ეს პროექტი. ძალიან ჭრელია. ამ მხრივ, უფრო მიმარტივდება შეფასება, ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ, ემოციებზე ვარ დამოკიდებული.

**– რაც შეეხება თქვენს კონცერტებსა და თქვენეულ შესრულებას. ამბობენ, ბევრია ნიჭიერი და პროფესიონალი, მაგრამ ხატია ბუნიათიშვილს სხვა ქარიზმა აქვს, მსმენელს აჯადოებსო... როგორ ახერხებთ ამას?**

– ჩემთვის რთულია ამაზე პასუხის გაცემა, ვიღაცისთვის შეიძლება სხვანაირად იყოს... ზოგადად კი, თუ ადამიანი რეალურად არის სცენაზე და აკეთებს რაღაცას, მთავარია, როგორ აღიქვამს რეალურ ცხოვრებას და ფანტაზიის საშუალებით ამას უფრო სიურრეალისტურს როგორ ხდის. ამ შემთხვევაში, თუ ამ სიურრეალისტურ სამყაროში ახერხებ მთლიანად იმ რეალობაში იყო, რომელსაც სცენაზე ქმნი და არ ფიქრობ, რა ხდება გარე სამყაროში, ამ დროს ბევრად უფრო მარტივია, ჩაიყოლო იგივე მსმენელიც ამ სამყაროში და ეს ქმნის, ალბათ, სიურრეალისტურის ილუზიას. აქედან გამომდინარე, ზოგადად, მიმაჩნია, რომ ხელოვანები უფრო ბედნიერები ვართ მაშინ, როდესაც სცენაზე სრულიად ვივიწყებთ რეალობას... ეს ყოველთვის არ ხდება, იგივე ჩემს შემთხვევაში, ამას ყოველთვის ვერ ვგრძნობ, მაგრამ თუ შევძელი ის, რომ შევქმნა მხოლოდ ის სამყარო, რომელიც მე წარმომიდგება სცენაზე ყოფნისას, იმ მომენტში უბედნიერესი ვარ.

**– მსმენელი გრძნობს იმ წუთებს, როცა შენ შენს სამყაროს ვერ ქმნი სცენაზე?**

– მგონი, ვერ ხვდება. ყოველ შემთხვევაში ამას არ ამბობენ. არ ვიცი, კულტურა უშლით ამაში ხელს თუ რა, მე ეს არ მიგრძნია. ეს მხოლოდ მე ვიცი... თან რა მომენტია, იცით? ჩვენი კონცერტი არ არის სპექტაკლი, რომელიც იწყება, ვითარდება და ბოლოს მთავრდება. ერთი და იგივე კონცერტზე ძირითადად სხვადასხვა ნაწარმოებებს ვუკრავ, არის მომენტები, როდესაც ეს ხდება და არის მომენტები, როდესაც რეალობას უბრუნდები. ღირს რეალობასთან დაბრუნება იმისთვის, რომ აღიქვა, რამდენად ძლიერი იყო ის მომენტი, როცა შენს სამყაროში იყავი...

**– ამ დროს ძირითად და მნიშვნელოვან როლს ემოცია ასრულებს?**

– აქ გონებაც ჩართულია, აზროვნებაც, ყველაზე დიდ როლს კი მაინც ემოცია ასრულებს. იმდენად გამოიყოფა ადრენალინი, რომ ემოცია გადაწონის აზროვნებას. კონტროლი არის, მაგრამ შეფარული. რაც ასეც უნდა იყოს იმისთვის, რომ კონცერტი სპონტანური გამოვიდეს. ეს არის მომენტი, როდესაც ადამიანი გრძნობს თავს სამყაროს ნაწილად ისე, რომ არა აქვს დისკომფორტი, თუნდაც სხვა ადამიანების ენერგეტიკიდან გამომდინარე, ან უთანხმოების გამო. ის, რაც რეალურ ცხოვრებაში ხშირად ხდება, რაღაც არ მოგვწონს, ამით უკმაყოფილო ვართ, ამას გამოვხატავთ, მიდის ამაზე დებატები. საბოლოოდ კი შედეგი არ ვიცით, რა იქნება... ამ შემთხვევაში კი რაღაცნაირად სამყაროს ნაწილი ხდები, არის რაღაც სივრცის შეგრძნება. ალბათ, დრო ჩერდება ამ დროს. მე ძალიან მიყვარს დროის გაჩერება. არ მსიამოვნებს დროის დათვლა, იმიტომ რომ რეალურად მუდმივად ვითვლით დროს. მირჩევნია სივრცე, მარადისობის შეგრძნება... ამ დროს რომც არ ფიქრობდე მსმენელზე, ენერგეტიკა თავისთავად მოდის, ამას გრძნობ. ენერგეტიკა არის ის, რაც ადრენალინს გამოყოფს ჩვენში და ცოტა ეგზალტირებულ, ცოტა არანორმალურ სიტუაციაში ვგრძნობ თავს, დარბაზში შეკრებილი უამრავი ადამიანი შენგან რაღაცას ელის და შენ ამ დროს შენი ემოციები შიშვლად უნდა გამოხატო. ეს ენერგეტიკა რომ არ იყოს, იგივე იქნებოდა, როგორც სახლში დაკრული კონცერტი.

**– ასეთი ემოციური მუსიკოსი სცენაზე, ცხოვრებაში რამდენად ემოციური ხარ?**

– ალბათ, ცხოვრებაშიც ემოციური ვარ. თუმცა, იმდენად ხდება გადაჭარბებულად სცენაზე ემოციების გამოხატვა, რომ, ალბათ, რაღაც დონეზე შეიძლება უფრო რეზერვირებული ვიყო ცხოვრებაში. ვფიქრობ არ ვარ გიჟი და არანორმალური, თუმცა, ზოგადად, ემოციური ვარ.

**– უახლოეს ხანში საქართველოში ხომ არ გეგმავთ კონცერტს?**

– 2 ნოემბერს მე და ლიზიკო ბათიაშვილი ერთად ვაპირებთ კონცერტს წინანდალში.

**– ამბობენ, ქართველი მსმენელი სხვებთან შედარებით ბევრად კრიტიკულიაო, მართალია?**

– ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, პროცესი, როცა ადამიანები თვლიან, რომ ვიღაცა უნდა განსაჯონ, დროის დაკარგვაა, ეს აფერხებს იგივე ადამიანის მსვლელობას ცხოვრებაში. ჩვენც, „ნიჭიერის“ ჟიურის წევრები, ვამბობთ აზრს, ვაჩერებთ მომენტს, ვაანალიზებთ იმას, რაც მოხდა. ამ დროს თვითონ „ნიჭიერის“ კონკურსანტები მთლიანად იმ მომენტით ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ბევრად საინტერესოა თვითონ პროცესი, ვიდრე გაანალიზება. აქედან გამომდინარე, პუბლიკის არ მეშინია, არც მკაცრის, არც რე-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი ინტერვიუ პირად გრძნობებზე

## „უფრო ბედნიერები ვართ ხელოვანები მაშინ, როდესაც სცენაზე სრულიად ვივიწყებთ რეალობას“...

EXCLUSIVE

ალურის, „ნიჭიერის“ წევრებსაც იგივეს ვურჩევდი, არც პუბლიკის შეეშინდეთ და არც ჟიურის წევრების...

**– რას მეტყვი დღევანდელ საქართველოზე, როგორია შენთვის ის?**

– ვფიქრობ, ახლა ძალიან რთული პერიოდია. ჩემთვის პირადად ეს არის პროცესი, როდესაც ცოტა უფრო რეალისტურად ვუყურებ რაღაც-რაღაცებს. ადამიანებმა ერთი რამ უნდა გავიგოთ, რაც არ უნდა ლამაზი სახლი ააშენო, შეიძლება ერთ დღეს დაინგრეს, მე მქონდა ამის შეგრძნება... მაგრამ ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი მაინც ის არის, როდესაც იმის უნარი აქვს, რომ თავიდან დაიწყოს რაღაცის აშენება. სწორედ ამ შენებისკენ მოვუწოდებ ჩემს თავსაც და ყველას ირგვლივ... არ ღირს პესიმიზმი, პესიმიზმს არაფერი მოაქვს კარგი, მართალია, ბევრად უფრო რეალისტურად ვუყურებ რაღაცებს და ცოტა ნაკლები ენთუზიაზმითაც, მაგრამ მაინც უნდა ვაშენოთ ყოველდღე ....

**– რისთვის ღირს ცხოვრება?**

– იმისთვის, რომ შევიგრძნოთ ბედნიერების წუთები და ერთმანეთი გვიყვარდეს... როდესაც ადამიანი ბედნიერია და უყვარს, ძალიან ბევრი რამ აღარ აწუხებს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ბედნიერება ჩაგიშხამოს, ეს ძალადობაა, რაც სიყვარულის გრძნობასაც სპობს. სხვა მხრივ, ამ შეგრძნებით ყოფნისას ადამიანი, ზოგადად, ბედნიერია და სხვებს ნაკლებად აკრიტიკებს, სხვების მიმართ ნაკლებად არის ცუდად განწყობილი.

**– რისთვის უკრავთ, თქვენი სიამოვნების გამო?**

– მე თუ არ ვისიამოვნე, სხვაც ვერ ისიამოვნებს. მუსიკა ჩემი ოჯახია. როდესაც სხვის მუსიკას ვისმენ, ეს კიდევ სხვა შეგრძნებაა. როდესაც მე ვაკეთებ, ეს არის ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა. ეს აბსოლუტურად სრულიად ბუნებრივად მოხდა და არა ხელოვნურად. მუსიკის გარეშე რაღაცა ნაწილი წაიშლება მე-ს ეგოსი, რომელიც გააუფერულებს, ალბათ, ჩემს ეგოს დ აქედან გამომდინარე, ჩემს ინდივიდუალურობასაც, ამიტომ მე ვარსებობ მუსიკასთან ერთად. პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ასეა.

**– ადამიანებს, რომლებიც მუსიკაზე ასე არიან შეყვარებულები, რეალურად, ალბათ, იშვიათად უყვარდებათ...**

– მე ფანატიკურად არ აღვიქვამ მუსიკას, პირიქით, ადამიანთან მიმყავს მაინც საბოლოოდ. ჩემთვის მუსიკა არის ემოციების გამაძლიერებელი საშუალება. როდესაც მუსიკას ვუსმენ, იგივე ემოციას უფრო მძაფრად აღვიქვამ. უფრო ცოცხლად გვაგრძნობინებს თავს, რადგან გვიმძაფრებს ადამიანურ გრძნობებს და ემოციებს. აქედან გამომდინარე, ეს სიყვარულს არანაირად არ უშლის ხელს... თუმცა დღეს არაფერი არ ხდება, საერთოდ კი, შეყვარებული ვყოფილვარ და ვიქნები კიდეც...

**– ისე თავდავიწყებით გყვარებიათ, როგორც მუსიკა გიყვართ?**

– მუსიკასთან ერთად მყვარებია და მომავალშიც მუსიკასთან ერთად ვიქნები შეყვარებული, ცალკე არ იქნება... ეს არის ფონი ჩემი ცხოვრების, რომელიც აკუსტიკურად რომც არ ჟღერდეს, ყურებში მაინც მესმის. იგივე სიჩუმეც მუსიკაა და იმიტომ... ზოგადად, ბგერა, მუსიკაც ბგერაა ხომ, ადამიანების ხმა, სიცილის ხმა, ტრაგიკული ხმა, ბედნიერი ხმა, ბუნების ხმა, ეს ყველაფერი და პლუს მუსიკა, ადამიანის მიერ შექმნილი. თუ დანაწევრება მომიწევს და რაღაცის არჩევა, მაშინ თავს ბედნიერად ვერ ვიგრძნობ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N37 (235) ორშაბათი, 16 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# ოთო ნემსაძის „ფიქრების ზღვა“

„მე მერგო ბედნიერებად ეს მძიმე ტვირთი“

# ვარსკვლავის ბიოგრაფია მუსიკაში

EXCLUSIVE

ნანი ბრეგვაძის პირველი ქართული სოლო ალბომი

EXCLUSIVE

# ხატია გუნიათიშვილის გულახდილი ინტერვიუ პირადზე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება